

# გაანადგურე პროკტონიტი!

გაანადგურე ქალის მკარავი!

ჯონ  
ბევირი



წიგნს „გაანადგურე პროკტონიტი“  
თან ერთვის DVD რესურსდისკი

ძვირფასო მეგობრებო

ეს წიგნი საჩუქარია და ვლოცულობ, რომ მის ფურცლებზე გად-  
მოტანილმა სათქმელმა სამუდამოდ შეცვალოს თქვენი ცხოვრება!

დარწმუნებული ვარ, რომ უკანასკნელ დღეებში ვცხოვრობთ –  
ქვეყნიერებაზე, სადაც ნამდვილი სულიერი კრიპტონიტი არსებობს  
და ყოველდღიურად გპარავთ ძალას, რომელიც თქვენ, ქრის-  
ტიანებს გეკუთვნით.

უამრავი ქრისტიანისთვის იმედგაცრუება და დაქანცულობა  
ნაცნობი გრძნობებია, როცა დრო და დრო მათი უკან დაბრუნება  
ცოდვებისგან განთავისუფლებას ცდილობენ. ღმერთს არასოდეს  
ჰქონია სურვილი, რომ ასე ყოფილიყო მათ ცხოვრებაში. მან  
დაადგინა, რომ გამარჯვება მოგებოვებინათ თქვენი ცხოვრების  
ყველა სფეროში. უფრო მეტიც, მან მოგცათ ყველაფრის ძლევის  
ძალაუფლება, წინ რაც არ უნდა გადაგეღობოთ.

წიგნში საკუთარ ამბავს გიზიარებთ – მოგზაურობას, რომელმაც  
გარღვევამდე მიმიყვანა და რამდენიმე საკვანძო ბიბლიური ქვეშ-  
მართება გამოავლინა ჩემი ცხოვრების სამუდამოდ შესაცვლელად.  
თქვენც შეგიძლიათ ისიამოვნოთ ღმერთთან ახლო ურთიერთობით  
და კავშირით. მაშინ გექნებათ აშკარა, ძალმოსილი რწმენა,  
რომელიც გავლენას მოახდენს თქვენს ირგვლივ მყოფ ადამი-  
ანებზე. პირველ რიგში კი, საკუთარი სულიერი კრიპტონიტი უნდა  
გაანადგუროთ.

შეგიძლიათ თავისუფლად გაავრცელოთ ეს წიგნი და თანმხლები  
რესურსები [Cloudlibrary.org](http://Cloudlibrary.org)-დან.

თქვენი ძმა ქრისტეში,



**MESSENGER**  
INTERNATIONAL  
[MessengerInternational.org](http://MessengerInternational.org)

ჯონ ბევერი

[JohnBevere@gmail.com](mailto:JohnBevere@gmail.com)

ಪುಸ್ತಕಗಳನ್ನು  
ಓದಿ

ಪುಸ್ತಕಗಳನ್ನು  
ಓದಿ



„ჯონ ბევირი გახლავთ პრაქტიკული, საფუძვლიანი მიდგომის მქონე, თანამედროვე წინასწარმეტყველი, რომელიც გვაჩვენებს ცოდვის დაძლევის გზებს გამაძლიერებელი მადლის მეშვეობით. თავის წიგნში „გაანადგურე კრიპტონიტი!“ იგი ფარდას ხდის ფაქტს, რომ ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში არსებობს კრიპტონიტი, რომელიც მხოლოდ ღვთის სიყვარულით დაიძლევა. მადლობა ღმერთს, რომ ჯონს ეს გამოცხადება მისცა!“

რობერტ მორისი

დამფუძნებელი უფროსი მწყემსი, Gateway Church, Dallas/Fort Worth, Texas

The Blessed Life, The God I Never Knew, Truly Free, და Frequency ბესტსელერების ავტორი.

„წიგნი გამსჭვალულია გადაუდებელი მნიშვნელობის მქონე ვედრებით ქრისტეს ეკლესიის მიმართ, რომ არ დაკმაყოფილდეს იმაზე ნაკლებით, ვიდრე ღმერთს აქვს მისთვის განზრახული. დარწმუნებული ვარ, რომ ჯონის ბიბლიური გაგება და მოტივი, რომ მორწმუნეებს დაეხმაროს მართლაც ღვთისთვის მიძღვნილ ცხოვრებაში, გარდატეხის მომენტი იქნება ყველა ადამიანისთვის, ვინც მის რჩევებს გულთან მიიტანს“.

ჯოის მაიერი

ბიბლიის მასწავლებელი და ბესტსელერების ავტორი

„წიგნში „გაანადგურე კრიპტონიტი!“ ჯონ ბევირი ნათლად წარმოაჩენს სიმაგრეებს, რომლებიც ხელს გვიშლიან ქრისტეში ჩვენი პოტენციალის სრულ გამოყენებაში. ეს წიგნი ძლიერი და პირდაპირია. იგი მკითხველს პირისპირ აყენებს მის ცხოვრებაში არსებულ კრიპტონიტთან“.

ჯენტეზინ ფრანკლინი

Free Chapel-ის უფროსი მწყემსი

ნიუ იორკ თაიმსის ბესტსელერების ერთ-ერთი ავტორი

„ჯონ ბევერის გამოცხადებები ბიბლიურ პრინციპებზე, სხვადასხვა სწავლება და ადამიანებისადმი სიყვარული ათწლეულების განმავლობაში აშენებდა როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ისე მთლიან ცათა სამეფოს. მისი წიგნები დედამიწის ოთხივე კუთხეს აღწევს და განუზომელია მათი ზეგავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე. მადლიერი ვარ მასთან მეგობრობის, მსახურების და მისი უწყვეტი მორჩილების გამო, რომ მუდამ მზადაა წერის დასაწყებად“.

ბრაიან ჰოუსტონი

Hillsong Church-ის დამფუძნებელი და გლობალური მასშტაბის უფროსი მწყემსი

„დამაჯერებელი, სულით სავსე, ძლიერი. „გაანადგურე კრიპტონიტი!“ არყევს ადამიანის თანდათანობით მომშობი და ჩვეულებად ქცეული ცოდვის სიმაგრეს და უტევს მას მადლით და ჭეშმარიტებით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი დაეხმარება თაობას, სადაც ჭეშმარიტება შედარებითია და მორჩილებაზე არ სმენიათ, სადაც არასოდეს აღფრთოვანებულან იმ ღვთით, რომელიც ჩვენთვის საუკეთესოზე ნაკლებს არ ჯერდება – თავისუფლება მასში და საკუთარ თავზე უარის თქმა მისი გულისთვის“.

ლუი გიგლიო

Passion City Church-ის პასტორი, Passion Conferences-ის დამფუძნებელი

ავტორი წიგნისა „Goliath Must Fall“

„ეს უკანასკნელი წიგნი მაინც ბევრს აკვირვებს ჯონ ბევერის დიდებული წიგნების ფონზე. ვერ ვიტყვით, რომ მან გადაუხვია სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების განხილვის მისეულ გამორჩეულ უნარს. პირიქით, სრულიად სანინააღმდეგო რამ ხდება. მის ცხოვრებაში არსებული მადლი კიდევ უფრო საფუძვლიანად გამოვლინდა მის ნაშრომებში. ბევრს განაცვიფრებს, რომ ის მარტივად აცხადებს რაღაც ისეთს, რაც თითქოს ცხვირწინ გვიდევს, მაგრამ ვერ ვამჩნევთ. იმის თქმა, რომ ეს საჭირო წიგნია, მისი დაკნინება იქნებოდა. „გაანადგურე კრიპტონიტი!“ არსებითი საკითხავია თანამედროვე მორწმუნეებისთვის“.

ბილ ჯონსონი

Bethel Church, Redding, CA

ავტორი წიგნისა „God is Good“

# მანქანაფარე კონსტრუქტორი!

განადგურე ძალის მპარავი!

ჯონ  
ბეპირი

Killing Kryptonite by John Bevere, Georgian  
© 2019 Messenger International  
[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)  
Originally published in English as Killing Kryptonite  
Additional resources in Georgian by John Bevere are available for  
free download at: [www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)  
To contact the author: [JohnBevere@ymail.com](mailto:JohnBevere@ymail.com)

„განადგურე კრიპტონიტი!“ ჯონ ბევერი ქართულად  
© 2019 Messenger International  
[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)  
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე  
ჯონ ბევერისაგან, დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე  
ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)  
ავტორის ელფოსტის მისამართია: [JohnBevere@ymail.com](mailto:JohnBevere@ymail.com)



ამ წიგნს ვუძღვნი Messenger International-ის  
გუნდის წევრებს

ერთად მრავალ მილიონ ადამიანს მივუტანეთ იესო  
ქრისტეს სახარება.

ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა თქვენი რწმენის,  
ნიჭის, თავდადებისა და მუხლჩაუხრელი შრომის გარეშე. მე  
და ლიზა გაფასებთ, გვახარებს თქვენთან ერთად შრომა და  
იმ დღის მოლოდინი, როცა იესო მარადიულ ჯილდოს გარ-  
გუნებთ ერთგული სამსახურისთვის.

„რადგან ვინ არის ჩვენი იმედი ან ჩვენი სიხარული ან ჩვე-  
ნი სიქადულის გვირგვინი, თუ არა თქვენ, ჩვენი უფლის იესო  
ქრისტეს წინაშე მისი მოსვლისას? ვინაიდან თქვენა ხართ  
ჩვენი დიდება და სიხარული!“

(1თესა.2:19-20)

მადლობა Messenger-ის 2019 წლის გუნდს!



# შინაარსი

შესავალი .....	13
----------------	----

## ნაწილი 1: ერთის ძალაუფლება

1. არიდებული კითხვები .....	19
2. წარმოგიდგინო კრიპტონიტს! .....	29
3. ერთი .....	39
4. გადამდები კრიპტონიტი .....	47
5. იყავი ცვლილება! .....	57
6. მოტივაცია .....	67
7. ერთის ძალა .....	77

## ნაწილი 2: კრიპტონიტის იდენტიფიკაცია

8. საქორწინო აღთქმა .....	89
9. მრუშობა ღვთის წინააღმდეგ .....	97
10. რა იმალება მრუშობის უკან? .....	104
11. კერპთაყვანისცემლობა .....	117
12. ზენოლის შემსუბუქება .....	127
13. კრიპტონიტი! .....	137
14. ცოდვა .....	145

## ნაწილი 3: კრიპტონიტის ეფექტი

15. ცოდვის ძალა (ნაწილი 1) .....	155
16. ცოდვის ძალა (ნაწილი 2) .....	165
17. გზასაცდენილი .....	175
18. ყალბი იესო .....	183
19. საწყისი წერტილი .....	191
20. მონანიება .....	203
21. სამი მეფე .....	215

## ნაწილი 4: კრიპტონიტის მოცილება

22. დაპირისპირება .....	227
23. შეწყნარება .....	237
24. სიყვარული და ჭეშმარიტება .....	247
25. კრიპტონიტის განადგურება .....	257
26. ცოდვა, რომელიც ცოდვა არ არის .....	267
27. სავახშმო კარი .....	277
28. აღსდექი! .....	287
სადისკუსიო კითხვები .....	297
დანართი .....	307

## წიგნის შესახებ

„გაანადგურე კრიპტონიტი!“ თავიდან ბოლომდე იკითხება სხვა წიგნების მსგავსად. შევეცადე, მოკლე თავები დამეწერა, რომ თითოეულის წაკითხვას 10-15 წუთზე მეტი არ დასჭირვებოდა. ყოველ თავში იპოვით „იმოქმედე!“ კომპონენტს, რომელიც განხილული ჭეშმარიტების ცხოვრებაში გამოყენებისთვის გამოგადგებათ. გთხოვთ, ნუ გამოტოვებთ ამ ნაბიჯებს – ისინი წინამდებარე წიგნის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. ამ მიზეზით გირჩევთ, რომ დღეში მხოლოდ ერთი თავი წაიკითხოთ. ამით სამოქმედო ნაბიჯებისთვის დრო დაგროვებათ, სანამ მომდევნო თავზე გადახვიდოდეთ.

წიგნის ბოლოს იპოვით სადისკუსიო მასალას მათთვის, რომელთაც სურთ „გაანადგურე კრიპტონიტი!“ ჯგუფური შესწავლისთვის გამოიყენოს. ასევე შევქმენი ინტერნეტ-კურსი და პირისპირ შესწავლის კურსი, რომლებიც წიგნის შინაარსს შეესაბამება. ორივე მათგანი კარგი არჩევანია, თუ ამ საკითხის ღრმად შესწავლა გსურთ. (წიგნის ბოლოს ნახავთ უფრო მეტ ინფორმაციას კურსსა და სწავლებაზე).

თუ ამ წიგნს „გაანადგურე კრიპტონიტი!“ სწავლების ან კურსის შემადგენელი ნაწილის სახით სწავლობთ, რეკომენდაციას გინევთ, რომ უყუროთ ან მოუსმინოთ ყოველკვირეულ გაკვეთილებს და ჯგუფური მეცადინეობისას უპასუხოთ წიგნის ბოლოს დატანილ სადისკუსიო კითხვებს.

ნუ მოგერიდებათ ჩემთან ან Messenger International-ის გუნდთან დაკავშირება კითხვების არსებობის შემთხვევაში!

ისიამოვნეთ კითხვის პროცესით!



ჯონი



## შესავალი

შესაძლოა გაგიკვირდეთ, მაგრამ ცხოვრებაში არასოდეს ასე ხშირად არ გამჩენია წერის შეწყვეტის სურვილი, როგორც ამ წიგნის წერისას, რის მიზეზსაც ახლავე მოგახსენებთ. პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რა კავშირშია წიგნის სათაური ქრისტეს მიმდევრებთან? ნება მიბოძეთ, მოკლე განმარტება მოგაწოდოთ.

ბევრ ჩვენგანს სმენია „კრიპტონიტის“ შესახებ სუპერმენის ფანტასტიკური ამბიდან. ის, რაც პრაქტიკულად ამერიკულ ფოლკლორად იქცა, თავის დროზე სკოლის მეგობრების, ჯერი სიგელისა და ჯო შასტერის მიერ დაინერა და პირველად 1938 წლის ივნისში გამოქვეყნდა კომიქსების წიგნში. სუპერ-ძალის მფლობელი კეთილშობილი გმირის სიუჟეტი სრულად უპირისპირდებოდა იმდროინდელ ნაცისტურ ტირანიას. სუპერმენის პოპულარობა უზომოდ გაიზარდა და ბოლოს მისით დაინტერესდნენ არა მარტო ბექდვითი გამოცემები, არამედ რადიო-ტელევიზია და ბლოკბასტერები.

გარკვეული დროის შემდეგ სუპერმენის ისტორიების მიმართ გულგრილობა გამოიჩინეს, რადგან ის პრაქტიკულად, დაუმარცხებელი იყო. ამან ავტორებს ახალი იდეა მიანოდა. 1940 წელს მათ კრიპტონიტად წოდებული ნივთიერება გამოიგონეს, რომელიც სუპერმენის მშობლიურ პლანეტაზე მოიპოვებოდა და მისი ძალის განეიტრალება შეეძლო. იგი კრიპტონიტის ზემოქმედებით ადამიანზე ძლიერი აღარ იყო.

ქრისტიანების ცხოვრებაშიც არსებობს „კრიპტონიტი“, რომელიც ღვთისგან მოცემულ ძალას და ბუნებას ანეიტრალებს. რა არის ეს? როგორ შეიძლება მისი ამოცნობა? რა გავლენას ახდენს იგი ცაკლეულ ადამიანებსა და მთელ თემზე? როგორ ასუსტებს იგი ჩვენს უნარს, რომ დაღუპულ ადამიანებს სახარება მიუტანოთ? რას ვკარგავთ მისი მოქმედების შედეგად? რატომ არის მისთვის ასე ადვილი ჩვენგან დამალვა? წინამდებარე წიგნი ამ და სხვა კითხვებს პასუხობს.

ეს მეთორმეტე წიგნი გახლავთ, რომელიც სულიწმიდის დახმარებით და ხელმძღვანელობით დავწერე. როგორც აღვნიშნე, წერის პროცესის შეწყვეტა 5-6-ჯერ გადავწყვიტე. მიზეზი მხოლოდ ერთი იყო: ის პირისპირ მაყენებდა იმ საკითხებთან, რომელთა უგულებელყოფა საკუთარ ცხოვრებაში ვერ შეეძელი. მომიხდა კითხვების დასმა: *იმაზე დაბალი სტანდარტებით ხომ არ ვცხოვრობ, ვიდრე ღვთისგან ვარ შექმნილი? ნამდვილად განვიცდით თუ არა ჩვენ, მთელი ეკლესია, ღვთის თანდასწრებასა და ძალას, რომ შევცვალოთ ჩვენს ირგვლივ მყოფი საზოგადოება?* რეალურად, რამდენჯერმე გამეღვიძა და ასეთი სიტყვები წარმოვთქვი: „მამა, დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს წიგნი მომწონს. მინდა, შევწყვიტო მისი წერა“.

ყოველ ჯერზე ვგრძნობდი, რომ სულიწმიდა მკაცრი „არა“-თი მპასუხობდა. ბოლო ჯერზე, მან დამარწმუნა, რომ წიგნი განახლებულ გაგებას მისცემდა ყველა მკითხველს და ჯანსაღი ადამიანების, ოჯახებისა და ეკლესიების შენებას უზრუნველყოფდა მსოფლიო მასშტაბით. მისი პრინციპები მთლიან ქალაქებს შეცვლიდა.

ამ დაპირების შემდეგ რწმენით წერა გავაგრძელე. როცა წიგნის ბოლო ნაწილს, უკანასკნელ შვიდ თავს მივადექი, სარგებელი უკვე თვალსაჩინო გახდა. არა მარტო წიგნიდან მომდინარე სიბრძნე დავინახე, არამედ მისი გადაუდებელი საჭიროებაც. ახლა ვთვლი, რომ ის ჩემი სახელით გამოშვებულ წიგნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

ახლა, როცა წიგნის ბოლო ნაწილში მოსალოდნელი სარგებლის შესახებ გაგიმხილეთ, შესაძლოა, ცდუნება გეწვიოთ, რომ წიგნის დასასრული ნაიკითხოთ. გაფრთხილებთ, ამას ნუ იზამთ! თუ პირველ სამ ნაწილს გამოტოვებთ, მეოთხე ნაწილის ზეგავლენა მნიშვნელოვნად შემცირდება. ეს ჰგავს კინოს ყურებას მისი მიმდინარეობის ბოლო 20 წუთის მანძილზე, როცა მხოლოდ კულმინაციური მომენტია დარჩენილი. ეფექტი ისე ძლიერი არ იქნება, როგორც თავიდან ყურებისას. ისინი, რომლებიც კინოს დასაწყისიდანვე უყურებენ, ტირიან, შესძახიან ან ზეიმობენ. თქვენ კი, მეორე მხრივ, გაიკვირვებთ, თუ რა იყო მასში ასეთი განსაკუთრებული.

წინამდებარე წიგნი 28 თავისგან შედგება, რომლებიც 4 ნაწილად არის მოცემული ანუ თითოეული ნაწილი 7 თავს მოიცავს. ეს წინასწარ განზრახვით გავაკეთე, რომ შედარებით მოუცლელ მკითხველს დავხმარებოდი. დღემი ათ-თხუთმეტწუთიანი კითხვით წიგნს ოთხ კვირაში დაასრულებთ. ასევე



შეგიძლიათ ერთი თავის წაკითხვას ერთი კვირა მონდომოთ და წიგნი ნ თავის შემდეგ დაასრულოთ ან წაიკითხოთ ისე, როგორც სხვა წიგნებს კითხულობთ. ჩვენი მიზანია, წიგნის სათქმელი თქვენთვის საუკეთესო კითხვის გრაფიკს მოვარგოთ.

და ბოლოს, კითხვა მოგზაურობად უნდა განიხილოთ, რომლის განმავლობაშიც იპოვით კრიპტონიტისგან თავდაცვის გზას და ქვეყნიერებაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას. სანამ დავიწყებდეთ, ვილოცოთ და სულიწმიდას თვალის ახელა ვთხოვოთ ზეციური სიბრძნის დასანახად, რომელიც გვაძლიერებს დედამიწაზე ჩვენი დანიშნულების აღსასრულებლად.

*„ზეციერო მამა, იესოს სახელით გთხოვ, ამიხილო თვალები, გახსნა ჩემი სასმენელი და გული, რომ დავინახო, მესმოდეს და ჩავწვდე შენს ნებას ჩემს ცხოვრებაში! წმიდა სულო, ღრმად და საფუძვლიანად მასწავლე იესოს ქრისტეს გზები ამ წიგნის კითხვისას! შენ შემოგცქერი, როგორც ჩემს მასწავლებელს. დამელაპარაკე ამ წიგნის ყოველი წინადადებაიდან და სამუდამოდ შეცვალე ჩემი ცხოვრება! ამინ“.*



# ეტიმის ძალაუფლება

«ნაწილი 1»



# არიდუბული კითხვები

განსაკუთრებული შენიშვნა ავტორისგან:  
ძვირფასო მკითხველო, თუ აქამდე არ გაგიკეთებიათ, და-  
წინებით გთხოვთ, რომ წიგნის შესავალი წაიკითხოთ! ის ში-  
ნარსის გაგებაში დაგეხმარებათ. სასიამოვნო მოგზაურობას  
გისურვებთ!

„გაანადგურე კრიპტონიტი!“ ნუთუ ეს წიგნი სუპერმენზეა?  
არა, მაგრამ მის ამბავსა და ჩვენს მორწმუნეობრივ ცხოვრებას  
შორის საოცარი პარალელია. მოდი, განვიხილოთ მსგავსებები!

სუპერმენი არ არის ამქვეყნიური; ღვთის შვილებიც არ არ-  
იან ამ ქვეყნისა.

იგი ფლობს ისეთ ზებუნებრივ ძალას, რომელიც მიუწვდო-  
მელია ჩვეულებრივი ადამიანისთვის; ჩვენც ზებუნებრივი გზე-  
ბით ვართ ძალმოსილი ქვეყნიერების მცხოვრებთაგან განსხვა-  
ვებით.

იგი ბოროტებას ებრძვის; ჩვენც ბოროტებას ვებრძვით.

იგი იცავს და ათავისუფლებს არამზადების მიერ და-  
ჩაგრულებს; ჩვენც ვიცავთ სუსტებს და ვათავისუფლებთ  
ტყვეებს.

იგი ძალას მზისგან იღებს; ჩვენ – შემოქმედი ღმერთისგან.

სუპერმენის შეჩერება მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია: კრიპ-  
ტონიტს – გამოგონილ რადიოაქტიურ ნივთიერებას, რომელიც  
მხოლოდ მის მშობლიურ პლანეტაზე მოიპოვება. ანალო-  
გიურად, „კრიპტონიტი“ ჩვენს მშობლიურ პლანეტაზეც წარ-  
მოიშვა და ღვთის შვილი გააუვნებელყო. დიახ, ის დედამიწაზე  
არ წარმოშობილა, მაგრამ იქიდან მოვიდა, საიდანაც ვართ.

კრიპტონიტმა არა მარტო სუპერმენის იმქვეყნიური შესაძლებლობები გააუვნებელყო, არამედ რიგითი ადამიანიც მეტად დაასუსტა. ჩვენმა კრიპტონიტმაც იგივე გვიყო.

რა არის ჩვენი კრიპტონიტი? სანამ მის იდენტობას დავადგენდეთ, მინდა ერთი ამბავი დავიწყო. კრიპტონიტის დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ სუპერმენს მისი ადვილად აღმოჩენა არ შეუძლია, ამიტომ უფრო ადრე ექვემდებარება მის დამანგრეველ ძალას, ვიდრე მის რაობას ამოიცნობდეს. მორწმუნეთა კრიპტონიტი კი არა მარტო ცალკეულ ადამიანს ასუსტებს, არამედ მთელს ქრისტეს სხეულს და ბევრისთვის ის ჯერაც ამოუცნობია. ამ წიგნის მიზანი მისი რაობის დადგენა და იმ საშუალებების გამომჟღავნება გახლავთ, რომლებიც მის მოშორებასა და მისგან მოსული ზეგავლენისგან თავის დაღწევაში დაგვეხმარება, როგორც ცალკეულ მორწმუნეს, ისე მთელ თემს. ამრიგად, დავიწყოთ ერთი კითხვით.

## უდიდესი სურვილი

რა არის ჩვენი უდიდესი სურვილი? ვამბობ „ჩვენს“, რადგან თუ გულწრფელები ვიქნებით, ყველას ერთი პრობლემა გვჭირს. ხომ არ არის ეს წარმატების მიღწევის, ჩვენს სფეროში გამორჩევის, პოპულარობის, ბედნიერი ქორწინების, კარგი მეგობრობით სიამოვნების მიღების, ბრწყინვალე საზოგადოების წევრობის, კარგი ჯანმრთელობის ქონის ან სხვადასხვა გატაცებებისთვის საკმარისი რესურსების ფლობის სურვილი?

თითოეული აქ ჩამოთვლილთაგან საკმაოდ მიმზიდველია, ხოლო ზოგიერთი – აუცილებელიც კია, მაგრამ შეგვიძლია ჩვენი ყველაზე დიდი სურვილი ვუნოდოთ რომელიმე მათგანს? განა არ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებსაც ყველაფერი აქვთ და მაინც განიცდიან შინაგან სიცარიელეს? არ გვსმენია ჰოლივუდის მსახიობების, მენეჯერების, პროფესიონალი ათლეტების, მთავრობის ხელმძღვანელების და სხვათა ამბები, რომლებმაც საზოგადოების თვალში მწვერვალად მიჩნეულ წარმატებებს მიაღწიეს ცხოვრებაში, მაგრამ მაინც თვლიან, რომ რაღაც აკლიათ? ამ სიცარიელის განცდა ზოგიერთს ნარკოტიკების, ალკოჰოლის, ეგზოტიკური მიდრეკილებების ან სიყვარულის ძიებისკენ უბიძგებს. დანარჩენები კი სხვადასხვა სახის რელიგიაში, კერძოდ, ნიუ ეიჯში ან ოკულტიზმში პოულობენ შვებას და იმედი აქვთ, რომ ამოავსებენ იმ სიცარიელეს, რომელიც მათ შიგნიდან ღრღინის.

თუ ნრფელები ვიქნებით, გულის სიღრმეში ყველამ ვიცით, რომ რალაც უფრო მეტი არსებობს. ყველა მამაკაცი და ქალი ესწრაფვის ნამდვილ კმაყოფილებას, რომელიც ჩვენს შემოქმედთან ახლო ურთიერთობით მიიღწევა მიუხედავად იმისა, ამას აცნობიერებენ თუ არა. მნიშვნელობა არ აქვს, რას ფიქრობთ ღვთის შესახებ. ის თქვენი შინაგანი სწრაფვის ობიექტია. ყოველგვარი კმაყოფილება და სისრულე, რასაც ადამიანთა რასა ეძიებს, შემოქმედთან ხელახალ შეერთებაში იპოვება.

რეალობა კი ის გახლავთ, რომ ღმერთმა „თვით მარადიულობა ჩადო მათ (ადამიანთა) გულებში“ (ეკლ.3:11). თუ ტყუილის გავლენის ქვეშ არ ვართ, ჩვენი გული ინსტინქტურად ისწრაფვის „მარადისობის მეფისკენ“ (იხ.1ტიმ.1:17). ასეთია ღვთის სიტყვა ადამიანთა შესახებ:

„იმიტომ, რომ ცხადია მათთვის, რაც შეიძლება იცოდნენ ღმერთზე, რადგან ღმერთმა განუცხადა მათ. ... ქმნილებათა განხილვით შეიცნობა უხილავნი ღვთისა - მისი მარადიული ძალა და ღვთაებრივობა – ასე რომ, ვერ გამართლდებიან ისინი“. (რომ. 1:19-20)

ღმერთი არც ერთი ადამიანისთვის არ არის უცნობი. ნებისმიერ მამაკაცსა და ქალს რომ ჰკითხოთ, სრულიად გულწრფელი პასუხის შემთხვევაში აღიარებდნენ, რომ ცხოვრების რომელიღაც მომენტში ღვთის მიმართ დიდი სწრაფვა ჰქონდათ. ყველა ჩვენგანს აქვს შინაგანი ცოდნა, რომ ღმერთი ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე და ყველგანმყოფელია.

ყველამ, ვინც მასთან ურთიერთობაშია, იცის, რომ მისი თანდასწრება, ძალა, ბრწყინვალეობა და სიდიადე განუზომელი და შეუდარებელია. ის იმდენად ძლიერია, რომ სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ძალმოსილი არსებები, სერაფიმები, განუწყვეტილვ დგანან მის წინაშე და აღტაცებით აღიდეგენ ღმერთს მისი საოცარი დიდებულებისთვის. ეს ქმნილებები ისეთი მიზანსწრაფულობით და ძალით შესძახიან, რომ მათი ხმები ზეცის უკიდვანო ასპარეზის კარიბჭეებს არყევს, სადაც, ალბათ, მილიარდობით ქმნილება მკვიდრობს.

ღვთიური სიბრძნე, გაგება, შემოქმედებითობა, გამჭრიახობა და ცოდნა უკიდვანო და გამოუკვლეველია. საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ ყველაზე ცნობილი მეცნიერები მისი შესაქმის საიდუმლოებების ამოხსნას, მაგრამ სრულად ვერასოდეს ჩანვდნენ მის სირთულესა და საოცრებას.

## 22 ბაანაღბური კრიპრონიტი!

ჯერ არც ერთ ადამიანს არ გაუსიგრძელებია ან განუცდია მისი მოსიყვარულე სიკეთის, თანაგრძნობის და სულგრძელობის მთელი სისრულე. მის სიყვარულს საზღვრები არ აქვს.

ღმერთთან ურთიერთობის პრივილეგიით თითქმის ორმოცწლიანი სიხარულის შემდეგ ბოლო ხანებში კიდევ ერთხელ ამავსო იმის შეგნებამ, რომ ჩვენმა შემოქმედმა მსჯავრდადებისგან გვიხსნა, რომელიც თავად დავიმსახურეთ. მან ჩვენ, კაცობრიობას, ყოველგვარი ძალაუფლება მოგვცა დედამიწის სამართავად, მაგრამ ჩვენ ის მტერს და მის დამქაშებს გადავეცით. ღმერთმა წინასწარ იცოდა ჩვენი ღალატის შესახებ, ამიტომ დაგეგმა და მოისურვა წარმოუდგენელი ფასის გადახდა, რომ მონობისა და ბორკილებისგან ვეხსენით. ჩვენ მსჯავრი დავდეთ საკუთარ თავს, მაგრამ მან თავი განირა ჩვენი გულისთვის. მან თავისი სიტყვა არ გატეხა ამის გასაკეთებლად, რადგან ჩვენი დახსნა მხოლოდ მისი განკაცებით იყო შესაძლებელი.

ვინაიდან ღმერთმა დედამიწა ადამიანს მისცა, უკან ვეღარ დაიბრუნებდა როგორც ღმერთი – ამის გამოსწორებას ძე კაცისა სჭირდებოდა. სიბრძნე დევს იესოს ქალწულებრივ შობაში: იგი სრულად განკაცდა, მაგრამ მისი მამა წმიდა სული იყო, ამიტომ დაცემული კაცობრიობის დამონებული ბუნებისგან თავისუფალი გახლდათ. იესო გახდა ხორცშესხმული ღმერთი. მან კარგად უწყოდა, რა განუზომელი ტანჯვა ელოდა ჩვენი გადარჩენისთვის, მაგრამ ისე ძლიერ და სრულყოფილად ვუყვარდით, რომ საკუთარი ნებით არჩია ჩვენი გათავისუფლების საფასურის გადახდა.

ეს წიგნი და კიდევ მრავალი ტომი მარტო მის სიკეთეზე, დიდებულ სიყვარულზე, ძალასა და სიდიადეზე დაინერებოდა, მაგრამ წერის სურვილი სულ სხვა საკითხმა აღმიძრა.

## არიღებული კითხვა

ვინაიდან ასეთი საოცარი ღვთის შვილები ვართ, მარტივი ლოგიკაც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ ჩვენი ცხოვრებაც არაჩვეულებრივი იქნება. არა მარტო სალი ლოგიკა, არამედ წმიდა წერილიც გვიბიძგებს ამგვარი აზროვნებისკენ. ჩვენ შეგვპირდნენ ყველა ქვემოჩამოთვლილს:

- მის ღვთიურ ბუნებას
- უანგარობას



- უპირობო სიყვარულსა და პატიებას
  - აღუნერელ სიხარულსა და მშვიდობას
  - ზებუნებრივ ძალას
  - კეთილდღეობას
  - სიცოცხლისუნარიანობას
  - ჯანმრთელობას
  - უსაფრთხოებას და სტაბილურობას
- და ეს სია სრულიად არ არის ამომწურავი – გაცილებით მეტი რამ არსებობს. ასევე გვაქვს აღთქმა:
- ღვთიური სიბრძნის
  - ცოდნის
  - გაგების
  - გამჭრიახობის
  - შინაგანი წვდომისა და შემოქმედებითობის

ეს ყველაფერი საჭიროა ჩვენს ძალისხმევაში ნაცოფიერებისა და წარმატების მისაღწევად. მოკლედ, ჩვენ გვაქვს ყველა იმ თვისების დაპირება, რომელიც ზეცაში იპოვება. გაიხსენეთ იესოს შთამბეჭდავი განცხადება, რომ მისი სამეფო ჩვენშია, ამრიგად, მისი ნება ისევე უნდა აღსრულდეს დედამიწაზე, როგორც ზეცაში სრულდება.

მიუხედავად ამისა, ამ თვისებების წარმოჩინება არც მასშტაბურ და არც ინდივიდუალურ დონეზე არ ხდება. თუ შეფასებაში გულწრფელები ვიქნებით, ვხედავთ რაიმე განსხვავებას ღვთის ერსა და ქვეყნიერ ადამიანებს შორის? გამოვიჩვენოთ თუ არა იესოს მიმდევრები? მნათობებივით ვანათებთ ამ უკულმართ მოდგმაში? იფიქრეთ გაყრის სტატისტიკაზე – არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ეკლესიასა და საზოგადოებას შორის? განა არ ვიტანჯებით შურით, სიხარბით, ჭორაობით, დაპირისპირებით და დაყოფით, რასაც შედეგად დანგრეული ურთიერთობები მოჰყვება? ვხედავთ ისეთ ხასიათს, სინწრფელს და ზნეობას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენი ერის გახრწნილებისგან? არის რაიმე სხვაობა მორწმუნეებისა და ურწმუნოების ჯანმრთელობის მდგომარეობასა და კეთილდღეობაში? გვაქვს რესურსების სიუხვე? გვაქვს სხვათა საჭიროებების დაკმაყოფილებისა და სახარების ყველა ადამიანისთვის წარდგენის საშუალება მთელ მსოფლიოში?

ეს ყველაფერი მეტისმეტად ამაღლებული და გაზვიადებული ჩანს? იფიქრეთ, რომ ძველი აღთქმისას იყო დრო, როცა

ვერცხლის ქვის ფასი ჰქონდა და უსარგებლოდ ითვლებოდა მისი ასეთი დიდი ოდენობის გამო (იხ. 1მეფ.10:21,27). ამის საპირისპიროდ ახლა ახალ აღთქმაში ხშირად ვხვდები მსახურებს, რომლებიც რესურსების ნაკლებობას განიცდიან და მწყემსებს, რომელთაც ადგილობრივი საზოგადოების დახმარება სურთ, მაგრამ არ შეუძლიათ ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო. ორივე შემთხვევაზე შეიძლება ითქვას „ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“?

იესო გვპირდება, რომ უპირველესად მისი სამეფოსა და სიმართლის ძიების შემთხვევაში ყოველივე საჭირო მოგვეცემოდა. ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ იესო რესურსების უქონლობით შეფერხებულიყო. სამწუხაროდ, ეკლესიაში არსებობდა რადიკალური სწავლებები სიუხვესა და წარმატებაზე. ამ დაუბალანსებელმა მოძღვრებებმა ადამიანები დაარწმუნეს, რომ სიმდიდრე ცუდია, მაგრამ რისი შეთავაზება შეგვიძლია ადამიანებისთვის, თუ არაფერი გაგვანჩინა?

როცა ღვთის სამეფოსკენ სწრაფვას ჩვენს გულს დავუთმობთ, უფალი საჭირო სახსრებით მოგვამარაგებს, რომ მისი ნება მთელს დედამიწაზე გავავრცელოთ. ღმერთი ცუდი წინამძღოლი როდია – იგი თავის მიმდევარს არ სთხოვს რაიმეს გაკეთებას, თუ საჭირო საშუალებებით არ მოამარაგებს. და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ღმერთი კარგი მამაა. მას თავისი შვილების კურთხევა სურს. ამავდროულად, მას არ უნდა, რომ რაიმე სახის ქონებამ დაგვიპყროს. ყოველგვარი ბოროტების სათავეა არა ფული, არამედ „ფულის სიყვარული“.

ძველად ისრაელში იყო დრო, როცა მთელს ერში ვერ იპოვიდით ერთ ღარიბ ადამიანს. ჩვენ ვკითხულობთ: „მშვიდად ცხოვრობდნენ იუდა და ისრაელი, თითოეული თავისი ვაზისა და ლეღვის ძირას, დანიდან ბეერ-შებაყამდე, სოლომონის მთელი მეფობის მანძილზე“ (1მეფ.4:25). დანი ქალაქი იყო ისრაელის უკიდურეს ჩრდილოეთში, ხოლო ბეერ-შებაყი – უკიდურეს სამხრეთში. ამრიგად, ეს მონაკვეთი გვეუბნება, რომ მთელს ერში ერთ ადამიანსაც ვერ იპოვიდით, რომელიც სხვათა მზრუნველობის იმედად იქნებოდა – არც ცალკეულ პიროვნებებს და არც ჯგუფებს სახელმწიფო მხარდაჭერა არ სჭირდებოდათ! რამ გამოიწვია ასეთი სიუხვე?

ფაქტობრივად, ეს არ იყო ერთეული შემთხვევა. თუ კარგად დავაკვირდებით ძველი აღთქმისას ღვთის ერის ცხოვრებას, ვნახავთ, რომ მრავალ თაობაში სუფევდა საოცარი წარმატება – ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო ძლიერება. მათ

უხვი რესურსები, საკვები და სიმდიდრე ჰქონდათ. მტრის თავდასხმისას არათუ არ მარცხდებოდნენ, არამედ ყოველთვის მწვერვალზე იყვნენ. სხვა ერებს უკვირდათ მათი ცხოვრების ხარისხი, რითაც ასე ხარობდნენ. გაიხსენეთ, რომ ეს ყველაფერი ძველი აღთქმის დროს ხდებოდა, რომელიც თავის მნიშვნელობით ახალ აღთქმაზე დაბლა იდგა!

იესო უკეთესი აღთქმის შუამავალია, რომელიც უკეთეს დაპირებებს ითვალისწინებს (იხ. ებრ.8:6). თუ მის ცხოვრებას გადავხედავთ, დავინახავთ მისკენ მიზიდულ ხელისუფალთ, ბიუროკრატებს (მებაჟეებს), არისტოკრატებს, მეძავეებს, ქურდებს, მდიდრებს, ღარიბებს – მარტივად რომ ვთქვათ, ყველა ჯურის ადამიანს. იესო ყველგან ცვლიდა საზოგადოებას, სადაც კი შევიდოდა. მას არასოდეს აკლდა რამე ისეთი, რაც ადამიანების საჭიროების დაკმაყოფილებისთვის სჭირდებოდა. თუ მის გუნდზე თავდასხმას ახორციელებდნენ, ზიანი სამუდამო არ იყო და ხშირად არასახარბიელო ვითარებები საოცარ წარმატებად იქცეოდა ხოლმე.

პირველი ეკლესიის წევრებს ერთხელ „ქვეყნიერების ამრევე-ბიც“ კი უწოდეს (საქმ. 17:6). არც მათ აკლდათ რამე, რადგან ასე ვკითხულობთ, „დიდი მადლი იყო ყველა მათგანზე. არავინ იყო მათ შორის გაჭირვებული“ (საქმ.4:33-34). მეტისმეტი გამორჩეულობის გამო მათ ცხოვრებაში იქმნებოდა გარემოებები, როცა სამხედრო პირებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების დარწმუნება სჭირდებოდათ, რომ ღმერთები არ იყვნენ და თავყვანისცემა არ ეკუთვნოდათ. ქვეყნიერების თვალში ისინი თავიანთი თაობის სუპერადამიანებს წარმოადგენდნენ. ისინი ავადმყოფობას და სნეულებებს ამორებდნენ ტანჯულებს. ისინი მნათობებივით ბრწყინავდნენ ბნელ მოდგმაში.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გკითხოთ, მნიშვნელოვნად განსხვავდება თუ არა ჩვენი ცხოვრების წესი საზოგადოების ცხოვრების წესისგან? კაშკაშებს თუ არა ჩვენი ცხოვრება ისე, რომ ღვთის გამორჩეული ხალხი გვენოდოს? იქნებ გამამართლებელი მიზეზების ძებნა დავინწყეთ და წმიდა წერილის სწავლება ჩვენი თეოლოგიით ჩავანაცვლეთ, რომ ახალი აღთქმის დაპირებები მხოლოდ იმ დროისთვის იყო და უკვე გადავიდა? ახალი აღთქმის ავტორები პასუხებს იძლევიან, მაგრამ ჩვენ თავს ვარიდებთ რთულ კითხვებს.

რა მოხდებოდა, მართლა რომ დაგვეგდო ყური წმიდა წერილისთვის?

თითის მოშვერას არ ვაპირებ და მხოლოდ ამ კითხვაზე დაფიქრებას გთავაზობთ: ეს არის „მოვიდეს სუფევა შენი,

იყოს ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“? ვერ უგულებელვყოფთ იესოს სიტყვებს: „თვითონ თქვენშია ღვთის სამეფო“ (ლუკ.17:21). მისი სამეფო აქ არის, ქრისტეს სხეულში. ისევე ვცხოვრობთ ჩვენს თაობაში, როგორც იესო ცხოვრობდა თავისაში? განა არ მოგვეცა მითითება: „ვინც ამბობს, რომ მასში რჩება, მოვალეა ისევე მოიქცეს, როგორც ის იქცეოდა“(1იოან.2:6)?

ვართ თუ არა ისევე ნაყოფიერნი, როგორც პირველი ეკლესია იყო მათი თანამედროვე ქვეყნიერების გადარჩენაში? ვხედავთ ღვთის სიტყვით მოქცეულ მთელ რეგიონებს სულ რაღაც ორ წელიწადში? (იხ. საქმ.19:10). გახსოვდეთ, რომ მათ არ ჰქონდათ ინტერნეტი, ფეისბუქი, სხვა მედია საშუალებები, ტელევიზია და რადიოც კი. და მაინც, ერთმა ქალაქმა ან ერმა კი არა, მთელმა მხარემ მოისმინა სახარება.

ეს არის ის, რასაც ახლა ჩვენს მსახურებაში ვხედავთ? მოდი, წრფელები ვიყოთ შეფასებებში!

ჩვენ თვალს ვარიდებთ ოთახში მყოფ სპილოს ასეთი ნათქვამით, „ღმერთი ასე უკვე აღარ მოქმედებს.“ ეს სახარების ჩვენს პირობებზე მორგებას ჰგავს. ჩანს, უკან დავიხიეთ და ზოგჯერ ზიზლითაც ვუყურებთ ყველაფერს, რაც ძალაუფლებას, სიძლიერეს, წარმატებას, სიუხვეს, ნაყოფიერებას ან ჯანმრთელობას წარმოშობს. ჩვენ ვამბობთ, რომ ამგვარი აზრი უკიდურესი, დაუბალანსებელი და საკუთარ თავზე მორგებულია. ამის გაკეთებით, ფაქტობრივად, თავს ვიცავთ, რომ რთულ კითხვებზე პასუხები აღარ ვეძებთ და გამამართლებელი მიზეზები მოგვაქვს, სახარების ქადაგებით ქვეყნიერებაზე ზეგავლენას რომ ვერ ვახდენთ.

ამრიგად, კითხვა, რომელიც ჩვენს უნაყოფობაზე დავსვი, აღვლევს ბევრ ჩვენგანს, თუ ყველას არა. მაშ, რატომ არ წამოვჭრით მას? რატომ არ ვეძებთ პასუხს? შესაძლოა, ჩვენი ყოყმანის მიზეზი ის გახლავთ, რომ ხსენებული კითხვის დასმით ფარდა აეხდება საკითხებს, რომელთა მოგვარების სურვილი არ გვაქვს? თუ არ ვიკითხავთ და პასუხების ძებნას არ დავინწყებთ, შორს ვიქნებით ისეთი ცხოვრების დონიდან, რომელიც აღთქმით მოგვეცა და რომლისკენაც მონოდებული ვართ.

ახლა, როცა 35 წელზე მეტი ხნის მსახურების სტაჟი მაქვს და თითქმის 60 წლის ასაკს მივალწიე, მზად ვარ და მსურს კიდევაც, პასუხი გავცე ამ კითხვას. ფაქტობრივად, ღვთიურ ბიძგს ვგრძნობ, რომ ხსენებულ საკითხს შევეჭიდო. დარწ-

მუნებული ვარ, თუ გულწრფელად ვიმოქმედებთ მისი სიტყვის თანახმად, არ დააყოვნებს სიცოცხლის სისავსე, რომლისკენაც მონოდებული ვართ.

თუ თქვენც ჩემს მსგავსად ეძებთ პასუხებს, ერთად გავემართოთ ამ სულიერ მოგზაურობაში. იგი არ იქნება სწრაფი და ზოგჯერ გარკვეულ ტკივილსაც იგრძნობთ რთული პროცედურის დროს გამოცდილი ქირურგის მიერ სკალპელით ჩარევის მსგავსად. ექიმი თავის პაციენტზე ზრუნავს და მისი სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელ ნაბიჯებს დგამს.

სულიწმიდა ნებისმიერ ქირურგზე გაცილებით მზრუნველია, როგორც ინდივიდუალურ, ისე მთლიანი ეკლესიის დონეზე. ეს აზრი გაიხსენეთ იმ დროს, როცა ყველაზე რთულ თავებს გადავანყდებით. საბოლოო შედეგი იქნება ძალა, ჯანმრთელობა, სიცოცხლე, სიყვარული და ენერგიულობა. დარწმუნებული ვარ, რომ პასუხებს ჩვენი სიცოცხლის, საზოგადოებისა და ამ თაობის შეცვლის პოტენცია გააჩნია.

თუ ჩემთან ერთად ხართ, გზას გავუდგეთ!

## იმოქმედე!

ღმერთი იაკ.1:22-ში გვაფრთხილებს: „იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად“. ეს მუხლი გვეუბნება, რომ ღვთის სიტყვის მოსმენის (წერილიდან, სულიწმიდისგან ან რომელიმე ადამიანის სალი სწავლებისგან) და ამის თანახმად მოქმედების უარყოფით საკუთარ თავებს ვატყუებთ.

ჩვენი რწმენის დასტური გახლავთ არა ნასწავლი სიტყვის მონონება, არამედ მის თანახმად მოქმედება. სწორედ ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ყველა თავის ბოლოს მოყვანილი აქტივობები. თითოეული მათგანი სტარტის აღებასა და უშუალო ნაბიჯების გადადგმაში დაგეხმარებათ, რადგან მიმართულია თქვენ მიერ ახლახან ნაკითხულ თავში გამოვლენილი ჭეშმარიტებებისკენ. აქტივობები მოკლეა და შესასრულებლად ბევრ დროს არ ნაგართმევთ.

თუ დროს გამოყოფთ თითოეული მათგანისთვის, გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებთ ამ წიგნიდან და თქვენი ცხოვრების ღრმა გარდაქმნასაც გამოცდით.



თავიდან არიდებული კითხვის დასმა კბილის ექიმთან კარიესის სამკურნალოდ წასვლის ტოლფასია. ამ დროს საჭიროა მხნეობის მოკრება და პრობლემის პირისპირ დგომა, თუ გსურთ ხანგრძლივი სარგებლის მიღება.

როგორ გამოირჩევა თქვენი ცხოვრება ქვეყნიერებისგან? იტყვიან თუ არა ადამიანები, რომ თქვენ იესოს მსგავსად ცხოვრობთ? ნუ გაექცევით ამ კითხვას! პირიქით, იფიქრეთ მასზე! რამდენად განსხვავებული იქნებოდა თქვენი ცხოვრება, იესოს მსგავსი რომ ყოფილიყავით? რა ჩვევებს მოიშორებდით? როგორ შეცვლიდა ეს თქვენს გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობის გზებს? რაოდენ განსხვავებული იქნებოდა საკუთარ ოჯახში ცხოვრების წესი?

დრო გამოყავით, რომ ამ კითხვებს პასუხი გასცეთ! მეგზურად წმიდა წერილი გამოიყენეთ! ეს მიზანს დაგისახავთ, რომლისკენაც უნდა იაროთ. როცა პასუხებს ჩამოწერთ, ილოცეთ! სულიწმიდა მოიწვიეთ, რომ პასუხებიდან გამოკვეთოს ერთი მათგანი, რომელზეც ამჟამად მუშაობს თქვენს ცხოვრებაში! სთხოვეთ მას, რომ ის ერთი საკითხი გააცოცხლოს თქვენთვის ისე, რომ ცვლილების ძალა მოგეცეთ!

## წარმოგიდგენთ კრიპტონიტს!

ჩვენს საწყის თავში გვექონდა ღვთის სიღიადებზე მსჯელობის *მცდელობა*. სიტყვა „*მცდელობა*“ იმიტომ გამოვიყენე, რომ მის დიდებულებას მცირედითაც ვერ აღწერს ენა, რაგინდ მოქარგული და დახვეწილი არ უნდა იყოს. მასზე დიდი არავინაა და შესაძარებლადაც არავინ გამოდგება. მას არც კონკურენტი ჰყავს და არც ბადალი. იგი უზენაესი მმართველია მარადიული წარსულიდან მარადიულ მომავლამდე. იგი საოცარია!

დიდებული შეგრძნებაა, რომ ჩვენ, მისმა შვილებმა საკუთარი ცხოვრებით უნდა ვაჩვენოთ უფლის სახება, რაც ძალზე ნათლად ჩანს წმიდა წერილში. ღვთის სიტყვა ასე აცხადებს მის ძეებსთან და ასულებთან დაკავშირებით: „როგორიც ისაა, ჩვენც ისეთივე ვართ ამ ქვეყნიერებაზე“ (1იოან.4:17). იოანე მოციქულს არ უთქვამს, „როგორიც ისაა, ჩვენც ისეთივე ვიქნებით მომავალ სიცოცხლეში“. არა, იოანე ამტკიცებდა, რომ მისი მსგავსი ვიქნებით *აქ, ამ წუთისოფელში*“. ეს უკვე სრულიად ამაღლვებელ კატეგორიას მიეკუთვნება! სხვა ადგილას ვკითხულობთ:

„რომელთა მიერაც მოგვეცა უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათი მეშვეობით გავხდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი, განვერიდებით რა გულისთქმით გამონვეულ ხრწნილებას ამ ქვეყანაზე“. (2პეტრ.1:4)

იფიქრეთ ამაზე! მე და თქვენ *მისი ღვთაებრივი ბუნება* მოგვეცა. არა დედამიწაზე მცხოვრები ყველაზე განახლებული ადამიანის ბუნება, არამედ *ღვთიური ბუნება* და პეტრეს იმაში დარწმუნება სურს, რომ ყველაფერს სწორად გავიგებთ,



ამიტომ სიტყვა ღვთიურს ამატებს. დედანში გამოყენებულია ბერძნული სიტყვა „თეოს“ და ასე განიმარტება – „რაც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის და მისგან მომდინარეობს“. სიტყვა „ბუნება“ ბერძნულად „ფუსის“ გახლავთ და განიმარტება, როგორც: „არსი, არსებითი ნყოფა, გენოტიპი, თვისება“. ამ ორი სიტყვის შეერთებით მივიღებთ შემდეგს: „ეს გახლავთ აღთქმები, რომლებიც გამორჩეულად ღვთისთვის დამახასიათებელ შინაგან ნყოფასთან ზიარების ძალას მოგცემენ“.

ჩვენ მართლაც ღვთისგან ვართ შობილნი!

ძალიან ვლელავ, როცა მსახურებისგან ასეთი განცხადებები მესმის: „სინამდვილეში ქრისტიანსა და ცოდვილს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს; უბრალოდ, ქრისტიანებს ეპატიათ“. ეს გახლავთ მწვალებლობა და ორი საშინელი შედეგი მოაქვს. პირველი, აკნინებს ღვთის ღვანლს, რაც იესო ქრისტეს მეშვეობით მოახდინა და მეორე, აუქმებს მის აღთქმას, რითაც ადამიანებს ქვეყნიერების გახრწნილებაში ტოვებს, რომელიც დაცემული გულისთქმებით წარმოიშვა.

თვით ბუნებაც კი ერიდება მსგავს ერესს. ოდესმე გსმენიათ, რომ ლომს ციყვი გაეჩინოს ან რჩეულ დოღის ბედაურს მატლი? ჩვენ ღვთისგან ვართ შობილი და მის შთამომავლობას წარმოვადგენთ. „საყვარელნო, ახლა [არა მოგვიანებით, როცა ზეცაში ვიქნებით] ღვთის შვილები ვართ!“ (1იოან.3:2).

ვართ რა მისი საყვარელი ხალხი, უნდა წარმოვაჩინოთ უანგარო ხასიათი, უპირობო სიყვარული, გამოუთქმელი სიხარული და მშვიდობა, რომელიც გადმოსცემს გაგებას, ზებუნებრივ ძალას, კეთილდღეობას, სიცოცხლეს, კრეატიულობას, ღვთიურ სიბრძნეს, მეტ შემეცნებას, უმაღლეს ცოდნას და გამჭრიახობას, თუმცა არც ეს ჩამონათვალი გახლავთ სრული. წერილი ამ და სხვა თვისებებს გვპირდება სხვადასხვა დონეზე. ამრიგად, ჩემი კითხვა ასეთია: „რატომ ვერ ვხედავთ ამას ინდივიდუალურ ან ეკლესიურ დონეზე?“

სანამ ამ და ანალოგიურ კითხვებს მივუბრუნდებოდე, მინდა წინამდებარე წიგნში განხილული პროცესისთვის მოგამზადოთ. მომდევნო რამდენიმე თავი, შესაძლოა, ნეგატიური და უხეში მოგეჩვენოთ, მაგრამ გპირდებით, რომ პასუხები მოდის და ისინი დაგაკმაყოფილებთ.

წარმოიდგინეთ ასეთი სცენარი: თუ ექიმი მელანომის სწორ დიაგნოზს დასვამს დაავადების ადრეულ სტადიაზე და ავადმყოფს სტაციონარული მკურნალობის სახით პატარა ქირურგიულ პროცედურას შესთავაზებს, მკურნალობას, ერთი შეხედ-



ვით, უარყოფითი მიმართულება ექნება. ალბათ, პაციენტი ასე იტყვის: „რა საშინელებაა! სიმსივნე მაქვს. ამაზე არაფრის გაგონება არ მსურს და არც სამკურნალო პროცედურების გავლა მინდა ამ დაავადებისგან თავის დასაღწევად, მაგრამ მაინც უნდა გავიკეთო, რომ ცოცხალი დავრჩე“. ახლა სხვაგვარი ვითარება წარმოვიდგინოთ: ექიმმა პრობლემას ყურადღება არ მიაქცია და პაციენტს ურჩია, უფრო ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის მიემართა სათანადო კვებით, რეგულარული ვარჯიშებით და პოზიტიური, სტრესისგან თავისუფალი დამოკიდებულებით. ამ შემთხვევაში მელანომა ზრდას გააგრძელებს, სანამ ოპერაცია შეუძლებელი არ გახდება და სიკვდილს არ გამოიწვევს.

ღმერთს ძალიან უყვარვართ და არ დაუშვებს, რომ სასიკვდილო დიაგნოზი დაგვიმალოს, რომელიც უკან გვწევს და საბოლოოდ, გვკლავს. მან იცის, რომ შეუძლებელია ჩვენი დამაბრკოლებლის მოშორება შედარებით პოზიტიური ცხოვრების წესით. პირიქით, დაბრკოლებას უნდა შეენინაღმდეგო და მოიშორო. ღმერთი ის მამაა, რომელიც დიდი მზრუნველობით ეკიდება ჩვენს ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.

ამრიგად, მომდევნო თავების კითხვისას მხედველობაში იქონიეთ, რომ დიაგნოზი იმ დროს უნდა დაისვას, როცა შესაძლებელია გამოსასწორებელი პროცედურის გამოყენება. საბოლოო შედეგი წმიდა წერილში აღწერილი უხვი რეალობის მსგავსი იქნება.

## პრობლემური საკითხი

თუ ღვთის სამეფო ჩვენშია, რატომ არ ხდება დედამიწაზე ყველაფერი ისე, როგორც ზეცაშია? რატომ იყო ზოგიერთი ძველი აღთქმის მორწმუნე გაცილებით მაღალ დონეზე, ვიდრე ჩვენ წარმოვაჩინეთ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ „დაქვემდებარებულ“ და ნაკლებ დაპირებებზე დადგენილი აღთქმის დროს ცხოვრობდა? წმიდა წერილი არაერთხელ პასუხობს ამ კითხვას. ერთ-ერთი მათგანი პავლეს წერილში გვხვდება კორინთელთა მიმართ:

„ადამიანმა ჯერ თავი გამოსცადოს და ისე ჭამოს ამ პურიდან და დალიოს ამ სასმისიდან. ვინაიდან, ვინც უღირსად ჭამს და სვამს, თავისი თავის დაგმობას ჭამს და სვამს, ვერ შეუცნია რა უფლის სხეული. ამის გამო ბევ-

### 32 ბაანაღბური კრიპტონიტი!

რია თქვენ შორის უძლური და ავადმყოფი, და ბევრს სძინავს. თვითონვე რომ განვიკითხავდეთ ჩვენს თავს, აღარ ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი. ხოლო მსჯავრდადებულნი, უფლის მიერ ვინვრთნებით, რათა ნუთისოფელთან ერთად არ ვიყოთ მსჯავრდადებულნი“. (1კორ. 11:28-32)

გამოიკვეთა კორინთელების მხრიდან სათანადო მონინების არქონა უფლის სერობისას, მაგრამ აქედან გამომდინარე შედეგები კონკრეტული მოქმედებებით არ იზღუდება, როგორც ბევრს წარმოუდგენია. ფაქტობრივად, უფლის სერობის, როგორც სრული ნადიმის, სახე ძალიან განსხვავდება ჩვენი ცერემონიული მიდგომისგან თანამედროვეობაში. საკითხის შესწავლისას თანდათან გამოვარკვევთ ძირეულ პრობლემას, რომელმაც სასჯელი მოიტანა. ეს გახლდათ საკუთარი დაუმორჩილებლობის გაცნობიერება, მაგრამ ამის უგულებელყოფა.

მათ ქმედებას სამი შედეგი მოჰყვა, რაც წერილში ჩანს – უძლურება, ავადმყოფობა და ფიზიკური სიკვდილი. ბოლო ორის მნიშვნელობა ნათელია, მაგრამ რას ვიტყვით პირველზე? „უძლურების“ რამდენიმე მნიშვნელობა გახლავთ ძალის, სიმხნევის ან მნიშვნელოვნების ნაკლებობა და უღონობა. ეს სიტყვა შეიძლება ეხებოდეს ცხოვრების ბევრ სხვადასხვა სფეროს. საბოლოო ჯამში, ის იმ მდგომარეობის მიღწევის უღონობას აღწერს, რისთვისაც ვართ შექმნილი.

მოდი, ისევ სუპერმენს დავუბრუნდეთ! ნივთიერება, რომელიც მხოლოდ ვნებდა, აცლიდა ძალას და ყოვლად უღონო მდგომარეობაში აგდებდა, იყო კრიპტონიტი. სუპერმენს ჰქონდა არაამქვეყნიური შესაძლებლობები. მას შეეძლო ზებუნებრივი ტრიუკების ჩატარება, ჰქონდა სამყაროს მიღმიერი ცოდნა, უჩვეულო სენსორული ცნობიერება, ექსტრაორდინალური ძალა და მტკიცე ხასიათი. მიუხედავად ამისა, სუპერმენი სწრაფად სნეულდებოდა და უძლურდებოდა კრიპტონიტის არსებობისას და რიგით ადამიანზე უფრო სუსტი ხდებოდა. თუ კრიპტონიტის ზემოქმედება დიდხანს გაგრძელდებოდა, სუპერმენი შეიძლება მომკვდარიყო კიდეც.

არსებითად, პავლე მოციქული ეკლესიის კრიპტონიტს ააშკარავებს. ის გვასუსტებს, ხელს გვიშლის ღვთაებრივი ბუნების ძალით სიარულში.

მეფე დავითმა აღიარა, რომ არ მოინანია თავისი დანაშაული და ცოდვა არ გაამჟღავნა. იგი ასე გოდებს: „დღისით და ღამით

მძიმდებოდა შენი ხელი ჩემზე, ზაფხულის გვალვამ შეცვალა სინედლე ჩემი“ (ფს.32:4). The Message ბიბლიაში მისი სიტყვების ასეთი პარაფრაზი გვხვდება: „ჩემი ცხოვრების ყოველი სასიცოცხლო წვენი დაშრა“. სხვა მუხლი ამბობს: „ჩემი ცოდვების გამო შეირყა ჩემი ძალა და ძვლები ჩემი გამოშრა“ (ფს.31:10).

იაკობი იგივე აზრს შემდეგნაირად გამოთქვამს: „როცა ჩაისახება გულისთქმა, შობს ცოდვას. ჩადენილი ცოდვა კი შობს სიკვდილს. ნუ ტყუვდებით, ჩემო საყვარელო ძმებო!“ (იაკ.1:15-16). იაკობი მორწმუნეებს ნათლად ეუბნება და გვაფრთხილებს, რომ არ გაგვიტაცოს ცოდვის ძალამ. ცოდვა ქრისტიანს იგივეს დამართებს, რაც კრიპტონიტს შეუძლია სუპერმენს გაუკეთოს თვით სიკვდილამდე, თუ მას არ გაუმკლავდება. კამათის შემდეგ პავლე, როგორც მოყვარული სულიერი მამა, კორინთელთა ეკლესიას და მასთან ერთად ჩვენც გვაფრთხილებს სულიერი კრიპტონიტის ზემოქმედებაზე.

### გაფრთხილების მკაცრი სიტყვა

ამ გამომწვევ მუხლებში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებამისაქცევია გაფრთხილების სიტყვა. პავლე არ ამბობს, რომ: „ეს არის ყოველი უძღურების, სნეულების ან ნაადრევი სიკვდილის მიზეზი თქვენს შორის“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არ ამბობს, რომ ყველა სახის სიძნელე, ავადმყოფობა და სიკვდილი ცოდვას მიეწერება. ხშირად მორწმუნეებს გვიხდება რთულ გარემოებებთან ბრძოლა, რადგან დაცემულ ქვეყნიერებაზე ვცხოვრობთ და აქ გვინებს ბუნებისა და დემონურ ძალებთან შეჭიდება.

მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა იესო და მისი მოწაფეები დაბადებიდან ბრმა კაცს შეხვდნენ. მოწაფეებმა იკითხეს: „თვითონ მან შესცოდა თუ მისმა მშობლებმა, ბრმა რომ დაიბადა?“ (იოან.9:2). მათი აზრით, ადამიანს მხოლოდ ცოდვის მიზეზით შეიძლებოდა ასეთი რამ დამართოდა.

იესო მაშინვე პასუხობს: „არც მას შეუცოდავს და არც მის მშობლებს“. მან სწრაფად და გადაჭრით შეასწორა მათი საშინელი აზროვნება. ყოველი სნეულება, სისუსტე ან ნაადრევი სიკვდილი როდია ცოდვით გამოწვეული.

იგივე შეხედულებამ ელიფაზი, ბილდადი და ცოფარი იობის გასაკრიტიკებლად შეაგულიანა. მათი ბრალდებების თანახმად იობის ტანჯვის მიზეზი მისი ცოდვები გახლდათ (იხ.იობ.5:17; 8:4-6; 11:13-15; 22:1-11). სანამ იობის განსაცდელი დაიწყებო-

და, ღმერთი თავს იწონებდა მისით: „არავინაა მასავით უბინო, წრფელი, ღვთისმოშიში და ბოროტებას განრიდებული კაცი დედამიწაზე“ (იოზ.1:8). იოზის ტანჯვას ცოდვასთან ან შინაგანი სინრფელის ნაკლებობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ღმერთი ერთხანს ჩუმად იყო, მაგრამ შემდეგ ელიფაზს უთხრა: „აინთო ჩემი რისხვა შენ მიმართ და შენი ორი მეგობრის მიმართ, რადგან ჩემი მსახური იოზივით წრფელად არ ილაპარაკეთ ჩემზე“ (იოზ.42:7). როცა ღმერთს რომელიმე ადამიანის დამსჯელად წარმოადგენენ ჩადენილი ცოდვის გამო და სინამდვილეში ასე არ გახლავთ, ეს სერიოზული ბრალდებაა მისი ბუნების წინააღმდეგ.

წლების წინ, როცა ახალმოქცეული მორწმუნე ვიყავი, საეკლესიო წრეებში ითვლებოდა, რომ ადამიანები სცოდავენენ, თუ მათ ცხოვრებაში სიძნელეები წარმოიშობოდა. ამგვარი აზროვნება დღემდე არსებობს, თუმცა არც ისე ფართო მასშტაბით, როგორც ადრე იყო. ბიბლიურმა სწავლებამ და კარგმა ლიდერებმა ეს შეცდომა ეკლესიიდან აღმოფხვრეს. ვინც კვლავ ასე ლაპარაკობს, უკიდურესად უსიამოვნო, მსჯავრმდებელი და შეიძლება ითქვას, სიძულვილით სავსეა. სამწუხაროა, რომ ასეთმა სწავლებამ ადამიანები რწმენის გზასაც კი ჩამოაშორა.

მეორე მხრივ, უნდა გვახსოვდეს იესოს სიტყვები, რომლებიც ოცდათვრამეტი წლის დავრდომილს უთხრა განკურნებისას: „აჰა, შენ გამოჯანსაღდი, ნულარ შესცოდავ, რათა რაიმე უარესი არ დაგემართოს!“ (იოან.5:14). არავინ უარყოფს ფაქტს, რომ იესო ცოდვას მიიჩნევს კარად, საიდანაც სირთულეები შემოდის ადამიანის ცხოვრებაში. იესოს საკმარისად უყვარდა ეს ადამიანი, რომ მისთვის საკუთარი სიცოცხლე გაეწირა. სწორედ ამ მხურვალე სიყვარულის გამო მისცა მას ხსენებული გაფრთხილება.

ნამდვილი სიყვარული არ გვაქვს, თუ ასეთ საკითხებს ყურადღებას არ ვაქცევთ. ვცდილობთ რა, შორს ვიყოთ ყოველგვარი ქცევისგან, რომელიც შეიძლება სასტიკი, ბრალმდებელ ან გამსამართლებელ შეცდომად ჩაითვალოს, ხშირად მეორე უკიდურესობას მივმართავთ და საერთოდ არაფერს ვამბობთ. ასეთ შემთხვევაში მაინც აღმოვჩნდებით პავლეს მიერ აღწერილ უძღურ, სწეულ ან უდროო სიკვდილის მდგომარეობაში. ნუთუ ეს სიყვარულია? ნუთუ ამას ჰქვია ნამდვილი ზრუნვა?

ჩვენ გვაქვს პასუხები სხვებისთვის, მაგრამ თავს ვარიდებთ მათ გამოთქმას, რადგან არ გვინდა, არასწორად გაგვიგონ. ამრიგად, ვიყოთ წრფელები: რა მიმართულება აქვს ჩვენს სიყ-

ვარულს? გვიყვარს ეკლესია ისე, როგორც იესოს და პავლეს უყვარდათ, როცა ჭეშმარიტებას ლაპარაკობდნენ? თუ მეტ ყურადღებას საკუთარ თავს და რეპუტაციას ვაქცევთ და ამით თავიდან ვირიდებთ გაუგებარ მდგომარეობაში აღმოჩენას?

## ჩემი მოგზაურობა

მსახურების პირველ წლებში განუწყვეტლივ ვამხნევებდი ჩემს ირგვლივ მყოფ ნებისმიერ ადამიანს და ზეპოზიტიური ვიყავი ყველას მიმართ. დაპირისპირება ჭირის დღესავით მძულდა. ზოგჯერ ტყუილსაც არ ვერიდებოდი ვინმესთან შეჯახების თავიდან ასარიდებლად და პირიქით, წამოვწევი კიდეც გასამხნეველად. მაშინ ჯონ ბევირზე ასე ამბობდნენ: „აი, კაცი! იგი ყველაზე მოსიყვარულე ადამიანია მთელ ეკლესიაში.“ ასეთი ფრაზები ჩემს ყურამდე მოდიოდა და ნეტარებით მაგსებდა.

ერთხელ, ლოცვისას ღმერთმა მკითხა:

– ხალხი ამბობს, რომ ეკლესიაში ერთ-ერთი ყველაზე მოსიყვარულე ადამიანი ხარ. მართალია?

– დიახ, ასე ამბობენ, – ვუპასუხე მე.

ვიფიქრე, ღმერთი ნასიამოვნები იყო, მაგრამ სულიწმიდის კითხვა ისე ჟღერდა, რომ ცუდად მენიშნა. მივხვდი, რომ დი-ალოგი სხვა მიმართულებას იღებდა. მომდევნო განცხადებამ ჩემი შიში დაადასტურა. მან მითხრა:

– შვილო, შენ არ გიყვარს ხალხი ეკლესიაში.

ელდანაცემი შევეპასუხე:

– რა? როგორ არ მიყვარს და ისინიც ამას ამბობენ.

მან განაგრძო:

– იცი, რატომ იყენებ მხოლოდ დადებით, განწყობის ასა-მაღლებელ და გამამხნეველ სიტყვებს, როცა მათ ელაპარაკები?

– რატომ? – დამფრთხალმა ვიკითხე.

– იმიტომ, რომ მათგან უარყოფის გეშინია, – მიპასუხა უფალმა.

ჩიხში მოვექეცი, სულ მთლად წავიშალე და გაოგნებული დავრჩი.

– მართლა რომ გიყვარდეს ადამიანები, – განაგრძო მან, – ჭეშმარიტებას ეტყობი, თუნდაც გცოდნოდა, რომ შენს ნათქვამს უგულბელყოფდნენ და თავად შენც უარყოფდნენ.

ეს იყო გადამწყვეტი მომენტი ჩემს ცხოვრებაში. მეყსეუ-

ლად შევიცვალე, მაგრამ ახლა ქანქარა სანინალმდეგო მხარეს გადაიხარა. ყველას ჭეშმარიტებას ვეუბნებოდი, მაგრამ ტაქტისა და თანაგრძნობის გარეშე, რადგან ჯერ კიდევ მაკლდა ყველაზე მნიშვნელოვანი ინგრედიენტი: *ჭეშმარიტი სიყვარული*. ვმოგზაურობდი და პატარა ეკლესიებს ვსტუმრობდი, სადაც ჩემდა სამწუხაროდ, ცხვრებს ვცემდი. წარსულს რომ გადავხედავ, მებრალეებიან ის ადამიანები, რომელთაც შეუბრალებლად ვამხელდი ყოველგვარი გამხნეების გარეშე. იგივე გრძნობა მაქვს მწყემსების მიმართაც, რომლებსაც ჩემ მიერ არეული საქმეები წესრიგში მოჰყავდათ ჩემი წასვლის შემდეგ.

2001 წელს ერთი დიდ კონფერენციაზე მსახურებას ვწეოდი ევროპის მოზრდილ ეკლესიაში. რამდენიმე თვის შემდეგ სამსხვადასხვა კონტინენტზე გარკვეული წყაროებიდან შევიტყვე, რომ ხსენებული ეკლესიის მწყემსი გავლენიან წინამძღოლებს ჩემს შესახებ ელაპარაკა. მან სასტიკი ადამიანი მიწოდა, რომელიც ცხვრებს დაუზოგავად ურტყამს. იგი მართალი იყო.

ამ გამანადგურებელმა ამბავმა მუხლებზე დგომისკენ მიბიძგა. ვლოცულობდი, უფრო სწორად, ვლაღადებდი ისე, როგორც არასდროს, რომ ღმერთს ჩემი გული მისი სიყვარულით და ადამიანებისადმი თანაგრძნობით აევსო. მან ეს გააკეთა. ცხოვრებაში პირველად მაშინ გავიგე და გავაცნობიერე, თუ რას ნიშნავს იმ ხალხის სიყვარული, ვისაც ემსახურები.

## არა ზოგიერთი, არამედ მრავალი

დაიმახსოვრეთ: პავლეს მთელი გულით უყვარდა კორინთელთა ეკლესია. ამის დასტური გახლავთ მისი მიწაწერი: „რატომ? განა იმიტომ, რომ არ მიყვარხართ? ღმერთმა იცის!“ (2კორ.11:11).

იგივე წერილის სხვა ნაწილში პავლე წერს: „ვინაიდან დიდი გულისტკივილით, ნაღველითა და უამრავი ცრემლით გწერდით, და არა იმიტომ, რომ დამემწუხრებინეთ,

არამედ გეგრძნოთ ის მეტისმეტი სიყვარული, რომელიც თქვენდამი მაქვს“ (2კორ.2:4). ამ ეკლესიამ ვერ გაუგო მას. ისინი პავლეს დარიგებებსა და გაფრთხილებებს სიყვარულის ნაკლებობას მიანერდნენ და მართლაც ხდება ამგვარი და სხვა ვითარებები ეკლესიაში, სადაც ბევრია ჩემი მსგავსი ადამიანი, როგორიც ადრე ვიყავი: მკაცრი, უხეში და დოგმატური, რომელსაც ნამდვილი სიყვარული, მზრუნველობა და თანა-



გრძნობა აკლია. შესაძლოა, ასეთი ადამიანები ძლიერები არიან და თამამ განცხადებებს აკეთებენ, მაგრამ მათი მოტივი საკუთარი სიმართლის დამტკიცება გახლავთ. შესაძლოა, ისინი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლნი არიან. და მაინც, ყველა სახის შესწორება და გაფრთხილება ერთნაირი როდია. პავლეს სიტყვები ზოგჯერ მკაცრი, გამომასწორებელი და საყვედურნარევი იყო, მაგრამ მხურვალე სიყვარულით სავსე გულიდან მოდიოდა.

შემდგომ პავლე იგივე სულისკვეთებით წერს: „ხოლო მე ხალისით დავიხარჯები და გამოვიფიტები თქვენთვის, თუმცა, რაც უფრო მეტად მიყვარხართ, ნაკლებად გიყვარვართ“ (2კორ.12:15). მისი იმედგაცრუება ცხადია. მისი სიყვარული და მათი სულიერი სიმრთელისთვის დიდი მზრუნველობა არასწორად იქნა გაგებული და ახლა მას მკაცრ წინამძღოლად აღიქვამენ, რომელსაც მათი მოქცევა სურს, ასე ვთქვათ, გარკვეული წესების ფარგლებში.

ამრიგად, გთხოვთ კარგად ჩაუფიქრდეთ პავლეს სიტყვებს, რომლებიც მკაცრი მოეჩვენათ მისთვის ძვირფას მორწმუნეებს. მან ეს ჭეშმარიტი სიყვარულის მოტივით გააკეთა, რადგან ბევრი მათგანი დაუძღურებული და დასწეულებული, ზოგი კი ნაადრევად გარდაცვლილი იხილა.

უფრო ადვილი იქნებოდა ამ ამბის გვერდის ავლა, ასეთი შემთხვევები „აქა-იქ“ რომ გამოჩნდებოდათ, მაგრამ პავლე განსაკუთრებით მიუთითებს, რომ მათ შორის „ბევრი“ იყო დაუძღურებული. როგორ შეიძლება ავირიდოთ იმ ჭეშმარიტების პირისპირ დგომა, რომელსაც იგი გადმოსცემდა? თუ ის მათთვის გამოსადეგი იყო, ჩვენთვის არ იქნება? ღმერთი ამ აზრს ბიბლიაში განათავსებდა, მსგავსი შემთხვევა ხშირი რომ არ ყოფილიყო? განა ჩვენ არ უნდა გამოვიყენოთ ის დღეს? პასუხი გახლავთ დაუეჭვებელი – „დიახ“.

და ბოლო პუნქტი: პავლე არ ეხება მხოლოდ ზიარების ჩატარების აქტს ეკლესიაში. ამ მონაკვეთში გაცილებით მეტია ნათქვამი და ბევრი ჩვენგანი, მეც მრავალი წლის მანძილზე, ვერ ხვდებოდა სრულ აზრს. პავლეს ნათქვამს მომდევნო თავში ჩავუღრმავდებით.

## იამქველი!

უკან გადადით და ხელახლა ნაიკითხეთ თავის დასაწყისი, რომ გაიხსენოთ, რა არის შესაძლებელი. გაიხსენეთ, რომ გარკვეული დანიშნულებით ხართ მონოდებული: „როგორც ისაა, ჩვენც ისეთივე ვართ ამ ქვეყნიერებაზე“ (1იოან.4:17). თქვენ მონოდებული ხართ ღვთისგან, რომ იცხოვროთ ისე, როგორც იესო იცხოვრებდა თქვენს ადგილას ახლა და არა მომავალ ცხოვრებაში!

რაოდენ განსხვავებულია ახლა თქვენი შეხედულება თქვენივე ყოველდღიურ ცხოვრებაზე? შესაძლოა, არ გიფიქრიათ, რომ უძლური ხართ, სანამ ქრისტეში თქვენს პოტენციალს გააცნობიერებდით, მაგრამ ახლა, როცა იცით ეს, თავს ძლიერად მიიჩნევთ თუ სუსტად? თუ თვლით, რომ სუსტი ხართ, ბრძნულად იქცევით. ღმერთი ამბობს, რომ მისი ძალა ყველაზე მეტად თქვენი სისუსტისას ვლინდება (იხ.2კორ.12:9).

მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩვენი სისუსტის ძლიერებად გადაქცევა, როცა მის წინაშე თავს ვიმდაბლებთ (იხ.1პეტრ.5:5). ღმერთს სთხოვეთ, რომ გაჩვენოთ დაუძლურების ნებისმიერი მიზეზი თქვენს ცხოვრებაში! ჩამოწერეთ და სთხოვეთ ღმერთს, გაჩვენოთ გამარჯვების გასაღები თითოეული მათგანისთვის! დრო გამოყავით, რომ ჩაინეროთ ღვთიური გამოსავალი თითოეული სისუსტის ძლიერებად გადაქცევისთვის!



# ერთი

მოდი, ერთხელ კიდევ გადავხედოთ პავლეს სიტყვებს მისი საყვარელი ეკლესიისადმი:

„ადამიანმა ჯერ თავი გამოსცადოს და ისე ჭამოს ამ პურიდან და დალიოს ამ სასმისიდან. ვინაიდან, ვინც უღირსად ჭამს და სვამს, თავისი თავის დაგმობას ჭამს და სვამს, ვერ შეუცვნია რა უფლის სხეული [ინგ. *without honoring the body of Christ*]. ამის გამო ბევრია თქვენ შორის უძლური და ავადმყოფი, და ბევრს სძინავს [ინგ. *some have even died*]. თვითონვე რომ განვიკითხავდეთ ჩვენს თავს, აღარ ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი“. (1კორ.11:28-31)

ამ თავში ყურადღებას გავამახვილებთ პავლეს შემდეგ სიტყვებზე: „უღირსად ... ვერ შეუცვნია რა ქრისტეს სხეული“. აქ ჩვენი უშუალო ინტერესის საგანს ორი რამ წარმოადგენს: პირველი, იგი არ მიმართავს ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთლიან ეკლესიას, რომელიც ქალაქ კორინთოს მორწმუნე თემისგან შედგება.

გასული რამდენიმე ათწლეულის მანძილზე დიდი ყურადღება დაეთმო პირად ურთიერთობას იესო ქრისტესთან. რასაკვირველია, ეს მეტად მნიშვნელოვანია და ქრისტიანობის რეალურ მხარეს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, იგივე ხარისხით არ იქნა ხაზგასმული ერთ სხეულად ყოფნის რეალობა. მართივად რომ ვთქვათ, ჩვენ ყველანი ერთი ვართ ქრისტეში. მნიშვნელოვანია ორივე ჭეშმარიტების გათვალისწინება რომელიმეს უგულვებელყოფის გარეშე.

მეორე, NKVJ ბიბლია პავლეს სიტყვებს მცირეოდენი განსხვავებით თარგმნის. მასში ბევრი მორწმუნის უძღურების, სნეულებისა და ნადრევი სიკვდილის მიზეზად მოცემულია შემდეგი: „ვერ გაურჩევია ქრისტეს სხეული“ (მუხლი 29). ორივე ვერსიის გამოკვლევა პავლეს სათქმელის უფრო ნათლად დანახვაში დაგვეხმარება.

აზრს კარგად რომ ჩავწვდეთ, 1 კორინთელთა მიმართ წერილის წინა თავს გადავხედოთ, სადაც პავლე ეგვიპტიდან ისრაელის განთავისუფლებასა და უდაბნოში გატარებულ დროზე მსჯელობს. დისკუსიის შუაში იგი განმარტავს, რა გახდა ამ ისტორიის გამოკვეთის მიზანი: „ყოველივე ეს, სანიშნოდ დაემართათ მათ და აღწერილია ჩვენს შესაგონებლად, ვინც საუკუნეთა აღსასრულს მიაღწია“ (1კორ.10:11). პავლე, უბრალოდ, ისტორიის გაკვეთილს კი არ გვიტარებს, არამედ ანშოში გვაფრთხილებს, რომ გარკვეული სასჯელისგან დაგვიცვას.

მოციქული უდაბნოში ისრაელის ამბავზე მსჯელობას იწყებს ღმერთთან აღთქმითი ურთიერთობის თვალსაჩინოებით. იგი აცხადებს, რომ ყველა უფლის სულის მიერ იყო ნატარები (ღრუბელი), ყველა იქნა დახსნილი ეგვიპტიდან (ქვეყნიერების სიმბოლო), ყველანი მოინათლნენ (ჩვენც მოვინათლეთ ერთ სხეულად), ყველანი ერთი და იგივე სულიერ საქმელს ჭამდა და ერთი და იგივე სულიერ სასმელს სვამდა (ღვთის სიტყვა) – სრულიად ცხადია ემფაზა სიტყვა ყველაზე. შემდეგ იგი დასკვნის სახით ამბობს, რომ მათთან ერთად მოარული კლდე იყო ქრისტე. მისი სათქმელი ნათელია: ისინი ერთ სხეულს წარმოადგენდნენ და ყველანი ერთ, აღთქმის შემნახველ ღმერთს ეკუთვნოდნენ. ეს ნამდვილად უკავშირდება ჩვენს, როგორც ქრისტეს სხეულის იდენტობას.

შემდეგ პავლე გულისგამგმირავ განცხადებას აკეთებს: „მაგრამ მათგან უმრავლესობა

როდი მოიწონა ღმერთმა; ამიტომ უდაბნოში მიმოიფანტა მათი გვამები“(10:5). ჩვენს მიმართ ღვთის სიყვარული გაცილებით ღრმაა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგვიძლია. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, რაც ღმერთს ჩვენს თავს უფრო მეტად ან ნაკლებად შეაყვარებს. რახან ეს საკითხი გავარკვეით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი, ვიქნებით თუ არა ღვთისთვის მოსანონი. სწორედ ამიტომ აცხადებს პავლე წმიდა წერილის სხვა ადგილას: „ამიტომ ვცდილობთ კიდევ,

აქ ვიქნებით თუ იქ, მისთვის სასურველნი ვიყოთ“(2კორ.5:9). ეს უნდა იყოს ჩემი, თქვენი და ყველა მორწმუნის უმაღლესი მიზანი.

რატომ გარდაიცვალნენ ძველი აღთქმის მორწმუნეები იმ აღთქმების დამკვიდრებამდე, რომლებიც ღმერთმა დაუდო? პავლე მათი დაცემის გამომწვევ ხუთ ცოდვაზე მიუთითებს: სიხარბე (რაიმეს ფლობის დიდი სურვილი, რომელიც ღვთისგან არ არის ან არ შედის მის გეგმაში), კერპთაყვანისცემა, სქესობრივი უზნეობა, ღვთის გამოცდა და ნუნუნი. რამდენიმე მუხლის შემდეგ პავლე წერს:

„გელაპარაკებით როგორც გონიერებს; თავად განსაჯეთ, რასაც ვამბობ! კურთხევის სასმისი, ჩვენ რომ ვაკურთხებთ, განა ქრისტეს სისხლთან ზიარება არ არის? პური, ჩვენ რომ ვტყებთ, განა ქრისტეს სხეულთან ზიარება არ არის? ვინაიდან პური ერთია, ჩვენ კი მრავალნი - ერთი სხეული, რადგან ყველა ერთი პურიდან ვეზიარებით. შეხედეთ ისრაელს ხორციელად: ვინც მსხვერპლიდან ჭამს, განა ისინი სამსხვერპლოს ზიარნი არ არიან?“ (1კორ.10:15-18)

ამრიგად, პავლე კვლავ უბრუნდება ზიარების ანუ უფლის სერობის საკითხს და 1 კორინთელთა მე-10 თავში აღწერილი კონკრეტული პრობლემის მასშტაბურ სურათს გვაჩვენებს: *ვერ შეუცნია რა უფლის სხეული*. იგი აცნობიერებს, რომ ჩვენ ბევრნი ვართ და ერთმანეთისგან განვსხვავდებით. თითოეულ ჩვენგანს პირადი ურთიერთობა გვაქვს ღმერთთან იესო ქრისტეს მეშვეობით. თუმცა სხვა დონეზე, ღვთის თვალში ერთნი ვართ. ეს გახლავთ უმთავრესი პავლეს ნათქვამში. ჩვენ *ერთი სხეული* ვართ ქრისტეში და *გაერთიანებული* ვართ ისრაელის მსგავსად.

ახლა საჭიროა, დავსვათ კითხვა: „უძღურების, დასნეულებისა და ნაადრევად გარდაცვალების სასჯელი ცალკეულ მორწმუნეებს ეკისრებოდათ თუ კორინთოში ქრისტეს მთელი სხეული იტანჯებოდა ცალკეული წევრების ქცევის გამო? არასწორად ნუ გამიგებთ. მინდა ეს საკითხი ძლიერად გამოვკვეთო: გაცნობიერებული და პრაქტიკაში გატარებული ცოდვის გამო თითოეული ადამიანი პირადად იმკის მის შედეგებს, მაგრამ აქ პავლეს მიერ გაცხადებულ ჭეშმარიტებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. იგი მორწმუნეებს მიმართავს როგორც სხეულს, ეკლესიას და გაერთიანებულ ხალხს.

განხილულ შემთხვევაში, ეს გახლავთ ქრისტეს სხეული ქალაქ კორინთოში.

## ერთი აღამიანის სისარება

ისევ დავუბრუნდეთ ისრაელიანებს, რომლებიც მაგალითად გვესახებიან. მოდი, უკან დავიხიოთ იეშუა ნავეს ძის დროინდელ თაობასთან. ამ თაობამ გაბედულად გადალახა მდინარე იორდანე და აღთქმულ მინაზე დაადგა ფეხი. მათი პირველი დავალება გახლდათ უზარმაზარი ქალაქის, იერიხოს დანგრევა. რა თქმა უნდა, საშიში საქმე იყო, მაგრამ ღმერთმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა დიადი ძალა. მან იეშუას განსაკუთრებული მითითებები მისცა და მათ შორის ერთი ამგვარი გახლდათ:

„უფლისთვის დარისხდება ქალაქი და ყველაფერი, რაც მასშია, ... არაფერი აიღოთ დარისხებულიდან, ... მთელი ვერცხლი და ოქრო, სპილენძისა და რკინის ჭურჭელი წმიდაა უფლისთვის, უფლის საგანძურში უნდა შევიდეს“.  
(ი.ნ. 6:17-19)

იერიხოს მთელი ნაალაფარი უფლის საგანძურში უნდა შესულიყო. ეს ყველაფერი მხოლოდ მას ეკუთვნოდა და იქედან პირად სარგებელს ვერავინ მიიღებდა.

დადგა შეტევის დრო და ისრაელიანები შეურყევლად დადგნენ. მათ ხმლებით სრულად გაანადგურეს ყველაფერი ქალაქში: მამაკაცები და ქალები, ახალგაზრდა და ხანდაზმული, საქონელი, ცხვარი, თხა და ვირი. შემდეგ გადანვეს და ყველაფერი ცეცხლს მისცეს ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და რკინის გარდა, რომლებიც უფლის საგანძურში უნდა შეეტანათ. საოცარია, მაგრამ ერთი ისრელიანიც კი არ მომკვდარა ან დაჭრილა.

უნდა გვახსოვდეს, რომ იერიხო იყო ერთ-ერთი იმ ქალაქთან, სადაც მათი წინა თაობა დასაზვერად წავიდა და მოსეს ამგვარი ინფორმაცია მიანოდა: „ძლიერია ხალხი იმ ქვეყანაში რომ ცხოვრობს, ქალაქები ფრიად დიდია და გამაგრებული“ (რიცხვ. 13:28). სწორედ წინა თაობის წამოზრდილმა შეილებმა შეუტყეს ამ გამაგრებულ ქალაქს და სრულიად უსაფრთხოდ გაასწორეს მიწასთან. ისრაელი ზებუნებრივად იყო გაძლიერებული, და მაინც, ვკითხულობთ შემდეგს:

„ორგულად მოიქცნენ ისრაელის ძენი დარისხებულის მიმართ; და აილო დარისხებულისგან ყაქანმა, ქარმის ძემ, ზაბდის ძემ, ზერახის შთამომავალმა იუდას ტომიდან; და ალიგზნო უფლის რისხვა ისრაელის ძეებზე“. (იეს.ნავ.7:1)

ყურადღება მიაქციეთ, რომ წერილი არ ამბობს: „ორგულად მოიქცა ყაქანი დარისხებულის მიმართ“. არა, აქ ვკითხულობთ: „ორგულად მოიქცნენ ისრაელის ძენი დარისხებულის მიმართ“! საინტერესოა აღინიშნოს, რომ წერილი ასევე აცხადებს: „ალიგზნო უფლის რისხვა ისრაელის ძეებზე“. აქ არ წერია: „ალიგზნო უფლის რისხვა ყაქანზე“. ისრაელი გაერთიანებული იყო, როგორც ერთი, ამიტომ თითოეული მათგანის შეცოდება ღვთის მითითებების წინააღმდეგ და სიხარბის გამოჩენა მთელ ისრაელს აწვებოდა ტვირთად.

ტრაგიკული შედეგები ძალიან მალე გამოვლინდა. მიზანში ამოღებული მომდევნო ქალაქი ჰალაი გახლდათ. ის გაცილებით მცირე ზომის იყო და წინამძღოლთა გუნდმა ასე მოითათბირა: „დაბრუნდნენ იეშუასთან და უთხრეს: „ნუ წავა მთელი ხალხი; ორი ან სამი ათასი კაცი ავიდეს და მოსრას ჰალაი; ნუ გარჯი მთელ ხალხს, რადგან მცირედნი არიან ისინი“. ავიდა სამი ათასამდე კაცი ხალხიდან, მაგრამ უკუაქციეს ჰალაის კაცებმა“ (იეს.ნავ. 7:3-4).

იერიხოსთან ბრძოლაში ჩაბმული იყო, დაახლოებით, ექვსასი ათასი მეომარი. ეს აჩვენებს, რაოდენ უმნიშვნელო იყო ჰალაი მასთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ვკითხულობთ:

„უკუაქციეს ჰალაის კაცებმა; დახოცეს მათგან ოცდათექვსმეტამდე ჰალაის კაცებმა, კარიბჭიდან შებარიმამდე სდიეს და განყვიტეს მთის დამრეცზე“. (იეს.ნავ.7:4-5)

განა ეს ისევ ის ერი არ გახლდათ, რომელმაც ყოველგვარი დანაკარგის გარეშე სძლია გაცილებით მნიშვნელოვან და ძლიერ ქალაქ იერიხოს? ახლა კი მეომრები დაუძღურებულები, უკანდახეულები და საფუძვლიანად დამარცხებულები არიან. ისინი კრიპტონიტის გავლენის ქვეშ მოექცნენ.

სამწუხაროა, რომ ოცდათექვსმეტი კაცი დაეცა ჰალაისთან, როცა იერიხოს ბრძოლაში არავინ დაუძღურებულა, უკან არ დაუხევია, არავინ დაჭრილა ან მომკვდარა!

მოდი, ჩაუფიქრდეთ! ყაქანმა შესცოდა, მაგრამ მას და მის ოჯახს არაფერი მოუვიდა. მეორე მხრივ, ჰალაისთან ბრძოლის შემდეგ სამოცდათორმეტ მამას და დედას შვილი

ალარ დაუბრუნდა ბრძოლის ველიდან, ოცდათექვსმეტი ქალი დაქვრივდა და ბევრი ბავშვი დაობლდა. ეს არ იყო შედეგი მათი ძის, ქმრის ან მამის ცოდვებისა, მათგან არავის შეუტოდავს. სულ სხვა ოჯახის სხვა მამაკაცმა მოაწია მათ თავს ეს უბედურება!

ახლა ისრაელი შიშისგან პარალიზებულია. იეშუა და სხვა წინამძღოლები უფლის სახის წინაშე დაემხნენ. შეგიძლიათ ამ სურათის წარმოდგენა? დაბნეული და შეშფოთებული ადამიანები ღმერთს შეჰლადადებენ: „რად გადმოალახვინე ამ ხალხს იორდანე, რათა ამორელთა ხელში ჩაგეგდო და დაგელუპა?“ (იეს.ნავ.7:7).

მოისმინეთ ღვთის პასუხი: „ადექი, რას დამხობილხარ პირქვე?! შესცოდა ისრაელმა და დაარღვია ჩემი აღთქმაც, რომელიც ვამცნე“ (იეს.ნავ.7:10-11).

ღმერთს არ უთქვამს: „თქვენს შორის არის შემცოდე კაცი!“ არა, ის კიდევ ერთხელ აცხადებს: „ისრაელმა შესცოდა!“ არავინ იცოდა ყაქანის დანაშაულის ამბავი. არავინ ყოფილა მისი სიხარბის მონმე, მაგრამ სულიერმა კრიპტონიტმა მთელი სხეული დააზარალა. იეშუამ გაიგო, ვინ იყო ის და ყაქანს წინ აღუდგა. დამნაშავემ აღიარა:

„ჭემმარიტად შევცოდე უფალს, ისრაელის ღმერთს, ცუდად მოვიქეცი: დავინახე ნადავლში შინყარის ერთი მშვენიერი მოსასხამი, ორასი შეკელი ვერცხლი და ორმოცდაათშეკელიანი ოქროს ზოდი, მომინდა და ავიღე“.  
(იეს.ნავ.7:20-21)

იეშუა და სხვა წინამძღოლები ძალზე მკაცრად მოექცნენ მცნების დამრღვევს და როცა ყველაფერი დასრულდა, ვკითხულობთ: „და დაცხრა უფლის მძვინვარე რისხვა“ (იეს.ნავ.7:26).

## მაგალითი

ძველი აღთქმის ეს შემთხვევა ნათლად გვაჩვენებს პავლეს სათქმელის არსს კორინთელთა ეკლესიის მიმართ. იგი წერს: „სწორედ ამიტომ ბევრია თქვენს შორის უძღური და ავადმყოფი და ზოგი მოკვდა კიდევ“. მომდევნო თავში აღმოვაჩენთ, რომ ზოგიერთის მიერ ჩადენილი ცოდვა მთელ ეკლესიაზე ახდენს გავლენას და არა მარტო შემცოდე პიროვნებაზე.

გულში გაგჩენიათ კითხვა, რატომ არის დღევანდელ ეკლესიაში ბევრი მორწმუნე დაუძღვრებულ მდგომარეობაში და გამუდმებით ავადმყოფობს სხვადასხვა სნეულებებით? ეს ძვირფასი ადამიანები ვერაფრით განკურნებულან ამ დაავადებათაგან და ზოგიერთი ნაადრევადაც გარდაიცვალა. რატომ გვხვდება ამდენი მარტოხელა დედა ჩვენს საკრებულოებში სასურსათო ტალონების მოლოდინში, გაჭირვებით რომ გააქვთ თავი? რატომ არის ამდენი უმუშევარი მორწმუნე ან ოჯახის ბიუჯეტი იმდენად შეზღუდული აქვს, რომ სახელმწიფოს ფინანსურ მხარდაჭერაზე დამოკიდებული?

ჩვენი უძღვრებებით გამონვეული გადაულახავი გასაჭირის სახეობების სიას ბოლო არ უჩანს.

სოლომონის დღეებში არავინ იყო სოციალური დახმარების იმედად ან უმუშევარი. საქმეთა ნიგნში არავინ იყო გაჭირვებული და ადამიანები სწრაფად იკურნებოდნენ სხვადასხვა სატკივარის, დაავადებებისა და უძღვრებებისგან. რატომ ვერ ვხედავთ იგივეს დღეს? შესაძლებელია, რომ ზოგიერთის ცხოვრებაში არსებული ცოდვა მრავალ მორწმუნეზე ახდენდეს ზეგავლენას? ნუთუ იგივეს ვხედავთ დღეს, რაც ისრაელმა ჰალაისთან გადაიტანა?

მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ გაცნობიერებულ და პრაქტიკაში გატარებულ ცოდვას პირად ცხოვრებაშიც მოჰყვება შედეგები. ყაქანმა ჩადენილი ცოდვის სასჯელი იწვნია, მაგრამ ისრაელსაც მოუხდა სულიერ კრიპტონიტთან შეჯახება მისი ცოდვის გამო. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი კვლევის პროცესში იესოსთან ერთ სხეულად ყოფნის გაცნობიერება ისევე გაიზრდება თქვენში, როგორც მასთან პირად ურთიერთობაში იზრდება და მიხვდებით, რომ თქვენი, როგორც ერთი წევრის მოქმედებებს სხეულის სხვა ნაწილებისთვის კურთხევა ან უარყოფითი შედეგები მოაქვს.

სანამ დავასრულებდეთ, მინდა ხაზი გავუსვა, რომ თავისუფლების მომტანი ჭეშმარიტებები თავიდან უარყოფითი გვეჩვენება და აზრი, „საერთოდ, რა საჭიროა ეს?“, ჩუმად შემოიპარება. საბოლოოდ კი, როცა ჭეშმარიტება გამოვლინდება, თავისუფლება მოდის და ადრინდელ დაბრკოლებებს გვაშორებს.

იესომ თქვა: „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (იოან. 8:32).



შესაძლოა, გინახავთ ფილმი გლადიატორი და გახსოვთ გენერალ მაქსიმუსის შეძახილი, „დარჩით ერთად, როგორ ერთი მთლიანი!“ ალბათ, ის გამარჯვებებიც ნახეთ, რაც ამ ტაქტიკამ მოიტანა. საიდუმლო არ გახლავთ, რომ ყველაზე ეფექტური სამხედრო სტრატეგია არის „გათიშე და იბატონე“.

იესომ ეს კარგად იცოდა და ასწავლიდა, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ დაყოფილი სამეფო ვერ გაძლებდა (იხ. მათ. 12:25). როცა ქრისტეს სხეული უფლის მიმართ ერთგულების საკითხში დაიყოფა, იგი სუსტდება. ეს ნიშნავს, რომ უდიდესი, რის გაკეთებაც ქვეყნიერებაზე ეკლესიის ზეგავლენის ზრდისთვის შეგიძლიათ, იესოს საქმისთვის თქვენი სიცოცხლის მიძღვნა გახლავთ. ეს ნიშნავს რეგულარული, ყოველდღიური საქმიანობის ღვთისთვის მიძღვნას მისი თაყვანისცემით.

ღმერთს არა მარტო კვირა დილის მსახურებების, არამედ მთელი თქვენი ცხოვრების ფლობა სურს. თუ ცხოვრებაში – სამუშაოს, ოჯახის, ჰობის და ა.შ. ჩათვლით – ღვთის თაყვანისცემის განზრახვით არ მოქმედებთ, დღესვე მოინანიეთ. სთხოვეთ იესოს, რომ გახილვინოთ, როგორ გამოიყურება თქვენი თაყვანისცემა მის წინაშე. ჩამოწერეთ, რასაც ის დანახვებთ ან გეტყვით და ღვთის სულს სთხოვეთ განახლება, რომ სრულად მიუძღვნათ უფალს თავი.



## გაღამდები კრიპტონიტი

ღმერთმა ისე შექმნა ჩვენი სხეულები, რომ ნიმუშად გამოდგეს ყველა ჩვენგანისთვის და წარმოვიდგინოთ, როგორ გავერთიანდეთ ეკლესიად.  
(1 კორ. 12:25 *The Message*)

იფიქრეთ თქვენს სხეულზე, თუ როგორ არის შეთანანყობილი ყველა ასო, თუნდაც ერთმანეთთან ძალიან ახლოს არ იყვნენ. თქვენი პატარა ცერი ცხვირს უკავშირდება, ღვიძლი – მუხლებს, პირი – ხერხემალს და ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. არ არსებობს სხეულის ნაწილი, რომელსაც სხვა ნაწილებისგან დამოუკიდებლად გადარჩენა შეეძლოს. ასე რომ ხდებოდეს, ის თქვენი სხეულის ნაწილი არ იქნებოდა.

თუ ერთ ასოს სტკივა, განა სხვა ასოები მასთან ერთად არ იტანჯებიან? თუ რომელიმე მათგანს გრიპი ან რაიმე ვირუსი შეეყრება, ავადმყოფობა მთელ სხეული იბუდებს, მადას აკარგვინებს, ასუსტებს, გონებას უბინდავს და ტკივილით სტანჯავს. მეორე მხრივ, თუ ერთი მათგანი პატივდებულია, სხვა ნაწილებიც ხარობენ. თუ ადამიანს ხერხემლის ან თავის მასაჟს უკეთებენ, მთელი სხეული გრძნობს შვებასა და სიამოვნებას. მთელს სხეულს უყვარს ეს პროცედურა.

ჩვენ ერთნი ვართ როგორც ეკლესია. ისრაელი, რომელიც ჩვენთვის სანიმუშოა, ერთი იყო და ყაქანის ნებსით შეცოდებამ არა მარტო ის, არამედ მთელი თემიც დააზარალა. ისრაელი უძლეველი გახლდათ იერიხოვსთან ბრძოლაში, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, იგივე ერის არმია დასუსტდა, საფუძვლიანად დამარცხდა, განიდევნა მტრის მიერ და მეომართა დანაკლისიც

განიცადა. გადატანითი მნიშვნელობით რომ ვთქვათ, ერი სულიერი კრიპტონიტის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. იგივე ხომ არ დაემართა კორინთელთა ეკლესიას? უფრო ღრმა კვლევა პასუხსაც გვანვდის.

როგორც მოკლედ აღვნიშნეთ, პირველი ეკლესიის უფლის სერობა საკმაოდ განსხვავდებოდა თანამედროვე ზიარებისგან. მათი სერობა უფრო სადილობას ჰგავდა, ჩვენი კი – ცერემონიულია. კონტექსტიდან გამომდინარე, მათი ქცევა, რომელზეც პავლე ლაპარაკობს, უფრო სპეციფიურია და სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც დღეს ვხვდებით. და მაინც, ამ ქმედების ფესვის ცოდნა მნიშვნელოვანია.

კორინთოს ეკლესიის განსაკუთრებული ვითარება იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგიერთი წევრი დანარჩენების შეკრებას არ ელოდებოდა. ადრე მოსულები ჭამდნენ და სვამდნენ, სავარაუდოდ, საუკეთესო საკვებსა და ღვინოს, ხოლო მოგვიანებით მოსულებს მხოლოდ ნარჩენები ხვდებოდათ. ბიბლიის ბევრი მკვლევარისა და ისტორიკოსის აზრით, უგულებელყოფილი იყვნენ ყველაზე ღარიბი და დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები. ახლა წავიკითხოთ პავლეს სიტყვები:

„რადგან თითოეული ჯერ თავის საჭმელს მიირთმევს სერობისას და ზოგი მშიერია, ზოგი კი მთვრალი ... ვინაიდან, ვინც უღირსად ჭამს და სვამს, თავისი თავის დაგმობას ჭამს და სვამს, ვერ შეუცვნია რა უფლის სხეული. ამის გამო ბევრია თქვენ შორის უძღური და ავადმყოფი, და ბევრს სძინავს“. (1კორ.11:21,29-30)

გადახედეთ ორ სიტყვას, რომელიც ზემოთ მოყვანილ წერილში გამოვკვეთე, ზოგი და ბევრი. ნათელია, რომ პავლე ზოგიერთის ცოდვებს განიხილავს (მ.21), მაგრამ ბევრი აღმოჩნდა უძღური, სნეული და ნაადრევად გარდაცვლილი (მ.30). ყაქანის შემთხვევისგან დიდ განსხვავებას ვერ ვხედავთ. რამდენიმე ადამიანმა, რომელთაც წინასწარ განზრახვით არ დაურღვევიათ ღვთის მცნება, ერთი ადამიანის ნებსით ჩადენილი დანაშაულის შედეგები იზენიეს.

Pillar New Testament Commentary აცხადებს:

არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ სნეულები და გარდაცვლილები ნაწილობრივ მაინც იყვნენ ცოდვაში დამნაშავე, მაგრამ ძველ აღთქმაში ღვთიური სასჯელის უმრავლესობის დროს ჭირი მთელ თემში განურჩევლად ანადგურებდა ადამიანებს.

## მსაპსი შიმთხვევა

პავლე თავის წინა წერილებში კიდევ ერთი სახეობის ცოდვას ეხება, რომელიც მთელ თემზე ახდენდა ზეგავლენას. იგი ასე იწყებს: „საერთოდ კი ხმა დადის, რომ სიძვა თქვენში, თანაც ისეთი, რომლის მსგავსი წარმართებშიც არ არის“ (1კორ.5:1). იქ იყო კაცი, რომელიც თავს იესო ქრისტეს მიმდევრად, ღვთის შვილად, ქრისტეში ძმად და ქრისტეს სხეულის ასოდ მიიჩნევდა, მაგრამ ნებსით ჩადიოდა სექსუალური ხასიათის ცოდვას.

პავლეს შესწორება მარტო შემცოდე ადამიანს როდი ეხებოდა. საეკლესიო თემი მას ძმად და ეკლესიის წევრად მიიჩნევდა, მაგრამ წინამძღოლები ყურადღებას არ აქცევდნენ მის ცოდვას და თვალს არიდებდნენ.

რატომ უგულვებლყოფდნენ ისინი შემცოდე ძმის ქცევას? ალბათ, არ უნდოდათ მისი წყენინება ჩადენილ ცოდვასთან დაპირისპირებით. შესაძლოა, იგი გავლენიანი ადამიანი, საზოგადოების წინამძღოლი, ცნობილი ათლეტი ან უხვად შემწირველი იყო. კორინთო დიდი, გავლენიანი ქალაქი გახლდათ და ხელოვნების ცენტრს წარმოადგენდა. შესაძლებელია, ის ადამიანი ცნობილი მსახიობიც კი იყო ჰოლივუდის იმდროინდელ ვერსიაში, ან პოპულარული მუსიკოსი ჩარტების სათავეში, ან თაყვანისცემის გუნდის წამყვანი ვოკალისტი. ტექსტი ამის დადგენის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამ ადამიანის წასვლა მათ წინსვლას ხელს უშლიდა.

სხვა მიზეზებიც არსებობს. შესაძლოა, ისინი ფიქრობდნენ, რომ მათგან მოკვეთილი შემცოდე ადამიანი ღვთის სიტყვას მეტად ველარ მოისმენდა. ალბათ, ისინი ასე მსჯელობდნენ: „სჯობს ჩვენთან მოზიარეობაში იყოს და სახარება მოისმინოს, ვიდრე ქვეყნიერებაზე და სიტყვისგან შორს“. იქნებ, მათ უმნიშვნელოვანესად მიაჩნდათ ეკლესიაში მოსული ადამიანის კვლავ მოყვანა შემდგომ მსახურებებზე და ცოდვასთან დაპირისპირება ამ მიზანს ხელს შეუშლიდა. კიდევ ერთ გამამართლებელი მიზეზი ასეთია: „ის ჯერ ჩვილია ქრისტეში. მოდი, დრო მივცეთ!“ დარწმუნებული ვარ, რომ მათ იმ ადამიანის „გზაზე დაყენების“ და ცოდვისგან ჩამოშორების იმედი ჰქონდათ.

პავლე მტკიცედ ეუბნება კორინთელთა ეკლესიის წინამძღოლებს, რომ მათ ეს ადამიანი უნდა მოიშორონ. ნება მომეცით, მისი განცხადებები ჩამოვთვალო:

- მოიკვეთოთ ასეთი საქმის ჩამდენი! (1კორ.5:2);
- სატანას გადაეცეს ასეთი კაცი ხორცის დასალუპად! (1კორ.5:5);
- სრულად მოიშორეთ ძველი საფუარი, რათა იყოთ ახალი ცომი! (1კორ.5:7);
- მოიშორეთ ბოროტი თქვენს შორის! (1კორ.5:13).

პავლე ერთ მოკლე თავში ოთხჯერ მიუთითებს მკაცრი ზომების მიღებაზე. იფიქრეთ ამაზე! მოციქულმა სულ რაღაც ცამეტ მუხლში ოთხჯერ მიუთითა იმ ადამიანის ეკლესიიდან გარიცხვაზე, მათ შორის ერთხელ ძალიან მკაცრადაც, „სატანას გადაეცეს ხორცის დასალუპად!“ აი, ასე! გახსოვდეთ, რომ პავლეს უყვარს ეს ეკლესია და უყვარს ის ადამიანიც!

შესაძლოა, შემენინააღმდეგოთ: „რა? მას ეს ადამიანი უყვარს? შეუძლებელია!“ ფაქტობრივად, ჩვენ ვიცით, რომ მას უყვარს ეს ადამიანი, რადგან წმიდა წერილში არაფერი იწერება სიყვარულის ზრახვის გარეშე. ღვთისგან არის შთაგონებული მთელი წერილი, ხოლო ღმერთი სიყვარულია (იხ. 2ტიმ.3:16 და 1იოან.4:8).

გთხოვთ, დაიხსოვოთ, რომ პავლე მხოლოდ კორინთოელ წინამძღოლებს როდი ელაპარაკება, არამედ მთელ ეკლესიას. პავლე გამუდმებით მიუთითებდა, რომ მისი წერილები ყველა ეკლესიაში წაეკითხათ! რატომ არის პავლე მაცრი და პირდაპირი? პასუხს მისივე განცხადებაში ვპოულობთ: „ნუთუ არ იცით, რომ მცირეოდენი საფუარი

მთელ ცომს აფუებს?“ (1კორ.5:6). კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ცოდვა გავლენას ახდენს მთელ თემზე და არა მარტო ცალკეულ ადამიანზე. წაიკითხეთ შემდეგი:

„ნუთუ არ იცით, რომ მცირეოდენი საფუარი მთელ ცომს აფუებს? სრულად მოიშორეთ ძველი საფუარი რათა იყოთ ახალი ცომი, რამდენადაც უფუარნი ხართ, ვინაიდან ჩვენი პასექი, ქრისტე, ჩვენ გამო შეენირა. ამიტომ ვიდღესასწაულოთ არა ძველი საფუარით, არა ბოროტებისა და უკეთურების საფუარით, არამედ სინმდისა და ჭეშმარიტების ხმიადით“. (1კორ.5:7-8)

პავლე ისევ უბრუნდება ზიარების მთავარ თემას. ისრაელის პასექის დღესასწაულზე სამსხვერპლო კრავი მთავარი ფიგურა იყო. და მაინც, იესო გახლავთ ჩვენი უმნიშვნელო სამსხვერპლო კრავი. როგორც პირველი პასექი აღნიშნავდა ისრაელის ეგვიპ-

ტის მონობისგან გათავისუფლებას, ისე ქრისტეს სამსხვერპლო სიკვდილი, რომელიც უფლის სერობის მთავარი თემაა, ჩვენი ცოდვებისგან განთავისუფლების ნიშანია.

სხვა დღესასწაულებიც არსებობდა: პირველნაყოფთა, ორმოცდამეათე დღის, ბუკების, გამოსყიდვის და კარვობის. თუმცა ისინი ჩვენი ქრისტიანული ცხოვრების შედარებით მონიფული ცხოვრების ასპექტებს ასახავდა. ამრიგად, პავლე ამის აღნიშვნით ცათა სამეფოში ჩვენს შესვლაზე მიუთითებს. იგი ხაზს უსვამს, რომ პასექის ზეიმი არ შეიძლება „ძველი საფუარით, ბოროტებისა და უკეთურების საფუარით“. ამრიგად, შეხედულება, რომ „ის ჩვილი ქრისტიანია“, მცდარია შემცოდის მიმართაც და ჩვენთვისაც. ხშირად ეს გახლავთ გამართლება საქციელისა, რომ ყურადღებას არ ვაქცევთ „ცოდვისადმი მიდრეკილ“ ადამიანს. ეს მაცდური და შეცდომაში შემყვანი აზრია, რადგან ეკლესიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებულ და მაინც რეგულარულად ჩადენილ ცოდვას(შემდგომში ვისაუბრებ „გაცნობიერებულ და რეგულარულად ჩადენილ ცოდვას“ და „ცოდვაში ჩავარდნას“ შორის განსხვავებაზე).

მეორე, ყურადღება მიაქციეთ, რომ პავლემ შემცოდე მორწმუნის ცოდვას საფუარი უწოდა. საფუარს მთელი ცომის აფუების თვისება აქვს და მის ზრდას იწვევს. ისრაელი მკაცრად იყო გაფრთხილებული პასექის დღესასწაულის წარმართვის შესახებ: „პირველი დღიდანვე არ გააჩეროთ სახლებში, რადგან ყოველი სული, ვინც პირველი დღიდან მეშვიდე დღემდე გაფუებულ პურს შეჭამს, მოიკვეთება ისრაელისგან“ (გამ. 12:15). სიტყვა „მოიკვეთება“ გადამწყვეტია და არაფრით განსხვავდება პავლეს მითითებისგან. ღმერთმა ასე დაადგინა, რომ ისრაელისთვის და ჩვენთვის ეჩვენებინა შემდეგი: როცა მასთან აღთქმაში შევდივართ. არავინ უნდა იყოს „ცოდვას მიყიდული“ მის თემში. ყველამ უნდა მოინანიოს გაცნობიერებული და მისი სიტყვის დაუმორჩილებლობის რეგულარული ცოდვა, თუ არა და ცოდვის საფუარს და მის შედეგებს შემოიტანს ეკლესიაში.

*Pillar New Testament Commentary* აცხადებს:

„პავლე ხაზს უსვამს (მეტად შთამბეჭდავ სიტყვათა წყობით ბერძნულ ენაზე), რომ ეკლესიის მხოლოდ ერთი „მცირე“ ნაწილის, ფაქტობრივად, ერთი ადამიანის მეშვეობით ცოდვა გარდაუვლად, ნელ-ნელა, მაგრამ დაბეჯითებით გავრცელდება მთელ თემში, თუ ის უყურადღებოდ მიტოვე-

ბული დარჩება. ნებსით ჩადენილი ცოდვის მაგალითებს სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია. გამოუვლენელი ცოდვა ეკლესიაში საფუარით ვრცელდება, მთლიანად მოიცავს მას და სრულიად უცვლის სახეს“.

ამ კომენტარის ერთ მოსაზრებას არ დავეთანხმები. საფუარის კვლევისას აღმოვაჩინე, რომ ის ნელა კი არა, პირიქით, ძალიან სწრაფად ვრცელდება. თუმცა მოცემული განმარტებიდან უცილობელი ჭეშმარიტება გახლავთ ის, რომ იგი ნამდვილად მოედება მთელ თემს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენს შეკრებებზე მოსვლა აუუკრძალოთ ყველა ადამიანს, რომელიც ცოდვაში ცხოვრობს? სრულებით არა! ჩვენს შეკრებებზე ათასობით შემცოდე ურწმუნო შეიძლება იყოს, მაგრამ არა ეკლესიის წევრები. ეკლესიაში მოსიარულე ურწმუნოებმა ეკლესიის წევრებად არც კი უნდა მიიჩნიონ თავი, სანამ მათთვის ცნობილ და რეგულარულად ჩადენილ ცოდვებს არ მოინანიებენ და მთელს ცხოვრებას იესოს ქრისტეს არ მიუძღვნიან. პავლე ნათლად ლაპარაკობს ამ საკითხზე:

„წერილში გწერდით, გარყვნილ ხალხთან არ იქონიოთ მეთქი ურთიერთობა; არ მიგულისხმია ამ ქვეყნიერების გარყვნილები, ხარბები, მტაცებლები ან კერპთაყვანისმცემლები, რადგან მაშინ თქვენც მოგინევდათ ამ ქვეყნიერებიდან გასვლა“. (1კორ.5:9-10)

ჩვენ, ქრისტეს მიმდევრებს გვაქვს ქვეყნიერებაზე ნასვლის მცნება, რომ უფლისთვის მოვიპოვოთ დაღუპული ადამიანები და ჩვენს შეკრებებზე მოვიპატიოთ ღვთის სიტყვის მოსასმენად, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მათი სულიერი მდგომარეობის შესახებ სიმართლის შეკვეცილი ვერსიის მიწოდებით ან რაიმე კომპრომისის ხარჯზე. ჩვენ განუწყვეტლივ უნდა გავდიოდეთ ქვეყნიერებაზე, მოვიპოვებდეთ სულებს ქრისტესთვის, ვჭამდეთ მათთან ერთად, ვიმეგობრებდეთ სიყვარულით და ვემსახურებოდეთ ურწმუნოებს, როგორც იესო აკეთებდა.

რაც შეეხება ეკლესიის მალიარებელ წევრებს, პავლე სრულიად განსხვავებულად ლაპარაკობს მათ შესახებ:

„გწერდით, რომ არ გქონოდათ კავშირი იმათთან, ვინც ძმად იწოდება, მაგრამ მაინც გარყვნილია, ან ხარბია, ან

კერპთაყვანისმცემელია, ან მაგინებელია, ან ლოთია, ან მტაცებელია; ასეთებთან არც კი ჭამოთ!“ (1კორ.5:11)

ცხადია, პავლე არ ლაპარაკობს მორწმუნეზე, რომელიც „ცოდვაში ჩავარდა“, არამედ მორწმუნეზე, რომელიც „ცოდვაში ცხოვრობს“. რატომ ლაპარაკობს ეკლესიის მამა ასე მკაცრად ამ საკითხზე? მარტივად რომ ვთქვათ, ეს გახლავთ ეკლესიის მიმართ მისი წრფელი სიყვარულის დასტური. მას არ სურს, ეკლესია დიდად გაიტანჯოს იმ „მორწმუნის“ ვითომ მფარველობით, რომელიც რეგულარულ „ცოდვაში ცხოვრობს“.

ხსენებულ საკითხს ამ კუთხით შეხედეთ: თუ ვინმეს საშინელი დაავადება აქვს, რომელიც ახლოს მყოფი ადამიანისგან ჰაერით გადადის, რას გააკეთებს საზოგადოება? ავადმყოფ ადამიანს კარანტინში მოათავსებენ. ეს ხალხის გაცილებით დიდი რაოდენობას სნეულების გადადებისგან იხსნის. თუ ასე არ მოიქცევიან, დაავადება ხანძარივით გავრცელდება და მთელი საზოგადოება გაიტანჯება მისი შედეგებით. რა შეიძლება იყოს სწრაფად გავრცელებული ცოდვის შედეგი ეკლესიაში? მსახურების დაუკავებელი პოზიციები, ნაყოფიერების დაცემა, საზოგადოებისთვის სამსახურის განწევის შეწყვეტა და ეკონომიკური გასაჭირი, ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რაც შეიძლება ზემოთ განხილულ ვითარებას მოჰყვეს.

შემდეგ პავლე ასე აცხადებს შემცოდე ადამიანზე:

„სატანას გადაეცეს ასეთი კაცი ხორცის დასალუბად, რათა სული გადარჩეს ჩვენი უფლის, იესოს დღეს!“  
(1კორ.5:5)

ამ ძმას სამარადისო დალუპვის საფრთხე ემუქრება, თუ არ შეიცვლება. ზემოთ სწორედ ამიტომ გამოვიყენე სიტყვები „ვითომ მფარველობა“. ჭეშმარიტების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნებსით ცოდვაში მცხოვრები ადამიანი დიდ საფრთხეშია, თუ ის თემში დარჩება. მას ეგონება, რომ სწორად დგას ღვთის წინაშე და თავის სავალალო მდგომარეობას მეტისმეტად გვიან, განკითხვის დღეს აღმოაჩენს.

ის სიძნელეები, რასაც ეს ადამიანი უფლის მფარველობის მიღმა გადაიტანს, სავარაუდოდ, ჭკუაზე მოსვლასა და იესოსთან მთელი გულით და სულით დაბრუნებაში დაეხმარება. სწორედ ეს მოხდა ხსენებული შემცოდის შემთხვევაში (აღწერილია პავლეს მეორე წერილში კორინთელთა მიმართ).



გასაჭირს ჩვენი გამოღვიძების უნარი აქვს, როგორც უძლები შვილის შემთხვევაში ვხედავთ. მამას რომ მისი საქციელი შეეწყნარებინა და მისთვის ფულის გაგზავნა განეგრძო, ძე ვერასოდეს მიხვდებოდა ამბოხებულ მდგომარეობაში იყო თუ არა.

### პითარცა ცათა შინა ...

მოდი, მთავარ პუნქტს დავუბრუნდეთ! წინა ორ თავში ნათლად დავინახეთ, რომ ქრისტეს სხეულს წარმოვადგენთ და როგორც ერთი სხეულის ნაწილებს შეგვიძლია, ყველამ ვისარგებლოთ ცალკეულ მორწმუნეთა წვლილით ან გავიტანჯოთ რომელიმე წევრის ნებსით და რეგულარულად ცოდვაში ცხოვრების გამო.

ეს გახლავთ ჭეშმარიტება, რომლის უგულებელყოფა შეუძლებელია. ამგვარი მსჯელობისთვის თავის არიდებამ სამწუხარო და ხანგრძლივი შედეგი გამოიღო ქრისტეს სხეულზე. ეს შედეგები თავისით არ გაივლის, თუ მსგავსი საკითხების იგნორირებას კვლავაც გავაგრძელებთ.

მოდი, გამოვიჩინოთ გაბედულება და პირისპირ შევეუტიოთ მათ! მთელი ზეცა გვამხნევეს! ჩვენ მონოდებული ვართ, ვიყოთ გამარჯვებული ეკლესია, ქრისტეს სხეული, იესოსგან არაფრით განსხვავებული, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს. ავადმყოფობა, სნეულებები, სიღარიბე, რესურსების ნაკლებობა და მტრის სხვა საქმეები უფლის ეკლესიის ფეხებთან მოიდრიკება.

ჩვენ მონოდებული ვართ ძალაუფლებით მეფობისა და ზებუნებრივი ძალით აღვსებისთვის, რომ ფეხებქვეშ მოვაქციოთ ზეცის მტრები. ამას მაშინ მოვახერხებთ, როცა რთულ საქმეებთან შეჭიდება არ შეგვეშინდება, რომლებმაც აქამდე გვტანჯავდა.

უნდა გავბედოთ იმის რწმენა, რომ დედამიწაზეც აღსრულდება ღვთის ნება ისე, როგორც ზეცაში სრულდება!

### იგმობი!

ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და სამწუხაროდ, იშვიათად მოიძებნება თანამედროვე ეკლესია, რომელიც ამ ჭეშმარიტებებს სათანადო ყურადღებას აქცევს. იფიქრეთ ამაზე: პირველი, ღმერთი ცოდვისგან თავისუფალი ცხოვრებისკენ მოგიწოდებთ, რომელსაც მთლიანად მას მიუძღვნით. მეორე,



როცა მორწმუნეები ამას არ აკეთებენ, არა მარტო თავიანთ ცხოვრებას ვნებენ, არამედ მთელ ქრისტეს სხეულს.

დრო დაუთმეთ ამ საკითხის გაანალიზებას. ნუ ჩათვლით ამ ჭეშმარიტებებს, უბრალოდ, კარგ იდეებად, რომელთაც მალე გვერდს აუვლით. გამტკიცდით მათში! იფიქრეთ მათზე! ილოცეთ ამ ჭეშმარიტებებისთვის და ღმერთს სთხოვეთ ისინი თქვენთვის! ნება მიეცით, რომ თქვენში ღრმად გაიდგას ფესვები და ისევე მნიშვნელოვანი გახდეს, როგორც პავლესთვის იყო!



## იყავი ცვლილება!

მე ერთ-ერთი ვარ ჩემი თაობის წარმომადგენლებიდან, რომელთაც ასწავლიდნენ, რომ უფრო მნიშვნელოვანია იესოს წინაშე ჩვენი სიარული, ვიდრე მორწმუნეთა ერთ სხეულად ყოფნა. არცთუ დიდი ხნის წინ გამინათა გონება ამ ჭეშმარიტებაში ეკლესიის თაობაზე. არ მინდა არასწორი მიმართულებით წაგიყვანოთ – რა თქმა უნდა, წარსულშიც ვიცოდი ამ რეალობის შესახებ, მაგრამ არა იმ მასშტაბით, როგორც ახლა მაქვს გაცხადებული.

როგორც კი სულიწმიდამ გამომალვინა ხსენებული რეალობის აღსაქმელად, არაერთხელ გავიფიქრე საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ქვედანაყოფებზე, რომელთაც „ზღვის ლომებს“ (Navy SEALs) უწოდებენ.

ერთი ჩემი მეგობარი ამ ელიტური მეომრების რიცხვში შედის. იგი „ზღვის ლომების“ ქვედანაყოფში თხუთმეტი წელი მსახურობდა და ახლა ინსტრუქტორად მუშაობს. გარკვეული დროის განმავლობაში ვფიქრობდი ამ ჭეშმარიტებებზე ქრისტეს სხეულის შესახებ და გადავწყვიტე მას დავკავშირებოდი. ვიცოდი, რომ „ზღვის ლომების“ ჯარისკაცები ერთმანეთთან ახლო მყოფ საძმოს ქმნიდნენ და უფრო მეტის გამოძიება მინდოდა. მეგობარს დავურეკე და ჩემი პირველი კითხვები ასეთი იყო:

– როგორ უყურებენ „ზღვის ლომები“ ერთმანეთს და რა ურთიერთობა აქვთ? როგორ ქმნიან ასე მჭიდროდ შეკრულ გუნდს? რა მოიაზრება წვრთნაში?

მან ასე მიპასუხა:

– უკანასკნელი პიროვნება, რომელზეც „ზღვის ლომი“ ფიქრობს, საკუთარი თავია.

მომენონა, რამდენად ნათელი და კონკრეტული იყო მისი პასუხი თავიდანვე. ვიცოდი, რომ ამ ზარით მეტს შევიტყობდი, ამიტომ ხმა არ ამოვიღე და მას ლაპარაკის გაგრძელების საშუალება მივეცი.

– ჩვენს გვერდით მყოფ ძმას უფრო მეტად ვაფასებთ, ვიდრე საკუთარ თავს. ზურგს არასოდეს ვიფარავთ, რადგან ვიცით, რომ ამას სხვა ძმები გააკეთებენ.

აქედან მოყოლებული, მან „ქადაგება“ დამიწყო:

– თუ ეფესელთა მიმართ წერილის მეექვსე თავს გადახედავ, ღვთის სრულ აღჭურვილობას ნახავ, მაგრამ ზურგს არაფერი ფარავს. ამის მიზეზი ის არის, რომ ღმერთს უნდა „ზღვის ლომებივით“ მოვიქცეთ და ერთმანეთის ზურგი დავფაროთ და ვიფიქროთ როგორც ერთმა ერთეულმა, ერთმა სხეულმა. თუ ასე არ ვიმოქმედებთ, მხოლოდ ერთი ადამიანი დამრჩება, ვინც ზურგიდან ვერ დამიცავს: საკუთარი თავი. მეორე მხრივ, თუ ყველანი ერთი გუნდით ვიმოქმედებთ, ყველა დანარჩენი ჯარისკაცი ზურგიდან დამაზღვევს.

იგი განაგრძობდა:

– მე, როგორც საზღვაო ტაქტიკური ქვედანაყოფის ჯარისკაცი, ყველაფერს ვაკეთებ ჩემს გვერდით მყოფი ძმისთვის. ამის რწმენა ჩვენს არსებაშია ფესვგადგმული. ისე გვწვრთნიან, რომ საკუთარ თავზე არ უნდა ვიფიქროთ როგორც ცალკეულ ადამიანზე, არამედ როგორც მთლიან დანაყოფზე. მართალია, წვრთნას სხვადასხვა სფეროებში გავდივართ, როგორებიცაა, ფეთქებადი მასალები, კომუნიკაცია, სნაიპერობა, მედიცინა, ჯეიტექ-ი (JTAC), იარაღები, გარღვევა და ასე შემდეგ, მაგრამ ერთი მთლიანი ერთეულივით ვმოქმედებთ. არასოდეს მივდივართ დავალებაზე ასეთი აზროვნებით: *შესაძლოა, ზოგიერთი ჩვენგანი უკან ველარ დაბრუნდეს ან მხოლოდ 40 % დაბრუნდება*. არა ჩვენი მიდგომა ასეთია: *ასი პროცენტი წავა და ასი პროცენტი დაბრუნდება*.

დამატყვევა მისმა ნათქვამმა. ბოლოს ვკითხე:

– როგორ გამოუმუშავებთ ახალწვეულებს ასეთ დამოკიდებულებას?

–ამას ვერ შეძლებ, – მიპასუხა მან.

– ბადი (BUD) – ტაქტიკური ქვედანაყოფის წვრთნის პროგრამა ყველაზე დამქანცველ და უკიდურესად რთულ სამხედრო წვრთნად ითვლება. ამ მიზეზის გამო პროგრამაში ჩართულთა დაახლოებით 90% თავად მიდის ან ირიცხება. დარჩენილები უმაღლეს დონეზე განვრთნილ, სრულად აღჭურვილ ჯა-

რისკაცებად ყალიბდებიან. თითოეული მათგანი მის გვერდით მყოფ თანამებრძოლს საკუთარ თავზე მეტად აფასებს და უფრო დიდი მიზნისთვის სიკვდილს არ ერიდება.

შემდეგ მან თქვა:

– ჯონ, ნეტა, ეკლესიას შეეძლოს ასე მოქმედება! რა მოხდებოდა მაშინ?

სამწუხაროდ, მე მხოლოდ დათანხმება შემიძლო! და მაინც, ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ამის პოტენციური ნამდვილად გვაქვს. ეს *ღვთიური ბუნების* რეალური ნაწილია, რომელიც ხელახლა შობისას მივიღეთ. ქადაგებებმა და სწავლებებამ, რომლებიც ჩვენი წვრთნის ნაწილია, ეს დამოკიდებულება უნდა წარმოშვას ჩვენში და ხორცი შეასხას. თუ სახარების მხოლოდ სამომხმარებლო ვერსიას მოვისმენთ, არასწორ რამეს განვაკითვართ – ჩვენს გამოუსყიდველ ხორცს. მეტწილად, სწორედ ეს გახლავთ იმ მდგომარეობის მიზეზი, რომელშიც თანამედროვე ეკლესია იმყოფება. უამრავ ჩვენგანს მხოლოდ გამხნეება და განწყობის ამაღლება სურს და გამოწვევებთან შეჭიდება ეძნელება. ჩვენ ძალიან ბევრს ვკარგავთ.

ჩემი მეგობარი მებრძოლია, მაგრამ ხედავს ეკლესიის ამ სისუსტეს თანამედროვეობაში. მან იცოდა, რომ „ზღვის ლომების“ ოცეულის ერთი წევრის სისუსტე, კომპრომისზე წასვლა ან პოსტის მიტოვება, გუნდის ყველა დანარჩენ წევრს დააზიანებდა ან ყველა დაიხოცებოდა ერთი პიროვნების სიზარმაცის ან არაპროფესიონალიზმის გამო. ის, რაც მასშია ფესვგადგმული, ჩვენც უნდა გავითავისოთ გონებით, როგორც ქრისტეს სხეულის ნაწილებმა!

## მოიტანე ცვლილება!

არის დადებითი მხარე იმ ყველაფერში, რაზეც ვიმსჯელებთ? რა თქმა უნდა, ღმერთთან ერთად ყოველთვის არის!

გავაცნობიერე, რომ შესაძლებელი იყო, წინა თავებში გადმოცემული ჭეშმარიტებების უარყოფითად აღქმა და მხნეობისა და იმედის დაკარგვა. დიახ! თუ მარტო იმ რეალობაზე იფიქრებთ, რომ სხვების ქმედებები ცუდად იმოქმედებს თქვენს ცხოვრებაზე, სასონარკვეთა გარდაუვალია. და მაინც, ამ ჭეშმარიტების სინათლეზე გამოტანის მიზეზი გახლავთ ერთობლივი წინსვლის დანახვა და ღვთის სიდიადისა და ძალის ისეთი მასშტაბით ხილვა, როგორიც ჩვენს თაობაში არასოდეს გვინახავს. ცვლილებას ვერ ველირსებით, თუ არ ვირწმუნებთ

60 ბაანაღბური კრიპრონიტი!

ან რაიმეს სხვაგვარად არ გავაკეთებთ. აი დასკვნაც: შენ შეგიძლია მოიტანო ცვლილება. თუ ჩემგან ან რომელიმე თქვენგანისგან არ დაინყება, როგორ დაინყება საერთოდ? ღმერთმა მოგვიწოდა, ვყოფილიყავით ცვლილების მომტანები!

ოდესმე დაკვირვებიახართ, რა ხდება, როცა მგრძობიარე სინდისის მქონე, მაგრამ გარეგნულად, თითქოსდა, უმართავი ადამიანი სხვების ცხოვრებაზე პასუხისმგებლობას იღებს? ზოგჯერ ამას დიდი სიკეთე მოაქვს იმ პიროვნებისთვის! მაგალითისთვის წარმოიდგინეთ ახალგაზრდა დედა. იგი ზოგჯერ დაუფიქრებელი, გადარეული და ცოტა მოსულელოც არის მარტოხელობისას, მაგრამ საკმარისია სიყვარული ენვიოს, გათხოვდეს და შვილი გააჩინოს, რომ ეს, ერთი შეხედვით, უკონტროლო გოგონა უცებ გამოსწორდება. მან კარგად იცის, რომ კვლავ უგუნურად თუ მოიქცევა და ძველებურად ხმაურიანი და რისკიანი იქნება, არა მხოლოდ საკუთარ ცხოვრებას ავნებს, არამედ ქმარ-შვილსაც, რომელიც ასე უყვარს.

სწორედ ასეთი რამ უნდა შეგვემთხვეს თითოეულ ჩვენგანს ეკლესიასთან მიმართებაში. ერთმანეთი ძალიან უნდა შეგვიყვარდეს. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ღვთის სიტყვის დაუმორჩილებლობით მხოლოდ საკუთარ თავს კი არა, სხვებსაც ვავნებთ. ჩვენ ერთი სხეულის ნაწილები ვართ! შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზის გამო ჩართო პავლემ ხსენებული მცნება კორინთელთა ეკლესიის მიმართ უფლის სერობაზე საუბრის შუაში:

„ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია; ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდი მაშენებს. არავინ ეძებოს თავისი სარგებელი, არამედ სხვისი“. (1კორ.10:23-24)

და კიდევ, პავლე ასე ეუბნება ფილიპელთა ეკლესიას:

„არაფერი გააკეთოთ ანგარებით ან პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით; საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი! თითოეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებს, არამედ სხვებზეც! ის ზრახვანი იქონიეთ თქვენში, რაც ქრისტე იესოშია!“ (ფილ.2:3,5).

ასეთია იესოს აზროვნება და გული, რომელშიც აღიძრა დედამიწაზე მოსვლისა და ჩვენთვის სიცოცხლის განირვის

ზრახვა. მას შეეძლო საკუთარი თავის შველა. მას შეეძლო ან-გელოზების ლეგიონის გამოძახება ბრალმძებლების ხელიდან თავის დასახსნელად, მაგრამ იგი ჩვენზე ფიქრობდა. მას ჩვენი კეთილდღეობა უფრო ადარდებდა, ვიდრე საკუთარი თავი.

აი, სად არის კარგი ამბავი. თუ ჩვენ, ცალკეული მორწმუნეები, ღვთის სიტყვის მორჩილებაში ვიცხოვრობთ, საბოლოოდ, კურთხეულები ვიქნებით. შესაძლოა, უსიამოვნო ან სულაც რთულ პერიოდებს გავდიოდეთ სხეულის რომელიმე წევრის დაუმორჩილებლობის გამო, მაგრამ საბოლოოდ წარმატებას მივაღწევთ.

ელია გახლავთ სხვათა ქცევის გამო გატანჯული ადამიანი. ახაბისა და იზებელის განუწყვეტელი ცოდვის და ასევე, ისრაელი ერის ცოდვისადმი გულგრილობის გამო ქვეყანაში წვიმა არ ყოფილა წლების განმავლობაში. ელია უხვად ვერ ჭამდა, როგორც ეს ჩვეული ამბავი იყო დავითისა და სოლომონის მეფობისას. წლების მანძილზე უწევდა ყორნების მიერ მოტანილი პურისა და ხორცის ჭამა, რაც სულაც არ იყო სასიამოვნო! ეს მონოტონური დიეტა გახლდათ, ყოველგვარი ბოსტნეულის, თაფლის, წველების და სხვა მრავალი დელიკატესის გარეშე, რომლებიც იმ ეპოქაში უხვად იპოვებოდა. ეს სხვათა ცოდვების გამო მის ცხოვრებაში მოსული სიძნელე გახლდათ. თუმცა ელია ერთი ერის, ერთი ხალხის და ერთი სხეულის ნაწილი იყო. მისმა მორჩილებამ, საბოლოოდ, ცვლილება მოახდინა ... ინვიმა. ამან კურთხევა მოუტანა ერს და ბოლოს, თავადაც იქნა ნაკურთხი.

## მშვიდობის აღთქმა

თუ ელიამდე დიდი ხნით ადრე მომხდარ სხვა შემთხვევას გადავხედავთ, კვლავ დავინახავთ ბევრის ტანჯვას ერთეულების მიერ ჩადენილი ცოდვების გამო. ისრაელი უდაბნოში იმყოფებოდა, აკაციის ქალაში. წმიდა წერილში ვკითხულობთ:

„დარჩა ისრაელი შიტიმში და დაიწყო ხალხმა მრუშობა მოაბელ ასულებთან; თავიანთი ღმერთების სამსხვერპლოებთან ინვედნენ ხალხს ისინი და ჭამდა ხალხი და სცემდა თაყვანს მათ ღმერთებს. მიენება ისრაელი ბაყალ-ფედორს და ალიგზნო უფლის რისხვა ისრაელზე“.  
(რიცხვ.25:1-3)

ღმერთმა მის ერს უთხრა, რომ თაყვანი არ ეცათ სხვა ღმერთებისთვის, არ დაკავშირებოდნენ უცხოტომელ ქალებს ან არ მისცემოდნენ მათთან ერთად სქესობრივ უზნეობას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთების დაუმორჩილებლობამ მთელ თემზე (ერზე) სასჯელი მოიტანა და ისევ ვხედავთ, როგორ ემსხვერპლა მრავალი იმ ზოგიერთი ადამიანის ცოდვებს.

„უთხრა უფალმა მოსეს: „მოიყვანე ხალხის ყოველი მთავარი, ჩამოკიდე ისინი უფლის წინაშე მზისით და უკან მიიქცევა უფლის რისხვის მძვინვარება ისრაელისგან!“ (რიცხვ. 25:4)

ისევ ვნახეთ, რომ (ზოგიერთ) მთავართა ქმედებებმა უფლის რისხვა აღძრა ისრაელის მიმართ. ისინი ერთი ერი, ერთი ხალხი და ერთი სხეული იყვნენ.

დაახლოებით იგივე დროს, როცა მოსემ მთავართა დასჯის ბრძანება გასცა, ერთმა ისარელიანმა, სახელად სიმონმა მიდიანელი ქალი ქოზბი თავის კარავში შეიყვანა მოსეს და სხვა ხალხის თვალწინ. ეს იყო ღვთის სიტყვის გაცნობიერებული და მიუღებელი ურჩობა. მყისვე, ფინხასმა, ელეაზარის ძემ და აჰარონის შვილიშვილმა შუბი აიღო, სიმონის კარავში შევარდა და არა მარტო სიმონს ჩასცა, არამედ ერთი დარტყმით ქოზბიც ზედ მიაყოლა. ამის შემდეგ ვკითხულობთ: „და შეწყდა ისრაელის ძეთა მოსრვა. ოცდაოთხი ათასი კაცი მოსრა ამ ჭირმა“ (რიცხვ.25:8-9). კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ბევრი მოკვდა, ბევრი დაზარალდა, ბევრს შეეხო სხვისი ცოდვის შედეგები. ერი ერთი იყო ღვთის თვალში.

შემდეგ ღმერთმა განაცხადა: „დააცხრო ჩემი რისხვა ისრაელის ძებზე ფინხასმა, ელეაზარის ძემ, აჰარონ მღვდლის ძემ, რადგან შური იძია ჩემთვის და აღარ მოვსპე ისრაელის ძენი ჩემი შურისძიებით“ (რიცხვ.25:10-11). ფინხასის შური ღვთიური შური იყო – მთელი ერის საკეთილდღეოდ. ფინხასი იყო ის, ვინც სასიკეთო ცვლილება მოიტანა. ამას ყველა ადამიანი არ დასჭირვებია, არამედ მხოლოდ ერთი კაცი.

პავლე ის ერთი კაცი იყო, რომელსაც ღვთიური მოშურნეობა გააჩნდა კორინთოს ეკლესიის მიმართ. ის ერთადერთი გახლდათ, ვინც ჭეშმარიტებით გაბედულად დაუპირისპირდა ეკლესიას. მან აიღო ღვთის სიტყვა – სულის მახვილი – და უზნეობაში მცხოვრები ერთი ადამიანის ქმედებას ჩასცა. ძველ აღთქმაში ნამდვილი შუბი მოქმედებდა, ხოლო ახალ აღთქმასა



და დღევანდლობაში „შუბი“ მაშინ მოქმედებს, როცა გაბედულად დავდგებით და ჭეშმარიტებას ვილაპარაკებთ იმ დროს, როცა სხვები ყურს იყრუებენ და თვალს იბრმავებენ თემის რომელიმე წევრის ცნობილ ცოდვაზე.

უკანასკნელი პიროვნება, რომელზეც პავლე ფიქრობდა, საკუთარი თავი იყო. ის არაფრით განსხვავდებოდა ჩემი მეგობრისგან, რომელიც საზღვაო ქვედანაყოფში მსახურობს. იგი სხვების სიკეთეს საკუთარ კომფორტსა და პოპულარობაზე წინ აყენებდა. მან კორინთოს ეკლესიის მხრიდან სრული უარყოფის საფრთხეც არად მიიჩნია. პავლეს მოშურნეობა ამოძრავებდა, თუნდაც მისი დიდი სიყვარულის კვალობაზე კორინთოელ მორწმუნეებს უფრო ნაკლებად ყვარებოდათ იგი.

არც ფინხასი ფიქრობდა საკუთარ თავზე. მან იცოდა, რომ შესაძლებელი იყო უხეშობაში, სისასტიკეში, შეუბრალებლობაში, ჩამორჩენილობაში, რადიკალური ან მოძველებული რწმენის ქონაში დაედანაშაულებინათ. ის ერთი კაცი იყო და სხვა დანარჩენები არაფრის გაკეთებას არ აპირებდნენ. რას იფიქრებენ, იტყვიან და გააკეთებენ ადამიანები? არც ერთ მსგავს არგუმენტს არ ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა. მეფსალმუნე ამბობს: „წამოდგა ფინხასი, (გაბედულად) ჩაერია“ (ფს. 106:30). მას მოშურნეობა ჰქონდა ღვთისა და მის მიმართ, ვისზეც ღმერთი ზრუნავდა – მისი ერის მიმართ. მას უყვარდა თემი. მან ცვლილება მოიტანა.

ახლა ნახეთ, რას ამბობს ღმერთი მის შესახებ:

„ამიტომ უთხარი, რომ მშვიდობის აღთქმას ვაძლევ მას. და იქნება ეს მისთვის და მისი შთამომავლობისთვის მის შემდგომ მღვდლობის მარადიულ აღთქმად, ვინაიდან შური იძია თავისი ღვთისთვის და გამოისყიდა ისრაელის ძენი“. (რიცხვ.25:12-13)

ეს განაცხადი თვალწინ დამიდგა ბიბლიის მრავლწლიანი შესწავლის შემდეგ. არა მარტო მოსემ დაწერა ამის შესახებ, არამედ, მოგვიანებით, მეფსალმუნეც ხაზს უსვამს მის საზღაურს:

„წამოდგა ფინხასი, ჩაერია და შეჩერდა მომსვრელი სენი. სიმართლედ ჩაეთვალა მას ეს თაობიდან თაობამდე, სამარადჟამოდ“. (ფს.106:30-31)

მახსოვს ის მოწინება, რომელიც პირველად ვიგრძენი ამ ახალგაზრდა კაცის დიდებული საზღაურის წაკითხვისას. იგი არ მოერიდა რისკს, ოღონდ კი ღვთისთვის ეამებინა. მან არა დროებითი, არამედ მარადიული საზღაური მიიღო, რომელიც ალთქმით არის დაბეჭდილი. გახსოვდეთ, ღმერთი ალთქმას არასოდეს ტყხს. ხსენებული საზღაური არა მხოლოდ მას შეეხება, არამედ მის შვილებსა და შვილთაშვილებს ყველა თაობაში – ჩვენი ჩათვლით! ყველა მომდევნო თაობა დაჯილდოვდება მისი მზადყოფნის გამო, რომ მხარი დაეჭირა იმისთვის, რაც სწორი იყო ღვთის თვალში.

როცა ფინხასის მაგალითი ვიხილე, მიზნად დავისახე, რომ ყოველთვის ჭეშმარიტება მელაპარაკა, თუნდაც პავლეს მსგავსად ადამიანების სიყვარული დამეკარგა. ამაში დიდ საზღაურს ვხედავდი არა მარტო ჩემთვის, არამედ ღიზასა და ჩვენი შვილების, მათი შვილებისა და ყველა მომდევნო თაობისთვის. ეს იქნებოდა მშვიდობის ალთქმა, რომელიც არასოდეს დაირღვეოდა და კურთხევა თაობიდან თაობაზე გადავიდოდა.

ამრიგად, დიდად ამავეს იმის დანახვამ, თუ როგორი დაშურებით იმსახურებდნენ ჩვენი ძეები ღვთის სასიკეთოდ. სახარების მსახურების გამო წელიწადის თითქმის ნახევარი სახლიდან გასული ვიყავი. ჩემი შვილები კი იზრდებოდნენ, მაგრამ ჩანდა, რომ ღვთიური მშვიდობის ალთქმა დაცული იყო იმ ადამიანთა შვილებისთვის, რომლებიც მზად იყვნენ ცვლილებების მოსატანად. იგივე კურთხევას ჩემი შვილიშვილებისთვისაც ველოდები.

არის დაფარული კურთხევა იმ ჭეშმარიტებებში, რომელთაც ფარდა ავხადეთ აქამდე? დიახ, ეს გახლავთ *მშვიდობის ალთქმა*, რომელიც მარტო თქვენ კი არა, თქვენს შთამომავლობასაზე მინვდება, თუკი ცვლილების მომტანი ხმა იქნებით მოშურნე ღვთის თვალში მაშინაც კი, როცა სხვები უმოქმედოდ არიან.

ერთად დავინახეთ თუ არა, რამდენად სჯობს სულის მახვილის გამოყენებით სიყვარულში ლაპარაკი მორწმუნეთა თემში უჩუმრად ყოფნასა და ცოდვის აღზევებისა და გავრცელების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას?

ჩემთვის პასუხი ცხადია, მაგრამ გადაწყვეტილება თქვენზეა.

## იამბახე!

აი, კარგი ამბავი, რომელსაც ელოდით: ქეშმარიტებისთვის მტკიცედ დგომა, რაც ღვთისა და მისი ერის სიყვარულის გამო კეთდება, იმ ადამიანთა შორის გაყენებით, რომლებმაც ღვთისგან კურთხევის საუკუნო, აღთქმით გამყარებული შეპირება მიიღეს და ეს აღთქმა არა მარტო მათ, არამედ მათი შემდგომი თაობების მომავალსაც განსაზღვრავს.

შეგიძლიათ რამე უფრო ძალმოსილზე ფიქრი, რასაც თქვენი შთამომავლობისთვის გააკეთებდით? არანაირ ამქვეყნიურ, ფიზიკურ მემკვიდრეობას არ შეუძლია ასეთი აღთქმის მოტანა – ფულის დახარჯვისთვის ერთი-ორი თაობაც საკმარისია და არც ცოდნა და სიბრძნე მოგროვდება მრავალ თაობისთვის გადასაცემად. მხოლოდ ღვთის ერთგულების აღთქმაზე დაფუძნებულ მემკვიდრეობას აქვს ხანგრძლივი ზეგავლენა.

რა მემკვიდრეობას უტოვებთ მომავალ თაობებს? როგორ გინდათ დედამიწაზე დაგიმასხოვრონ და როგორ გინდათ ზეცაში გაგიცნონ? ამ სურვილთა გადაცემის უდიდესი გასაღებია სიყვარულსა და ქეშმარიტებაში თქვენი მტკიცე დგომა დედამიწაზე ყოფნის ხანმოკლე ჟამს.



## მოტივაცია

ამას წინათ აიფონით ტექსტების გაგზავნა გამიძნელდა. ყველაფერი ვცადე პრობლემის გადასაჭრელად: აპლიკაციების დახურვა, ტელეფონის გამორთვა და ხელახლა ჩართვა, „მუშაობის ძალდატანებით შეწყვეტა“ – მოქმედება, როცა სხვა დანარჩენი არ ამართლებს. შემდეგ უფრო რთული ნაბიჯები გადავდგი, მაგრამ ამ გულისგამანვრილებელ პრობლემას ვერაფერი მოვუხერხე.

ამ შემთხვევამ დამარწმუნა, როგორ ვართ დამოკიდებული სმარტფონებზე და რამდენად მნიშვნელოვანია ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისე მოხდა, რომ ჩვენი უმცროსი ვაჟი ინდოეთში იმყოფებოდა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისთვის და თან მწყემსებისა და უხუცესებისთვის წიგნები უნდა დაერიგებინა. მას რალაც სირთულეები შეხვდა და მომწერა, მაგრამ საათების განმავლობაში ვერ შევძელი მისთვის მეპასუხა ჩემი ტელეფონის მოულოდნელი პრობლემის გამო. თხუთმეტი წუთი დამჭირდა ერთი თუ ორი წინადადების დასაწერად. შემდეგ ჩემმა ტელეფონმა აპლიკაცია გამორთო და დაბეჭდილი დაიკარგა. მთელი პროცესის თავიდან დაწყება დამჭირდა. ოთხ საათში ერთი პატარა ტექსტის დაბეჭდვა ძლივს მოვახერხე. გაცილებით მეტის თქმა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. საჭირო აღარ არის იმის აღნიშვნა, რომ ძალზე იმედგაცრუებული გახლდით.

ბოლოს, ჩემი ტელეფონი სპეციალისტებს წავუღე, ტექნიკოსებს, რომლებმაც ჩემზე გაცილებით კარგად იცოდნენ მისი მუშაობის პრინციპი. დღეების განმავლობაში ვცდილობდი პრობლემის გადაჭრას, მაგრამ მათ თხუთმეტი წუთში აღმოაჩინეს მისი მიზეზი. რამდენიმე საათში ყოველგვარი შეფერხების გარეშე ვგზავნიდი შეტყობინებებს. ჩანს, გაუცნობიერებ-

ლად გავაკეთე რაღაც ისეთი, რამაც ტელეფონის ოპერაციულ სისტემა არია.

რა მოხდებოდა, გამოსავალი რომ ვერ მეპოვა? დრო რომ არ მქონოდა სპეციალისტებთან კონსულტაციისთვის? კიდევ კარგა ხანს გამოვიყენებდი მას ფუნქციონირების დონეზე ნაკლები სიმძლავრით და ჩემდა სამწუხაროდ, ბევრ დროს დავკარგავდი. ეს ხელს შემძლიდა ჩემს ოჯახთან, გუნთან და მეგობრებთან ურთიერთობაში.

მოდი, წინ წავდგათ ერთი ნაბიჯი! დაფუშვათ, არასოდეს მქონოდა მესიჯების გაგზავნის გამოცდილება? ოცდაათი წლის წინ არათუ სმარტფონი, მესიჯიც კი არ ვიცოდით, რა იყო. 100 წლის წინ ტრანსკონტინენტალური სატელეფონო ზარის განხორციელებაც შეუძლებელი გახლდათ. ჯერ კიდევ არ არსებობდა. ალბათ, იმ დროს დიდად კმაყოფილი ვიქნებოდით, თუ ჩემს ვაჟს ინდოეთში წერილს ოთხ საათში მივწერდი. ნები-სმიერი კომუნიკაცია კარგი იქნებოდა, ვიდრე საერთოდ მის გარეშე დარჩენა.

ჩემთვის შესაძლებლის ცოდნის გარეშე არ დავინყებდი გამოსავლის გულმოდგინე ძიებას და შევეჭიდებოდი ჩემს სავალ გზაზე შემხვედრ დაბრკოლებებს. თუმცა აიფონის მეშვეობით გამოვცადე მისი ფუნქციების სიკეთე და ამ ცოდნამ ჩემი იმედგაცრუების დონე ძალიან გაზარდა.

თქვენი პოტენციალის გაცნობიერების გარეშე რაიმეს მიღწევის არც სურვილი და არც შინაგანი ბიძგი არ გექნებათ. ჩვენგან მრავალმა არ იცის, რა ძალა აქვს გაერთიანებულ სამხედრო ერთეულს, ისე როგორც ჩემმა მეგობარმა იცის „ზღვის ლომებიდან“. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რომ მის ოცეულში რაღაც დაბრკოლება წარმოიშვა, რამაც მათ მარცხი მოუტანა? იგი უბრალოდ გალიზიანებული კი არა, ალბათ, მკვდარიც იქნებოდა.

ძველი ალთქმის ამბის გახსენებისას, შეგიძლიათ ყაქანის საქციელის გამო ისრაელის აღშფოთების დონე წარმოიდგინოთ? მათ დიდი გამარჯვება მოიპოვეს იერიხოსთან, მაგრამ ჰალაის შემდეგ ოცდათექვსმეტი ახლო მეგობრის დასაფლავებას დაესწრნენ და დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიმრეს.

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ პავლეს იმედგაცრუება, როცა აღმოაჩინა, რომ მისთვის საყვარელი კორინთელები სულიერი კრიპტონიტის საშინელი შედეგებით იტანჯებოდნენ: უძლურება, უკუჩრებილი დაავადებები და ნაადრევი სიკვდილი. მან კარგად იცოდა იქაურ მორწმუნეთა პოტენციალი, მაგრამ ამ

უკანასკნელთ თვალები დაბრმავებული ჰქონდათ. მათმა პირადმა სურვილებმა გადაწონა მთელი თემის სიკეთე.

რას იტყვით თქვენ? რას იტყვით იმ ქრისტიანულ თემზე, რომლის წევრიც ხართ? წარმოვიდგენ, რომ ამ გამომწვევ სიტყვებს თქვენი დარწმუნებულობა გაკითხვბთ: ქრისტიანულ ცხოვრებაში უფრო მეტიც არსებობს. ღმერთმა ეს სურვილი თქვენს გულში ჩადო. თქვენ უფრო მეტად დაინტერესდით სრული ცხოვრებით მის თანდასწრებაში და მძლავრი სულიერი ტრანსფორმაციის დამონებით თქვენს თემში, ვიდრე ჭეშმარიტების დროებითი დისკომფორტის თავიდან აცილებით.

## თქვენი სინათლე მოვიდა

ამ წიგნის შესწავლას შედეგად ორი მთავარი სარგებელი მოყვება: ერთი მნიშვნელოვნად აამაღლებს თქვენი თემის ეფექტურობას და მეორე პირადად თქვენ გაგამდიდრებთ მეტი ნაყოფიერებით, სისრულით და ღმერთთან სიახლოვით. (ამ დრომდე ჩვენი ყურადღება მიპყობილი იყო ქრისტიანული თემისკენ, მაგრამ ბოლოს ისევ თქვენზე გადმოვალთ, როგორც ცალკეულ ადამიანებზე).

როგორი უნდა იყოს ჩვენი ხედვა თემის მიმართ? ჩემი აიფონის მაგალითის არ იყოს, ამ კითხვაზე პასუხი სურვილს და მოტივაციას აანთებს, რომ კვლავ განვაგრძოთ ძიება და მოვიშოროთ ნებისმიერი დაბრკოლება, რომელიც ჩვენი პოტენციალის სრულად გამოვლენაში ხელს გვიშლის.

ესაია წინასწარმეტყველებს:

„აღსდექე, განათდი, რადგან მოვიდა შენი სინათლე და უფლის დიდება გაბრწყინდა შენზე! რადგან, აჰა, სიბნელე დაფარავს დედამიწას და წყვდიადი - ხალხებს, შენზე კი უფალი გაბრწყინდება და მისი დიდება გამოჩნდება!“ (ეს.60:1-2)

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ესაია ზეცაზე არ ლაპარაკობს. იგი ასევე არ ლაპარაკობს ქრისტეს ათასწლოვან მეფობაზე, დროზე, როცა იესო დედამიწაზე იმეფებს ათასი წელი, როგორც გამოცხადების წიგნშია აღწერილი. წინასწარმეტყველი ასევე არ ეხება ახალ ცასა და ახალ დედამიწაზე, რაზეც პეტრე და სხვა ავტორები ლაპარაკობდნენ. არა, ის აღწერს პერიოდს, როცა დედამიწას სიბნელე მოიცავს. ამრიგად,

ეს წინასწარმეტყველება ნამდვილად შეიძლება მიგვითითებდეს ჩვენს თანამედროვეობაზე, რაშიც მე დარწმუნებული ვარ.

წინასწარმეტყველის ნათქვამის თანახმად, ხალხს უკუნი სიბნელე მოიცავს – არა ცალკეულ გეოგრაფიულ ადგილებს, არამედ მთელ დედამიწას. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც სიბნელე დღითი დღე იზრდება. ჩვენ სულ უფრო და უფრო ვშორდებით შემოქმედის გულს. მე მხოლოდ ათეისტებზე, გნოსტიკოსებსა და კულტების მიმდევრებზე არ ვლაპარაკობ, არამედ ბევრი მაღიარებელი ქრისტიანიც მყავს მხედველობაში. ეს ის დროა, რომელსაც პავლე განსაკუთრებით გამოჰყოფდა: „დადგება დრო, როცა საღ მოძღვრებას ვედარ აიტანენ, არამედ თავიანთი გულისთქმებისამებრ შემოიკრებენ ყურის მომქავებელ მასწავლებლებს“ (2ტიმ.4:3). შემდეგ ის გოდებს: „ჭეშმარიტებას ყურს აარიდებენ და ზღაპრებისკენ მიმართავენ“ (მუხ. 4).

ამ დროის შესახებ ესაია აცხადებს, რომ ნამდვილი მორწმუნეები გაანათებენ – გამორჩეული იქნებიან. ამაზე ასე იფიქრეთ: ბნელ ოთახში თუ შეხვალთ და ჩამრთველს ჩართავთ, სიბნელე მეყსეულად გაიფანტება. სიბნელეს არ შეუძლია სინათლის გადაფარვა. ოდესმე გსმენიათ სასიგნალო სიბნელის შესახებ? არა, მხოლოდ სასიგნალო შუქის შესახებ გსმენიათ, რადგან მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად დიდია სიბნელე, სინათლე მაინც ძლევს და დევნის მას.

იესო აცხადებს, რომ ჩვენ ვართ ნუთისოფლის ნათელი. უნდა ვანათებდეთ და სიბნელეზე ძლიერები ვიყოთ, მაგრამ როგორ გავაკეთოთ ეს და რას უნდა ჰგავდეს? ესაიას თანახმად, ისე უნდა ვანათებდეთ, რომ ურწმუნოებმა ღვთის დიდება იხილონ.

„დიდების“ აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა გახლავთ *ქაბოდ*, რაც ნიშნავს ბრწყინვალეობას, სიდიადეს, სიმდიდრეს, ძლიერებას, სიუხვეს, პატივს, დიდებულებას და წონას. ერთი ნუთით დაფიქრდით, რას გვეუბნება ეს სიტყვა. როცა ბიბლია ღვთის დიდებაზე ლაპარაკობს, მის ბრწყინვალეობაზე, სიდიადეზე, სიმდიდრეზე, ძლიერებაზე, სიუხვეზე, პატივსა და უმაღლესობაზე მიუთითებს. ბოლო გამსაზღვრელი სიტყვა „წონა“ გვაჩვენებს, რომ ეს თვისებები ამონურვადი როდია, არამედ მთელი სიძლიერით მოქმედებს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის მისი სიდიადის წონა. პავლე წერს, რომ ღმერთმა ამ ცოდნით „ჩვენი გულებიც გაანათა; რათა მოეცა ღვთის



დიდების შემეცნების სინათლე“ (2კორ.4:6). იგი ასე განაგრძობს:

„ეს განძი თიხის ჭურჭლებში გვაქვს, რათა აღმატებული ძლიერება ღვთისგან იყოს და არა ჩვენგან“. (2კორ.4:7)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „აღმატებული ძლიერება“. ღვთის ბრწყინვალეობა, სიდიადე, სიმდიდრე, სიუხვე, პატივი და უმაღლესობა ჩვენს გულებში მთელი სიმძლავრით არის მოთავსებული. სწორედ ამის გამო აცხადებს იგი, რომ აღმატებული ძლიერება ღვთისგანაა და არა ჩვენგან“. ჩვენ აქ ძალაზე ვლაპარაკობთ, რომელიც ნებისმიერ სიბნელეს გაფანტავს, თუკი ის ჩვენი მისიის შესრულების გზაზე გადაგველობება.

როცა საზღვაო ტაქტიკური ქვედანაყოფის ოცეული დავალებაზე მიდის, არ გეგმავს უკან დამარცხებით დაბრუნებას და არც ბრუნდება დამარცხებული. ჩვენ „ზღვის ლომებზე“ მტკიცე დაპირება გვაქვს! და მას გაცილებით დიდი ძალა უმაგრებს ზურგს წარმატების მისაღწევად!

წიგნის დარჩენილ ნაწილში ამ მნიშვნელობის დასამახსოვრებლად ხშირად გამოვიყენებ სიტყვებს „მისი სიდიადე“, როცა ღვთის დიდებას შევხები (თუმცა მხედველობაში მიიღეთ სხვა მნიშვნელობებიც, რომლებზეც ზედა მონაკვეთში ვისაუბრეთ).

ესაია აცხადებს, რომ მისი სიდიადის ხარისხი ჩვენგან ბრწყინდება და ზემოდან არ გადმოდის ჩვენზე. საიდან ბრწყინდება? ჩვენი გულებიდან! გახსოვდეთ, რომ ჩვენ „ეს განძი თიხის ჭურჭლებში გვაქვს“ (მუხ. 7)!

ამრიგად, ვსვამ კითხვას: „რატომ არ ვლინდება ღვთის უზენაესი სიდიადე ჩვენი მეშვეობით საზოგადოებაში? რატომ არის ამდენი უძლური, სნეული და ნაადრევად გარდაცვლილი კი? იქნებ იმიტომ, რომ სულიერ კრიპტონიტს ვინყნარებთ?“

## თემის კოტენციალი

მაშ, რა შეიძლება იყოს დღევანდელი საზოგადოების დადებითი პოტენციალი? გაიხსენეთ პირველი ეკლესია. ორმოცდამეათე დღეს 120 მონაფე ზემოთვალში იმალებოდა. გვეუბნებიან, რომ ისინი ერთ სულში იყვნენ. რამ გამოიწვია ეს ერთობა? როცა იესო მკვდრეთით აღდგა, მან, სულ მცირე, 500 მორწმუნეს მაინც უთხრა, წასულიყვნენ ზემოთვალში და მა-

მის აღთქმულს დალოდებოდნენ (იხ. 1კორ.15:6 და ლუკ.24:33-53). რატომ იყო იქ მხოლოდ 120 გარკვეული დღეების შემდეგ? რატომ ყველა არ დაელოდა და რა დაემართა დანარჩენ 380 ადამიანს? მათ შემდგომში აღარ ახსენებენ გარდა იმისა, რომ ზოგიერთები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ ჩვ. წ.-ით 56 წელს, როცა პავლემ კორინთელებს წერილი მისწერა. დანამდვილებით კი მხოლოდ ის ვიცით, რომ ისინი არ დაელოდნენ მამის აღთქმულს, თუმცა იესომ მკაფიო მითითება მისცა ამის თაობაზე (იხ. საქმ.1:1-15).

იქნებ იმ 380-მა ადამიანმა უფლის მითითება ერთ-ერთ ვარიანტად ან კარგ რჩევად ჩათვალა? იქნებ ამ თხოვნის შესრულება ეძნელათ? ალბათ, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ უფლის მსახურება სხვაგვარადაც შეიძლებოდა. ვფიქრობ, ზოგიერთი მათგანი სახალხოდაც ქადაგებდა აღდგომაზე.

როგორც არ უნდა იყოს, ღვთის სულს, რომელიც ასევე დიდების სულად იწოდება (იხ. 1პეტრ.4;14), ისინი არ აუფსია. მხოლოდ 120 ადამიანი მოინათლა ღვთის სიდიადის სულით. რამ განაპირობა მათი ერთიანობა? ისინი თავიანთ მოსაზრებებს არ ინარჩუნებდნენ დანარჩენი 380-ის მსგავსად. დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის სიტყვის მორჩილება მათი გადანყვეტილება იყო და ამას საკამათოდ არ ხდიდნენ.

ღვთის დიდებამ (რომელიც მის ძალასაც მოიცავს) აავსო ისინი და სწორედ იმ დღეს ხელახლა იშვა 3 ათასი ადამიანი! მათ ფლაერები არ დაურიგებიათ და არც რეკლამები განუთავსებიათ ებრაულ ყურნალებში, არ გამოუყენებიათ მასმედიის სტრატეგიები ან მძლავრი რადიორეკლამები. ფაქტობრივად, არც შეკრება დანიშნულა სადმე. და მაინც, ღვთის სიდიადე მთელ ქალაქს გაეცხადა.

მოკლე ხანში კიდევ ხუთი ათასი კაცი ზეციდან იშვა ქალები-სა და ბავშვების გარდა. ეს ამბავი მას შემდეგ მოხდა, როცა მოწაფეებმა ტაძართან მჯდომი დავრდომილი განკურნეს. საოცარი რეალობა ამ მრავალ მოქცეულთან დაკავშირებით ის გახლავთ, რომ პეტრესა და იოანეს გადარჩენისთვის მოწოდების გაკეთების საშუალებაც კი არ მიეცათ, რადგან ისინი მანამდე დააპატიმრეს, სანამ ამას მოახერხებდნენ!

მთელი იერუსალიმი შფოთავდა იმ მოვლენების გამო, რაც ქალაქში ხდებოდა. ყველამ გაიგონა მძლავრი ქარის ქროლვის ხმა. ქალაქის მკვიდრებმა მოისმინეს, როგორ ლაპარაკობდნენ მოწაფეები ღვთის სიდიადის შესახებ სხვადასხვა ენებსა და დიალექტებზე, რომლებიც იქამდე არ იცოდნენ. ყველამ იხილა

იესო ქრისტეს სახელით მომხდარი საოცარი სასწაულები.

რამდენიმე დღის შემდეგ შეკრებილები ლოცულობდნენ და მთელი შენობა შეირყა, სადაც ისინი იმყოფებოდნენ. ბიბლია არ აზვიადებს. თუ ის ამბობს, რომ შენობა ირყეოდა, შეგიძლიათ, სანაძლეო დადოთ, რომ ნამდვილად ირყეოდა. იმ მორწმუნეთაგან დიადი ძალა, სიუხვე და კურნება გადმოდიოდა.

ნათქვამია, რომ „არავინ იყო მათ შორის გაჭირვებული“ (საქმ.4:34). ვხედავთ, რომ პეტრე ქუჩებში დააბიჯებდა და არა ერთ რომელიმე ქუჩაზე, არამედ ქუჩებში და სავალ გზაზე კურნავდა ყველა სნეულს და იქვე მწოლიარე დავრდომილებს, რომ ჩავლილი პეტრეს ჩრდილი მაინც დაჰფენოდათ. წმიდა წერილი ამბობს, რომ „ყველანი იკურნებოდნენ“ (საქმ.5:16). ასეთია ღვთის სიდიადე! ეს იმას ჰგავს, რომ მორწმუნე კლინიკის დერეფნებში დადიოდეს და იქ მყოფ ყველა ავადმყოფს კურნავდეს.

წმიდა წერილი იმასაც გვეუბნება, რომ ერთი კაცი და მისი ცოლი ერთ-ერთ მსახურებაზე მკვდრები დაეცნენ, როცა მწყემსი მოატყუეს. ამ ორი გარდაცვლილის შესახებ ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელ ქალაქში და „დიდი შიში“ მოიტანა ყველა მსმენელის გულში, მაგრამ მოწაფეების მიმართ მათი პატივისცემა გაიზარდა (იხ. საქმ. 5:1-13). ჯანსაღმა შიშმა ადამიანები როდი დააფრთხო, პირიქით, უფრო მეტი მოვიდა მოციქულთა მოსასმენად: „სულ უფრო და უფრო ემატებოდნენ უფალს მორწმუნენი, მრავალი მამაკაცი და დედაკაცი!“ (საქმ.5:14).

ასეთი ამბები მხოლოდ იერუსალიმში არ ხდებოდა. იესოს მორწმუნეები ყველგან თამამად ამონმებდნენ და მთელი ქალაქები იღებდნენ სულის გადარჩენასა და განკურნებას. ფილიპე, რომელიც ქვრივებს სუფრებზე ემსახურებოდა, სამარიაშიც მივიდა. წერილი ასე გვეუბნება: „მრავალი დაკავებულიდან ყვირილით გამოდიოდნენ არანმიდა სულელები; ბევრი დავრდომილიც და კოჭლიც იკურნებოდა. და იყო დიდი სიხარული იმ ქალაქში“ (საქმ. 8:7-8). ფილიპეს მიერ „მოხდენილ დიდ სასწაულებსა და ნიშნებს რომ ხედავდა, უკვირდა ცნობილ ჯადოქარსაც“ (საქმ.8:13). მთელმა ქალაქმა შეიტყო იესოს შესახებ ან გადარჩენა მიიღო.

კიდევ ერთი შემთხვევის შესახებ ვკითხულობთ, როცა პეტრემ რვა წელიწადს სარეცელზე მწოლიარე დავრდომილი განკურნა. წერილი ამბობს, რომ ამ განკურნების შემდეგ „ყველამ, ვინც ლიდასა და შარონში ცხოვრობდა, იხილა იგი და

უფლისკენ მოიქცა“ (საქმ.9:35). არა ერთი, არამედ ორი ქალაქი მოიქცა და განსაკუთრებით არის აღნიშნული, რომ „ყველამ“ მიიღო გადარჩენა.

იაფოში ტაბითად წოდებული ქალბატონი მკვდრეთით აღდგა და ეს ახალი ამბავიც მთელ ქალაქს მოედო – კიდევ ერთ დასახლებულ პუნქტზე მოახდინეს ზეგავლენა.

საბოლოოდ, პეტრე დააპატიმრეს, მაგრამ ანგელოზი მოვიდა უმკაცრესი რეჟიმის საპატიმროში და შუალამეს ბორკილებისგან გაათავისუფლა.

მმართველი მკვდარი ეცემა და მატლები ჭამენ, რადგან დიდება არ მიაგო ღმერთს. ღვთის სიდიადე სიბნელებში ცხადდება მთელ ერში. ვერავინ გაექცა სინათლეს!

სასწაულები, დიდი ძალთაქმედება და გადარჩენილი სულელები მთელ წარმართულ საზოგადოებასა და ქალაქებში ვრცელდება. ფაქტობრივად, ერთგან გვეუბნებიან, რომ „აზიის ყველა მკვიდრი ისმენდა უფლის სიტყვას - როგორც იუდეველები, ისე ბერძნებიც“ (საქმ.19:10). აქ რამდენიმე დაბასა და თუნდაც, დიდ ქალაქზე როდია ლაპარაკი, არამედ მთელ რეგიონზე. და ყველამ მოისმინა! მათ არ ჰქონდათ სოციალური ქსელები ფეისბუქის, ინსტაგრამის ან ტვიტერის მსგავსად. მათ არ ჰქონდათ ვებგვერდები, სატელიტური კომუნიკაციები, ტელევიზია ან რადიო. იმ დროს არც ავტომობილები ან ველოსიპედები არსებობდა, რომ ადამიანები ადვილად შეკრებილიყვნენ! და მაინც, მთელმა რეგიონმა მოისმინა უფლის სიტყვა! აი, რა ხდება მაშინ, როცა ეკლესია ერთობაშია – როცა ღვთის სიტყვას უპირატესობა ენიჭება ჩვენს თემში.

ეს ის ღვთიური სიადიადეა, რომელიც პირველ ეკლესიაში გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, მომდევნო თავში ვიხილავთ, რომ ღვთის გეგმა ჩვენი თაობისთვის კიდევ უფრო დიდია. პირველი ეკლესიის მიერ განცდილი ახლოსაც კი ვერ მოვა იმ ღვთიურ დიდებასა და ძალასთან, რომელიც ჩვენი უფლისა და მეფის, იესო ქრისტეს დაბრუნებას შემოუძღვება!

## იპოქრიტი!

როცა ახალი აღთქმის საოცარ სასწაულებს ვხედავთ, ადვილია ასე ფიქრი: *ეს მართლაც დიდებული იყო მათთვის, მაგრამ ვინმე ჩემნაირი ადამიანი მსგავსს ვერაფერს მოიმოქმედებს. სწორედ ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ამ თავის სათქმელის*

გააზრება: ნიშნები და სასწაულები იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ ისინი განსაკუთრებული ადამიანები იყვნენ, ყველაფერი ამ უბრალო ხალხის რწმენისა და მორჩილების გამო მოხდა და მათ შორის ღვთის სიდიადის გაბრწყინება გამოიწვია.

თუ ღვთის სიდიადის გაბრწყინება შესაძლებელი იყო მყვირალა, გაუნათლებელი, ახალგაზრდა, გამოუცდელი, თავის-ნათქვამა ადამიანებისგან, რომლებიც არაფრით გამორჩეულ სამუშაოებს ასრულებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ არ არსებობს ქვეყნიური სტანდარტი, რომელიც ზეციური დიდების ტარებისთვის გამოსადეგს გაგვხდის. არსებითი მხოლოდ ის არის, რამდენად ერთგული ვიქნებით ღვთის რწმენასა და მორჩილებაში.

გნამთ, რომ შესაძლებელია ამ და კიდევ უფრო მეტი სასწაულების ხილვა? თუ თქვენი ეკლესია ამგვარი ამბების მომსწრე გახდება, განა სიხარულისგან ხტუნვას არ დაიწყებთ? გასურთ, მიიღოთ ყველაფერი, რაც ღმერთს თქვენთვის აქვს განსაზღვრული? ამ კითხვებზე პასუხები ღვთისადმი ლოცვებში გამოხატეთ. შემდეგ მოინანიეთ ყველაფერი, რაც თქვენი აზრით ამგვარი ცხოვრებისთვის შეუსაბამოს და გამოუსადეგარს გხდით. თქვენი შფოთვა ღმერთს მიანდეთ და თავი მიუძღვენით იმ საქმეებისთვის, რომლებიც თქვენთვის გაამზადა.



## ერთის ძალა

ჯვარცმამდე იესოს მიეცა უკანასკნელად ლოცვის შესაძლებლობა არა მარტო საკუთარი გუნდის, არამედ ყველა ჩვენგანისთვის. მან ლოცვას ასეთი შესავალი გაუკეთა: „მხოლოდ ამათთვის არ გთხოვ, არამედ იმათთვისაც, ვინც მათი სიტყვით მირწმუნებს“ (იოან.17:20). ვერავინ უარყოფს, რომ აქ მე და თქვენც ვიგულისხმებით. ჩვენ იესოს შესახებ მათი სიტყვიდან გავიგეთ უშუალოდ კითხვით ან ვინმეს გადმოცემით.

იესო კაცის ძეა. ამრიგად, მას აქვს ძალაუფლება, რომ ითხოვოს მამის ნების აღსრულება დედამინაზე ისე, როგორც ზეცაში სრულდება. აი, როგორ ლოცულობს იგი:

„რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამავ, მე კი - შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში და ირწმუნოს ნუთისოფელმა, რომ შენ წარმომგზავნე. დიდება, შენ რომ მომეცი, მათ მივეცი, რათა ერთი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთი“. (იოან.17:21-22)

იგი ლოცულობს, რომ ერთნი ვიყოთ, რომ ქვეყნიერებამ ირწმუნოს იესო ქრისტე, როგორც მთელი კაცობრიობის მხსნელი. რა საშუალებით შეიძლება ამ სათქმელის ქვეყნიერებასთან მიტანა? პასუხი სხვა არაფერია, თუ არა ღვთის დიდება. ეს მნიშვნელოვანია ჩვენი მისიისთვის. უფალმა მისი დიდება (მისი გაცხადებული დიდება) იმ მორწმუნეებისთვის შემოინახა, რომლებიც ერთნი იქნებიან, მაგრამ აქ არის ერთი საკვანძო მომენტი: *ერთნი მასში, როგორც ის არის ერთი მამა ღმერთთან.*

როგორ იყო იესო ერთი მამასთან? იგი გამუდმებით აკეთებს ასეთ განცხადებებს: „მე ჩემს ნებას კი არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას“ (იოან.5:30). და კვლავ: „ზეციდან ჩემი

ნების აღსასრულებლად კი არ ჩამოვედი, არამედ მისი ნებისა, ვინც მე

მომავლინა“ (იოან.6:38), „აჰა, მოვედივარ, როგორც წიგნის დასაწყისში წერია ჩემზე, შენი ნების აღსასრულებლად, ღმერთო!“ (ებრ.10:7). იგი ერთი იყო მამასთან, რადგან ეძებდა და აკეთებდა იმას, რაც მამას ესათნობოდა, თუნდაც ეს პოპულარული ან მისთვის კომფორტული არ ყოფილიყო.

იგივე ითქმის პირველ მოწაფეებზე. ისინიც ერთ სულში იყვნენ იმ დღეს, როცა ღმერთმა მისი სიდიადე მათი მეშვეობით გაუცხადა ქვეყნიერებას. იქ მხოლოდ 120 მოწაფე იმყოფებოდა და არა ათეულ ათასობით ადამიანი, რომლებსაც იესოსთვის სამწლიანი მსახურებისას მოუსმენიათ. იქ არ იყო 380, ვინც აღმდგარი იესო იხილა, რადგან მისი მითითება რჩევად მიიჩნეის. იქ მხოლოდ რწმენით გაერთიანებული ადამიანები იყვნენ.

პავლე ასე გვთხოვს, უფრო სწორად, გვეკვდრება: „ეცადეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა!“ (ეფეს.4:3). შემდეგ იგი ჩამოთვლის სხვადასხვა ნიჭს, რომლებიც იესომ ეკლესიას დაურიგა – მოციქულები, წინასწარმეტყველები, მახარებლები, მწყემსები და მასწავლებლები. მათი მოვალეობა გახლავთ ეკლესიის აღშენება მიზანმიმართული მისიით:

„ვიდრე ყველანი მივალწევდეთ რწმენის ერთიანობას და ღვთის ძის შემეცნებას, რათა გარდავიქმნათ სრულქმნილ კაცად, ქრისტეს სისრულის ასაკის ზომისამებრ“.  
(ეფეს. 4:13)

ჩვენი მისია ანუ მიზანი არაფრით განსხვავდება პირველი ეკლესიის მიზნისგან: ვიყოთ ერთი და შედეგად გავხდეთ ღვთის სიდიადის (დიდების) გამცხადებლები. სხვა გზა არ არსებობს! ჩვენი თაობა ერთ სულში უნდა იყოს – რწმენასა და ცოდნაში გაერთიანებული. ნამდვილი ერთობისკენ მიმავალი გზა არაფრით განსხვავდება იესოსა და მისი მოწაფეების ღვთის სიტყვისადმი მორჩილებისგან.

იფიქრეთ ამაზე: როცა ისრაელი ერთი იყო, საფუძვლიანად დაამარცხა იერიხო. როცა ისრაელი ერთი იყო სოლომონის მეფობისას, უძლეველი გახლდათ როგორც ერი და ცალკეული ადამიანები ისეთი წარმატებით და კმაყოფილებით ცხოვრობდნენ, როგორც ერთ-ორ თაობას თუ გამოუცდია. სხვა მაგალითებიც არსებობს, მაგრამ სათქმელი ნათელია.



მეორე მხრივ, დააკვირდით საპირისპირო ვითარებას. როცა პავლემ კორინთელთა სულიერი კრიპტონიტი გამოავლინა, სათქმელი ასე დაიწყო: „ჯერ ერთი, მესმის, რომ როცა ეკლესიად იკრიბებით, დაყოფანია თქვენს შორის“ (1კორ.11:18). ცხადად ჩანს, რომ ისინი ერთნი არ უყვნენ! ისმის კითხვა: „რა უშლიდათ ხელს ერთიანობაში? ეს იყო მათი თამაში კრიპტონიტთან – ღვთის სიტყვისადმი დაუმორჩილებლობა. ეს არც განსხვავდება ყაქანის ურჩობისგან, რამაც ისრაელის ერთიანობა და უძღვეველობა შეარყია ჰალაისთან ბრძოლისას.

შემდეგ პავლე საუბრის მიმართულებას ცვლის და პარადოქსალურ განცხადებას აკეთებს:

„... რაც ნაწილობრივ მჯერა. თუმცა აზრთა სხვადასხვაობაც უნდა იყოს თქვენში, რათა გამოჩნდნენ თქვენს შორის გამოცდილინი“. (1კორ.18:19)

რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ღვთისგან მოწონებული ადამიანების გამოჩენა? პასუხი არსებითია რწმენასა და ცოდნაში ერთიანობისთვის გზის გასამზადებლად. ეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც უმრავლესობის მორჩილების ფონზე გამოჩნდა ყაქანის ურჩობა მთელი ისრაელის თემის და მათი მისიის გულისთვის. ეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც 120 ურყევი, მორჩილი მონაფის გამოყოფა დარჩენილი 380 ადამიანისგან, რომლებიც თავიანთი შეხედულებისამებრ მოიქცნენ. ანალოგიური მნიშვნელობა ჰქონდა ამას კორინთოს ეკლესიისთვისაც. უმრავლესობის მორჩილება და ზოგიერთების ურჩობა უნდა გამოვლინებულიყო. თუ ასე არ მოხდებოდა, ერთობისკენ მიმავალი გზა ჩაიხერგებოდა და ღვთის დიდება (სიდიადე) ვეღარ გაცხადდებოდა კორინთოში. ასევე მნიშვნელოვანი იყო კურნების მოტანა იმ უცოდველი ადამიანებისთვის, რომლებიც სათანადო პატივს მიაგებდნენ უფლის სერობას, მაგრამ პირადად დაზარალებდნენ (დაუძღურდნენ, დაავადდნენ და ნაადრევად გარდაიცვალნენ) სხვათა უპატივცემულობის გამო.

პავლე კარგად აცნობიერებდა გაერთიანების უპირატესობას. მან იცოდა, რა მოხდა იერუსალიმში, სამარიაში, ანტიოქიასა და სხვა ქალაქებში, რომლებზეც ღვთის სიდიადემ სრული და საფუძვლიანი ზეგავლენა მოახდინა. სწორედ ამიტომ ევედრებოდა კორინთელებს, რომ ყოფილიყვნენ ერთ სულში და უფრო მეტიც, ეფესელ, ფილიპელ და კოლოსელ მორწ-

80 ბაანაღბურა კრიპრონიტი!

მუნეებსაც იგივეს შეაგონებდა. იესოს მაგალითიდან ვიცით, რომ ერთიანობისკენ მიმავალი სხვა გზა არ არსებობს ღვთის სიტყვის მორჩილების გარეშე.

## შემაჯნალი

ამრიგად, რას იტყვით დღევანდებლობაზე? რწმენის ერთიანობა ისევე მიზნად ითვლება თუ არა? ნება მიბოძეთ, ერთ-ერთ ლოცვაში განცდილი გაგიზიაროთ, რაც არასოდეს დამავინწყდება. ძალზე მკაფიოდ გავიგონე: „შვილო, საქმეთა წიგნი ბავშვურ თამაშად მოგეჩვენება იმასთან შედარებით, რის გაკეთებასაც ეკლესიაში და მისი მეშვეობით ვაპირებ ჩემი ძის მეორედ მოსვლის წინ“.

ელდა მეცა. ფაქტობრივად, არც კი დავიჯერე მოსმენილი და შევეწინააღმდეგე: „მამა, ამაში დასარწმუნებლად სამი სხვადასხვა ადგილი მჭირდება ბიბლიიდან“. საინტერესოა, რომ ამ შეკითხვის დასმის გამო მისი უკმაყოფილება არ მიგრძენია. ჩვენ ყველაფერი უნდა გამოვცადოთ (იხ.1თეს.5:21) და ასევე „ორი ან სამი მოწმის პირით დამტკიცდება ყოველი სიტყვა“ (2კორ.13:1).

უფლის მიერ მითითებული მუხლებიდან ერთ-ერთი ეს გახლდათ:

„რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: სულ მალე კიდევ ერთხელ შევძრავ ცასა და დედამიწას, ზღვასა და ხმელეთს. შევძრავ ყველა ერს და მოვლენ ხალხთა მთელი სიმდიდრით და ავახსებ ამ სახლს დიდებით — ამბობს ცაბაოთ უფალი. პირვანდელზე უფრო დიდი იქნება ამ ტაძრის დიდება — ამბობს ცაბაოთ უფალი“. (ანგ.2:6-7,9)

პატარა ისტორია: ისრაელი ტყვეობაში იყო მრავალი წლის განმავლობაში, თავდაპირველად – ბაბილონის და შემდეგ – სპარსეთის. ღმერთმა მეფე კიროს სპარსელს გულში ჩაუდო ებრაელების გათავისუფლება, რომელთაც თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და ნაბუქოდონოსორისა და მისი არმიის მიერ დანგრეული ტაძრის აღდგენა სურდათ. ბევრი დაბრუნდა იერუსალიმში და ენთუზიაზმით შეუდგა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, მაგრამ მალე დაკარგა ამ საქმისადმი ინტერესი პირადი მოსაზრებებისა და ადგილობრივთაგან მზარდი უკმაყოფილების ერთობლიობის გამო. ღვთის სახლის აღდგენაში

ერთიანი ძალისხმევის სურვილის ანთებას ანგიას, ზაქარიასა და სხვა წინამძღოლების წინასწარმეტყველება დასჭირდა.

და მაინც, გადამწყვეტი შეკითხვა ასეთია: წინასწარმეტყველი იმ ტაძარს გულისხმობდა, რომელიც უნდა დაესრულებინათ თუ სხვას? მოგვიანებით იესო იტყვის: „დაანგრეთ ეს ტაძარი და მე სამ დღეში ავაშენებ მას“ (იოან.2:19). მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის წინ იდგა, შენობას მაინც არ გულისხმობდა, არამედ მისი სხეულის ტაძარს. აქაც ასე ხომ არ არის?

ბიბლიის კომენტარები და ისტორიკოსები მოწმობენ, რომ ისრაელის სამოცდაათწლიანი ტყვეობის შემდეგ აღდგენილი ტაძარი დიდებით არ აღემატებოდა სოლომონის ტაძარს, როგორც გარეგნული მხარით, ისე ღვთის თანდასწრების გამოვლინებით. რაც შეეხება ტაძრის გარეგნულ მხარეს, საუკუნეების შემდეგ ჰეროდეს მიერ აღდგენილი ტაძარიც კი არ იყო სოლომონის პირველ ტაძარზე უკეთესი. როცა სოლომონმა ფიზიკური ტაძარი უფალს მიუძღვნა, უფლის დიდება ისეთი სქელი ღრუბლის სახით გადმოვიდა, რომ იქ მყოფმა მღვდლებმა მსახურების გაგრძელება ვეღარ შეძლეს. ისტორია დუმს იმაზე, რომ აღდგენილ ტაძარში რაიმე მსგავსი მომხდარიყო.

ფარისეელებმა არსწორად გაიგეს იესოს განცხადება ტაძრის დანგრევისა და სამ დღეში აშენების შესახებ, რადგან მხედველობაში შენობა ჰქონდათ. ასევე, თუ ანგიას განაცხადს მხოლოდ ფიზიკურ ტაძარს დავუკავშირებთ, მის მნიშვნელობას ვერ ჩავწვდებით.

რა ტაძარზეა აქ ლაპარაკი და დროის რომელ მონაკვეთში? პავლე აცხადებს: განა არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული მკვიდრობს თქვენში? (1კორ.3:16). იგივე სული, რომელმაც სოლომონის ტაძარი აავსო, სრულად ცხოვრობს ჩვენში — კოლექტიურად. დარწმუნებული ვარ, რომ ანგიას მიერ ნახსენები ტაძარი უკანასკნელია და მისი დიდება (ღვთის თანდასწრებისა და ძალის სიდიადე) აღემატება წინა ტაძრის შენობის დიდებას. პავლე წერს: „ვინაიდან, თუ გარდამავალს ჰქონდა დიდება, რამდენად მეტი აქვს დიდება მას, რაც რჩება“ (2კორ.3:11).

იფიქრეთ ძველ აღთქმაში გამოვლენილ დიდებაზე (სიდიადესა და ძალაზე)! მოსეს სახე ისე ანათებდა ღვთის დიდების ბრწყინვალეობით, რომ სახეზე საბურვლის აფარება გახდა საჭირო. კარვის აგების შემდეგ ისეთი ძალით ცხადდება ღვთის თანდასწრება, რომ ახლოს მისვლაც კი არავის შეუძლია. როცა სოლომონმა ტაძარი ააგო და აკურთხა, მღვდლებმა მსახურე-

ბის გაგრძელება ველარ შეძლეს უფლის საოცარი თანდასწრე-ბის გამო. მისი დიდებული თანდასწრება შთამბეჭდავი იყო – მართლაც გასაოცარი, მაგრამ პავლე ამბობს, რომ „ის, რაც ამრიგად იყო განდიდებული, ველარ ჩაითვლება დიდებულად ამ აღმატებულ დიდებასთან შედარებით“ (2კორ.3:10).

რას ვიტყვით დროის მონაკვეთზე? ანგია ეკლესიის პერი-ოდს გულისხმობს დასაწყისიდან დასასრულამდე? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მონაკვეთი იესოს ამალღებასა და მეორედ მოსვლას შორის მონაკვეთს მოიცავს?

ისევ გადავხედოთ ღვთის სიტყვას, რომელიც ანგიამ გად-მოგვცა:

„სულ მალე კიდევ ერთხელ შევძრავ ცასა და დედამიწას, ზღვასა და ხმელეთს. შევძრავ ყველა ერს და მოვლენ ხალხთა მთელი სიმდიდრით და ავავსებ ამ სახლს დიდე-ბით — ამბობს ცაბაოთ უფალი“. (ანგ.2:6-7)

დიდება, რომელზეც ის ლაპარაკობს, ყველაფრის შერყევის შემდეგ მოდის. ებრაელთა წერილის ავტორიც ამონიშნებს ამას: „ახლა კი, აღგვითქვამს და ამბობს: „კიდევ ერთხელ შევძრავ არა მარტო დედამიწას, არამედ ცასაც“. ეს „კიდევ ერთხელ“ ნიშნავს შეძრულის შეცვლას, როგორც შექმნილისას, რათა დარჩეს, რაც შეუძრავია (ებრ. 12:26-27).

ებრაელთა წიგნი ჩვ. წ.-ით 68 წელს დაინერა, იმ მოვლენ-ებიდან კარგა ხნის შემდეგ, რომლებიც წინა თავში აღვწერე ე. ი. იერუსალიმის ქუჩებში ავადმყოფების გამოყვანის, უფლის-თვის მოპოვებული ქალაქების, მთელი რეგიონის მიერ ღვთის სიტყვის მოსმენის და სხვათა შემდეგ. ამრიგად, ებრაელთა წერილის აღთქმა არ ეხება საქმეთა წიგნში აღწერილ დროს, არამედ მომავალს – ბოლოს ჟამს, როცა ყველაფერი შექმნი-ლი შეირყევა. სწორედ ეს ბოლო თაობა იხილავს უფალ იესო ქრისტეს დაბრუნებას.

წმიდა წერილს კარგად ჩამოყალიბებული ნიმუში გას-დევს თავიდან ბოლომდე: *ღმერთი საუკეთესოს ყოველთვის ბოლოსკენ ინახავს*. ჩვენ გვეუბნებიან: „საქმის ბოლო სჯობს მის დასაწყისს“ (ეკლ.7:8). იესომაც დაამონმა ამ ნიმუშის შესა-ხებ, როცა კანას ქორწილში საუკეთესო ღვინო ბოლოსთვის შემოინახა. მოგვიანებით, იგი აცხადებს: „ვისაც ჩემი სწამს, საქმეებს, მე რომ ვაკეთებ, ისიც გააკეთებს, და მათზე დიდ-საც გააკეთებს“ (იოან.14:12). რატომ მოდის „უფრო დიდი“ მას

შემდეგ, რაც იესო ამალდა? იმიტომ, რომ იგი საუკეთესოს ყოველთვის ბოლოსთვის ინახავს.

ანალოგიური ეკლესიისთვისაც ქეშმარიტია. მისი დასასრული დასაწყისზე უკეთესი იქნება. საქმეთა წიგნი შესანიშნავ დასაწყისს გვაჩვენებს და შეგიძლიათ, დაიჯეროთ, რომ დედამინაზე ეკლესიის ცხოვრების ბოლო იქ აღწერილზე ნაკლებად დიდებული, ნაკლებად ძალმოსილი ან ნაკლებად გავლენიანი იქნება? გახსოვდეთ პავლეს შთამბეჭდავი ნათქვამი: „თქვენი რწმენა იყოს არა კაცთა სიბრძნით, არამედ ღვთის ძალით“ და კიდევ: „რადგან ღვთის სამეფო არის არა სიტყვაში, არამედ ძალაში“ (1კორ. 2:5 და 4:20). ძალა დედამინაზე ღვთის სამეფოს გამოვლინების უზარმაზარი ასპექტი გახლავთ.

## აღდგენა

სულიწმიდამ წმიდა წერილის უფრო მეტი ადგილი მაჩვენა იმ დღეს, მაგრამ ჩემ მიერ გაზიარებული რამდენიმე მუხლიდანაც კი ცხადად ჩანს, რომ ჩვენი, როგორც მორწმუნეების ხედვა უნდა გაფართოვდეს, ფაქტობრივად, საქმეთა წიგნში ნაკითხულს აღემატებოდეს. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ სულიწმიდით სავსე პეტრე მოციქული ასე აცხადებს:

„მოგივლინოთ მან იესო ქრისტე, თქვენთვის წინასწარ დადგენილი, რომელიც ზეცამ უნდა მიიღოს, ვიდრე ყველაფერი აღდგებოდეს, რასაც ღმერთი დასაბამიდან ამბობდა თავისი წმიდა წინასწარმეტყველების პირით“.  
(საქმ.3:20-21)

მოდი, დაკვირვებით გადავხედოთ ამ სიტყვებს! პირველი, იესო ზეცაში უნდა იყოს მანამ, სანამ რალაც მოხდება. ეს ნიშნავს, რომ იგი ვერ დაბრუნდება, სანამ მამის აღთქმული არ აღსრულდება. რა აღთქმაა ეს, რომელზეც წინასწარმეტყველებიცი ლაპარაკობდნენ? ეს გახლავთ ტაძრის აღდგენა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღვთის ბრწყინვალეების, სიდიადის, სიმდიდრის, სიუხვის, პატივისა და უმაღლესობის ნაკლებობას აღარ განვიცდით დედამინაზე. პირიქით, ეს ყველაფერი მთელი ძალით გამოვლინდება მისი ტაძრის მეშვეობით.

ეს ახლა ხდება? არის კი ეკლესია ისე ძალმოსილი, რომ მისი მოქმედების შედეგად მთელი ქალაქებისა და რეგიონების ხსნას ვხედავთ? დაცარიელებული საავადმყოფოები თუ გვინახავს ან თვალახელილი ბრმები, დაბადებიდან დავრდო-

მილი და განკურნებული ადამიანები, რომლებიც დახტიან და ღმერთს ადიდებენ? ჩვენი ლოცვების ძალით შენობები ირყევა? ვხედავთ ისეთ სიუხვეს, რომ ეკლესიები და მსახურებები რესურსების ნაკლებობას არ განიცდიან დაღუპული ადამიანების ქრისტესთვის მოსაპოვებლად ნებისმიერი ერიდან? დაკმაყოფილებულია ცალკეული ადამიანების საჭიროებები ეკლესიაში? შეიძლება ასე ხდებოდეს იმის გამო, რა კითხვასაც ანგია სვამს?

„თქვენს შორის ვინ შემორჩა, ვისაც ეს სახლი აქვს ნანახი მისი პირვანდელი დიდებისას? ახლა როგორ გიჩანთ თვალში? განა არარაობა არაა თქვენს თვალში მასთან შედარებით?“ (ანგ.2:3)

ანგია ამ ადამიანებს სთხოვდა, რომ ღვთის წინაშე დამდგარიყვნენ, რასაც ზუსტად ასევე გვთხოვს დღეს უფალი. მოდი, ვიყოთ გულწრფელები: დღეს ჩვენს მიერ დანახული ღვთიური თანდასწრების გამოვლინება მართლაც არარაობაა საქმეთა წიგნში აღწერილ მოვლენებთან შედარებით! თუ ამას ნათლად ვერ დავინახავთ, გულმოდგინედ არ დავინწყებთ ეკლესიაში მისი დიადი ძალის აღდგენის ძიებას. ნაცვლად ამისა, უძალო ეკლესიად დავრჩებით.

ნუთუ შეგვიძლია, შევინყნაროთ კრიპრონიტის არსებობით გამოწვეული ერთობის ნაკლებობა, რაც გვტანჯავს? გთხოვთ ... გთხოვთ, მომისმინოთ: აუცილებელია უფალთან ერთობის მიზნისკენ დაუცხრომელი სვლა! ეს კი მაშინ მოხდება, როცა მის სიტყვას ვერწმუნებით და დავემორჩილებით.

ამრიგად, ნათელია ხედვა, თუ საით უნდა გავემართოთ. ახლა კი დავუბრუნდეთ კრიპრონიტის ამოცნობის საქმეს, რომელიც წინსვლაში გვაბრკოლებს, როგორც ცალკეულ პირებს, ისე მორწმუნეთა მთელ თემს.

## იპოქრიზი!

თუ ვიცით, რა არის ჩვენთვის შესაძლებელი, არ შეგვიძლია იმაზე ნაკლებს დავჯერდეთ და ნორმალურად ჩავთვალოთ. ახლა, როცა ეს თავი წავიკითხეთ, იცით, რა არის შესაძლებელი და მნიშვნელოვანი გადამწყვეტილების წინაშე დგახართ: ან უნდა მიიღოთ შეზღუდული ზეგავლენის უძალური და უსი-

ცოცხლო ცხოვრება, რაც ეკლესიების უმრავლესობისთვის ნაცნობი ვითარებაა ან შეეგებოთ ძალმოსილ სიცოცხლეს, რომელიც იესო ქრისტეს სრულ, ცოცხალ სიდიადეს გპირდებათ.

სანამ ამ შესაძლებლობაში დარწმუნებული არ იქნებით, ვერ იმოქმედებთ. მოქმედების გარეშე შედარებითი უძალობის რეჟიმში იცხოვრებთ. ეს ნიშნავს, რომ მოქმედებისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯი ღვთის სიტყვასა და მის ხედვაში დარწმუნებულობა უნდა იყოს.

ეფესელთა მიმართ წერილი გვეუბნება, რომ იესომ მისი სიტყვით გაგვბანა და ამ პროცესში შეგვიძლია ჩვენი სიტყვების გამოყენება მასთან თანამშრომლობისთვის. დანერეთ რწმენის განაცხადი ძალმოსილი ცხოვრების შესახებ, რისკენაც მონოდებული ხართ. ის რაღაც ამდაგვარი უნდა იყოს: „იესომ ამავსო მისი წმიდა სულის ძალით, რომ შევცვალო ქვეყნიერება ჩემს ირგვლივ“ ან „ღმერთი მის სიდიადეს გამოაბრწყინებს ჩემგან, რომ დალუპული ადამიანები გადარჩნენ“ ან „მე ცხებული ვარ, რომ ზეგავლენა მოვახდინო ჩემს თანატოლებზე და გარდავქმნა ჩემი სამუშაო ადგილი“ – დაიწყეთ ამ ჭეშმარიტებების აღიარება ყოველდღე. ამის შემდეგ დაინახავთ, როგორ განმტკიცდება თქვენი რწმენა დღითიდღე, რომ შესაბამისი მოქმედება მოჰყვეს.





# პროკტურნობის იდენტიფიკაცია

ნახილი 2



# საქორწინო ალთქმა

მომდევნო რამდენიმე თავის კითხვისას შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ კურდღლის კვალს მივყევით. და მაინც, გარწმუნებთ, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ჭეშმარიტების დადგენის შემდეგ კვლავ გავაგრძელებთ სულიერი კრიპტონიტის განხილვას, რომელიც ეკლესიას ტანჯავს.

## ტიპური ქორწინება?

იფიქრეთ ამ ამბავზე, რომელიც ჩემი აზრით, სხვა მაგალითებზე მეტად ცხადყოფს ღმერთთან ჩვენი განსაკუთრებული ურთიერთობის სინმიდეს.

ახალგაზრდა კაცი, სახელად ჯასტინი ერთი წლის განმავლობაში ხვდება ანჯელას. გოგონა ლამაზია და ვაჟის აზრით, საოცარ პიროვნებას წარმოადგენს. მას მთელი გულით უყვარს ანჟელა და იცის, რომ ის ერთადერთია, ვისთანაც დარჩენილი ცხოვრების გატარება სურს.

ჯასტინი განსაკუთრებულ საღამოს გეგმავს. საუკეთესო მომენტი რომ დგება, მუხლებზე მდგარი ვაჟი თავის გულისსწორს პატარა ყუთს უწვდის, რომელშიც დიდებული ბრილიანტისთვლიანი ნიშნობის ბეჭედი დევს.

ანჯელა ემოციებს ველარ იკავებს. იგი სახეზე ხელებს იფარებს და ლოყებზე სიხარულის ცრემლები სდის. გრძნობებით აღსავსე ქალიშვილი ვაჟს ჩუმად, მაგრამ მტკიცედ უქნევს თავს თანხმობის ნიშნად. მცირეოდენი ხნის შემდეგ დაწყებული ანჯელა სიხარულით ამოთქვამს: „დიახ, დიახ, თანახმა ვარ, ცოლად გამოგყვე!“

ზღაპრული ქორწილი რამდენიმე თვის შემდეგ შედგება. მას მოსდევს სიყვარულით, სიცილით, თავგადასავლებით და ერთობლივ მომავალზე ოცნებებით სავსე თაფლობის თვე. ეს ყველაფერია და უფრო მეტიც, რაც ახალგაზრდა მამაკაცმა და ქალმა შეიძლება ინატრონ.

დრო გადის და ჯასტინი სიხარულით აღმოაჩენს, რომ ანჯელა კიდევ უფრო საოცარი ქალია, ვიდრე აქამდე ეგონა. მას უყვარს თავგადასავლები, გართობა და საოცარი იუმორის პატრონია. იგი თავს მშვენივრად გრძნობს ვაჟის ოჯახში და თითქმის ყველას ეგუება. ახალგაზრდა ქალი ჭკვიანი და გონებაბაზვილია. ისე ჩანს, რომ ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ არის თავის ქმარზე. იგი შემოქმედებითი, არტისტიკული და მდიდარი წარმოსახვის უნარის მქონეა. ჯასტინი აღფრთოვანებულია მისი მშვენიერი შეხებებით, რომელსაც იგი სახლს მატებს. ანჯელა მასზე უკეთესი მზარეულია და დამატებით, სუფთა და მონესრიგებულია. ზედმეტია იმის თქმა, რომ ქალს ძალიან სიამოვნებს თავისი წვლილის შეტანა ახლად შემდგარ ოჯახში. მათ წინ ნათელი მომავალი ელოდებათ.

ქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როცა წყვილი უკვე შეეჩვია ოჯახური ცხოვრების რითმს, ჯასტინი ერთ საღამოს სამუშაოდან სახლში ბრუნდება. იგი ანჯელას უკვე ტრადიციად ჩვეულ მოხვევას და კოცნას მოეღოს, მაგრამ ქალი არ ჩანს. კაცი ცოლს ეძებს ჯერ მისაღებ ოთახში, შემდეგ სამზარეულოში, უკანა ეზოში და ბოლოს საწოლ ოთახში, სადაც პოულობს კიდევ.

ჩანს, ქალი სადღაც წასასვლელად ემზადება. ოთახს რომანტიკული მუსიკის ჰანგები და ცოლის უკვე კარგად ნაცნობი სუნამოს სურნელი აესებს. ჯასტინის გასაკვირად, ქალის გარეგნობა სრულიად მონესრიგებულია. იგი ლამაზ საგარეო ტანსაცმელში შარიშურობს, რომელიც ადრე ეცვა ხოლმე, როცა ქმარს რჩეულ რესტორანში მიჰყავდა.

ცოლი ჯასტინისკენ ზურგით დგას და ოთახში შემოსული ქმარი ჯერ არ შეუშინევია. კაცი პანიკამ მოიცვა: *ო, არა! ნუთუ საღამოს ვახშამი დავგეგმეთ და გადამავინყდა? ყვავილების მაღაზიაში უნდა შემეველო და მისთვის ვარდების თაიგული წამომეღო!*

ჯასტინი სიჩუმეს არღვევს და სიხარულით, მაგრამ ნერვიულობისგან ოდნავ აკანკალებული ხმით ცოლს ესალმება:

– მოვედი, ძვირფასო!

ცოტათი შეცბუნებული ცოლი მხიარულად პასუხობს:

– ოჰ, მოხვედი, ჩემო კარგო?  
კაცი აღიარებით იწყებს:  
– მგონი რაღაც დამავინყდა. რაიმე გეგმა გექონდა ამ სალ-  
ამოსთვის?

ქალი მაშინვე პასუხობს:

– ოჰ, არა, ძვირფასო!

ცოტა არ იყოს, დაბნეული ქმარი იწყებს ვითარების შე-  
ფასებას და ასკვნის, რომ ცოლი მას სიურპრიზს უწყობს. იგი  
ასე ფიქრობს: *ეტყობა, სახლში განსაკუთრებული საღამოა ან  
სიურპრიზი სახლის გარეთ, ქალაქში მელოდება.* ამ დროის-  
თვის ქალი სრულიად გამონწყობილია და საღამოსთვის მზადე-  
ბის ბოლო შტრიხები რჩება. კაცი მისთვის საქებარ სიტყვებს  
არ იშურებს:

– ოჰ, ამ საღამოს მართლაც დიდებულად გამოიყურები!

– მაღლობა, ძვირფასო, – პასუხობს ცოლი.

ჯასტინი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა, ეს ყვე-  
ლაფერი რას უნდა ნიშნავდეს, ქალს ეკითხება:

– გინდა მეც გადავიცვა?

შეცბუნებული ანჯელა პასუხობს:

– გადაიცივი, თუ ასე გინდა.

ჯასტინი ჯერ კიდევ ვითარებაში გარკვევას ცდილობს და  
ცოლს ეუბნება:

– იცი, მინდა ისევე კარგად გამოვიყურებოდე, როგორც  
შენ. არ მინდა სამუშაო ტანსაცმლით გამოგყვე, როცა შენ ასე  
მოკაზმული ხარ.

ბოლოს და ბოლოს, ანჯელამ ამ უხერხულ დიალოგში წარ-  
მოთქვა:

– ძვირფასო, მე გარეთ გავდივარ.

– ვიცი, სწორედ ამიტომ შემოგთავაზე, მეც ჩავიცვამ-თქო,  
– ახლა ჯასტინი მართლა დაიბნა.

ანჯელამ ყველაფრისთვის ნათელის მოფენის მიზნით გა-  
ნაცხადა:

– არა, საყვარელო! მე ტონისთან ერთად მივდივარ. ჩვენ ჯერ  
ვისადილებთ, შემდეგ კინოს ვუყურებთ და ფაირმონტის სას-  
ტუმროში გავჩერდებით. სახლში ხვალ შუადღემდე დავბრუნ-  
დები.

– ვინ არის ტონი? – ჰკითხა გაბრაზებულმა ჯასტინმა.

– იგი ჩემი სკოლისდროინდელი შეყვარებულია, – ყოველ-  
გვარი აღელვების გარეშე უპასუხა მან.

– რა?! არ შეგიძლია მასთან შეხვედრა!

– რატომაც არა?!

– იმიტომ, რომ დაქორწინებული ვართ და ერთმანეთს ერთ-გულეობა შევფიცეთ. ჩვენ სხვა ადამიანებს არ ვხვდებით!

– სერიოზულად ამბობ? – შეენინა აღმდეგა ქალი, – უამრავი თაყვანისმცემელი მყავს, რომლებთანაც დღესაც ახლო ურთიერთობა მაქვს. შენ ფიქრობ, რომ მათთან კავშირს მხოლოდ იმის გამო გავწყვეტ, რომ დავექორწინდით?

– დიახ, რადგან დაოჯახებული ადამიანები ასე იქცევიან! ისინი თავიანთ თავს ერთმანეთს უძღვნიან სრულად და მთლიანად, რომ იყვნენ ერთნი მასთან, ვისზეც დაქორწინდნენ, – გულისტკივილით და ბრაზნარევი ხმით მიუგო ჯასტინმა.

– მოიცა, ძვირფასო! – უთხრა ანჯელამ იმ განზრახვით, რომ საუბარში სიცხადე შემოეტანა და თავდაპირველი უთანხმოება როგორღაც ჩაეცხრო: შენ ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანი ხარ, დროის უმეტეს ნაწილს შენთან დავყოფ. ძველ შეყვარებულებზე მეტად მიყვარხარ, მაგრამ ჩემგან არ უნდა ელოდო, რომ მათ სულ მივატოვებ. წლების მანძილზე მქონდა ურთიერთობა რამდენიმე მათგანთან და ჯერაც მიყვარს ისინი. მინდა მათთან ყოფნით ვისიამოვნო. ამაში ცუდი რა არის?

აღბათ, მიხვდებით, რომ აქედან კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი.

## შეღარება

ვიცი, რომ ეს ამბავი აბსურდად გეჩვენებათ, მაგრამ ნება მომეცით, რამდენიმე კითხვა დაგისვათ ანჯელას არგუმენტების მხარდასაჭერად: იყო თუ არა ჯასტინი მისი უსაყვარლესი ადამიანი? განა ის ყველა სხვა შეყვარებულზე მეტად არ უყვარდა? გულმოდგინედ არ აგებდა მასთან ურთიერთობას? დროის უმეტეს ნაწილს მასთან ერთად არ ატარებდა? შესანიშნავი ცოლი არ იყო მრავალ ასპექტში?

მოდით, ასე იფიქრეთ: ჯასტინს შეეძლო ვინმე უქნარა ქალი მოეყვანა ცოლად, რომელიც ვერც სახლზე იზრუნებდა და ვერც მზარეულობას შეძლებდა ან უმოტივაციო ადამიანი, რომელიც მნიშვნელობას ვერ შესძენდა მათ ერთობლივ ცხოვრებას. ნუთუ ჯასტინი ელოდებოდა, რომ ანჯელა ყოველმხრივ სრულყოფილი იქნებოდა? ერთადერთი, რაც მას უნდა გაეკეთებინა, ეს იყო გარკვეული პერიოდულობით ცოლის გაზიარება რამდენიმე მამაკაცისთვის. სამაგიეროდ, ანჯელას დროის 90 % მას ეკუთვნოდა. ასე რამ გააბრაზა?

რასაკვირველია, ადამიანთა უმრავლესობისთვის ამგვარი კითხვები სასაცილოა.

ჩანს, რომ ანჯელას არასოდეს გაუგია ქორწინების საფუძვლების შესახებ. მას არავინ უთხრა, რომ ქორწინება თავის მიძღვნის ალთქმაა მამაკაცსა და ქალს შორის. ანჯელა ისე გაჰყვა ჯასტინს, რომ ერთი ერთს ფიქრობდა, ხოლო მეორე – მეორეს. ანჯელასთვის საკუთარი მოსაზრება გასართობი, სასარგებლო და პრაქტიკული იყო. მას სახლშიც მშვენიერი ურთიერთობა ექნებოდა და სხვებთან კავშირითაც იხიერებდა. მიუხედავად ამისა, ამგვარი შეხედულება წმინდა ქორწინების ალთქმას შეურაცხყოფს.

მოდით, ეს ჭეშმარიტება მარტივად გამოვიყენოთ. როცა ქალი ლამაზ თეთრ კაბას ჩაიცვამს და ეკლესიის ან ნებისმიერი ადგილის ზღურბლს გადააბიჯებს საქორწინო ცერემონიის ჩასატარებლად, ამით რაღაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებს: იგი დედამიწაზე მცხოვრებ ნებისმიერ მამაკაცთან ინტიმურ ურთიერთობაზე უარს ამბობს, გარდა ქმრისა. იგი წყვეტს ყველა ადრინდელ ურთიერთობას ნებისმიერ შეყვარებულთან და აცხადებს, რომ ქორწინების დღიდან მოყოლებული აღარ ექნება ახალი ურთიერთობები ახალ საყვარლებთან. და მამაკაციც, რომელიც მის გვერდით დგას იგივე დაპირებას იძლევა.

მოდით, ეს მომენტი უფრო მეტად პირადული გავხადოთ! რა რეაქცია გექნებათ, ჯასტინის მსგავს სიტუაციაში რომ აღმოჩნდეთ? რა მოხდება, საყვარელ ადამიანთან ნიშნობის პერიოდში ქორწილისთვის მზადებისას აღმოაჩინოთ, რომ მისი ქცევა ასეთი იქნება ერთობლივი ცხოვრების დაწყების შემდეგ? კიდევ მოგინდებოდათ მასთან ქორწინება?

არა მგონია. თქვენ ალბათ, შესძახებთ: „ეს შეუძლებელია!“

რატომ არის ასე მტკიცე თქვენი პასუხი? მარტივად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ალთქმას არ დადებთ სხვაგვარი პირობებით. არ მოგინდებთ ისეთი ურთიერთობისთვის თავის სრულად მიძღვნა, სადაც მეუღლე იგივეს გააკეთებს.

ამრიგად, თქვენ არასოდეს დაქორწინდებით ზემოხსენებული პირობებით ან ყურადღებას არ მიაქცევთ მიუღებელ ქცევას ქორწინების შემდეგ. მოდით, გულწრფელად ვიკითხოთ: „ნუთუ მართლა ვფიქრობთ, რომ იესო ისეთი პატარძლის წასაყვანად დაბრუნდება, რომელიც ანჯელასავით იქცევა?“ ერთი ნუთით შეჩერდით და გაიაზრეთ. უფალთან ჩვენს ურთიერთობას ცოლ-ქმრის კავშირს ადარებენ. პავლე ამბობს:

„ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და დედას და მიეწებება თავის ცოლს, და ორივენი ერთ ხორცად იქნებიან. დიდია ეს საიდუმლო, მე ვამბობ ქრისტესა და ეკლესიაზე“. (ეფეს.5:31-32)

ღმერთმა დასაბამიდანვე დააფუძნა ქორწინების აღთქმა, რომ მასთან ჩვენი ურთიერთობის ნიმუში ეჩვენებინა. ახალ აღთქმაში იესო ნეფის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო ეკლესია ქრისტეს საპატარძლოა. რატომ ხდება ასე, რომ ზოგჯერ არათუ არ განვიცდით დანაშაულის გრძნობას, არამედ ვახალისებთ კიდევ ანჯელასნაირ მოქმედებას ჩვენი ნეფის მიმართ? იაკობ მოციქული საკმაოდ ნათლად ხსნის ამ საკითხს. იგი ქვემოთოყვანილ მუხლში მალიარებელ ქრისტიანებს მიმართავს:

„ითხოვთ და ვერ იღებთ, რადგან ბოროტი განზრახვით ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმებისთვის გაფლანგოთ. მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება! წუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: „შურს იწვევს ჩვენში დავანებული სულის წადილი?“ ... ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ. დაიბანეთ ხელები, ცოდვილნო! განინმიდეთ გულები, ორგულნო! დანაღვლიანდით, იგლოვეთ და იტირეთ. თქვენი სიცილი გლოვად იქცეს, სიხარული კი — მწუხარებად“. (იაკ.4:3-5, 8-9)

ძლიერი სიტყვებია. ფაქტობრივად, დღესდღეობით ურთიერთობებში გავრცელებული ღალატის ფონზე იაკობის ნათქვამი შემადრწუნებელი და გადაჭარბებულიც კი გვეჩვენება. ახალგაზრდობაში გაზვიადების მავნე ჩვევა მქონდა. ჩემი განცხადებები რადიკალურ შედეგებზე, მასშტაბებსა და განცდებზე მიუთითებდა, რომლებიც ხშირად არარეალური გახლდათ. ამ ყველაფერს ის საშინელი შედეგი მოჰყვა, რომ ოჯახის წევრები და მეგობრებიც ჩემს ნათქვამს სერიოზულად აღარ აღიქვამდნენ.

ვფიქრობ, ყველა ჩვენგანს შეუცოდავს ამ საქმეში ამა თუ იმ დოზით. ახალგაზრდა მშობლები ხშირად ეუბნებიან შვილებს: „თუ კვლავ ასე მოიქცევი, დაისჯები!“ ეს პირველ-ორ ჯერზე მოქმედებს, მაგრამ ბავშვი მესამედაც გამოცდის განაცხადის



ჭემმარიტობას და აღმოაჩენს, რომ მუქარის შესრულებას არავინ აპირებს. აქედან მოყოლებული, იგი მშობლების სიტყვებს უგულვებელყოფს. იგივე რეაქცია შეინიშნება სკოლებში, ბიზნესსაქმიანობაში, მთავრობაში, პრესაში და მეგობრებსა და ოჯახის წევრებს შორის. ხშირად მეტისმეტად ზედაპირულად ვეკიდებით გაფრთხილებებს, რომელთა მიზანი ჩვენი დაცვაა.

სამწუხაროა, რომ იგივე აზროვნება გადმოგვაქვს წმიდა წერილის გაფრთხილებების მიმართაც. უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი იმას ამბობს, რასაც გულისხმობს და იმას გულისხმობს, რასაც ამბობს. მნიშვნელოვანია, არ დავივიწყოთ წმიდა წერილის ღვთისუფლიერება (იხ. 2ტიმ. 3:16). ამრიგად, როცა იაკობის წერილს ვკითხულობთ, თავად ღმერთი გველაპარაკება მისი მეშვეობით.

თუ გულთან მივიტანთ აქ დანერვილს, მოკრძალებამ უნდა მოგვიცვას. ქრისტიანი, რომლის ერთგულება ღმერთსა და ქვეყნიერებას შორის ნაწილდება, *მრუშია*. ეს ძლიერი სიტყვაა. მრავალი ცოდვის ჩადენა შეუძლია ადამიანს მეუღლის წინააღმდეგ: ჭორაობა, ტყუილი, ქურდობა, ყვირილი, უხეშობა და ა. შ. თითოეულ მათგანს გამანადგურებელი შედეგი მოაქვს ურთიერთობისთვის და არ შეიძლება მათდამი ზედაპირული მიდგომა, მაგრამ არც ერთია ლალატივით მძიმე. სწორედ ამიტომ იყო ჯასტინისთვის გამაოგნებელი ანჯელას საქციელი. მას უკიდურესი ფორმით უღალატეს და ამ დროს ქალი საკუთარ ქცევაში ცუდს ვერაფერს ხედავდა.

იაკობ მოციქული სულიერი მრუშობის განხილვისას ამბობს, რომ ამის გამკეთებლები ღვთის მტრებად ვიქცევით. ეს ძალზე დამაფიქრებელია და ამ მტრობის მიზეზი ჩვენვე ვართ. ღმერთს სრულებითაც არ სურს ჩვენი მტრობა, რადგან მეტისმეტად ვუყვარვართ. თუმცა ჩვენი სიყვარულისა და გრძნობების ქვეყნიერების საგნებისა და გზებისკენ მიმართვისას თავად ვთანხმდებით მის მტრობას.

შეიძლება ამ სიტყვებს ზედაპირულად მოვეკიდოთ? იქნებ თავი მოვიტყუოთ, რომ იაკობის განცხადება ახალ აღთქმაში არ არსებობს და თვალი ავარიდოთ? თუმცა იაკობი არ იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც ამაზე წერდა. აღმოვაჩინეთ, რომ პავლე, რომელიც ღვთის მადლის უდიდეს გამოცხადებას ეზიარა, იგივეს გვეუბნება განხილულ საკითხზე და არა მარტო იგი, არამედ სიყვარულის მოციქული იოანეც. პეტრე და იუდაც ანალოგიურ მოსაზრებას გადმოგვცემენ. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ იესომ იგივე უთხრა აზიის ეკლესიებს აღდგომის შემდეგ.

მომდევნო თავებში მთელი სიგრძე-სიგანით განვიხილავთ, თუ როგორ გვაქცევს ღვთის მტრად სულიერი მრუშობა. აღმოვაჩინოთ, რომ ამგვარი დამოკიდებულება და ქცევა ნამდვილად შეესაბამება კრიპრონიტის დახასიათებას, რაზეც ზემოთ ვმსჯელობდით.

## იმოქმედე!

ღმერთი ეჭვიანი ღმერთია. ბევრი ჩვენგანისთვის ეს ამბავი კარგა ხანია ცნობილია წმიდა წერილიდან, თუმცა ქრისტიანების უმრავლესობა დროს ვერ პოულობს, რომ ამას ჩაუფიქრდეს ან ამ აზრს ძველი აღთქმის ნაწილად მიიჩნევს. ჭეშმარიტებისგან ამაზე შორის ვერ იქნებით. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თავად იესოს ჯვარცმა მოწმობს მის მსხვერპლზე, როგორც ყველაზე ერთგული ნეფის სიყვარულზე.

ამრიგად, ნათლად ხედავთ, თუ რამდენად აუცილებელია, რომ ღმერთი ეჭვიანი იყოს და არა გულგრილი ჩვენს სიყვარულში. მას უნდა ვთხოვოთ მადლი, რომ გვიყვარდეს იგი ანალოგიური დაშურებით და თავდადებით. ეს ერთადერთი გზაა მის შესაცნობად.

გამოსცადეთ თქვენი გული დღესვე. რამდენად გამორჩეულია თქვენი სიყვარული იესოს მიმართ? სთხოვეთ სულიწმიდას, რომ გაჩვენოთ თქვენს ცხოვრებაში არსებული ნებისმიერი სხვა სიყვარული, რომელიც ღვთის მიმართ მრუშობის ჩადენის საფრთხეს მოიცავს! თუ იგი რაიმეს გაგიცხადებთ, საჭირო ცვლილებები განახორციელეთ! იფიქრეთ ღმერთთან გამორჩეული ურთიერთობის ყოველდღიურ გაცოცხლებასა და თავის ხელახლა მიძღვნაზე, ისევე როგორც, მასთან საქონინო აღთქმის განახლებაზე!

## მრუშოზა ღვთის წინააღმდეგ

იაკობ მოციქულის სიტყვები („მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა?“) იმდენად მკაცრია, რომ იშვიათად თუ გაიგონებთ ეკლესიებსა და კონფერენციებზე ქადაგებისას ან ინდივიდუალურ კამათში. როგორ მოვახერხეთ მისი უგულებელყოფა? არ გეგონოთ, რომ ამ საკითხზე წმ. წერილის მხოლოდ ცალკეული მუხლები ლაპარაკობდეს. პირიქით, ღალატის თემა მეტად ვრცლად არის ბიბლიაში განხილული.

თუ იაკობის სიტყვებს ჩავუკვირდებით და მის გაფრთხილებას გავითვალისწინებთ, ნებისმიერი დაბნეულობა გაქრება და მასთან დაკავშირებული შიშებიც გაიფანტება. აი, მისი სრული განაცხადი:

„მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა? წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება!“ (იაკ.4:4)

პირველი, ღმერთი თავად არ ხდება ჩვენი მტერი. ეს ჩვენ ვიქცევით ისე, რომ მას მტრად ვიხდით. ნებისმიერი ვერსია დამანგრეველია, მაგრამ აქ განსხვავება არსებობს.

ყველა ჩვენგანი ყოფილა ადამიანებს შორის კონფლიქტის მოწმე, რომელიც ერთმა მხარემ წამოიწყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი მხარე ომს აცხადებს, ხოლო მეორე მართალია, ბრძოლაში ერთვება, მაგრამ სჯობდა, ასე არ ყოფილიყო. მაგალითად, 1941 წელს იაპონიამ პერლ ჰარბორის დაბომბვა გადაწყვიტა. ამით იგი შეერთებული შტატების მტრად იქცა.

ამერიკას ამგვარი კონფლიქტი არ აურჩევია და არც ამის სურვილი ჰქონია, მაგრამ იაპონიამ გამიზნული პროვოკაციით თავს დაიტყუა მასზე უფრო ძლიერი სახელმწიფოს რისხვა.

იაკობს ზუსტად ამის თქმა უნდოდა. ღმერთს არ სურს ადამიანებს, თავის შვილებს დაუპირისპირდეს, მაგრამ არც კონფლიქტს გაექცევა, თუ წინააღმდეგობას გავაგრძელებთ და ქვეყნიერებას შევეკვრებით. „მტრის“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა ამ მონაკვეთებში შესაბამისად გახლავთ „ეხტრა“ და „ეხტროს“. მათი მნიშვნელობა ანალოგიურია. ერთადერთი განსხვავება ის გახლავთ, რომ პირველი არსებითი სახელია, ხოლო მეორე – ზედსართავი.

იქნებ ბიბლიის ინლისურად მთარგმნელებმა უფრო წონადი სიტყვა გამოიყენეს? იქნებ „მტერს“ შედარებით რბილი მნიშვნელობა აქვს დედანში, ვიდრე ჩვენ გვგონია? არა, ეს ასე არ არის. ერთი ბერძნული ლექსიკონი ასე განმარტავს „მტერს“ და „მტრობას“: „მონინააღმდეგე, მტრობა, მტრული დამოკიდებულება (CWSB). მეორეში ვკითხულობთ: „ვინმესთან მტრობაში ცხოვრება“ (BDAG) და კიდევ ერთი ლექსიკონის განმარტება: „ვინმესთან მტრობის მდგომარეობა“ (BDAG). ამ სამი რჩეული ლექსიკონის განსაზღვრებები მოვიტანე იმ ფაქტის გასამყარებლად, რომ შეუძლებელია სხვა სიტყვის არჩევა „მტრობის“ გადმოსათარგმნად. მნიშვნელოვანია ხსენებულ მუხლში ნათქვამის გაცნობიერება.

აქ სერიოზულ დამოკიდებულებაზე კიდევ ერთი მინიშნება გვხვდება – ფაქტი, რომ იაკობი ამ გაფრთხილების შემდეგ წერს: „ასეა.“ ეს სიტყვა გამოკვეთს ნათქვამის დიდმნიშვნელოვნებას. განაცხადის ორმაგად დადასტურება ძველ ებრაელთა შორის გავრცელებული სალიტერატურო კომუნიკაციის დადგენილი ფორმა გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ახალი აღთქმის მანუსკრიპტების უმეტესობა ბერძნულიდან არის ნათარგმნი, წმიდა წერილის ავტორები ებრაელი მოციქულები იყვნენ.

ინგლისურში სიტყვის ან ფრაზის გამოკვეთის რამდენიმე მეთოდი გვაქვს. შეგვიძლია სიტყვა გავამუქოთ, დახრილი შრიფტით დავწეროთ, ხაზი გავუსვათ, დიდი ასოები გამოვიყენოთ ან ყურადღების გამახვილებისთვის ძახილის ნიშანი დავუსვათ. ყველა ეს საშუალება სიტყვის ან განცხადების მნიშვნელობის გამოკვეთას ემსახურება. თუმცა ებრაელი ავტორები ამისთვის სიტყვას ან ფრაზას ორჯერ წერდნენ და ყოველთვის სიფრთხილით არჩევდნენ მათ, რომ აზრი არ გაეზვიადებინათ.

ამრიგად, იაკობის სიტყვები არა მარტო სერიოზულად მისაღები და ძლიერია, არამედ საჭიროც. უბრალოდ რომ ვთქვათ, არ შეგვიძლია მისი უგულებელყოფა.

## მრუში ქალები

ამრიგად, რის თქმა სურს იაკობს სიტყვა „მრუშების“ გამოყენებით? პირველ რიგში, იგი მთელ კაცობრიობას კი არა, მხოლოდ მორწმუნეებს ელაპარაკება. ამის შესახებ ვასკენით წიგნში არაერთხელ გამოვთქვამთ ფრაზიდან: „ჩემო ძმებო“. მეორე, შეუძლებელია, ურწმუნომ იმრუშოს ღვთის წინააღმდეგ, რადგან მას ღმერთთან აღთქმა არ აქვს დადებული.

ამას ასე შეხედეთ. მე დაქორწინებული ვარ ლიზა ბევირზე, ამიტომ არ შემიძლია ოჯახური ღალატი ჩავიდინო ჯეინ სმიტის წინააღმდეგ, რადგან მასთან საქორწინო აღთქმა არ დამიძია.

მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ მრუშობა ღვთის წინააღმდეგ, რომლებმაც იესო ქრისტე უფლად და მხსნელად მიიღეს. ყველა დანარჩენი ღვთისგან გაუცხოებულია – ისინი მისგან შორს არიან და აღთქმით გამტკიცებული ურთიერთობა არ აქვთ.

„მრუშების“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ *მოიხოს*. ეს სიტყვა ბერძნულში მდებრობითი სქესისაა, ხოლო ინგლისური თარგმანი – მამრობითია. KJV და NKJV ვერსიებმა ამ განსხვავების აღმოფხვრა სიტყვის ორივე სქესის მიმართ გამოყენებით გადაწყვიტეს (*adulterers and adulteresses*). ჩანს NLT ვერსიის მთარგმნელებისთვის მდებრობითი სქესის სიტყვა გამოწვევა აღმოჩნდა. შესაძლოა, მათ არ სურდათ, რომ მკითხველები დაეზნიათ, თითქოს იაკობი მხოლოდ ქალებს ელაპარაკებოდა. თუმცა წერილის მთლიანი კონტექსტის განხილვა გვარწმუნებს, რომ იაკობი ყველა მორწმუნეს მიმართავდა. ბიბლიის განმარტებებში ნათქვამია, რომ იაკობი მარტო ქალებს არ ელაპარაკებოდა. როგორც ბიბლიის კომენტატორებისთვის, ისე ჩემთვისაც გასაოცარია, რატომ არის სიტყვა მხოლოდ მდებრობითი მნიშვნელობით გამოყენებული.

მდებრობით სიტყვა „მრუშებს“ კიდევ უფრო იდუმალებით მოცულს ხდის მისი შესაბამისობა წმიდა წერილის თანმიმდევრულობასთან. ღმერთი ხშირად მიმართავს თავის ერს საქორწინო სიმბოლოების გამოყენებით, სადაც იგი ქმარს გამოსახავს, ხოლო ჩვენ – მის ცოლს.

ძველ აღთქმაში ამას ხშირად შეხვდებით. ესაია წერს: „რადგან შენი შემქმნელია შენი ქმარი, ცაბაოთ უფალია მისი

100 გაანაღებურ კრიპონიტი!

სახელი“ (ეს.54:5). საბოლოოდ, როცა ისრაელმა ღვთისადმი ერთგულება კერპთაყვანისმცემლობით შებღალა, უფალმა იგი მრუშობაში დაადანაშაულა. ეზეკიელი წერს: „გაგასამართლებ მრუშთა ... სამართლით“ (ეზეკ. 16:38). ღმერთი იერემიას მეშვეობით ამბობს: „მართლაც, როგორც ცოლი ღალატობს ქმარს, ისე მიღალატე, ისრაელის სახლო! – ამბობს უფალი“ (იერ.3:20).

ოსია წინასწარმეტყველის მთლიანი მსახურება ქმრის მიმართ ცოლის ღალატს ეხება. მას მეძვე ქალზე დაქორწინების მითითება მიეცა. პირადი მაგალითით გადმოცემულ ქადაგებაში ოსია უფალს წარმოადგენს, ხოლო მისი ცოლი, გომერი – უფლის ერს. ეს იმისთვის მოხდა, რომ ისრაელს ნათლად დაენახა თავისი ღალატი. ეს ხომ არაფრით განსხვავდებოდა ქმრის წინააღმდეგ ჩადენილი მრუშობისგან, არა ერთ, არამედ რამდენიმე საყვარელთან. ისრაელი *მრუშ ქალს* წარმოადგენდა.

იოანე ნათლისმცემელი ქორწინების შედარებას ასეთი სახით გვთავაზობს: „ვისაც პატარძალი ჰყავს, ნეფეც ისაა; ხოლო ნეფის მეგობარი, რომელიც დგას და უსმენს მას, სიხარულით ხარობს ნეფის ხმაზე“ (იოან.3:29). აქაც ვხედავთ, რომ იესო ნეფეა, ხოლო ღვთის ერი მისი საპატარძლო.

იესო იგივე აზრს გამოხატავს, როცა ღვთის ერს „ბოროტ და მრუშ მოდემას“ (იხილეთ მათ. 12:39; 16:4) უწოდებს. მის მიერ გამოყენებული სიტყვა „მრუში“ არა მამრობითი, არამედ მდედრობითი სქესისაა.

პავლე მოციქული ამ შედარებას განაგრძობს ნათქვამით, რომ ჩვენ საპატარძლო ვართ, ხოლო იესო – ნეფეა (ეფეს. 5:31-32). ამრიგად, წმიდა წერილში, როგორ ძველ, ისე ახალ აღთქმაში, არაერთხელ ვხედავთ, რომ ღვთის ერი ღმერთთან ურთიერთობაში ცოლის სახით არის წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ, იაკობი „მრუშის“ აღსანიშნავად მდედრობით სიტყვას იყენებს ბიბლიაში კარგად გამოხატული ნიმუშის მიხედვით.

## კერპთაყვანისცემა მრუშობაა

ძველ აღთქმაში იუდას ან ისრაელის მრუშობაზე მითითება ყოველთვის კერპთაყვანისცემის ცოდვას უკავშირდებოდა. მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანები ღმერთს ღალატობდნენ. როცა კერპთაყვანისცემაზე ვფიქრობთ, ყოველთვის რომელიმე ღვთაების ქანდაკებას, სამსხვერპლოს ან სამლოცველო ადგილს წარმოვიდგენთ. როცა იესომ ხალხს ღალატზე მიუთითა,

საუბარიც არ ყოფილა რომელიღაც ღვთაების გამოკვეთილი სახების თაყვანისცემაზე. პირიქით, იუდეველები მას ნიშანს სთხოვდნენ, რომ დარწმუნებულიყვნენ, იესო ნამდვილად მესია იყო თუ არა.

თუ იაკობის განცხადებას გადავხედავთ, სადაც ღვთის ერს მრუშებს უწოდებს, ვერც აქ ვნახავთ ქანდაკებებს, სამხვერპლოებსა და ტაძრებს. საინტერესოა, რომ იაკობი იგივე საქმიანობას განიხილავს, რაზეც პავლე კორინთელებს მიუთითებს: დაძმების დაჩაგვრას (იაკ.2:1-13); სხვებზე აუგის ლაპარაკს (იაკ.3:1-12); შურის, ეჭვისა და ეგოისტური ამბიციების გამოხატვას (იაკ.4:1-3) – ყველა ეს ქმედება მრუშობის ტოლფასია.

იქნებ წმიდა წერილის თანმიმდევრულობა აქ წყდება? არის თუ არა ღვთის ერი მრუშობაში დადანაშაულებული რაიმე სხვა მიზეზით გარდა კერპთაყვანისმცემლობისა? მარტივი პასუხია: „არავითარ შემთხვევაში!“ ეს ორი რამ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება.

სწორედ ამ საკითხებში უგულებელყოფს თანამედროვე ეკლესია იესოს, პავლეს, იაკობისა და ახალი აღთქმის სხვა ავტორების გაფრთხილებებს. მარტივად რომ ვთქვათ, კერპთაყვანისცემა ქანდაკებების, სამსხვერპლოებისა და უცხო ღმერთების თაყვანსაცემი სამლოცველოების გამოყენებამდე დაგვყავს, სინამდვილეში კი თანამედროვე დასავლური ეკლესიებისთვის კერპთაყვანისცემა სრულიად მისაღებია. ფაქტობრივად, ჩვენი კერპთაყვანისცემა უფრო ფართოდ გავრცელებულია, ვიდრე იმ ერებში, სადაც შეიძლება ქანდაკებები და სამსხვერპლოები ნახოთ.

ჩემი მიზანია გაჩვენოთ, რომ თანამედროვე კულტურაში არა მარტო არსებობს კერპთაყვანისცემა, არამედ სწორედ ის არის დაფარული კრიპტონიტი, რომელიც იუდასა და ისრაელის წარმატებას აბრკოლებდა. იმავე კრიპტონიტს განიხილავდნენ იაკობი და ახალი აღთქმის სხვა ავტორები. ახლაც, თანამედროვეობაში ისევ ის კრიპტონიტი აფერხებს ცალკეული ადამიანებისა და ეკლესიის თემების წინსვლას ჩვენი დაღუპული და მომაკვდავი ქვეყნიერებისთვის ღვთის სიდიადის წარმოჩენის საქმეში.

### **ქვეყნიერების მოტივაცია**

სანამ კერპთაყვანისმცემლობის განხილვას შევუდგებოდეთ, იაკობის გაბედული განცხადების გამოკვლევა გავაგრძელოთ.



იგი მღელვარებით ამბობს: „თქვენ მხოლოდ ის გსურთ, რაც სიამოვნებას განიჭებთ“ და ამ მოტივაციას მაშინვე „წუთისოფელს“ უკავშირებს. ეს ქვიშაზე გავლებული ხაზივით გასდევს მთელ ახალ აღთქმას. მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყნიერება გულისთქმებით არის მოტივირებული. იოანე მოციქული ამას ასე გადმოსცემს:

„ვინაიდან ყოველივე, რაც წუთისოფელშია: ხორციელი გულისთქმა (ინგ. ფიზიკური სიამოვნებისკენ ლტოლვა), თვალთა გულისთქმა (ინგ. დანახულის ნდომის სურვილი) და ამაო დიდება ცხოვრებისა (ინგ. სიამაყე ჩვენი მიღწევებით და ქონებით) - მამისგან კი არა, წუთისოფლისგან არის“ (1იოან.2:16).

ამ ტექსტში იოანეს ნათქვამი ყოვლისმომცველია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ლაპარაკობს *ყველაფერზე*, რაც ქვეყნიერებაზეა. მრავალი კერპი არსებობს, მაგრამ მუხლიდან გამომდინარე ყველა მათგანი ერთ რომელიმე კატეგორიაში შედის. ქვეყნიერებასთან მრუშობის ჩადენას განაპირობებს *ინტენსიური სურვილი*, რომ თქვენს ხუთ ფიზიკურ შეგრძნებას სიამოვნება მოუტანოთ ან საკუთარი თავის ღირსების გრძნობა ღვთისგან დამოუკიდებლად მოიპოვოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს *თქვენი სიამაყეა*.

*The Message* პარაფრაზი ამბობს, რომ ეს არის „ნდომა თქვენებურად, ნდომა საკუთარი თავისთვის და მნიშვნელოვან პიროვნებად თავის წარმოჩენის სურვილი“. ეს გახლავთ მსოფლიოს მამოძრავებელი ძალა. იგივე აზრი შეიძლება ასე გამოვხატოთ: „ვიცი, რა არის ჩემთვის საუკეთესო და მე ეს მინდა!“

ბედის ირონიით, ღმერთს დაშურებით სწადია ჩვენთვის საუკეთესოს მოცემა. ეს ჭეშმარიტება ყოველმა ჩვენგანმა ღრმად უნდა ჩაიბეჭდოს გულში. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნიერება უკიდურესად მაცდუნებელ საყვარელს ჰგავს, რომელიც ღვთისგან უფრო და უფრო მეტად გვაშორებს. იგი გვატყუებს, თითქოს მისი შემოთავაზება გაცილებით უკეთესია ღვთის მიერ ჩვენთვის გამზადებულ ხვედრზე. სწორედ ამიტომ ამბობს აღელვებული იაკობი:

„წუ ტყუედებით, ჩემო საყვარელო ძმებო. ყოველი კეთილი მისაცემელი და ყოველი სრულყოფილი ნიჭი გად-



მოდის მაღლიდან, შუქთა მამისგან, რომელთანაც არც ცვლილებაა და არც ჩრდილი ცვალებადობის“.  
(იაკ.1:16-17)

იაკობი გაფრთხილებით იწყებს, რომ არ მოვტყუვდეთ, არ გადავუხვიოთ და ქვეყნიერების საცდურმა არ გვძლიოს. მისი სათქმელი მარტივია: *ღვთის გარეშე თქვენთვის კარგი არაფერია*. ამ ჭეშმარიტების გულში დამკვიდრებით განდგომილები-სგან თავის დაცვას შეძლებთ. მნიშვნელობა არ აქვს, გარეგნულად რამდენად კარგად გამოიყურება რაღაც საგანი, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია, რამდენად გაბედნიერებთ, რა იუმორით სავსე, გასართობი ან მისაღებია თქვენი საზოგადოებისთვის, რამდენად კეთილგონივრული ჩანს, რამდენად პოპულარული ან მდიდარი შეიძლება გაგხადოს. თუ ის ღვთის დანერვილ სიტყვას ეწინააღმდეგება, თქვენთვის კარგის მომტანი არ არის. იგი საბოლოოდ ისეთ ადგილას მიგიყვანთ, სადაც აღმოჩენას არ ისურვებდით და ეს სიკვდილის გზაა. „არის გზა, რომელიც სწორი ჩანს კაცის წინაშე, მისი ბოლო კი სიკვდილის გზაა“ (იგ.14:12).

გზები თითოეული ადამიანისთვის განსხვავებულია და ბევრი მათგანი ქვეყნიერებასთან მრუშობისკენ მიმავალია. მათ ერთი რამ აქვთ საერთო: გარეგნულად *სწორი* ჩანან: *კარგი, სასარგებლო, მომგებანი, მისაღები, გონივრული*. და მაინც, თუ ისინი წმიდა წერილის რჩევას ეწინააღმდეგებიან, მათი ბოლო სიკვდილია.

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ გაფრთხილებას ღვთიური მიზეზი აქვს:

მისმინეთ ახლა, შვილებო, ყური დაუგდეთ ჩემს ნათქვამს: ნუ გადაუხვევს თქვენი გულები ქვეყნიერების გზებისკენ და ნურც ქვეყნიერების ბილიკებზე იხეტიალებთ, რადგან მრავალი დასცა ქვეყნიერებამ განგმირული, თვლა არ აქვს ქვეყნიერებისგან დახოცილთ. ქვეყნიერების სახელი ქვესკნელის გზაა, მკვდართა სამყოფელში ჩამავალი. (იგ.7:24-27: აქ სიტყვები „ქალი“ და მისი აღმნიშვნელი ნაცვალსახელები „ქვეყნიერებით“ შევცვალე)

სოლომონი ამ სიტყვებს სექსუალური გარყვნილების წინააღმდეგ გასაფრთხილებლად წერს, მაგრამ აქ ღრმა წინასწარმეტყველური მნიშვნელობა დევს. თავი შორს დაიჭირეთ

ქვეყნიერების მეთოდებისგან. მისი ძალა ძლიერი და მიმზიდველია. რატომ დაეცა ასე ადვილად უამრავი ერი, ისრაელსა და იუდასთან ერთად მის მკვდართა სამყოფელში? იქნებ იმდენად გულუბრყვილოები ვართ, რომ ამ ძალების არსებობის აღარ გვწამს? მომდევნო თავის დაწყებისთანავე აღმოვაჩინოთ, რამდენად რეალური და მძლავრია ქვეყნიერების ძალები.

## იმქველ!

არავინ ქორწინდება მრუშობის ჩადენის განზრახვით. ნეფე-პატარძალს აღთქმები, ცოტა არ იყოს, აშინებს, მაგრამ ისინი მთელ ძალისხმევას ახმარენ მათ შესრულებას. მაშ, რატომ ინგრევა მრავალი ოჯახი და მათგან ზოგიერთები – სწორედ მრუშობის მიზეზით? პასუხები რთულია, მაგრამ ყველაფრის საფუძველია კავშირების დამანგრეველი ძალებისგან თავდაცვის საქმეში განცდილი მარცხი.

თქვენი ურთიერთობა ღვთის წინაშე თქვენი ცხოვრებაა პირდაპირი მნიშვნელობით. არ არსებობს სიცოცხლე ღვთის გარეშე. მიუხედავად ამისა, ქვეყნიერება მაინც ცდილობს ჩვენს ცდუნებას, რომ ვუღალატოთ ღმერთს. თავის დაცვის საუკეთესო გზა ღვთის კვალზე მთელი გულით სიარულია.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმაში დასარწმუნებლად, რომ ღმერთს ყველაფერი მიუძღვენით?

როგორია თქვენი ყოველდღიური გრაფიკი? არის იქ დრო გამოყოფილი უფლისთვის? ღვთის სიტყვის კითხვის, ლოცვისა და მარხვისთვის? იმგვარად შრომობთ სამსახურში, რომ ეს უფლის თაყვანისცემის გოლფასია? განსაზღვრეთ ერთი გზა, რომელშიც გინდათ გაიზარდოთ, რომ ღმერთთან ურთიერთობაში ღალატი გამოირიცხოთ. შეადგინეთ გეგმა, დაწერეთ ის და დაიწყეთ მოქმედება.

## რა იმალება მრუშოზის უკან?

ჩვენ კეპთაყვანისცემის საიდუმლო უნდა გავხსნათ. ეს არ იქნება სწრაფი ან ადვილი, მაგრამ მისთვის ფარდის ახდა მრავალ ასპექტში მამხილებელი და სასარგებლოა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში მისი აღმოჩენისთვის საჭირო ცოდნის მოპოვებას. ეს ძალაუფლებას მოგვანიჭებს სულიერი კრიპტონიტიკის გაცნობიერების საქმეში. დავიწყოთ მისი ფესვების მოძიებით.

წინამდებარე წიგნის პირველი თავიდან გავიხსენოთ, რომ ღმერთმა „თვით მარადიულობა ჩადო მათ (ადამიანთა) გულებში“ (ეკლ.3:11). დედამიწაზე ნებისმიერი ადამიანი ამ შინაგანი თვისებით იზადება. პავლე იგივეს მოწმობს: „როცა წარმართნი, რომელთაც რჯული არ გააჩნიათ, ბუნებით რჯულისმიერს აკეთებენ, თუმცა რჯული არა აქვთ, თავისი თავის რჯული არიან. რომლებიც წარმოაჩენენ, გულებში დაწერილ რჯულის საქმეს, რასაც მოწმობს მათი სინდისი და აზრები, ხან ბრალს რომ სდებენ ერთიმეორეს და ხან ამართლებენ“ (რომ.2:14-15).

აი, ჭეშმარიტება: ყველამ ინსტინქტურად იცის ღვთის გზები, რადგან ეს მათ სინდისში დაბადებიდანვე არის ჩანერილი. ეს ცხადი გახდა ჩემთვის და ლიზასთვის ჩვენი ოთხი ბიჭის აღზრდის პროცესში. პატარა ასაკში, სანამ „არ შეიძლება“-ს ვასწავლიდით, დანმაშავის იერი ჰქონდათ, როცა ძმას დაარტყამდნენ, საჭმელს გადაყრიდნენ, მშობლების წინაშე ისტერიკას მართავდნენ ან სხვა მსგავს ქმედებას ჩაიდენდნენ.

არა მარტო ღვთის ცოდნა დევს თითოეული ადამიანის გულში, არამედ მისი დანახვა ქმნილებებიდანაც შეიძლება:

„იმიტომ, რომ ცხადია მათთვის, რაც შეიძლება იცოდნენ ღმერთზე, რადგან ღმერთმა განუცხადა მათ ... ქმნილებათა განხილვით შეიცნობა უხილავნი ღვთისა - მისი მარადიული ძალა და ღვთაებრივობა - ასე რომ, ვერ გამართლდებიან ისინი“. (რომ. 1:19-20)

იფიქრეთ დახრილი შრიფტით გამოკვეთილ სიტყვებზე ამ ორი მუხლიდან: „ცხადია“ და „შეიცნობა“, რომელთაც მივყავართ მესამე ფრაზამდე – „ვერ გამართლდებიან“. ეს არის რეალობა: ადამიანს გამართლება არ აქვს ღვთის შეუმეცნებლობის საქმეში. ღმერთმა ყველაფერი გააკეთა, რომ შეცნობილი ყოფილიყო გულწრფელი და ჭეშმარიტების მოყვარული ადამიანებისთვის.

ოდესმე გსმენიათ შეკითხვები: „რა დაემართებათ აფრიკის შორეულ მიწებზე მცხოვრებ ადამიანებს, რომელთაც ღვთის სიტყვა არასოდეს მოუხმენიათ? როგორ გადარჩებიან? როგორ შეუძლია ღმერთს მათი დასჯა განკითხვისას?“

ამგვარი კითხვები, ხშირად, პროტესტის გამოხატულებას წარმოადგენს და პრეტენზიის მომცველია იმ ცოდნასთან დაკავშირებით, რაც უკვე აქვთ ან რის შესწავლაც არ სურთ. მათ გულით იციან, რომ ღმერთი რეალურია, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას უარყოფენ. ასეთ ადამიანებს არ სურთ ერთი რამის გაგება: ღვთის შემეცნება ყველასთვის შესაძლებელია, ვისაც ჭეშმარიტების პოვნა უნდა. ამგვარი კითხვების მქონე ადამიანებს სრული გულწრფელობა რომ გამოეჩინათ, გულში ღვთის უარყოფის სურვილის არსებობას აღიარებდნენ. მეფსალმუნეც ადასტურებს, რომ ღვთის ხმა შეუჩერებლად გაისმის ქმნილებაში:

„ცანი ღაღადებენ ღვთის  
ღიდებას და მის ხელთა ნამოქმედარს  
გვამცნობს სამყარო.  
დღე დღეს გადასცემს სიტყვას,  
ღამე კი ღამეს უმხელს ცოდნას.  
თუმცა არც მთქმელია და არც  
ნათქვამი, არც მათი ხმა არ ისმის  
არსად.  
მთელ დედამიწას გასდევს  
მათი ხაზი და სამყაროს კიდებამდე  
აღწევს მათი სიტყვები;  
მათში დაუდგა მზეს კარავი“. (ფს.19:1-4)

ღვთის სიდიადის ცოდნა განუწყვეტლივ ისმის მთელ ქვეყნიერებაზე ყოველი წუთის ყოველ წამს, ყოველი საათის ყოველ წუთს, ყოველი დღის ოცდაოთხი საათისა და წლის სამსამოცდახუთი დღის განმავლობაში. ხომ ვერ იტყვი, რომ ეს არეალი შორეულ აფრიკაში მყოფ „უმეცარ“ ადამიანს არ მოიცავს? პიროვნებას შეუძლია გარკვეული ფასადის მიღმა იცხოვროს ისე, თითქოს ღვთის არსებობაზე არაფერი იცის, მაგრამ ჭეშმარიტება არა მარტო დაბადებიდანვე არის ამოტვიფრული ადამიანთა გულებში, არამედ დღედაღამ შეუჩერებლად ლაპარაკობს. თუ ვინმეს სხვაგვარად ფიქრი არ გადაუწყვეტია, საკუთარი თავი სანინალმდეგოში არ დაურწმუნებია და სინდისი გაუგუნურებამდე არ გადაუწვია, არ შეუძლია ღვთის რეალურობას გაექცეს.

### კრიტიკული მომენტი

კრიტიკული მომენტი მაშინ დგება, როცა ადამიანი არჩევანს ან ცოცხალი ღვთის სასარგებლოდ აკეთებს ან „გულისთქმას „იკმაყოფილებს“ ე.წ. ღვთის ან ღმერთებისკენ მიბრუნებით, რითაც სინდისის ხმას ახშობს. შესაძლოა, ასე თქვათ: დასავლეთში ვცხოვრობ და ღმერთები არ არიან ჩემი კულტურის ნაწილი. ჩვენ არ გვაქვს ქანდაკებები, კერპები, სალოცავები ან რამე ამდაგვარი. გთხოვთ, ცოტა მოითმინეთ და გაჩვენებთ ღმერთების მრავალფეროვნებას დასავლეთში, რითაც ის სხვა ქვეყნებისგან არაფრით განსხვავდება.

საიდან წარმოიშვნენ ეს ღმერთები? მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველგვარი ღვთაება თუ კერპი კაცობრიობამ შექმნა. ადამიანი იძულებულია ღვთის შემეცნების შინაგანი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს და ამასთანავე მის წინაშე სწორად იცხოვროს. თუ ალტერნატიული ღვთაება იქმნება, მისი შემქმნელი საზღვრავს, რა ეამება ღვთაებას და ეს უკანასკნელიც მის თაყვანისმცემელს უზრუნველყოფს იმ ყველაფრით, რასაც ისურვებს. ამით დაკმაყოფილებულია თაყვანისცემის შინაგანი მოთხოვნილება. ახლა მოისმინეთ, რას ამბობს პავლე მოციქული:

„რადგან შეიცნეს ღმერთი და არ ადიდეს, როგორც ღმერთი, არც მადლობდნენ, არამედ ამოა გახდა მათი გონიერება და დაუბნელდათ უმეცარი გული. თავიანთ

თავს ბრძენთ უნოდებენ და გამოსულელდნენ. და უბრწნადი ღვთის დიდება გაცვალებს ხრწნადი ადამიანის, ფრინველთა, ოთხფეხთა და ქვეწარმავალთა ხატების მსგავსებაში“. (რომ.1:21-23)

ხატების (კერპების) აღმართვა ჩვენი განხილვის საგანი არ გახლავთ. შევეხებით უფრო ღრმა პრობლემის შედეგს – არ ადიდეს, როგორც ღმერთი. ახლა აუცილებელი ხდება ჭეშმარიტი „თაყვანისცემის“ განსაზღვრა. თუ თაყვანისცემად ეკლესიის გუნდის ნამღერ „შენელებულ“ საგალობელს მივიჩნევთ, სრულიად ავცდებით მთავარ სათქმელს. ჭეშმარიტი თაყვანისცემის ყველაზე სწორი განსაზღვრება მუსიკასა და გალობას კი არ ეხება, არამედ – ღვთისადმი *მორჩილებას*.

მე, როგორც რამდენიმე წიგნის ავტორმა, ვისწავლე, როგორ უნდა წარმოვადგინო წიგნში აქამდე უცნობი ტერმინი. ამისთვის აუცილებელია მისი პირდაპირი მნიშვნელობის ჩვენება განმარტებით ან იმგვარი გამოყენებით, რომ თვალსაჩინოდ გამოჩნდეს მისი არსი. იგივეს აკეთებს ნებისმიერ ავტორი და არც ღმერთია გამონაკლისი.

თუ გადახედავთ ყველაზე ფართოდ გამოყენებულ ბიბლიის თარგმანებს, „თაყვანისცემის“ ხსენების პირველ შემთხვევას დაბ.22:5-ში შეხვდებით. აბრაჰამი მსახურებს ელაპარაკება და ატყობინებს, თუ რის გაკეთებას აპირებენ ის და ისაკი მთაზე. აბრაჰამი აცხადებს: „მე და ჩემი ვაჟი კი წავალთ, თაყვანს ვცემთ და მოვბრუნდებით“. რა უნდა გაეკეთებინა მას წასვლის შემდეგ? ნელი საგალობელი უნდა ემღერა ღვთისთვის ან რამდენიმე მუსიკოსი და მომღერალი შეეკრიბა ეკლესიაში თაყვანისცემის მსახურების გასაძლოად? არავითარ შემთხვევაში. მას სამი დღით ადრე ღვთისგან მიღებული დავალება უნდა შეესრულებინა – ერთადერთი ძე მსხვერპლად მიეტანა.

NLT ვერსია რომ.1:21-ში სიტყვა „თაყვანისცემას“ იყენებს, ხოლო სხვა თარგმანებში მოცემულია „განდიდება“ ან „პატივის მიგება“. ყველა ეს სიტყვა ურთიერთდაკავშირებულია. ღმერთს ან ნებისმიერ ძალაუფლებას განვადიდებთ ან პატივს მივაგებთ, როცა ვემორჩილებით, ხოლო ვაკნინებთ ან უპატიოვყოფთ, როცა არ ვემორჩილებით. შეიძლება ბაგეებით განვადიდოთ, ვიკვებნოთ მისით და ვაქოთ, მასზე სიმღერები ვწეროთ და ასე შემდეგ, მაგრამ შეურაცხყოფთ, თუ არ ვაკეთებთ მისთვის სასურველს. შეურაცხყოფა თაყვანისცემის (ან პატივის მიგების) ანტიონიმი ანუ საპირისპიროა.

იყო დღე, როცა ღმერთმა უთხრა თავის ხალხს: „მძულს და მეზიზღება თქვენი დღესასწაულები, აღარ მსიამოვნებს თქვენი ზემებები ... მომაშორეთ თქვენი სიმღერების ხმაური, თქვენი ქნარების ხმის მოსმენა აღარ მსურს. მაგრამ წყალივით იდინოს სამართალმა და სიმართლემ - დაუშრეტელ ნაკადულივით“ (ამოს.5:21,23-24). სწორედ სიმართლით ცხოვრება გახლავთ მისი ძალაუფლების მორჩილება და არა ცხოვრება ისე, როგორც ჩვენ გვესმის ღვთისმოსაობა.

ძველი აღთქმის პერიოდში ღმერთმა მოსეს მითითებები მისცა მისთვის მისაღებ შესაწირავებთან დაკავშირებით. ღვთის ერს მრავალი განსხვავებული მსხვერპლის მიტანა შეეძლო მის თაყვანსაცემად: კრავი (იხ. გამ.29:39-41), ხარი (იხ.გამ. 29:10-14), მარცვლეული (იხ.გამ.29:41) და ბევრი სხვა. გარდა ამისა, მათ შეეძლოთ გუნდრუკად წოდებული წმიდა საკმევლის კმევა კარავსა და ტაძარში და ეს თაყვანისცემის ერთ-ერთი ფორმა გახლდათ (იხ. ლევ.2:2). მიუხედავად ამისა, ღმერთი ერთ დღეს ამბობს:

„ჩემმა ხელმა შექმნა ეს ყოველივე და ასე გაჩნდა ეს ყველაფერი!“ - ამბობს უფალი. „აი, ვის მივაპყრობ მზერას: თავმდაბალს და სულით მოდრეკილს, ჩემს სიტყვაზე რომ თრთის. უკეთური რომ ხარს მწირავს, თუნდაც კაცი დაეკლას; კრავს რომ მწირავს, თუნდაც ძალი დაეხრჩოს; ძღვენს რომ აღმივლენს, თუნდაც ღორის სისხლი შემოეწიროს; გუნდრუკს რომ მიკმევს, თუნდაც კერპთან ელოცოს“. (ეს. 66:2-3)

იგი იწყებს იმ მორწმუნეთა გამორჩევას, რომლებიც მისი კურთხევის ქვეშ იქნებიან – ადამიანები, რომლებიც მის სიტყვაზე თრთიან. ეს აღწერს პიროვნებას, რომელიც მორჩილებას უკიდურესად მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს. იგი ასეთ ადამიანებს მიაპყრობს ყურადღებას.

შემდეგ უფალი მათ ახსენებს, რომლებიც თაყვანისცემის (მორჩილების) თავისებურ გზას ირჩევენ. მათი თაყვანისცემა არა მარტო არ იყო მიღებული, არამედ ადამიანის მსხვერპლად მოტანის (ცივისსხლიანი მკვლელის), ძალის შეწირვის, ღორის სისხლის დაღვრისა და კერპის კურთხევის ტოლფასი გახლდათ. ასეთი ქმედებები სიბილნეა ღვთის თვალში. ვინმეს მართლა რომ შემოეწიროს ეს წამბილნველი მსხვერპლები ან მკვლელობა ჩაედინა, ისრაელის საზოგადოებისგან მოიკვეთებოდა ან სიკ-



ვდილით დაისჯებოდა. აი, ასე მძიმე და მნიშვნელოვანი იყო ეს საქმე! ცხადია, მათ თაყვანისცემას სრულიადაც არ ერქვა თაყვანისცემა იმის მიუხედავად, რომ ყველაფერი გამოსვლისა და ლევიანთა წიგნებში მოცემული მითითებების შესაბამისად იყო მოტანილი.

*The Message* პარაფრაზი ასე ამბობს: „თქვენი თაყვანისცემა ცოდვის ტოლფასია“.

გახსოვდეთ, რომ ესენი არიან აღთქმის ხალხი, რომლებმაც ღვთის დაპირებები მიიღეს. რატომ ისმენენ ისინი ავისმომასწავებელ სიტყვებს? თაყვანისცემის მათებური გზისა და დაუმორჩილებლობის გამო. იგივე სამართლიანია ჩვენს მიმართაც: შეგვიძლია ვუგალობოთ ღმერთს, დავესწროთ თაყვანისცემის მსახურებებს ან ღვთისადმი ჩვენს ერთგულებაზე ვილაპარაკოთ თუნდაც ახალ აღთქმაში მითითებული გზების შესაბამისად. და მაინც, ჩვენს თაყვანისცემას შეიძლება თაყვანისცემა ეწოდოს, თუ მორჩილების საძირკველი არ გვაქვს, „როგორც გამგონე შვილებს“ (1პეტრ.1:14)?

კიდევ ერთი ძირეული პრობლემა, რომელსაც პავლე შეეხება, გახლავთ ღვთისადმი უმადურობა. თუ ვთვლით, რომ გარკვეული ცხოვრების სტილს ვიზიარებთ, გარკვეულ მატერიალურ საგნებს ვიმსახურებთ ან რაიმე სტატუსს ველოდებით, საკუთარ თავზე ვართ ორიენტირებული და შესაბამისად, მადლიერების გრძნობაც არ გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ გულმოდგინედ ვიშრომეთ, დავგეგმეთ, მიზნები დავსაზღვრეთ, ვიოცნებეთ იმაზე, თუ რის მიღწევა ან შექმნა გვინდოდა და გასაკვირი არ არის, რომ სიამაყის გრძნობამ აგვაავსო.

## შეღებობრივი ქცევა

ძირეული დამოკიდებულებები, რომლებიც მორჩილების, პატივის მიგებისა და მადლიერების გამოხატვის შინაგანი სურვილის არა ცოცხალი ღვთის, არამედ რაიმე სხვის მიმართ მიქცევას იწვევს, ადამიანში, საზოგადოებასა და ერში კერპ-თაყვანისცემის წარმოშობის საწინდარია. პავლე ასე აცხადებს:

„ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა მათივე გულისთქმების უწმიდურობას, რათა თვითონვე შეებღინათ თავიანთი სხეულები ერთმანეთში. რომელთაც ღვთის ჭეშმარიტება სიცრუით შეცვალეს, თაყვანს სცემდნენ და ემსახურებოდნენ ქმნილებას, ნაცვლად შემოქმედისა, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე. ამინ“. (რომ.1:24-25)



დამახსოვრეთ, რომ ამ ყველაფრის ფესვი ღვთის მორჩილებისა და მის მიმართ მადლიერების ნაკლებობაა. ახლა ჩვენი დაცემული ბუნების გულისთქმებს ვეთაყვანებით (ვემორჩილებით). ქედს ვიდრეკთ შექმნილის წინაშე, რაც ამჟამად გაფუჭებული და დაწყველილია. ჩვენი ზნეობრივი კომპასი დათმობაზე ნავიდა და *ქვემარტება ტყუილით ჩაანაცვლა*. ასეთ ვითარებაში სიბრძნედ აღქმული, სინამდვილეში, უგუნურებაა. ის, რასაც ქვეყნიერება ნორმალურს უწოდებს, ფაქტობრივად, არანორმალურია. ეს იმ დონემდე გრძელდება, რომ ბუნებით კარგი ბოროტებად მიიჩნევა, ხოლო ნამდვილი ბოროტება – სიკეთედ. ამის შემდეგ ვკითხულობთ:

„ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს ...“. (რომ.1:26)

პავლე ამ განცხადების შემდეგ რამდენიმე მუხლში ღვთის სანინაალმდეგო ოცდაორ დანაშაულს ჩამოთვლის, რაც ახალ აღთქმაში 137 სიტყვით (ინგლისური ვერსიის მიხედვით) არის წარმოდგენილი. მაგალითისთვის დავასახელებ მკვლევლობას, ზურგს უკან ლანძღვას, სიძულვილს, სიხარბეს, მშობლების ურჩობას და მამათმავლობას. მამხილებელი ფაქტი ის გახლავთ, რომ პავლე ამ 137 სიტყვიდან ორმოცდაცხრამეტს (დაახლოებით, 43 %-ს) ჰომოსექსუალობის მისამართით იყენებს, ხოლო კიდევ 21 სიტყვას – სხვა დანაშაულობების ჩამოსათვლელად რაიმე განმარტების გარეშე. რატომ არის ასე? იქნებ ღმერთი მამათმავლობის ცოდვას სხვებისგან გამოჰყოფს და უფლებას გვაძლევს, რომ მამათმავლები სხვა დანარჩენი ცოდვების ჩამდენებზე უარეს ცოდვილებად მივიჩნიოთ? სრულებითაც არა! პავლე ნათელს ხდის, რომ ჰომოსექსუალობისადმი ლტოლვა საზოგადოების კერპთაყვანისმცემლობაში ჩაძირვის საუკეთესო ინდიკატორია. მოდი, ისევ პავლეს სიტყვებს დავუბრუნდეთ:

„ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს, რადგან მათმა ქალებმაც კი შეცვალეს ბუნებრივი ურთიერთობის წესი ბუნების სანინაალმდეგოთი. ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალის ბუნებრივი ურთიერთობის წესი და ავხორცობით გახურდნენ ერთიმეორის მიმართ. მამაკაცი მამაკაცთან სწადიოდა სამარცხვინოს, და მიიღეს საკადრისი საზღაური თავიანთი ცდუნებისათვის“. (რომ. 1:26-27)

საზოგადოება, რომელიც ღვთის შემეცნებაზე, მის მიმართ მაღლიერებასა და მორჩილებაზე უარს ამბობს, სქესობრივი გახრწნილების, განსაკუთრებით კი, ჰომოსექსუალობის აღიარების, შემდეგ მოწონების და საბოლოოდ, მისი წახალისებისკენ გადაიხრება. პავლე ამგვარ ქცევას სამარცხვინოსა და არაბუნებრივს უწოდებს.

ჭეშმარიტება ტყუილმა ჩაანაცვლა, რაც საბოლოო ჯამში, სქესთა აღრევას გამოიწვევს.

2017 წლის იანვარში ჟურნალმა *National Geographic* თავისი ყოველთვიური პუბლიკაცია ე. წ. „სქესთა რევოლუციას“ მიუძღვნა. რედაქტორებმა გარკვეული პიროვნებებისგან შემდგარი ჯგუფი შეკრიბეს, რომლებიც მოკვდავი ადამიანის მიერ შექმნილ სხვადასხვა სქესობრივ ორიენტაციას წარმოადგენდნენ. ჟურნალმა კონსულტაცია გაიარა უნივერსიტეტებისა და კოლეჯების ექსპერტებთან ადამიანის სექსუალურობის განხრით. სქესობრივი ურთიერთობის არჩევანის თვალსაზრისით წარმოთქმული იყო შემდეგი სიტყვები: აგენდერი (მთარგმნელის განმარტება: არ აქვს გენდერული თვითაღქმა), ქვიერი (მთარგმნელის განმარტება: გაურკვეველი გადახრის მქონე), ანდროგინი (მთარგმნელის განმარტება: იგივე ჰერმეფროდიტი), ტრანსგენდერი, ცისგენდერი (მთარგმნელის განმარტება: ვისი იდენტობაც მისივე სქესს ემთხვევა), გენდერქვიერი (მთარგმნელის განმარტება: „არასტანდარტული“ ორიენტაციის), ინტერსექსუალი (მთარგმნელის განმარტება: გარკვეული დარღვევებით დაბადებული), სთრეითი (მთარგმნელის განმარტება: პატიოსანი ჰეტეროსექსუალი), ბისექსუალი, არაბინარული ინტერსექსუალი (მთარგმნელის განმარტება: არ ჯდება არც ერთ ორობით (მდედრობითისა და მამრობითისგან შემდგარ) სისტემაში), ტრანსბიჭი, ტრანსგოგო და ა.შ. ძალიან რთული ჩანს, მაგრამ კარგად შეესაბამება სიბრიყვისა და ტყუილის კატეგორიას.

ადამიანები, რომლებმაც ეს ტერმინები მოიფიქრეს, დღეს გამჭრიახ, განათლებულ და საქმის მცოდნე ხალხად ითვლებიან. როგორი იქნება ჩვენი საზოგადოების მომავალი, როცა წინ ამგვარი აზროვნება მიგვიძღვის? კვლევებმა აჩვენა, რომ აშშ-ს მთავრობამ ორას მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა გენდერული იდენტობისა და ჰომოსექსუალურობის საკითხების შესასწავლა<sup>1</sup> წარმოგიდგენიათ, რა შესაძლებლობები

1.მეთ სთეივერი: ჰომოსექსუალობა აშშ-ს მთავრობას ათობით მილიარდი დოლარი უჯდება. ბრაიენ თეშმენი|16 აპრილი, 2015 წელი 12:40 – <http://www.rightwingwatch.org/post/mat-staver-homosexuality-costs-the-government-tens-of-billions-of-dollars/>

შეიქმნებოდა ამ რესურსებით? იმავე ფონდების გამოყენება შეიძლებოდა საჯარო სკოლების შენობა-ნაგებობების მოსანესრიგებლად, პოლიციის ძალების გასაძლიერებლად, აეროპორტებისა და სხვა საჯარო ნაგებობების გასაახლებლად და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უსახლკარო ადამიანების, მარტოხელა დედების და შშმ პირების დასახმარებლად. მიუხედავად ჩამოთვლილი საჭიროებებისა, უზარმაზარი ოდენობის თანხა იქნა დახარჯული სექსუალური ორიენტაციის საკითხებზე, რაც ღვთის მიერ კაცობრიობის შექმნის წესრიგს ეწინააღმდეგება. წმიდა წერილი თავიდანვე აცხადებს: „შექმნა ღმერთმა კაცი ... მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ.1:27). ის ერთადერთია, ვინც ჩვენს სქესს განსაზღვრავს; მან იცის, რა არის ჩვენთვის საუკეთესო, რადგან ვუყვარვართ.

და მაინც, ეს ყველაფერი თავის ბრძენად წარმოჩენის ნიღბით კეთდება, თუმცა რეალობაში ფინანსების ფუჭ ხარჯვას წარმოადგენს. უარესი კი ის არის, რომ ამით მცდარი ქმედების ნახალისება და ადამიანების იმ ბორკილებში მოქცევა ხდება, რისთვისაც შექმნილი არ არიან.

ჩვენ, როგორც საზოგადოება, წამოვეგეთ ტყუილზე, რომ ეს „ადამიანის უფლებების დაცვის“ საკითხს მიეკუთვნება და ამით ცალკეულ ინდივიდთა ძალიან პატარა პროცენტს რასობრივ თუ გენდერულ დისკრიმინაციასთან მისი დაკავშირების საშუალება მივეცით. მივესალმებით ადამიანის ამ უფლებების დაცვას, მაგრამ სქესობრივი ორიენტაციის საკითხი იგივე არ არის, რადგან მისი მომხრეები სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ თავს, ვიდრე შექმნილი არიან.

პავლე წინასწარმეტყველებს, რომ ეს აბსურდული ქმედებები მაშინ დაიწყება, როცა ღვთის თაყვანისცემას (დამორჩილებას) და მის მიმართ მადლიერებას შევწყვეტთ. მაშ, რატომ არ ლაპარაკობენ ლიდერები ამ საკითხზე და რატომ არ ააშკარავებენ მცდარ რწმენას და მცდელობებს? ჩვენ შევუშინდით ჭეშმარიტებას და ტყუილი და ცდუნება გავითავისეთ. კერპთაყვანისცემისკენ გადავიხარეთ და მან მაგრად დაგვიჭირა როგორც ერი.

შესაძლოა, საზოგადოება ამას პროგრესს ეძახდეს, მაგრამ სინამდვილეში საქმე სიბრყვემდე დაღმასვლასთან გვაქვს. პავლეს სიტყვები დიდი ხნის წინ დაიწერა, მაგრამ ნათლად აცხადებს, რომ სქესობრივი და გენდერული გახრწნილების ფესვები კერპთაყვანისცემის ნიადაგში იზრდება. შემდეგ იგი შედეგებზე ლაპარაკობს:

„რაკი არ ეცადენ, რომ გონებით ჩანვდომოდნენ ღმერთს, ღმერთმა უკუღმართ გონებას გადასცა ისინი, რათა დაუნესებელი ეკეთებინათ. აღსილნი არიან ყოველგვარი უმართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შულლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღრობით. ცილისმნამებლნი, ღმერთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვებარნი, ბოროტგანმზრახველნი, მშობლების ურჩნი, უგუნურნი, ვერაგნი, არა სანდონი, არამოყვარულნი და უღმობელნი“. (რომ.1:28-31)

ჩვენს საზოგადოებაში ზემოჩამოთვლილი ქცევების აღმოჩენად დიდი დაკვირვება, შემთხვევების შესწავლა ან სოციალური კვლევების გაკვეთილებზე დასწრება არ დაგჭირდებათ. ეს გახლავთ ადამიანების, ოჯახებისა და ერების ფართოდ გავრცელებული, მანკიერი და დანგრეული ცხოვრება. სოციალური კრიზისის, ურთიერთობათა რღვევისა და ყოველგვარი ომების უკან გადაგვარებული აზროვნება და მისი მიღება დგას.

და თუ ეს ყველაფერი საკმარისად ტრაგიკული არ არის, პაველ დასკვნას გვთავაზობს:

„იცინა მათ ღმერთის სამართალი, რომ ამის მოქმედნი სიკვდილს იმსახურებენ; მაგრამ არა მარტო აკეთებენ ამას, არამედ გამკეთებლებსაც უწონებენ“. (რომ.1:32)

მთავრობა, მედია, ტელევიზია, ფილმების პროდიუსერები, სოციალური მუშაკები, ლიდერები, გავლენიანი პირები და მთელი საზოგადოება სრულად აცნობიერებენ, რომ ამგვარი ქცევა ჩვენი შემოქმედის სანინაღმდეგოა, მაგრამ ისინი სინდისის ხმას და მთელი ქმნილების ნალაპარაკვეს ახშობენ. გარდა ამისა, სინდისის გასაჩუმებლად სხვებსაც იგივეს საკეთებლად მოუწოდებენ და იმედი აქვთ, რომ ამით მათ გულში მოლაღადე ჭეშმარიტებას ჩაკლავენ.

ყველა ზემოჩამოთვლილი ქცევა კერპთაყვანისმცემლობის ძირეული პრობლემის შედეგია – ღვთის თაყვანისცემაზე (პატივის მიგებასა და მორჩილებაზე) უარის თქმა და მის მიმართ მაღლიერების უქონლობა. ღვთს ჭეშმარიტი შემეცნება მის მითითებებზე ჩვენი ქცევითი რეაქციით ხდება და არა უბრალოდ სიტყვების აღიარებით. ეს მთელ კაცობრიობას ეხება, მაგრამ

ახლა ყურადღება მივაპყროთ, თუ როგორ აისახება განხილული საკითხი პიროვნებაზე, რომელიც უკვე არის ღმერთთან ურთიერთობაში.

## ღამოქმედი!

თაყვანისცემა გახლავთ მორჩილების, პატივისცემისა და ღვთის მიმართ მაღლიერების შეგნებული არჩევანი. როცა ნამდვილი თაყვანისცემის თუნდაც ერთი ელემენტი უგულვებლყოფილია, გახსნილი ვხდებით სიცრუისადმი, რომელსაც კერპთაყვანისცემისკენ მივყავართ. ეს ჭეშმარიტია როგორც ცალკეული ადამიანების, ისე მთლიანი ქვეყნების მიმართ.

წმიდა წერილში თაყვანისცემის პირველი გამოცხადებული აქტი გახლდათ აბრაჰამის მორჩილება, როცა ისაკის მსხვერპლად შეწირვაზე დათანხმდა. რის გაკეთებას ელოდება ღმერთი თქვენგან? ეს შეიძლება იყოს სულიწმიდის გამოწვევა, რომელიც ბიბლიის კითხვისას დაინახეთ ან რაღაც ისეთი, რამაც თქვენზე შთაბეჭდილება მოახდინა და განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

რამდენად შეცვალა ამ თავმა ღვთის დავალებისადმი თქვენი დამოკიდებულება? ერთი წუთით შეჩერდით და ღმერთს სთხოვეთ, დაგანახოთ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგათ ამ დავალების დღესვე შესასრულებლად და არ დაგავინყდეთ მის მიმართ მაღლიერების გამოხატვა, რომ ამის გასაკეთებლად სწორედ თქვენ შეგარჩიათ, დაგელაპარაკათ და თქვენს გვერდით იყო, რადგან ამგვარი მორჩილებით მას თაყვანს სცემთ!



## მორწმუნეთა კერპთაყვანისმცემლობა

მსოფლიოს ხალხთა კერპთმსახურება თავისთავად ცუდია, მაგრამ შემზარავია მისი აღმოჩენა ცოცხალ ღმერთთან აღთქმის მქონე ადამიანებში.

იაკობი ამ ტიპის კერპთაყვანისმცემლობას მრუშობას უწოდებს. ეს სახელი იმიტომ ეწოდა, რომ ღმერთთან აღთქმა გვაქვს დადებული ცოლ-ქმრის მსგავსად, რომელთაგან ერთ-ერთი მეუღლეს ღალატობს. როცა კერპთმსახურებას ვედღევით, ჩვენც ვღალატობთ ჩვენს ქმარს, უფალ იესო ქრისტეს.

### მეფე საული და ყამალეკი

დავინწყოთ ძველი აღთქმით და გადავიდეთ – ახალზე. ისრაელს აღთქმა ჰქონდა ღმერთთან, რომელსაც დასაბამი მათმა მამამთავარმა, აბრაჰამმა დაუდო. ღმერთმა ისრაელს მეფედ საული დაუსვა წინასწარმეტყველ სამუელის მეშვეობით: „ახლა მოისმინე უფლის სიტყვები!“ (1სამ.15:1). ღვთის ნებაში არ იყო შეცდომა; ის იყო პირდაპირი და საქმესთან უშუალოდ დაკავშირებული. მეფეს უბრძანეს, რომ მთლიანად ამოეწყვიტა ყამალეკელები: ყოველი კაცი, ქალი, ბავშვი თუ ცხოველი. ეს ღვთიური შურისძიება გახლდათ, რადგან ყამალეკი ისრაელს დაუპირისპირდა ეგვიპტიდან გამოსვლისას, როცა ეს უკანასკნელი ყველაზე უძლურ მდგომარეობაში იყო. მეფე საულმა მყისვე შეკრიბა არმია და ყამალეკზე შეტევისთვის გაამზადა. თუმცა წერილში ასე ვკითხულობთ:

„და გაანადგურა საულმა ყამალეკი ხავილადან შურის მისადგომებამდე, რომელიც ეგვიპტის პირდაპირაა. აგაგი, ყამალეკის მეფე ცოცხლად შეიპყრო, დანარჩენი ხალხი კი მოსპო, მახვილის პირით ამოხოცა. მაგრამ დაზოგეს საულმა და ხალხმა აგაგი, აგრეთვე საუკეთესო ცხვარი და საქონელი, ნასუქი ვერძები და ყოველივე საუკეთესო. არ ისურვეს მათი მოსპობა, ხოლო ყოველივე უმნიშვნელო და ცუდი მოსპეს“. (1სამ. 15:7-9)

ისრაელში ბევრს ეგონა, რომ საულმა უფლის ნება შეასრულა, თუმცა ამის შემდეგ ვკითხულობთ: „და იყო სიტყვა უფლისა სამუელის მიმართ: „ვნუხვარ, რომ გავამეფე საული, რადგან ზურგი მაქცია და არ გაჰყოლია ჩემს ბრძანებებს!“ დამნუხრდა სამუელი და მთელი ღამე შელაღადებდა უფალს“ (1სამ.15:10-11). საულმა ღმერთს საკადრისი თაყვანი არ სცა და არ დაემორჩილა. იგი არ იყო ღვთის ერთგული.

ერთი შენუხებული მამა მახსენდება, რომელმაც თავისი დარდი გაშიზიარა. მისი მოზარდი ვაჟი ნაწილობრივ აკეთებდა, რასაც მამა ავალეზდა, მაგრამ შემდეგ საქმეს მიაგდებდა და მეგობრებთან გარბოდა. როცა მამა შენიშვნას აძლევდა, ბიჭი ბრაზდებოდა და ასეთ პასუხს სცემდა: „კარგი რა, მამა! რატომ მიბრაზდები ასე ძალიან? რაც მითხარი, იმის 90% ხომ გავაკეთე? რატომ ხარ ასეთი მომთხოვნი? რატომ არაფრად თვლი გაკეთებულ საქმეს და მაინცდამაინც, გაუკეთებელ 10%-ს აკვირდები?“ მამამ აღარ იცოდა, რა ექნა.

მას ასე ვუთხარი: „ღმერთიც მომთხოვნი“ და ყამალეკის ამბავი გავახსენე. ვთქვი, რომ იქ ასი ათასი კაცი, ქალი და ბავშვი მაინც იქნებოდა, რომლებიც საულმა დახოცა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეტაკებას უამრავი ცხვარი, თხა და მსხვილფეხა საქონელი ემსხვერპლა. თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საულმა ღვთის ნათქვამიდან ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტი შეასრულა. მიუხედავად ამისა, ღმერთი სამუელს საულის დაუმორჩილებლობაზე ელაპარაკა და ბოლოს მის საქციელს „თვითნებობაც“ კი უწოდა (მუხლი 23).

ბიბლიურმა მაგალითმა მამას დანახა, რომ შვილის მიმართ მისი უკმაყოფილება სამართლიანი იყო.

ფაქტობრივად, დარწმუნებული ვარ, რომ საულმა ღვთის ნათქვამიდან 99% შეასრულა. რატომ არ გაამახვილა ღმერთმა ყურადღება იმაზე, რაც საულმა გააკეთა და მაინცდამაინც, იმ 1%-ის გამო განრისხდა? ბევრი ადამიანის თვალში ეს მეტის-



მეტი სიმკაცრე იქნებოდა, მაგრამ ღვთისთვის ნაწილობრივი მორჩილება ანუ თითქმის სისრულემდე მიღწეული მორჩილება, საერთოდ არ არის მორჩილება და მის წინააღმდეგ ამბოხის ტოლფასია. ეს ნიშნავს, რომ ღმერთს მის საკადრის პატივს არ მიაგებენ, თავყანს არ სცემენ.

ამის შემდეგ სამუელი საულს უპირისპირდება. ცდუნებუ-ლი მეფე თავგამოდებით უარყოფს ბრალდებას, მაგრამ სამუ-ელი მსხვერპლად მოტანილ ცხოველებზე მიუთითებს. საული ცდილობს, დანაშაული ხალხს გადააბრალოს, მაგრამ სამუელი უსწორებს: „არა, შენ იყავი პასუხისმგებელი! შენ არ დაემორ-ჩილე ღმერთს!“ (პარაფრაზირებული). როცა საული კუთხეში მიიმწყვდია წინასწარმეტყველის წინააღმდეგობამ, სამუელი საოცარ ჭეშმარიტებას წარმოთქვამს კერპთაყვანისმცემლობის შესახებ:

„რადგან ერთი ცოდვაა ჯადოქრობა და ურჩობა, კერ-პთაყვანისმცემლობა და თვითნებობა. როგორც შენ უარყავი უფლის სიტყვა, ისე უფალმაც უარყო შენი მე-ფობა!“ (1სამ.15:23)

ახლა ყურადღებას მეორე განცხადებაზე გავამახვილებ – „ურჩობა ... კერპთაყვანისმცემლობა“. ურჩობა ნიშნავს „მი-წოლას“ ან „ბიძგს“. საული უკან მიიქცა ჭეშმარიტებისგან, სრული მორჩილებისგან.

მომდევნო სიტყვებია „იგივეა, რაც“ (ინგლისურ ვერსიებში). ეს სიტყვები დედანში არ გვხვდება. აქ არავითარი ებრაული სიტყვა არ არის და მთარგმნელები ამატებენ მას, რომ წინა-დადება უკეთესად იკითხებოდეს. უმჯობესი თარგმანია „ურ-ჩობა ... კერპთაყვანისცემა“.

რეალობა შემდეგში მდგომარეობს: თუ ადამიანმა იცის ჭეშ-მარიტება, იცის ღვთის ნება, იცის, რას ამბობს ღმერთი და მაინც გარბის მისგან და არ ემორჩილება, ეს კერპთაყვანისმცემ-ლობაა. მიზეზი? მათი ნება, გეგმა, სურვილი და გულისთქმა – ღმერთზე მაღლა დგას. ეს ყველაფერი უპირატესია და რასაც ღმერთზე მაღლა ვაყენებთ, კერპია.

საულს სწამდა და აღიარებდა კიდევ: „დავემორჩილე ღმერთს“. იმის გამო, რომ მან სრული მორჩილება არ გამოხ-ატა, როცა ხალხის სურვილები (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საკუთარი სურვილები) უფლის სიტყვაზე მაღლა დააყენა, ადგ-ილი ჰქონდა კერპთაყვანისცემას. ამან იგი ისე დააბრმავა, რომ ღვთის შეურაცხყოფამდე მივიდა.

ის, რაც რომაელთა წერილში კაცობრიობასთან დაკავშირებით ვნახეთ, მართებულია საულის შემთხვევაშიც. საულის კერპთაყვანისმცემლობის ფესვი არ ყოფილა ქანდაკებები, გამოსახულებები, სამსხვერპლოები და სამლოცველოები. მან ღმერთს თაყვანი არ სცა – მორჩილება არ გამოიჩინა იმაში, რაც ღმერთმა განუცხადა. ამ ძირეულ ქცევას ადამიანი გაუცნობიერებლად მიჰყავს ჭეშმარიტების ტყუილით ჩანაცვლებაამდე. ამრიგად, საცდურმა საული მაგრად დაიჭირა. მან იგი „ბრიყვული აზროვნებისკენ“ წაიყვანა და ისეთი რამეების კეთებისკენ უბიძგა: „რაც არასდროს არ უნდა გაეკეთებინა“. საულის კერპთაყვანისმცემლობის ტრაგიკული შედეგი ის გახლდათ, რომ მისი ცხოვრება სულ უფრო და უფრო იძირებოდა ბოროტებაში. იგი ეჭვიან, დაუსაბუთებლად მომთხოვნ, უგუნურ, რისხვით სავსე, უფლის მსახურების მძულვარებით თავდამსხმელ, მკვლელ და ღვთის ნაცვლად ჯადოქრებისგან რჩევის მიმღებ კაცად გადაიქცა. ასეთია საულის შემდგომი თვისებები, რომლებიც კერპთაყვანისმცემლობის ფესვიდან ამოიზარდა.

ხშირად, ღმერთთან ურთიერთობის მქონე ადამიანები, რომლებიც წმიდა წერილის მეშვეობით ღვთისგან ნათლად გაცხადებულ მცნებებს თავიანთი გულისთქმებით სიარულს ამჯობინებენ, საკუთარი დაუმორჩილებლობის მიმართ ბრმები ხდებიან. კერპთაყვანისმცემლობა თვალებს გვიხვევს, რომ ჭეშმარიტება არ დავინახოთ, ისევე როგორც საული დაემართა. ჭეშმარიტებას ტყუილში ვცვლით და თან დარწმუნებული ვართ, რომ ღმერთი ჩვენს მხარესაა. ვფიქრობთ, რომ მას ჩვენი გულისნადები ესმის და არასწორ ქცევებსაც გვპატიებს ან ჩვენი ცხოვრების სტილს იწონებს, როცა რეალურად, მას ვუპირისპირდებით და ღვთის მტრებად ვიქცევით საკუთარი ნებით.

## კმაყოფილება

ორი საკვანძო სიტყვის განმარტებით კერპთაყვანისმცემლობის მომდევნო ასპექტს წარმოგიდგენთ. პირველი გახლავთ „კმაყოფილება“. იგი მარიამ უებსტერის ლექსიკონში განისაზღვრება, როგორც „მოპოვებული ქონებით, სტატუსით ან ვითარებით განცდილი სიამოვნების გრძნობა“. კმაყოფილების აღსანიშნავად ყველაზე ხშირად გამოყენებული ბერძნული სიტყვა გახლავთ არკეო და იგი განიმარტება როგორც

„საკმარისი, სამყოფი, დამაკმაყოფილებელი, ხოლო წინადადებაში გამოყენებისას – ძლიერი და სხვისი დახმარების შემძლე“ (WSNTDICT).

ჩვენ ვერ შევძლებთ სათანადოდ მსახურებას, თუ კმაყოფილები არ ვართ. ამ თვისების უქონლობა სიტუაციების სარგებლობის კუთხით დანახვისადმი მიდრეკილს გვხდის – *რას მივიღებ ამით?* გარეგნული მოქმედებები და სიტყვები შეიძლება უანგარო ან თავის უარმყოფელიც კი ჩანდეს, მაგრამ თუ ისინი კმაყოფილებას არ ეფუძნება, საკუთარი სარგებლობის მიღების მოტივით აღძრული იქნება.

პავლე ეკლესიას ეუბნება: „გაჭირვების გამო არ ვამბობ ამას, ვინაიდან ვისწავლე იმით დაკმაყოფილება, რაც მაქვს“ (ფილ.4:11). მას საჭიროებები ჰქონდა; მან ეს-ეს იყო ფილიპელებს უთხრა, რომ არ ეძებდა მოსაცემელს თავის სასარგებლოდ, არამედ მათთვის. პავლეს არ შეეძლო ტყუილის თქმა ან გაზვიადება წმიდა წერილის წერისას, ამრიგად ვიცით, რომ ნამდვილად ეს იყო მისი განზრახვა და არა „პოლიტიკურად კორექტული“ განცხადების გაკეთება. ერთადერთი გზა, რომ მისი მოტივები ანგარებისგან გათავისუფლებულიყო დიდი საჭიროებების არსებობის შემთხვევაშიც კი, გახლდათ მისი სრული კმაყოფილება.

სწორედ ამ მიზეზის გამო გვეუბნებიან როგორც მორწმუნეებს: „აჰა, დიადი შენაძენია ღვთისმოსაობა კმაყოფილებასთან ერთად! ამიტომ თუ საზრდო და ტანსაცმელი გვაქვს, დაგვერდეთ ამას“ (1ტიმ.6:6,8). კმაყოფილებას „დიადი შენაძენი“ უკავშირდება; თუმცა უნდა ითქვას, რომ შენაძენი ყოველთვის არ ვლინდება ჩვენი დროის სამყაროში. კმაყოფილება გვეხმარება მდგრადობაში და პასუხის მიღებამდე ლოცვის გაგრძელების ძალას გვაძლევს.

ლოცვაში უფალს ვკითხვ, როგორი იყო კმაყოფილების მისეული განმარტება. გულში გავიგონე: „*ჩემი ნებით სრული კმაყოფილება*“. უფალ იესოს ცხოვრება კმაყოფილების სრულყოფილი სურათია. ამას არაერთხელ ვხედავთ მის სიტყვებში: „*ჩემი საქმელია, ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და დავასრულო მისი საქმე*“ (იოან.4:34). ღვთის ნების აღსრულებისთვის თავის მიძღვნა და ამით კმაყოფილება ცხადად ჩანს მესიანურ ფსალმუნში, სადაც ვკითხულობთ: „*შენი ნების აღსრულება მწადაია, ღმერთო და რჯული შენი ჩემს გულშია!*“ (ფს.40:8). მისთვის არ არსებობდა სურვილი და ლტოლვა ღვთის ნების მიღმა. მისი ნადილი მხოლოდ ღვთის ნების აღსრულება იყო.

კმაყოფილება თვითკმაყოფილებაში არ აგერიოთ, რადგან მათ საერთო არაფერი აქვთ მნიშვნელობის მხრივ. თქვენ ხედავთ, რომ იესომ „ძლიერი ღალადითა და ცრემლით შესწირა ლოცვა და ვედრება მას“ (ებრ.5:7). მან გადააბრუნა ფულის გადამცველთა მაგიდები და დიდად ისურვა პურობა მოციქულებთან ერთად ტანჯვის წინა ღამეს. იგი წუხდა ბორკილებში მყოფი, სწეული და დაღუპული ადამიანების ხილვით; იგი ჩაგრულთა დიდი დამცველი გახლდათ. და მაინც, როცა საქმე მის საჭიროებებსა და სურვილებს ეხებოდა, იესო კმაყოფილებას იჩენდა. იგი სათხოვრებს მამას წარუდგენდა და მის მზრუნველობას ენდობოდა.

კმაყოფილებამ შვა სიტყვები: „მე ჩემი ცოცხალი მამისთვის ვცოცხლობ“. ამან მას არაამქვეყნიური დაცულობა და მდგრადობა შესძინა ისე, რომ შემდეგი სიტყვები განაცხადა: „ვიცი, საიდან მოვედი და სად მივდივარ“ (იოან.6:57 და 8:14). ამის გამო შეუძლებელი იყო მისი შეჩერება ან ცდუნება. ის სრულყოფილი მსახური გახლდათ!

## ანგარება იზიჰე სიხარბე

კერპთაყვანისმცემლობის განსაზღვრისთვის საჭირო მეორე საკვანძო სიტყვა „ანგარება (სიხარბე)“ გახლავთ. ის კმაყოფილების სრულიად საპირისპიროა და ჩვენს ყოველდღიურ საუბრებში იშვიათად გამოიყენება. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ სიტყვის განმარტება წმიდა წერილში მის ამოსაცნობად და გასაგებად.

დავინწყოთ ინგლისური დეფინიციით. უებსტერის ლექსიკონის მიხედვით „სიხარბე არის რაიმეს საგნის მოპოვების და ფლობის ძლიერი სურვილი“. ბერძნულ ლექსიკონში მისი აღწერილობა უფრო მრავალფეროვანია, მაგრამ სანამ განვიხილავდეთ, გადავხედოთ, რას ამბობს პავლე *სიხარბის* შესახებ კოლოსელთა მიმართ წერილში:

„ამრიგად, თუ ქრისტესთან ერთად აღსდექით, ეძიეთ რაც მალაა, სადაც ქრისტე ზის ღმერთის მარჯვნივ. ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე. ვინაიდან თქვენ დაიხოცეთ და თქვენი სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში; და როცა გამოჩნდება ქრისტე, თქვენი სიცოცხლე, მაშინ თქვენც გამოჩნდებით მასთან ერთად დიდებით“. (კოლ.3:1-4)

პავლე კმაყოფილების მდგომარეობაში დარჩენის გასაღებს გვთავაზობს. როცა სრულად გავაცნობიერებთ, რომ ყოვლის-შემძლე ღმერთთან აღთქმაში ვართ იესო ქრისტეს მეშვეობით, ვხვდებით, რომ არაფერი გვაკლია, აბსოლუტურად – არაფერი. იესო ამბობს, რომ „ცათა სამეფო ჩვენია“ და თუ უპირველესად და არა მეორე ან მესამე რიგში მას ვეძებთ, ყველაფერი მოგვეცემა და შეგვემატება.

ეს ხსნის მტრის პირველ მთავარ შეტევას იესოს წინააღმდეგ. უდაბნოში ცდუნებისას სატანა იესოს დათანხმებას ცდილობდა, რომ უზრუნველყოფა ზეციერი მამის გარეშე მოეძებნა. ვითარება მართლაც სახიფათო გახლდათ: ორმოცდღიანი მარხვის შემდეგ იესოს მაგრად მოშივდა. მტერი იმედოვნებდა, რომ იესოს კმაყოფილების მდგომარეობიდან სიხარბის მდგომარეობაში გადაიყვანდა, მაგრამ მან ამაზე უარი თქვა. მოკლე ხანში ანგელოზი მოვიდა და იესო დააპურა ზეციური საკვებით. მაშინ მტერს გეგმა ჩაუვარდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგივე სტრატეგიას ჩვენი მისამართით არ გამოიყენებს. მისი მიზანია, ცათა სამეფოდან მიღებული უზრუნველყოფით კმაყოფილების ნაცვლად რეზერვები საკუთარი გზებით ვეძებოთ.

პავლეს აზრით, ღვთის *მადიებლები* მხოლოდ იმისთვის არ იყენებენ ღმერთს, რომ მისგან რაიმე მიიღონ. მათი გონება დაშურებით ესწრაფვის მისი გულის სანდომს და ღვთის საამებლის კეთებას, ამიტომ მუდამ ზეციურზეა მომართული. მხოლოდ ამ მდგომარეობაში მყოფები შევიძენთ იესოს მსგავსებას. ჩვენი დიდი სურვილია, ვეძებოთ მისი ნება, ვინც წარმოგვგზავნა. საოცარი შედეგი ის იქნება, რომ იესოს მსგავსად ვერ შეგვაჩერებენ და გზიდან ვერ გადაგვახვევინებენ. ჩვენ ცათა სამეფოს ღირსეული მსახურები ვიქნებით!

პავლე განაგრძობს:

„მამ, მოაკვდინეთ თქვენი მინიერი ასოები: სიძვა, უნ-მინდურება, ვნება, ბოროტი გულისთქმა და ანგარება, რაც კერპთმსახურებაა, რომელთა გამოც ღვთის რისხვა მოდის ურჩობის ძეგებზე“. (კოლ.3:5-6)

დააკვირდით პავლეს სიტყვებს, „ანგარება, რაც კერპთმსახურებაა“. ეს არის ჩვენი შემდეგი საკვანძო სიტყვა ნამდვილი კერპთაყვანისმცემლობის დასანახად. წარმართ ერებში, სადაც ქანდაკებები, სამსხვერპლოები და სამლოცველოებია, მისი აღ-

მოჩენა ადვილია, მაგრამ „ცივილიზებულ ერებში“ კერპთაყვანისცემა დასადგენი და გამოსარჩევია. პავლე ამბობს, რომ კმაყოფილებიდან სიხარბეში გადასვლით ღმერთთან ახლო ურთიერთობიდან კერპთაყვამისცემასა და მრუშობაში გადავდივართ.

ახლა გადავხედოთ ბერძნულ სიტყვას „პლეონექსია“ რომელიც ამ მუხლში „ანგარებად“ ითარგმნება. ნება მომეცით, სამი განსხვავებული განმარტება მოვიყვანო კარგად ცნობილი წყაროებიდან:

Pillar: „მეტის ფლობის შეუფერებელი სურვილი“.

BDAG: „საჭიროზე მეტის ნდომის მდგომარეობა“.

CCE: „მოიაზრება საკუთარი თავის გაკერპება, მომხვეჭელობის სული“.

მოდით, ყურადღება გავამახვილოთ ბოლო განმარტებაზე: „საკუთარი თავის გაკერპება, მომხვეჭელობის სული“. როცა ჩვენი სიყვარული ცათა სამეფოსკენ არ არის მიმართული იმის გამო, რომ პირველ ადგილზე არ ვაყენებთ, ნელ-ნელა გადავდივართ თვითგადარჩენის რეჟიმზე. ამ ეტაპზე ვიხვეჭთ იმას, რაც ჩვენი აზრით დაკმაყოფილებისთვის გვჭირდება. ვეძებთ: სიამოვნებას, სიმდიდრეს და მატერიალურ მოგებას, პოპულარობას, სტატუსს, მდგომარეობას, რეპუტაციას, კომპანიონობას, სისრულეს, ძალაუფლებას, ძალას, გულისთქმას და მრავალ სხვა „მინდას“ – თავის გაკერპების პოზიციიდან. ამ მდგომარეობაში მაშინ აღმოვჩნდებით, როცა კმაყოფილები არ ვართ. ასე იმიტომ ვიბრძვით, რომ ღვთისგან ბოძებული მშვიდობა და მოსვენება გვაკლია. აღმოვაჩინოთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში მის გეგმასა და პროცესებს ვუპირისპირდებით.

ეჭვგარეშეა, რომ კმაყოფილება და ანგარება ურთიერთსანინააღმდეგო ძალებია. კმაყოფილებას კერპთაყვანისმცემლობისგან შორს მივყავართ და ღვთის გულთან გვაახლოებს, ხოლო ანგარება ღვთისგან გვაშორებს და კერპთაყვანისცემის სამხვერპლოსკენ გვიბიძგებს. ეს ორი სიტყვა ერთმანეთის საპირისპიროა და სანინააღმდეგო მნიშვნელობები აქვთ, რომლებიც შემდგომში თვალსაჩინოდ ჰყოფენ მათ განსხვავებას. ადვილია დანახვა, თუ რატომ აკეთებს ებრაელთა წერილის ავტორი ასე თამამ განაცხადს:

„ვერცხლისმოყვარენი ნუ იქნებით; დასჯერდით იმას, რაც გაქვთ, რადგან თქვა: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდე!“ ამიტომ თამამად ვამბობთ: „უფალია ჩემი შემწე, არ მეშინია: რას მიზამს კაცი?“ (ებრ.13:5-6)



მომდევნო თავში აღმოვაჩენთ, რომ ღვთიური კმაყოფილება სიმხნევებს გვმატებს ნებისმიერი განსაცდელის დროს. იგი მახეებს გვარიდებს, რომელთაც ქვეყნიერება მორწმუნეებს უგებს. კმაყოფილება თავისთავად მოიცავს დიდ სარგებელს და მშვიდობას, რაც გონებრივ აღქმას აღემატება.

ამის საპირისპიროდ, ანგარება მოუსვენრობის სამკვიდროა და დაუსრულებელი სურვილებითა და ვნებებით ინთება. ეს გახლავთ მდგომარეობა, როცა გარდაუვალია როგორც ცდუნება, ასევე – ნგრევა.

## იპოქრიზი!

ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ღვთის სიტყვის ჭეშმარიტების გაგება. იგი ჩვენთვის დაინერა, ამიტომ გამართლება არ გვაქვს. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ შეძლებს ღვთიის წინაშე დგომას და თქმას: „უფალო, მე ხომ არ ვიცოდი!“ როგორც ყველა ერს გაუცხადა თავი ქმნილების მეშვეობით, რომ მათ გასამართლებელი მიზეზი არ ჰქონოდათ, ასევე ჩვენც გაგვიცხადა თავისი ნება წმიდა წერილის მეშვეობით, რომ საპატიო მიზეზების ძებნა არ დაგვენყო.

რაც არ უნდა ძნელი მოსასმენი იყოს, რომ ნაწილობრივი მორჩილება კერპთაყვანისცემის ტოლფასია, მაღლიერი ვართ ამის გაგების გამო. როცა ვიცით, როგორია სატესტო კითხვები, გამოცდას ნებისმიერ დროს ჩავაბარებთ. ეს ღვთის სიკეთისა და წყალობის მაჩვენებელია!

ადვილია დაბრმავება მაშინ, როცა ნაწილობრივ მორჩილებას, თვითნებობას ან სიხარბეს ვიჩენთ, ამიტომ სულიწმიდას სთხოვეთ, რომ თქვენი ცხოვრების ყოველი სფერო დაგანახოთ, რომელიც ამგვარი ზეგავლენის ქვეშ მოექცა. მოინანიეთ, რასაც ის გაჩვენებთ და განმედა სთხოვეთ! და ბოლოს, შეევედრეთ მას, რომ სიახლით აავსოს თქვენი ცხოვრება და მისი მიყოლის ძალა მოგცეთ მთელი გულით დამორჩილების მეშვეობით!





# ზენოლის შემსუბუქება

ნინა თავში კერპთაყვამისმცემლობის ორი ასპექტი წარმოგიდგინეთ: ურჩობა და ანგარება. ახლა ისინი ერთმანეთს დაუუკავშიროთ, რადგან ყოველთვის მხარდამხარ მიდიან და ფარდა ავხადოთ მათი ერთობლივი მოქმედების შედეგს, რაც ერთი ნაბიჯით დაგვაახლოვებს იმის გაცნობიერებასთან, თუ რა ხდის მორწმუნეს კრიპტონიტისადმი ასე მგრძნობიარეს.

## რთული სცენარი

ისევ მეფე საულზე ვისაუბროთ. იგი კმაყოფილი არ იყო ღვთის ნებაში ყოფნით. გამოჩენილმა თვითნებობამ ანგარებისადმი მიდრეკილება გაუღვივა. მისი პირველი შეცდომა ყამალექს არ უკავშირდება. ეს მისი მეფობის ადრეულ პერიოდში მოხდა, როცა იგი ფილისტიმელებს დაუპირისპირდა. ამ ისრაელის მტრებმა სამი ათასი ეტლისგან შემდგარი უზარმაზარი არმია შეკრიბეს, რომლებიც თანამედროვე ტანკებს შეესაბამება. წარმოიდგინეთ, მათი მეომრების რიცხვი ზღვის ქვიშას უტოლდებოდა! ფილისტიმელები მიქმაშში დაბანაკდნენ და შეტევითვის მოემზადნენ.

საულის სამხედრო ძალა არაფერი იყო მათთან შედარებით. მეფის არმია ის-ის იყო ჩამოყალიბდა და ჯერ კიდევ ძლივს იდგა ფეხზე. ჩვენ ვკითხულობთ:

„იხილეს რა ისრაელიანებმა, რომ საფრთხეში იყვნენ, ვინაიდან შეაჭირვეს ხალხი, დაიმაღნენ: მღვიმეებში, ხეობებში, კლდეთა ნაპრალებში, კოშკებსა და ორმოებში. ზოგი ებრაელი იორდანეს გაღმა, გადისა და გილყად-

ის მინაზე გადავიდა; მაგრამ ჯერ ისევ გილგალში რჩებოდა საული, მთელი მისი ხალხი კი შეშინებული იყო“. (1სამ.13:6-7)

წარმოგიდგენიათ, საული რამხელა ზენოლას განიცდიდა? თქვენ ხართ წინამძღოლი, მხედართმთავარი და მეფე. თქვენი ახალფორმირებული არმია გამოცდილი, ძლიერი და ურიცხვი მეომრის წინაშე დგას. საულს იმ დღეს ყველაზე საშინელი კომპარი აუცხადდა – მისი მეომრები დეზერტირობისთვის მზად არიან. შექმნილი ვითარების მიუხედავად, შველა გზაშია – ხანდაზმული წინასწარმეტყველი სამუელი უნდა მოვიდეს და უფალს მსხვერპლი შესწიროს. ეს საულის წინამძღოლობის მიმართ კაცების ნდობას განაახლებს და მომავალი ბრძოლისთვის საჭირო გამბედაობას შეჰმატებს. თუმცა აქ ერთი პრობლემა არსებობს:

„შვიდ დღეს იცდიდა იგი, როგორც სამუელმა დაუთქვა, მაგრამ არ მოდიოდა სამუელი გილგალში; საულს კი ხალხი ეფანტებოდა. თქვა საულმა: „მომგვარეთ სრულადდასანველი და სამშვიდობო შესაწირნი!“ და მსხვერპლი აღავლინა“. (1სამ. 13:8-9)

ეს საიდუმლოს არავისთვის არ წარმოადგენდა. საულს ღვთისგან არ ჰქონდა მინიჭებული მსხვერპლშენიერვის უფლება. ამის გაკეთება მხოლოდ მღვდელს (სამუელი მღვდელიც იყო და წინასწარმეტყველიც) შეეძლო. საულის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში მას და მის მეომრებს შეიძლებოდა, ეფიქრათ გადამწყვეტი ზომების მიღებაზე. თუმცა სამუელი მზად იყო ამ საკითხის ირგვლივ ნებისმიერი გაურკვეველობის აღმოსაფხვრელად:

„როცა სრულადდასანველის აღვლენა დაასრულა, სამუელიც გამოჩნდა; და გამოვიდა საული მის შესახვედრად და მისასალმებლად. უთხრა სამუელმა: „ეს რა ჩაიდინე?“ უპასუხა საულმა: „დავინახე, რომ მეფანტებოდა ხალხი, შენც არ გამოჩნდი დანიშნულ დროზე, ფილისტიმელნი კი მიქმამში იკრიბებოდნენ. ვთქვი: ახლა დამეცემიან ფილისტიმელნი გილგალში, მე კი ჯერ არ შევვედრებივარ-მეთქი უფალს. ველარ მოვითმინე და აღვავლინე სრულადდასანველი“. უთხრა სამუელმა საულს: „უგუნ-

ურად მოიქეცი, არ დაიცავი უფლის, შენი ღვთის ბრძანება, რომელიც გამცნო, რათა საუკუნოდ განემტკიცებინა უფალს შენი მეფობა ისრაელზე. ახლა ველარ განმტკიცდება შენი მეფობა! იპოვა უფალმა თავისი გულის სანდომი კაცი და ის დაადგინა თავისი ხალხის მთავრად უფალმა, რადგან არ დაიცავი ღვთის ნაბრძანები“. (1სამ.13:10-14)

აი, რას აკეთებენ წინასწარმეტყველები – ნათელს მოჰფენენ ნებისმიერ გაუგებრობას და გვაბრუნებენ უფლის მითითების შესაბამის ადგილას. ძნელბედობის ჟამს ადამიანებს ადვილად ავიწყდებათ, რა სურს ღმერთს. საულის დაუცველობის და უკმაყოფილების გამომხატველი მოქმედებები ისრაელიანებს ეუბნებოდა, რომ რთულ პერიოდებში თავად შეგვიძლია გადავწყვიტოთ, ღმერთს დავემორჩილებით თუ არა. ეს მართალი არ არის! ღვთის მორჩილება ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მიუხედავად დროის ვითარებისა.

საულის დაუცველობის გრძნობა კმაყოფილების ნაკლებობის შედეგი გახლდათ. მას ყველაფრის გაკონტროლება სურდა, რაც მის ირგვლივ იყო და გარემოებები ამის საშუალებას არ აძლევდა. საულს ზენოლა ეჯავრებოდა და მისი შემსუბუქება მოინდომა. უკმაყოფილებამ იგი სასურველი მშვიდობის ნებისმიერ ფასად მოპოვების სურვილამდე მიიყვანა.

არსებობს ჭეშმარიტება, რომელიც ყველამ უნდა გავითავისოთ: ღვთის მსახურებისას ხშირად შევზვდებით განსაცდელს, სიძნელეს და გასაჭირს. იესო ამის გარანტიას გვაძლევს: „ნუთისოფელში ჭირი გექნებათ“ (იოან.16:33). განსაცდელი გამოაჩენს ჩვენი რწმენის სიძლიერეს. თუ ვნახეთ, რომ რწმენაში ვმერყეობთ და გზიდან აცდენილი ვართ რწმენის საზომით, დროა, ღმერთს შევლადადოთ, მისი სიტყვა ვეძებოთ და სულიწმიდას დაველოდოთ. თუ ასე მოვიქცევით, განსაცდელს უფრო ძლიერი რწმენით დავალწევთ თავს, ვიდრე იქამდე გვქონდა.

ჩვენი რწმენა ძვირფასი რამ არის, გაცილებით ძვირფასი, ვიდრე დედამიწაზე არსებული რომელიმე რესურსი. ამაზე ასე იფიქრეთ: ვინმემ დაცული ბიზნეს-გეგმა რომ შემოგთავაზოთ და მასში კაპიტალი ჩადოს, რა რეაქცია გექნებათ? ნუთუ იწუნუნებდით და იტყოდით: „ეს ძალიან რთულია, მეტისმეტად ბევრი საშრომია!“? თუ მაშინვე გამოიყენებდით შესაძლებლობას და მტკიცედ გაჰყვებოდით გარანტირებული შედეგის მქონე გეგმას? ჩვენ ულაპარაკოდ დავინყებდით მუშაობას დიდი მოგების მოლოდინში.

ეს არაფრით განსხვავდება ყველა იმ ვითარებისგან, როცა განსაცდელი თქვენს ძალებს აღემატება და მენდეთ, რომ ღმერთი თვალყურს მიადევნებს, რომ ეს შესაძლებლობები მიიღოთ. ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ თქვენი გაღიზიანება სურს, არამედ უფრო დიდი რწმენის საზღაური რომ გქონდეთ.

## კიდევ ერთი რთული ვითარება

განვიხილოთ დავითის ამბავი, რომელიც საულის სრული ანტიპოდი იყო. იგი კიდევ უფრო მძიმე გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა.

დავითი და მისი ბოლო ექვსასი მეგობარი დედამიწის ზურგზე ყველამ უარყო. ეს არ იყო კარგი დღე, მაგრამ წინ უარესი ელოდათ. ისინი სახლში, ციკლაგში დაბრუნდნენ თუ არა, აღმოაჩინეს, რომ არაფერი დარჩენოდათ. ყამალეკელებს წაეყვანათ ყველაფერი ძვირფასი, რაც მათ გააჩნდათ: ცოლები, შვილები და რესურსები – დანარჩენი კი გადაეწვათ, აღარაფერი დარჩა.

წარმოგიდგენიათ დავითის ემოცია? იგი თორმეტი წელი ისრაელის უდაბნოებსა და უდაბურ ადგილებში დაეხეტებოდა. მას არ ჰქონდა ოჯახისა და ბავშვობის მეგობრების ნახვის შესაძლებლობა, რომლებიც თაყვანისცემის მსახურებას ესწრებოდნენ, მოკლებული იყო თემის საქმეებში ან იმდროინდელ ეროვნულ დღესასწაულებში მონაწილეობის სიამოვნებას. იგი უნდა დამალოდა და ზოგჯერ გაქცეოდა განვრთნილ ისრაელიან მეომრებს, რომლებიც მუდამ მის კვალს ეძებდნენ და მასზე ნადირობდნენ.

ამ მიზეზით მათი მდგომარეობა იმდენად საშიში გახდა, რომ დავითმა და მისმა კაცებმა ოჯახებითურთ უცხო ქვეყანას შეაფარეს თავი ორი წლის განმავლობაში. რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მათი დევნილობა? სად იყო ღვთის მსახურების საზღაური? რამდენიმე შემთხვევისას დავითს შეეძლო, საკუთარ ხელში აეღო ვითარების მართვის სადავეები და მოეკლა ღვთისგან დაყენებული ისრაელის წინამძღოლი. ეს მის მდგომარეობას შეამსუბუქებდა და მის გასაჭირსაც ბოლო მოედებოდა. თუმცა დავითი ერთგული, გულმოდგინე და კმაყოფილი რჩებოდა თოთხმეტი წლის განმავლობაში.

ახლა შეჩერდით და დაფიქრდით! არ გქონიათ დანებების სურვილი სამკვირიანი განსაცდელის შემდეგ? რას იტყვით სამ თვეზე ან სამ წელიწადზე?

სამი წელი საკმაოდ დიდი დროა, რომ გამუდმებულ გასაჭირს გაუძლო, თუმცა ესეც ფერმკრთალდება დავითის მდგომარეობასთან შედარებით. საულის, დაახლოებით, ერთი კვირა ჰქონდა მიცემული და დანებდა. მან ღვთის მორჩილებას მისი ხელქვეითების თვალში პატივისცემისა და მეფის სტატუსის შენარჩუნება ანაცვალა. მან არჩია, ისე მოქცეულიყო, რომ დაძაბულობაც შეენელებინა და საკუთარი თავიც წამოეწია. ის არ დაელოდა შენევენას, რომელიც მხოლოდ ღვთისგან მოდის.

დავუბრუნდეთ დავითის ამბავს! ის და მისი თანამებრძოლები ციკლაგში დაბრუნდნენ და აღმოაჩინეს, რომ მათთვის ძვირფასი ადამიანები და ქონება მომხვედურების ხელში იყო. ამის მნახველი დავითი და მისი კაცები ძალ-ღონის გამოცლამდე ტიროდნენ. დავითი ფიქრობდა, რომ ამაზე უარესი აღარაფერი მოხდებოდა, მაგრამ ცდებოდა. მას წინ უფრო დიდი განსაცდელი ელოდა. ამის შემდეგ დედამიწაზე მისი უკანასკნელი 600 მეგობარი ისე განრისხდა, რომ მისი დასჯაც კი გადაწყვიტა.

„დიდად დამწუხრდა დავითი, რადგან მის ჩაქოლვას განიზრახავდა ხალხი“. (1სამ.30:6)

ამგვარ კრიტიკულ მდგომარეობაში საულის კაცები თვითნებურად იპარებოდნენ. იგი მარტო დარჩა და ძალიან სჭირდებოდა ხალხის მხრიდან მოწონება და პატივისცემა. მან ამ ყველაფრის მოპოვება ღვთის მცნების უგულვებლყოფით განაწყვიტა.

საულის მეომრების საპირისპიროდ, დავითის კაცები არსად გარბოდნენ, მაგრამ მისი მოკვლა კი დააპირეს. დავითის მდგომარეობა საულისაზე გაცილებით რთული იყო. საულის დაუკმაყოფილებლობამ მას დაძაბულობის შერბილებისკენ უბიძგა ღმერთზე მინდობის ნაცვლად და სამუელს არ დაელოდა. დავითის რეაქცია სრულიად განსხვავებულია:

„უფლით, თავისი ღვთით განიმტკიცა თავი დავითმა. უთხრა დავითმა აბიათარ მღვდელს, ახიმელექის ძეს: „გთხოვ, მომიტანე ეფოდი!“ და მიუტანა აბიათარმა დავითს ეფოდი. დაეკითხა დავითი უფალს: „დავედვენო იმ ურდოს? დავენევი?“ მიუგო: „დავედვნი, რადგან უსათუოდ დაენევი და სრულად წაართმევ ნადავლს!“ (1სამ.30:6-8)

დავითი არ ცდილობდა საკუთარი გამოსავლის პოვნას და თავდაჯერებული გეგმის შედგენას. მას არ უთქვამს: „მეყო! რა არის კარგი ღვთის ერთგულებაში? საუკეთესო წლები მას შევალე. მან დამაყენა ტირანი მეფის ხელქვეით. სწორედ მისი ბრალია, რომ ჯოჯოხეთური ცხოვრება მაქვს!“

დავითს ღმერთი არასოდეს დაუდანაშაულებია. მას არასოდეს სდომებია სასახლეში ცხოვრება. დევნილობისას შეეძლო, შურისძიების გრძნობას აჰყოლოდა, საული მოეკლა და თავი მეფობის კანდიდატად წამოეყენებინა, როგორც ღმერთი შეჰპირდა. თუმცა ასე არ მოქცეულა და ღმერთს დაელოდა, საული კი – არა. დავითი მუდამ კმაყოფილების საზღვრებში რჩებოდა და რჩევას პირველად უზენაესს ეკითხებოდა.

ღვთიური ხსნა ან უზრუნველყოფა ყოველთვის მოდის, მაგრამ არა მანამდე, სანამ ადამიანს უფლის სიტყვისადმი დაუმორჩილებლობის შესაძლებლობა არ მიეცემა – უდაბნოში სატანის საცდურის მსგავსად, როცა იესოს გასაჭირიდან თავის დაღწევის სხვა გზას სთავაზობდა. ამის შემდეგ ანგელოზები მოვიდნენ და მოემსახურნენ მას. თითქმის ყოველთვის ასე ხდება. კმაყოფილების მდგომარეობაში დარჩენა საკუთარი ძალებით მოქმედებისა და ზრუნვისგან გვიცავს.

## უკან ყამალეკთან

ვაგრძელებთ რა საულის ცხოვრების კვლევას, ყურადღებას ყამალეკთან დაპირისპირების შემთხვევას მივაპყრობთ. რასაკვირველია, დროის მიხედვით ეს ამბავი საულის ფილისტიმელებთან ბრძოლის შემდეგ მოხდა.

რამ გამოკვება საულის დაუმორჩილებლობა ყამალეკთან დაკავშირებით? რატომ დაიფარა მათი მეფის სიცოცხლე და დაინდო საუკეთესო ცხვარ-ძროხა, როცა ღვთის მითითება ძალზე მკაფიო იყო? კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ეს სხვა არაფერია თუ არა ანგარება. ის ღვთის ნებისადმი საულის დაუკმაყოფილებლობისა და დაუცველობის ნიადაგში ამოიზარდა.

უპირველესად, რატომ არ მოკლა საულმა ყამალეკის მეფე? ერის დამორჩილება უზარმაზარი მიღწევაა და იმ დროს ბრძოლაში გამარჯვებულ მეფეებს დამარცხებულები თავიანთ სასახლეში მოჰყავდათ. უცხო და ძლეული მეფის ყოლა ცოცხალი ნაალაფევის ტოლფასი იყო. ყოველ ჯერზე, როცა მას შეხედავდით, მთელ მის ქვეყანაზე გამარჯვება გაგახსენდებოდათ.

როცა თქვენი დიდებულები და სასახლის მსახურები შეხედავდნენ მას, თქვენი ძალმოსილი წინამძღოლობით აღფრთოვანდებოდნენ. ეს გახლდათ ეგოიზმისა და თავდაჯერებულობის სტიმულაცია, მით უმეტეს, თუ შინაგანი დაუცველობის მქონე ლიდერი იყავით.

მეორე, რატომ არ უნდა დაენდო, ცხვარი, თხა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მსუქანი ხორცი და კრავები? მიზეზი იგივე გახლდათ. საული მეომრებისა და ხალხის პატივისცემის მიღებას დახარბდა. თუ მათ საუკეთესო ყამალეკურ ცხვარ-ძროხას დაურიგებდა, მისი დიდებული წინამძღოლობა დიდხანს ემასხოვრებოდათ. გარკვეული დროის შემდეგ ისინი მოიგონებდნენ და იტრაბახებდნენ დამარცხებულ ერთან ბრძოლაში მის მიერ გამოჩენილი ძალით, სტრატეგიით და სიბრძნით. ისინი დაინახავდნენ, რომ ღმერთი საულის მხარეს იყო და მის ძალაუფლებაში ექვის შეტანის ყოველგვარი საფუძველი გაქრებოდა.

სიხარბე საულს აიძულებდა, რომ გამუდმებით გაემყარებინა თავისი მდგომარეობა. მან, ფაქტობრივად, მონუმენტი დაუდგა საკუთარ თავს მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად. როცა წინასწარმეტყველი მის დაუმორჩილებლობას დაუპირისპირდა, საული თავისი მთავრების გუნდისა და მოქალაქეების აზრმა უფრო ააღელვა, ვიდრე ღვთის მიმართ დაუმორჩილებლობამ (იხ. 1სამ.15:30). მის თვალში სამუელის არყოფნა, რომელიც ისრაელში ყველაზე პატივდებული წინასწარმეტყველი იყო, მის რეპუტაციას ავნებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამუელმა უკვე მისცა შენიშვნა. საულს წინამძღოლობისა და ძალაუფლების გარანტირებული დამონშება სჭირდებოდა, თუმცა ღვთისგან საკმარისად ჰქონდა ბოძებული. იგი პატივს, სიდიადეს და ძალაუფლებას სხვა ყველაფერზე მეტად ელტვოდა. ანგარებამ იგი ღვთის მითითებების დაუმორჩილებლობის თვითნებობამდე მიიყვანა.

მარტივად რომ ვთქვათ, საულს ღვთის ნება არ აკმაყოფილებდა.

## წყარო

ახლა უკვე ცხადია, რომ კერპი ხდება რაიმე წყარო, რომელიც ჩვენს გულისთქმებს ასრულებს. ეს ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში შეიძლება მოხდეს. კერპი იკავებს ადგილს, რომელიც ღმერთს ეკუთვნის. ეს შეიძლება იყოს ბედნიერე-



ბის, ნუგეშის, მშვიდობის, უზრუნველყოფის, ძალაუფლების, პატივის და ა. შ. მომწოდებელი. ღმერთი ამბობს: „არ გაიკეთოთ კერპები!“ (ლევ.26:1). კერპებს თავად ჩვენ ვქმნით და ის ყოველთვის როდია ქვის, ხისა და ძვირფასი ლითონისგან დამზადებული საგანი. კერპის ძალა ჩვენი გულიდან მომდინარეობს.

კერპად იქცევა ნებისმიერი რამ, თუ მას ღვთის ადგილას დავაყენებთ. ეს არის ის, რაც უფალზე მეტად გვიყვარს, მოგვწონს, გვსურს ან ყურადღებას ვაქცევთ. უფალმა ჩემს მეუღლეს, ლიზას გაუცხადა, რომ კერპია ის, საიდანაც ძალას იკრებ ან რასაც თავად აძლევ. მორწმუნე კერპთაყვანისცემის ცოდვაში მაშინ ვარდება, როცა გულში დაუკმაყოფილებლობის გრძნობას დაუშვებს და კმაყოფილებას ღვთის მორჩილების გარეთ მოძებნის. კმაყოფილების წყარო შეიძლება იყოს: პიროვნება, ქონება ან საქმიანობა.

იმედია, ახლა სრულიად ნათელი გახდა კერპთაყვანისმცემლობის არსი, რაც ფიგურებს, ქანდაკებებს, სამსხვერპლოსა და სამლოცველოებს დიდად ალემატება. ბევრმა იმ ფაქტის გამო უგულვებლყო წმიდა წერილის გაფრთხილებები, რადგან კერპთაყვანისცემა ზემოხსენებული საგნების თაყვანისცემამდე იქნა დაკნინებული. მომდევნო თავში კვლავ გავაგრძელებთ კერპთაყვანისცემის ნამდვილი რაობის გამოვლენას და ფარდას ავხდით მის ფართოდ გავრცელებასა და მავნებლობას ოცდამეერთე საუკუნის დასავლურ კულტურაში.

## იამოქმედე!

კერპთაყვანისცემის საბაზისო ელემენტია ძლიერების მოპოვება რაიმე წყაროდან ან გაცემა ვინმეს ან რაიმეს მიმართ გარდა ღვთისა. კერპი ხდება რალაცის წყარო, რაც ჩვენშია. გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყველამ უნდა მიატოვოს სამსახური, რადგან ადამიანი ღვთიურ უზრუნველყოფას უფრო უნდა ენდობოდნენ, ვიდრე დამქირავებელს. თუმცა ისიც უნდა ვალიაოთ, რომ შემოქმედი ჩვენი სამუშაოს მემკვიდრეობით უზრუნველგვყოფს.

ვხედავთ, რომ ღმერთი სიყვარულს გვაძლევს ოჯახის მემკვიდრეობით და საპასუხოდ, ჩვენც გვიყვარს ოჯახის წევრები, თუმცა ღმერთი უნდა ვალიაოთ წყაროდ და მას მივაგოთ პატივი. უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი ჩვენი ცხოვრების წყაროდ



მიგვაჩნდეს და უარვყოთ ყოველგვარი არჩევანი, რაც მისგან დაგვაშორებს.

იმედია, ახლა უკვე აცნობიერებთ, რომ კერპთაყვანისმცემლობა გაცილებით მეტია, ვიდრე ქანდაკების თაყვანისცემა. სთხოვეთ ღმერთს, რომ გაჩვენოთ კერპთაყვანისმცემლობის ზეგავლენის ადგილი თქვენს ქალაქსა თუ თემში და შემდეგ იშუამდგომლეთ ამ სფეროებისთვის! ილოცეთ, რომ ღმერთმა თავისი ჭეშმარიტებით გაანათოს ის ადგილები, გაგზავნოს მისი სინათლის მატარებელი შვილები იქ და თავი გააცნოს, როგორც ყველას უფალი!



## კრიპტონიტი!

მოდი, მოკლედ მიმოვიხილოთ თემები, რომლებზეც წინა რამდენიმე თავში ვილაპარაკეთ!

კერპთაყვანისცემის არსი არ მდგომარეობს: ქანდაკებების, ფიგურების, სამსხვერპლოების ან სამლოცველოების არსებობაში. ეს ყველაფერი უფრო ღრმა პრობლემის გვერდითი მოვლენაა. კერპთაყვანისცემა გახლავთ ღვთის მიერ გაცხადებული ნების უგულებელყოფა საკუთარი გულისთქმების ანუ სურვილების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ღვთის სურვილებს უპირისპირდება.

ღმერთზე დამახინჯებული წარმოდგენა ამგვარი ანგარების თანამდევია. შესაბამისად, თუ ადამიანები ჩართული არიან კერპთაყვანისმცემლობაში, ღმერთი მათ თავიანთი დაცემული ბუნების ანაბარა დატოვებს, რომ სამარცხვინო საქმეებს მიეცნენ გარყვნილი გულისთქმების კვალდაკვალ. გართობა, სიამოვნება და მიდრეკილებები – გაიზრდება იმგვარად, რომ საბოლოოდ, სიკვდილს მოიტანს და არა – სიცოცხლეს.

მოვლენების ამგვარი განვითარება მორწმუნეებსაც შეეხებათ. ქრისტიანი მაშინ ერთვება კერპთაყვანისცემაში, როცა ღვთის გაცხადებულ ნებას უგულებელყოფს, რომ გულში არსებული მწველი სურვილები დაიკმაყოფილოს. არსებითად, კერპთაყვანისმცემლობა ღვთის ნებისადმი *გაცნობიერებული დაუმორჩილებლობაა*. ამრიგად, ეს განსხვავდება შემთხვევისგან, როცა მორწმუნე *ცოდვაში ვარდება* და შეიძლება მოინანიოს. კერპთაყვანისმცემლობა მაშინ ხდება, როცა მორწმუნე *ცოდვას მიეცემა*. ასეთმა კაცმა თუ ქალმა საკუთარი სურვილები ღვთის ნებაზე მაღლა დააყენა და კერპი გაიჩინა.

კერპთაყვანისმცემლობა *სულიერი კრიპტონიტია*.

თუ განვლილ თავებს გადავხედავთ და თვალს გადავაფლავთ იქ მოყვანილ მაგალითებს, დავასკვნით, რომ დანაშაული ყველა შემთხვევას თან სდევდა. ყაქანს ნათელი მითითება მიეცა, რომ ყველაფერი, რასაც იერიქონიდან წამოიღებდნენ, უფლისთვის უნდა მიეძღვნათ. თუმცა მხილების შემდეგ მან აღიარა: „დავინახე ნადავლში ... მომინდა და ავიღე“ (ი.ნ.7:20-21). NLT ვერსია ამბობს: „ძალიან მომინდა“.

ყაქანისთვის საკუთარი სურვილი გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ვიდრე ის, რასაც ღმერთი სთხოვდა. მას არ ჰქონდა ღვთის შიში და ნებსით შესცოდა. მისი წინასწარ განზრახული შესცოდება სხვა არაფერი იყო, თუ არა *კერპთაყვანისმცემლობა* ანუ როგორც მას ვუნოდეთ, *სულიერი კრიპრონიტი*. კერპთაყვანისცემამ არა მარტო ყაქანს და მის ოჯახს დაატეხა სასჯელი, არამედ მთელი საზოგადოებაც დაამახინჯა. ისრაელი დასუსტდა და ველარ შეძლო სხვა ერების ძლევა.

კორინთელთა ეკლესია ხშირად იკმაყოფილებდა ხორციელ სურვილებს და უგულუბელყოფდა ღვთის გაცხადებულ ნებას. ფაქტობრივად, პავლე წერს: „ჯერ კიდევ ხორციელნი ხართ“ (1კორ.3:3). მათ შურდათ, იყოფოდნენ ჯგუფებად, ერთმანეთს ედავებოდნენ, მრუშობდნენ და თვალს ხუჭავდნენ ამაზე, სასამართლოში ჩიოდნენ, ხოლო უფლის სერობისას იესოს გახსენება საერთოდ არ ახსოვდათ. ისინი თავიანთ ხორციელ გულისთქმებს იკმაყოფილებდნენ და რახან ამას დიდ ყურადღებას აქცევდნენ, ნებსით ურჩობდნენ ღვთის მითითებების სანინააღმდეგოდ. სწორედ ამიტომ წერს პავლე ბოლოს: „ამიტომ, ჩემო ძმებო, როცა ერთად შეიკრიბებით საჭმელად, ერთიმეორეს დაელოდეთ. და თუ ვინმეს შია, თავის სახლში ჭამოს, რათა მსჯავრდასადებად არ შეიკრიბოთ!“ (1კორ.11:33-34). მათი სიხარბიდან (კერპთაყვანისმცემლობიდან) გამომდინარე ბევრი იყო უძღური, სნეული და ნაადრევად მკვდარი. ისინი არ ცხოვრობდნენ ზეცის ელჩეზივით.

ამგვარი შეფასება იმ ხალხსაც შეესაბამებოდა, ვისაც იაკობი წერდა. ისინი ერთმანეთის მიმართ შური ალვისილნი და ეგოისტური ამბიციებით ამოძრავებულები იბრძოდნენ და დავობდნენ. იაკობი მიუთითებდა, რომ მათ „სურთ და არ გააჩნიათ“ (იაკ.4:2). კიდევ ერთხელ ვხედავთ, რომ მორწმუნეები ცოდვას ჩადიან ეგოისტური სურვილების დასაკმაყოფილებლად. მათ „მრუშები“ ეწოდებათ, რადგან კერპთაყვანისმცემლებად იქცნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნახსენები არ არის, ისინი სულიერმა კრიპრონიტმა შეაფერხა ზებუნებრივი ცხოვრებისგან, რადგან მის მიმართ შემწყნარებლობა გამოიჩინეს.

კერპთაყვანისმცემლობა უბრალო ცოდვა არ არის. იგი წინასწარგანზრახული ან გაცნობიერებული ცოდვაა. არსებობდა, რასაც მნიშვნელოვანდ მივიჩნევთ, იმას ვფლობთ ან ვაკეთებთ მიუხედავად იმისა, რა გვითხრა ღმერთმა ამის შესახებ.

ასე დაიწყო ყველაფერი ედემის ბაღში. ადამმა და ევამ მოისურვეს ის, რაც კარგი, სასარგებლო, მომგებიანი, საამური იყო და თან ორივეს სიბრძნეს შემატებდა. მათ ნებსით გადაწყვიტეს ურჩობა გამოეჩინათ საკითხში, რაც ღვთისგან სრულიად ნათლად იცოდნენ.

რაკი ერთხელ გადავწყვიტეთ ამგვარი მიმართულების აღება, უკვე ცდუნებაში ვიმყოფებით. ახლა სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ღვთის წინაშე სწორად ვდგავართ, როცა რეალობაში ასე არ არის. უკვე ღმერთს სჭირდება ჩვენთვის: მაცნეს, მოციქულის, წინასწარმეტყველის, მწყემსის ან რომელიმე მოსიყვარულე მეგობრის გამოგზავნა, რომელიც საკმარისად ზრუნავს ჩვენზე, რომ ჭეშმარიტება გველაპარაკოს. თუმცა ამ დროს ცდუნებას უკვე სიმაგრე აქვს ჩვენში აგებული. მისი დანგრევა შესაძლებელია, თუმცა თავის დაღწევა ძნელია. რომაელთა წერილის პირველი თავი აცხადებს, რომ ამ სახის ქცევის მიმღები ადამიანები „უმართლობით აბრკოლებენ ჭეშმარიტებას“ (მუხლი 18). ჭეშმარიტება ღვთისა და მის გზებზე უკანა ადგილზე გადადის, ამიტომ მისი აღქმა და გაგება ახლა ძნელი ხდება. ამის შედეგად, მათ „შეიცნეს ღმერთი და არ ადიდეს როგორც ღმერთი ... ამოა გახდა მათი გონება და დაუბნელდათ უმეცარი გული. თავიანთ თავს ბრძენთ უწოდებდნენ და გამოსულელდნენ (რომ.1:21-22). ახლა ჭეშმარიტება უსიამოვნოა. მის ნაცვლად ალტერნატიული ანუ ღვთის დამახინჯებული მოძღვრება ყალიბდება, რომელიც ცოდვას იწონებს და ცხოვრების გზას სულ სხვაგვარად წარმოაჩენს.

ზუსტად იგივე ხდება მორწმუნის ცხოვრებაში, როცა ის კერპთაყვანისმცემლობას იწყებს. მოისმინეთ, რას ამბობს იაკობი: „იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად!“ (იაკ.1:22).

როცა ნათლად გვესმის ღვთის სიტყვა და მას არ ვემორჩილებით, რაღაც გვემართება: „სიცრუედ“ წოდებული საბურველი ფარავს ჩვენს გულებს. ამის შემდეგ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ სწორად ვდგავართ ღვთის, იესოს და ცათა სამეფოს თვალში, რეალურად კი შორს ვართ ღმერთთან თანხმობისგან. სიტყვა „სიცრუე“ ნიშნავს „ყალბისა და უმოქმედოს

ჭეშმარიტად და ფასეულად მიღებას“ (მარიამ ვებსტერი). არ ვიცი, ისეთივე ჯანსაღ შიშს გრძნობთ თუ არა, როგორც მე, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ასეა. წინასწარგანზრახული ურჩობა არ არის ისეთი რამ, რომ ზედაპირულად მოეკიდო.

საკუთარ თავს მოვატყუებთ, თუ ვიტყვით, რომ ახალი აღთქმის გაფრთხილებების უგულუბელყოფა შეგვიძლია, რადგან ყველაფერი ღვთის მადლით, პატიებით და სიყვარულით იფარება. გახსოვდეთ, რომ იგივე ღმერთი ავლენს ახალ აღთქმაში მადლს, პატიებასა და სიყვარულს, რომელიც სასჯელს ატეხდა დაუმორჩილებლობისთვის.

არ შეიძლება წმიდა წერილიდან მხოლოდ იმ მონაკვეთების ამოღება, რაც მოგვწონს და დანარჩენების უგულუბელყოფა ან საერთოდ უარყოფა იმისა, რაც არ მოგვწონს. ასეთი აზროვნება თავისთავად სიცრუეა. ჩვენ ღვთის სიტყვის სრული ნება უნდა მივიღოთ. სამწუხაროა, რომ თანამედროვე ეკლესიაში უარყოფილი ჭეშმარიტების ეპიდემიას ვხედავთ. ეს იმიტომ არ ხდება, რომ ღმერთი ჭეშმარიტებას გვიკავებს. ეს განუწყვეტელი კერპთაყვანისმცემლობის შედეგია.

იაკობი ასე განაგრძობს:

„თუ ვინმე სიტყვას ისმენს და არ ასრულებს, ჰგავს იმ ადამიანს, რომელიც თავის ბუნებრივ სახეს სარკეში ათვალიერებს. შეხედა თავის თავს, წავიდა და მყისვე დაავიწყდა, როგორია იგი“. (იაკ.1:23-24)

ვინც ღვთის სიტყვას ისმენს და არ ასრულებს, ავიწყდება, ვინ არის ქრისტეში. ასეთები ეკლესიაში, სახლის ჯგუფებსა ან კონფერენციებზე, სადაც ღვთის სიტყვა იქადაგება, სხვანაირად იქცევიან, მაგრამ ამ გარემოდან გამოსვლის შემდეგ საერთოდ არ განსხვავდებიან ქვეყნიური ურწმუნო ადამიანებისგან. ღვთის სიტყვა სარკეა, ამიტომ მის წინაშე დგომისას შესაბამისად იქცევიან. შედეგად, მივდივართ დამახინჯებულ სწავლებამდე, რომელიც ხსნის, რატომ არის ადვილი ქვეყნიერული ადამიანის მსგავსად მოქცევა. შეიძლება ასე ვთქვათ: „ქრისტიანები არაფრით განსხვავდებიან ურწმუნოებისგან, უბრალოდ, ჩვენ პატიება მივიღეთ“. ან რაიმე ამგვარს გავიგონებთ: „ღმერთმა იცის, რომ დაცემული ბუნება გვაქვს და ამ ცხოვრებაში ვერასოდეს შევძლებთ გარეგნული სინმიდის წარმოჩენას. სწორედ ამიტომ გვიფარავს ღმერთი მისი მადლით“.

ახალ აღთქმაში შესაძლებელია ცალკეული მუხლების პოვნა ზემოხსენებული მოსაზრებების მხარდასაჭერად, მაგრამ ბევრი

სხვა ადგილის უარყოფა მოგვინევს ამგვარი მცდარი თეოლოგიის დასაჯერებლად.

უნდა გადავწყვიტოთ:

- მართლა გვინდა ცოდვის ნუმპეში ცხოვრება?
- გვინდა, კრიპტონიტის შედეგებმა შეაფერხოს ჩვენი, როგორც ღვთის ზებუნებრივი ელჩების, ძალა?
- გვინდა, იმაზე გაცილებით დაბალ საფეხურზე დავრჩეთ ვიდრე ღმერთმა შეგვქმნა და ზემოხსენებულ მაცდურ მოძღვრებებს მივეკრათ?
- გვინდა, უბრალოდ ვიცხოვროთ, თითქოს არაფრით განვსხვავდებოდეთ ქვეყნიერებისგან და ბოლოს, როგორღაც დაუძვრეთ მას და სასუფეველში აღმოვჩნდეთ?
- ჩვინდა, ცათა სამეფოს წინსვლა და დიდებული უკანასკნელი ტაძრის (ეკლესიის) ხილვის აღსრულება ვიხილოთ, რაზეც რამდენიმე თავის უკან ვილაპარაკეთ?

კრიპტონიტის მიღებით ჩვენს მძლავრ, ცოცხალ, არაამქვენიურ ძალებსა და ქვენიერების თავიდან ბოლომდე გადატრიალების უნარს ვთმობთ. ჩვენ არსებითად ვთრგუნავთ ჭეშმარიტებას. უკან ვმაღავთ მას და იესოს ვფარავთ დანარჩენი მსოფლიოსგან. სწორედ ამიტომ არიგებს პავლე ბოლოს კორინთელებს:

„სწორად იფიქრეთ! გაიღვიძეთ წმიდა ცხოვრებისთვის! ნუ ეთამაშებით მკვდრეთით აღდგომის ფაქტს! ღვთის უმეცრება ის ფუფუნებაა, რომლის უფლებასაც თავს ვერ მისცემთ ამ დროში. არ განუხებთ, რომ ასეთი საკითხები ამდენ ხანს უყურადღებოდ გაქვთ მიტოვებული?“  
(1კორ.15:34 MSG)

პავლე ეკლესიას ეუბნება, რომ მათ იესოს მსგავსად ცხოვრების უნარი აქვთ. მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ კერპთაყვანისცემას მისდევენ და დარწმუნებული არიან, რომ მათთვის მნიშვნელოვნის შენარჩუნება ღვთის სიტყვის გაცხადებული ჭეშმარიტების უარყოფის ფასად ღირს. ისინი ღვთის სიტყვას ეთამაშებიან, ჭეშმარიტებას თრგუნავენ თავიანთ ცხოვრებაში და შედეგად, უნარშეზღუდულები, ძალა გამოცლილი გახდნენ და საზოგადოებაში ცვლილებების მოტანის შესაძლებლობაც დაკარგეს.

ეს ამბავი ტრაგიკულია მრავალ სხვადასხვა საფეხურზე, მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ ამ კერპთაყვანისმცემ-

ლების გარემოცვაში მყოფი დაღუპული ადამიანები საერთოდ ვერ ხედავენ იესოს მათი მხრიდან. NKV ვერსიაში იგივე მუხლი ასე ითარგმნება: „ფხიზელი გონება იქონიეთ, როგორც გმართებთ კიდევ და ნუ სცოდავთ, რადგან თქვენდა სამარცხვინოდ ვამბობ, რომ ზოგიერთები არ იცნობენ ღმერთს!“ პავლეს ამის თქმა სურს კორინთელებისთვის: „თქვენ ხართ ერთადერთი იესო, რომლის დანახვაც დაღუპულ კორინთელებს შეუძლიათ. რატომ ჩქმალავთ ჭეშმარიტებას, არა მარტო თქვენთვის და ეკლესიისთვის, არამედ თქვენს გარშემო დაღუპული საზოგადოებისთვის?“

როცა ღმერთთან თანხმობაში ვართ, სიცოცხლესთანაც ჰარმონიული დამოკიდებულება გვაქვს.

ოდესმე დაინტერესებულხართ, რატომ ვერ ვიზიდავთ ურნ-მუნოებს ან თუ ვიზიდავთ, არასწორი საგნების მეშვეობით? ნუთუ მათ მხოლოდ ჩვენი იუმორი, ჩვენი გონივრული გზები, შესაფერისი გართობა, ხალისი ან მუსიკა იზიდავთ? თუ უპირველესად, ცოცხალ, ძალმოსილ მეფეს ხედავენ ჩვენს შორის? იფიქრეთ პირველ ეკლესიაზე; მათ გამუდმებით „ღმერთებად“ მიიჩნევდნენ და აიძულებდნენ ეყვირათ: „არ ვართ! ჩვენ უზენაესი ღვთის შვილები ვართ“.

პეტრემ მკაცრად უთხრა რომაული არმიის ოფიცერს: „ადექი! მეც შენსავით ადამიანი ვარ“ (საქმ.10:25).

პავლემ ლისტრელ მოქალაქეებს შესძახა: „კაცნო, ამას რას სჩადიხართ? ჩვენ ღმერთები არ ვართ!“ (საქმ.1:14-15 MSG).

მალტელებმა „აზრი შეიცვალეს და ამბობდნენ, (პავლე) ღმერთი ყოფილაო!“ (საქმ. 28:6).

თესალონიკის „სალამოს ახალი ამბები“ იუნყებოდა: „აქაც მოვიდნენ ქვენიერების ამრევ-დამრევი“ (საქმ. 5:13).

ასევე, იერუსალიმის მოქალაქეებზე ნათქვამია: „ხალხი კი ადიდებდა მათ“ (საქმ. 5:13).

ეს ამბები კორინთოში არ იცოდნენ და არც ჩვენი დასავლური საზოგადოება ამით განებივრებული. ეს იმიტომ, რომ კრიპტონიტი შევიტკბეთ? დარწმუნებული ვარ, რომ გაფუჭებულ აიფონსაც ავიტანთ, რომელიც მესიჯებს ვერ ბეჭდავს. ამას აჯობებდა, ეთქვათ, რომ ტელეფონი აღარ ვარგა. მაშინ იმის გარეშე იოლად გასვლას ვისწავლიდით.

მე შეგუების მომხრე არ ვარ. არ მინდა: ღვთისგან ბოძებული ენერჯის, სიცოცხლის, ძალის, ჯანმრთელობის და დაღუპული ქვეყნიერებისთვის ცოცხალი მხსნელის და მეფის ჩვენების უნარის – ყველაფერი ამის დაკარგვა. დარწმუნებული



ვარ, რომ მრავალი ადამიანი სრულიად კმაყოფილია უბრალო არსებობით – ძლივს გადარჩენით.

ღვთისგან მაქვს ამის დაწერის საჭიროების გრძნობა და დავალება. ეს თქვენთვისაა, თუ არ გაკმაყოფილებთ ამჟამინდელი ქვეყნიერების ჭუჭყში, ნარჩენებსა და ნაგავში ცხოვრება. ეს თქვენთვისაა, თუ უფრო მაღალი დონის ცხოვრება და აღმდგარი სიცოცხლე გსურთ.

მამა ღმერთს ეს ყველაფერი თქვენთვის უნდა – არა, მას დაშურებით სწადია, რომ უფრო მაღალი დონის ცხოვრება გქონდეთ! მას უფრო მეტად სურს, რომ ღვთაებრივ ბუნებასა და ძალას ეზიაროთ, ვიდრე თქვენ გნადიათ.

ღმერთი არ გვხევს უკან. ეს ჩვენ ვიხვეთ უკან საკუთარი კერპთაყვანისმცემლობის გამო.

### III

რაც უფრო წინ წავინევიტ წიგნის ფურცლებზე, მით უფრო ნათლად დავინახავთ სიცრუეს, რომელმაც ასე დააბრმავა უამრავი მორწმუნე თანამედროვე ეკლესიაში. დავინახავთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნორმალური ქრისტიანობა სულაც არ არის ნორმალური ზეცის სტანდარტებით.

ჩვენ გვაქვს მოწოდება, მარადიული ხვედრი და შეხვედრა სიდიადესთან, რომელიც გველოდება. დროა, ჩამოვიშოროთ დაუმორჩილებლობა და ლეთარგიული ძილი და შევიმოსოთ: სიდიადე, დიდება, უმაღლესობა და ძალა – იესო ქრისტეში.

## იბოძებო!

კერპთაყვანისმცემლობა მაშინ იწყება, როცა გულს ვიქვავებთ ღვთის ნათქვამზე. ეს არის ყოველგვარი კერპთაყვანისცემის ფესვი. სწორედ ამიტომ უთხრა ღმერთმა ისრაელს, გულები დაეგლიჯათ და არა ტანსაცმელი. მას არ მოსწონს ზედაპირული მონანიება, რომელიც პრობლემის ფესვს არ ეხება – მათ გაქვავულ გულებს, რომელთაც აღარ ესმით ღვთის ხმა და იმ მიმართულებით არ მიდიან.

2 რჯ.8 გვეუბნება, რომ ისრაელის წვრთნის მიზანი ეს იყო: მათ უნდა ესწავლათ, რომ არა მხოლოდ პურიტ ცოცხლობს ადამიანი, არამედ ღვთის პირიდან გამოსული ყოველი სიტყვით. ღვთის სიტყვით სიცოცხლე, მისი ხმის ჩვენი ცხოვრების წყაროდ ქცევა ყოველგვარი კერპთაყვანისმცემლობისგან

გვიცავს და ძალმოსილი ცხოვრებისკენ გვიბიძგებს, რომლის-  
თვისაც უფალმა მოგვინოდა.

რა როლს ასრულებს ღვთის სიტყვა თქვენს ცხოვრებაში?  
ბოლოს როდის მოისურვეთ მისი ჩარევა გადაწყვეტილებების  
მიღებისას? თქვენი ლოცვა მონოლოგია თუ დიალოგი? ახ-  
ლავე გამოყავით დრო, რომ ღმერთი მოიწვიოთ თქვენთან სა-  
საუბროდ. გაჩუმდით და მისი ხმა მოისმინეთ! ურთიერთობა  
იქონიეთ მასთან და როცა მორჩებით, მისი ნათქვამი ჩაინერეთ!

## ცოდვა

ცოდვა. ნუთუ ვბედავთ ამ საკითხის განხილვას?! მეტისმეტად წინააღმდეგობრივი ხომ არ არის? და მაინც, რატომ არ უნდა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ჩვენი მტერი, რომ მის დასამორჩილებლად სათანადო ზომები მივიღოთ?

ცოდვა ის სიტყვაა, რომელიც ხშირად თავისუფლად გამოიყენება ან საერთოდ ერიდებიან მის ხსენებას საუბრებსა თუ გზავნილებში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ლეგალისტური ბრალდებებით, სწავლებით ან ქადაგებით მიყენებული ტკივილი. ამრიგად, დავაკვირდეთ მას წმიდა წერილის სინათლეზე.

„თქვენი ურჯულოება გახდა გამყოფი თქვენსა და თქვენს ღმერთს შორის“. (ეს.59:2)

„ცოდვების“ (ურჯულოებების) აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა გახლავთ „ავონ“. ის ერთ-ერთია ძველ აღთქმაში გამოყენებულ ოთხ მთავარ სიტყვათაგან, რომლებიც „ცოდვად“ ითარგმნება. თუმცა WSOTDICT-ის თანახმად ის „მიუთითებს ცოდვაზე, რომელიც განსკუთრებით ბოროტია, რადგან ნებისით შეცვლის ან დამახინჯების იდეას გვანვდის“. ეს გახლავთ ნებისით შეცოდება ანუ როგორც ჩვენ ვუნოდეთ. *სულიერი კრიპტონიტი*. იგი ღვთისგან გვაშორებს. ჩვენთვის უცხო ხდება ღვთიური სათნოებები, რომლებიც ღვთისმოსაობით ცხოვრებისთვის აუცილებელია. როცა ყოველგვარი ნუხილის გარეშე ვცოდავთ, კერპთაყვანისმცემლობაში ვერთვებით და მრუშები ვხდებით. ამით თავს ღვთის წინააღმდეგ მტრობის მდგომარეობაში ვაყენებთ.

ახალ აღთქმაში „ცოდვის“ აღმნიშვნელი სიტყვა გახლავთ „ჰამარტია“ (შესაბამისი ზმნა არის *ჰამარტანო*). ეს ორი სიტყვა ყველაზე ხშირად გამოიყენება ახალ აღთქმაში. WSOTDICT

აცხადებს, რომ ჰამარტიაში ჩავარდნილი „ცდება ჭემმარიტ დასასრულს და ჩვენი ცხოვრების თვალსაწიერს, რომელიც არის ღმერთი“.

ერთი ნუთით შეწყვიტეთ კითხვა და ამაზე დაფიქრდით! როცა ვცოდავთ, არსებითად ვცდებით სწორ კურსს, რომლისგან გადახვევაც არასოდეს გვიფიქრია (სწორად აზროვნების მდგომარეობაში). ჩვენ დავშორდით ყოველგვარი სიცოცხლის წყაროს და დავკარგეთ: სიხარული, მშვიდობა, სიბრძნე, კმაყოფილება, უზრუნველყოფა და ბევრი სხვა ... სია თითქმის დაუსრულებელია.

ბევრი მასწავლებელი ცოდვას განსაზღვრავს როგორც მიზნიდან აცდენას. ეს გარკვეულწილად მართალია, მაგრამ ჩემს მიერ წარმოდგენილი ძირეული განსაზღვრების შემდეგ შეიძლება იფიქროთ, რომ „მიზნიდან აცდენა“ სრულად ასახავს ცოდვის ბუნების მთელ სიღრმეს?

ახალ აღთქმაში ცოდვის აღმნიშვნელი სხვა ტერმინებიც გვხვდება, მაგალითად: ურჯულოება, დანაშაული, უმართლობა. თუმცა ჩემი მიზანი გახლავთ არა თითოეული მათგანის შესწავლა, არამედ ცოდვის მთავარი ასპექტების და ჭემმარიტი სიცოცხლისგან ხალხის დაშორების ძალის განხილვა.

ცოდვა ჩვენს სიცოცხლისუნარიანობას, სიყვარულს, ჯანსაღად მოაზროვნე გონებას, დაშურებასა და მიზანს უტევს. შეცდომა არ დაუშვათ! ცოდვა მავნებლური და დესტრუქციულია. მან მართლაც შეიძლება სიამოვნება მოგანიჭოთ, მაგრამ მხოლოდ დროებით. არსებითად, ცოდვაში ცხოვრება ნიშნავს მოკლევადიანი დადებითი არჩიოთ გრძელვადიან უარყოფითს, რომლის ბოლოსაც ცოდვის ნესტარი სიკვდილის გრძელვადიან შედეგებს მოგვიტანს. ჩვენს ხორცს ცოდვა იზიდავს, მაგრამ ქრისტეში ახალ ქმნილებად შობის მეშვეობით ღვთიურ ბუნებას ვიძენთ, ამიტომ ცოდვის ჩადენის სურვილი არ გვაქვს და მის მიზიდულობასთან დაპირისპირებაც შეგვიძლია.

ღმერთმა უთხრა კაენს, „ცოდვაა ჩასაფრებული კართან და შენკენ აქვს ლტოლვა, მაგრამ შენ უნდა იბატონო მასზე“ (დაბ.4:7). დააკვირდით, რომ არსებობს კარი, რომლითაც ცოდვა ადამიანის ცხოვრებაში შედის. ამ კარს „გულისთქმა“ ჰქვია. და იაკობი წერს, „გულისთქმა შობს ცოდვას“ (იაკ.1:15). ეს კარი ღიაა ან დაკეტილია იქიდან გამომდინარე, თუ რა გადაწყვეტილებებს ვიღებთ გულისთქმებთან დაკავშირებით. ცოდვას ჩვენი მართვა სურს. მასაც აქვს გულისთქმა და ეს გახლავთ ჩვენი დამონების სურვილი. იესო გვაფრთხილებს,

„ჭემმარიტად გეუბნებით თქვენ: ყველა ჩამდენი ცოდვისა ცოდვის მონაა!“ (იოან.8:34).

პავლე კიდევ უფრო მეტს გვეუბნება მის შესახებ: „ნუთუ არ იცით, რომ ვისაც გადასცემთ თქვენს თავებს, რათა იყოთ მისი მონა-მორჩილნი, მისი მონები ხართ, ვისაც დაემორჩილებით: ან ცოდვისა სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა სიმართლისათვის“ (რომ.6:16). თუ ეს საკმარისი არ არის, პეტრეც ეხმიანება მათ ჩვეულ ცოდვასთან დაკავშირებით: „ვინც რისგანაა ძლეული, მისივე მონაა“ (2პეტრ. 2:19). მონობა სულაც არ არის სასიამოვნო და ცოდვა სასტიკი ბატონია. საჭირო არ არის მისი მოსინჯვა, რადგან სასიკვდილოა. მას უფრო ძლიერი სურვილებისკენ მივყავართ და თუ ეს დიდხანს გაგრძელდა, ზიანი მოაქვს.

ცოდვის განზრახვა, რომ დაგვიმონოს, ნათლად არ ჩანს. იგი მაცდურია და ჩვენს მართვას გულის გაქვავებით ცდილობს (იხ. ებრ.3:13), რომ გაგვიძნელდეს სულიწმიდის შეგრძნება ან მისი მითითების მოსმენა. ცოდვას მავნე კერპთაყვანისმცემლობაში შევყავართ. გაიხსენეთ, რომ ღმერთი სოლომონს ორჯერ გამოეცხადა. წარმოგიდგენიათ?! და მაინც, მოგვიანებით მან ცრუ ღმერთების თაყვანისცემა დაიწყო. ალბათ, დაინტერესდებით, როგორ შეუძლია ღვთის გამოცხადების მქონე ადამიანს ცრუ ღმერთებისკენ შეტრიალება? პასუხია – სიცრუის მეშვეობით. თუ ეს სოლომონს დაემართა, რომელმაც ღმერთი იხილა, რამდენად ადვილად ვცდუნებით ჩვენ, რომელთაც ღმერთი არ გვიხილავს?

ცოდვა ადვილად ხელწამოსაკრავი როდია. იგი ძალზე ძლიერია და ადვილად შეუძლია ადამიანის გულის შეცვლა. შემადრწუნებელი ის არის, რომ გაქვავებულ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი გულები უკვე ცდუნებული არიან, თუმცა ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ღვთის წინაშე სწორ მდგომარეობაში ვიმყოფებით, როცა სინამდვილეში ასე არ არის. ახლა უკვე ბინდი გვაკრავს თვალებზე და საკუთარ გახრწნილებას ველარ ვამჩნევთ. არასოდეს დაიჯეროთ ამ ტყუილის: „მე მაღლი მიფარავს. თუ შევცოდავ, მაინც დაცული ვიქნები კარგა ხნის განმავლობაში“. ასეთი დამოკიდებულება ცეცხლთან თამაშს ჰგავს. ნება მიბოძეთ, აგიხსნათ!

## **წინასწარ განზრახულ ცოდვას ჩვევაში გადაზრ- დილ ცოდვამდე მივყავართ**

წინასწარ განზრახული ცოდვა, საბოლოოდ, ჩვევაში გადაიზრდება. აი, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. როცა პირველად ვიჩენთ დაუმორჩილებლობას, სინდისი გვაძმხელს. როგორც წესი, ეს არ არის ხმა, არამედ უსიამოვნო შეგრძნება. ჩვენი გული გამოუთქმელი ენით ყვირის: „შენ მიზანს აცდი, სიცოცხლის გზიდან გადაუხვიე და უკან უნდა დაბრუნდე მონანიებისა და პატიების თხოვნის მეშვეობით!“ თუ ამ მომენტისთვის ცოდვას მივატოვებთ ჭეშმარიტი მონანიების გზით, ჩვენი გული გაინმინდება და კვლავ სულიწმიდის ხმისადმი მგრძნობიარე გახდება. წმიდა წერილი გვეუბნება: „ვინც თავის დანაშაულს მალავს, წარმატება არ ექნება, მათი მალიარებელი და მიმტოვებელი კი წყალობას პოვებს“ (იგ.28:13).

თუ სინდისის ხმას ყურს არ დაფუგდებთ, საბურველი (წინა თავებში განხილული) ჩვენს გულებს გადაეფარება. როცა კიდევ შევცოდავთ იგივე ცოდვით, შინაგანი მოუსვენრობის გრძნობა ნაკლებად გვანუხებს. ის ახლა მცირე ჩქამს ჰგავს, ასე ვთქვათ – „პატარა ჩქმეტას“. მისი გაგონება ძალიან ძნელია, რადგან ჩვენი სინდისი ნაკლებად მგრძნობიარე გახდა. ამ ჯერზეც შეგვიძლია პატიების და აღდგენის მიღება, თუ გონებაში ცვლილება მოვიდა და გული ჩადენილ ცოდვას განუდგა.

თუ სინდისის ამ მცირე გამოვლინებასაც უკუვაგდებთ, გულს კიდევ ერთი საბურველი ჩამოეფარება და აღქმის უნარი კიდევ უფრო სუსტდება. ახლა ღვთის სიტყვის დაუმორჩილებლობაზე მხოლოდ ოდნავი უხეხრულობის გრძნობა თუ მიგვანიშნებს. მოსმენა კიდევ უფრო ძნელდება, რადგან ჩვენი სინდისი ახლოა სრულ უგრძნობელობასთან. ჯერ კიდევ შესაძლებელია პატიების და აღდგენის მიღება, თუ გონებაში ცვლილება მოვიდა და გული ჩადენილ ცოდვას დაუპირისპირდა, მაგრამ ამ ეტაპზე მეტისმეტად ჭირს საკუთარი შეცდომის გაცნობიერება.

თუ ახლაც უგულებელვყავით სინდისის ხმა, გულს კიდევ ერთი საბურველი ეფარება. ასე გრძელდება პროცესი, სანამ სინდისი საბოლოოდ დაკარგავს მხილების უნარს და დაბრმავედება ჩვენი კერპთაყვანისცემის დასანახად. წარსულში დარჩენილ გრძნობას ვიშორებთ და სულიწმიდისადმი სრულიად უგულისხმო ვხდებით. ამის შემდეგ ადვილია რეგულარულად შეცოდება, რადგან სინდისი უკვე აღარ გვაძმხილებს. ახლა

ცოდვის მიჩვევის მდგომარეობაში ვიმყოფებით. ამ დონეზეც შეგვიძლია პატიების მიღება და აღდგენა, თუმცა საქმეს ის ართულებს, რომ ამის სურვილი აღარ გვაქვს და ჩვენს ცოდვას ცოდვას აღარ ვუნოდებთ.

შემდეგი ნაბიჯი ის გახლავთ, რომ ღმერთი წინასწარმეტყველს, მწყემსს ან მეგობარს გვიგზავნის, რომ მოგვწვდეს. თუ მის მაცნესაც არ მოვუსმენთ, ღმერთი მომდევნო ნაბიჯად რთულ ვითარებებს, გასაჭირს და ტანჯვასაც კი მოგვივლენს ჩვენი ყურადღების მისაპყრობად. დავითი ამბობს: „ვცდებოდი, ვიდრე დავისაჯე. ახლა კი შენს სიტყვას ვიცავ“ (ფს.119:67).

მოდი, თვალი გავუსწოროთ ამ საკითხს! ღვთისგან რაიმეს სწავლის საუკეთესო გზა მისი გაცხადებული სიტყვის მორჩილებაში დარჩენა და ცოდვისგან თავის არიდება გახლავთ. თუ ასე არ მოვიქცევით, მას ჩვენი სიყვარულის გამო განსაცდელების გამოგზავნა მოუწევს, რომ უკან დაგვაბრუნოს სიცოცხლის გზაზე. New Living Translation -ში დავითის სიტყვებს ასე ვკითხულობთ: „უგზო-უკვლოდ დავხეტიალობდი, სანამ არ დამსაჯე; ახლა კი გულმოდგინედ მივყვები შენს სიტყვას“.

თუ კიდევ ერთხელ გადავხედავთ პავლეს სიტყვებს კორინთელების მიმართ, ჩვენი უკან დაბრუნების ღვთიური ძალისხმევის ანალოგიურ აღწერილობას დავინახავთ. იგი კორინთელების ეკლესიას ეუბნება: „მსჯავრდადებულნი უფლის მიერ ვინვრთნებით, რათა ნუთისოფელთან ერთად არ ვიყოთ მსჯავრდადებულნი“ (1კორ.11:32). ღმერთი იმედოვნებს, რომ სიძნელები, ტანჯვა ან გასაჭირი, რომელსაც იგი ჩვენს ცხოვრებაში დაუშვებს, ჩვენს ყურადღებას მისკენ მიმართავს, რომ სიკვდილის გზას ავცდეთ და სიცოცხლის გზაზე დავბრუნდეთ.

იგივე კონცეფციას ვხედავთ პავლე მოციქულის მიერ დედინაცვალთან საქმის დამჭერი მორწმუნის მხილებისას. იგი ამბობს: „სატანას გადაეცეს ასეთი კაცი ხორცის დასაღუპად, რათა სული გადარჩეს ჩვენი უფლის, იესოს დღეს“ (1კორ.5:5). ეკლესიის მამა ამ განცხადებით, „ეს კაცი უნდა მოიკვეთოთ“, მითითებას არა მარტო კორინთელთა ეკლესიის ამ სწრაფად გავრცელებადი ცოდვისგან დასაცავად იძლევა, არამედ თავად შემცოდე მორწმუნის სასარგებლოდაც.

ღმერთს თავისი შვილები ძალიან უყვარს და უფრთხილდება. იგი სწორედ ამიტომ ცდილობს სხვადასხვა გზებით ჩვენამდე მოღწევას იმის გათვალისწინებით, თუ სად ვიმყოფებით ცოდვის მონობაში. არსებითად, იგი ამჟამინდელ კომფორტს ჩვენთვის საუკეთესოს ამჯობინებს.



150 ბაანაღბურა კრიპრონიტი!

ებრაელთა მიმართ წერილში არის განცხადება, რომელიც ცოდვის მოქმედებაზე წარმოდგენას გვიქმნის:

„ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა!“ (ებრ.12:1)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „დამაბრკოლებელი ცოდვა“. ცოდვა, რომელიც მე მაბრკოლებს, შეიძლება, სულაც არ იყოს ცოდვა, რომელიც თქვენ გაბრკოლებთ. ჩემთვის ეს არ იყო სმა, სიხარბე, ნარკოტიკები, ჭორაობა ან სხვა ხილული ცოდვა. ჩემთვის ეს იყო პორნოგრაფია – ჩემი ცხოვრების უდიდესი ბრძოლა. ერთ-ერთ თავში გაგიზიარებთ, საბოლოოდ როგორ გავთავისუფლდი ამ სასტიკი ბატონისგან 1985 წელს. აქ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომელი ცდუნებისადმი ვართ უფრო სუსტი და აუცილებლად მოვუჭრათ მას ყოველგვარი შესაძლებლობა. იესო ამას ასე ამბობს:

„თუ შენი ხელი გაცდუნებს, მოიკვეთე იგი; გირჩევნია დასახიჩრებული შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორი ხელით წახვიდე ჩაუქრობელ ცეცხლში ... თუ შენი ფეხი გაცდუნებს, მოიკვეთე იგი ... თუ შენი თვალი გაცდუნებს, ამოითხარე იგი!“ (მარკ.9:43, 45, 47)

იესო არ ამბობს, რომ პირდაპირი მნიშვნელობით ხელ-ფეხი უნდა მოიკვეთო ან თვალი ამოითხარო. იგი ამით გვეუბნება, რომ დამაბრკოლებელ ცოდვას ყოველგვარი შესაძლებლობა უნდა მოვუსპოთ.

უამრავი მეგობარი მყავს, რომლებიც ყოფილი ლოთები არიან და ერთ-ერთი მათგანის ამ დამოკიდებულებისგან გამოსხნის პატივი მერგო. იგი უარს ამბობს ერთი ყლუპი ღვინის დაღვევაზეც კი და ყველანაირად ერიდება ვითარებას, სადაც დაღვევის საცდურია. ჩემმა მეგობარმა იცის, რომ ამ სფეროში სუსტია და მისი დაყოლიება ადვილად შეიძლება. იგი გონივრულად ემორჩილება ქრისტეს სიტყვებს და დამონების ყოველგვარ შესაძლებლობას იკვეთს.

მეორე მხრივ, სანამ ქრისტეს გავყვებოდი, უნივერსიტეტში სწავლისას ვსვამდი და ჩვენი სტუდენტური საძმოს წევრებთან და მეგობრებთან ერთადაც დამიღვია. ისე მოხდა, რომ ერთ-ხელ საშობაო არდადეგებზე ბარში შევედი და მეგობრებთან ერთად კარგად გამოვთვერი. სახლში 12:30-ზე დავბრუნდი მას



შემდეგ, რაც ჩემი ნასვამი მეგობრები სახლებში ჩამოვარიგე. ჩემდა გასაკვირად დედა მელოდებოდა. საღამოს შესახებ ვუამბე და ფაქტის კონსტატაციის ტონით დავძინე:

– დედა, სმა არც კი მომწონს!

მან გაიცინა და მითხრა:

– ნამდვილი ბევრი ხარ.

უცებ გავაცნობიერე, რომ ცხოვრებაში ერთხელაც არ მი-  
ნახავს მთვრალი მამა. სიმთვრალე მისი ოჯახისთვის დამახა-  
სიათებელი არ იყო და ეს ცოდვა ბევრებს ვერ დააბრკოლებ-  
და. თუმცა სხვა ცოდვები ამას ახერხებდნენ. ეს ის ცოდვებია,  
რომელთაც ყოველგვარი შესაძლებლობა უნდა მოვუკვეთოთ,  
რომ შემოსასვლელი ვერ ნახონ.

ებრაელთა წერილის ავტორი დასძენს:

„დაივიწყეთ შეგონების სიტყვა, თქვენდამი მომართული,  
როგორც შვილებისადმი: „შვილო, უფლისგან წვრთნას  
ნუ უგულვებლყოფ და მის მხილებებს ნუ წაუყრუებ;  
რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი. სცემს ყო-  
ველ შვილს, ვისაც ღებულობს“. (ებრ.12:5-6)

უფლისმიერი წვრთნა მაშინ იწყება, როცა ცოდვაში ვვარ-  
დებით. მოდი, მოკლედ განვიხილოთ ეს პროცესი! პირველი  
ნაბიჯი არის შესწორება მისი სიტყვით და შინაგანი მხილებით.  
თუ არ მოვუსმენთ და ამით სინდისს საბურველს გადავა-  
ფარებთ, მხილება მეგობრისგან, მწყემსისგან ან წინასწარმე-  
ტყველისგან მოვა. თუ მაინც არ მოვუსმენთ, იგი გასაჭირს,  
განსაცდელსა და ტანჯვას გამოიყენებს.

აბა, დაფიქრდით, რატომ დანერდა ავტორი ზემომოყვანილ  
მუხლში, „ნუ უგულვებლყოფ“ უფლისმიერ წვრთნას, რაც ძნე-  
ლი უნდა იყოს?! მოისმინეთ, რას ამბობს შემდეგი მუხლები:

„ეს კი - ჩვენი სარგებლობისთვის, რათა წილი გვექონდეს  
მის სინმიდეში. ყოველი წვრთნა ამჟამად სიხარულად კი  
არ გვეჩვენება, არამედ მწუხარებად, მაგრამ შემდგომში  
მშვიდობიან ნაყოფს აძლევს მას, ვინც სიმართლის მიერ  
განისწავლა“. (ებრ. 12:10-11)

ყოფილება მიაქციეთ, წვრთნა ძალიან მტკივნეულია! აქ  
არავითარი შეღავათი არ იქნება! ღმერთს თავის შვილებთან  
„გამოსასწორებელი ნკებლის“ გამოყენების არ ეშინია. ამ-

რიგად, დაფვიქრდეთ, რამდენად სულელები ვართ, როცა საკუთარი გულისთქმების დევნას ვარჩევთ, რაც ღვთის საწინააღმდეგოა. იფიქრეთ ამაზე: შეგვიძლია ვისიამოვნოთ ტკივილის არიდებით, თუ ცოდვისგან თავს დავიცავთ! ეს გაცილებით სჯობს ცოდვაში ცხოვრებით ხანმოკლე სიამოვნების მიღებას.

ღვთის სული კორინთელებთან მივიდა პავლე მოციქულის მეშვეობით და იმ ადამიანამდეც მიაღწია, რომელიც მამის ცოლთან მრუშობდა. ღმერთი ასე მოქმედებას კვლავაც განაგრძობს, რომ სიცოცხლის გზაზე დაგვაბრუნოს და წილი მოგვცეს თავისი სინმიდიდან. აქ ორი გზა არ არსებობს: ან გავიხარებთ სრული სიცოცხლით, თუ ღვთის სიტყვის მორჩილებაში დავრჩებით ან კერპთაყვანისმცემლობისკენ გადავიხრებით, რომელიც წინასწარ განზრახული ცოდვაა (სულიერი კრიპტონიტი) და უამრავი ტკივილი და ტანჯვა მოაქვს დიდი ხნის მანძილზე.

## იამოკბედე!

ცოდვა თავისი ბუნებით მაცდურია. იგი გვატყუებს აზრით, თუ როგორი ამავსებელი შეიძლება იყოს ცოდვა. იგი გვატყუებს აზრით, თუ როგორები ვიქნებით მისი კონტროლის ქვეშ და ვერ ვხვდებით, რანი ვიქნებით მისი ბატონობის ქვეშ, თუ მონობას თავს არ დავაღწევთ. თუმცა ყველაზე ძალიან ცოდვა იმაში გვატყუებს, რომ შორს მივყავართ ჭეშმარიტი დიდებიდან, რისთვისაც მოწოდებული ვიყავით და ქრისტესთან ცოცხალი ურთიერთობის განცდაში გვაბრკოლებს.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ცხოვრებაში ღვთიური შესაძლებლობების ხედვით ვივსებით, რაც ძალას, ზებუნებრივ შედეგიანობას, თავისუფლებას, უფალთან ახლო ურთიერთობას და გაცილებით მეტს გულისხმობს, ის დაგვეხმარება ცოდვის, როგორც ყალბი ტყუილის ამოცნობაში.

სთხოვეთ ღმერთს, რომ გაჩვენოთ თქვენი ცხოვრების ყოველი სფერო, სადაც დაკარგეთ ღვთისგან მოცემული ცხოვრების ხედვა, სადაც ცოდვას და მასთან კომპრომისს უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭეთ! ნება მიეცით მას, რომ თქვენი ცხოვრების ამ სფეროებში განახლებული ხედვა მოგცეთ და მისი ნათქვამი ჩაინერეთ!

# პროპეტენიტის ეფექტი

ნახილი 3



## ცოდვის ქალა (ნანილი 1)

ძველ აღთქმაში კაენი გაფრთხილებულ იქნა: „ცოდვას ჩასაფრებელი კართან და შენკენ აქვს ლტოლვა, მაგრამ შენ უნდა იბატონო მასზე!“ (დაბ.4:7). იგივე სცენარი მეორდება ყველა ადამიანის ცხოვრებაში. ცოდვას ჩვენდამი ლტოლვა აქვს. მას ჩვენი დამონება და მართვა სურს საკუთარი თავის გამოსახატავად. ცოდვა მატყუარა, მაცდური და ძლიერი მტერია.

როგორ უნდა დავიმორჩილოთ ცოდვა? პასუხი გულისხმობს ღვთის ნების, სიტყვის და გზების მორჩილებას. კიდევ ერთხელ გადავხედოთ ღვთის სიტყვებს კაენის მიმართ დაბადების 4:7-მდე: „თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავანუელი არ უნდა იყო? ხოლო თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვას ჩასაფრებელი კართან!“ ნამდვილი მორჩილება ცოდვას *სურვილის კარს* ცხვირწინ მიუჯახუნებს.

გაიხსენეთ პავლეს სიტყვები მორწმუნეების მიმართ (გაითვალისწინეთ, რომ იგი არის ადამიანი, რომელმაც ღვთის მაღლზე უდიდესი გამოცხადება მიიღო):

„ნუთუ არ იცით, რომ ვისაც გადასცემთ თქვენს თავებს, რათა იყოთ მისი მონა-მორჩილნი, მისი მონები ხართ, ვისაც დაემორჩილებით: ან ცოდვისა სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა სიმართლისათვის“. (რომ.6:16)

პავლეს სიტყვები კაენის მიმართ ნათქვამს შეესაბამება. და მაინც, აქ უზარმაზარი განსხვავებაა. ძველ აღთქმაში ადამიანთა სულელები მკვდრები იყვნენ. შინაგანი კაციდან არავითარი მაცოცხლებელი ძალა არ მომდინარეობდა. ახალ აღთქმაში და ახლა იესოს მორწმუნე ადამიანის სული ცოცხალია. ასეთები

ღმერთთან თანხმობაში არიან და მის ბუნებას ფლობენ. ამრიგად, შეგვიძლია, არჩევანი გავაკეთოთ შინაგანი პიროვნების, ჩვენი სულის მორჩილებასა და გარეგნული კაცის, იგივე ხორცის მორჩილებას შორის.

ასევე, საქმეში ღვთის მადლიც ერთვება. იგი არა მარტო გვიხსნის და პატიებას გვანიჭებს, არამედ გვაძლიერებს ჭეშმარიტების დასამორჩილებლად. ჩვენ გვარიგებენ: „გვქონდეს მადლი, რომლითაც სათნოდ ვემსახურებით ღმერთს!“ (ებრ.12:28 საპატრ.). მადლი ღვთის მორჩილების ძალას გვაძლევს.

პეტრე წერს: „მადლი ... გაგიმრავლდეთ ... ისე, როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება!“ (2პეტრ. 1:2-3). ამ ორ და ახალი აღთქმის ბევრ სხვა მუხლში მადლი გამაძლიერებელ ძალად არის წარმოჩენილი. ჩვენ ახალი ბუნება გვაქვს, რომელიც ღვთიური მადლის ნიჭით არის ამოძრავებული. ეს მიცემული არ ჰქონდა კაენს ან ნებისმიერ სხვას ძველ აღთქმაში.

ამრიგად, რატომ არის ბევრი მორწმუნე წარუმატებელი ცოდვის დამორჩილების საქმეში? მნიშვნელოვანია, დავიმახსოვროთ, რომ ძალის ფლობა წარმატების გარანტია არ არის. თუ მას არ გამოვიყენებთ, სარგებლობასაც ვერ მივიღებთ! ღმერთი ყველა ჩვენგანს აძლევს არჩევის უნარს და ჩვენს არჩევანსაც პატივს სცემს. აქედან გამომდინარე, თუ ქრისტიანი ღმერთს ეურჩება, მორწმუნეზე ცოდვა მძლავრობს. რატომ აძლევს ცოდვას ამის უფლებას? ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ცოდვა ადამიანს არწმუნებს, რომ მისთვის სასურველი უფრო მეტი სარგებლობის მომტანია, ვიდრე ღვთის მორჩილება და პავლეც სწორედ ამ მიზეზის გამო წერს:

„ცოდვის ძალა რჯულია“. (1კორ.15:6)

ეს არის ძალიან მძიმე და შესაძლოა, გასაოცარი განცხადება: რჯული აძლევს ცოდვას ადამიანზე ბატონობის ძალას. ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქროთ: მე მოსეს რჯულის ქვეშ არ ვარ! ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიაში სიტყვა „რჯული“ ყოველთვის როდი გამოიყენება მოსეს რჯულის აღსანიშნავად. იაკობი „სამეფო რჯულზე“ ლაპარაკობს (იხ. იაკ.2:8), რომელიც მოყვასის სიყვარულზე მიგვივითებს. არსებობს „ღვთის რჯული“ (იხ. რომ.8:7 და ებრ.8:10), რომელიც მორწმუნეთა გულებშია ჩანერილი. ასევე არსებობს „ქრისტეს რჯუ-

ლი“ (იხ. გალ.6:2), რომლის აღსრულება შესაძლებელია ერთ-მანეთის ტვირთის ტარებით. ასევე გვხვდება „თავისუფლების რჯული“ (იხ. იაკ.2:12), რომლითაც გავსამართლდებით. ამაზე მეტი „რჯულიც“ არსებობს. პავლე არც ერთ ამ რჯულზე ან მოსეს რჯულზე არ ლაპარაკობს 1 კორ.15:56-ში.

ამრიგად, რა რჯულია ასეთი, რომელიც ცოდვას მორწმუნეებზე ბატონობის ძალას აძლევს? ნება მომეცით, მისი ილუსტრირება ვცადო, სანამ მის რაობას დავადგენდეთ. არის რამდენიმე ტიპური აზრი ან განცხადება, რომლებსაც პავლეს მიერ ნახსენები რჯულის ქვეშ წარმოთქვამენ: „ამ ფილმს არ უნდა ვუყურო, რადგან მასში შიშველი სცენები და გინებაა“ ან „იმ ქალს არ უნდა შევხედო მოპირდაპირე ოთახიდან, რომელსაც საშინელი ტანსაცმელი აცვია“.

რა სახის რჯულთან იგივდება ამგვარი განცხადებები? ადამიანი, რომელიც ასეთ ან მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამს, უფრო მეტად ფიქრობს ღვთის სიტყვიდან მიღებულ აკრძალვაზე, ვიდრე მისით სიხარულზე. ასეთი მორწმუნისთვის ღვთის სიტყვა რალაცაში შემაფერხებელი ანუ ხელის შემშლელია და სრულიად ეწინააღმდეგება მეფსალმუნის სიტყვებს: „შენი ნების აღსრულება მნადია ღმერთო და რჯული შენი ჩემს გულშია“ (ფს.40:8). „რჯულის ქვეშ მყოფ“ ადამიანს მთელი გულით არ სწადია ღვთის ნების შესრულება (იხ. იოან.7:17).

არსებითად, ეს განცხადება დასკვნად გამოდგება: „მინდა ... მაგრამ ღვთის სიტყვა სხვანაირად ამბობს“. ძველ აღთქმაში ამგვარი დამოკიდებულების სრულყოფილი მაგალითი გვხვდება.

## წინასწარმეტყველი არ ეთანხმება

ბილყამი წინასწარმეტყველი გახლდათ. ის ღვთის ხმას ცნობდა და უფლის გზებიც არ იყო მისთვის უცხო. მოაბის მეფე იყო კაცი, სახელად ბალაკი, რომელიც მიდიანის ხალხს მართავდა. მისი სამეფოს მოქალაქეები შიშისგან თავზარდაცემული იყვნენ, რომ ისრაელი მათკენ მოემართებოდა. ისრაელიანებმა ის-ის იყო, გაძარცვეს ეგვიპტე – მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ერი და მენამული ზღვა გადალახეს. ეგვიპტის სამხედრო ძალა, აგროკულტურა და ეკონომიკა განადგურდა, ხოლო ყოველი ოჯახის პირმშო სასწაულებრივად გარდაიცვალა.

ისრაელი ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ამორეველთა წინააღმდეგობას შეეჯახა და მათზე საფუძვლიანი გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ ისრაელი მოაბის დაბლობზე დაბანაკდა

და ამ ქვეყნის ხალხი, წინამძღოლები და მეფე შიშისგან გაქვავდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ისრაელი იგივეს დამართებდა ამ მიწას, რაც ეგვიპტესა და ამორეველებს თავს დაატყდათ.

მეფე ბალაკს გაგებული ჰქონდა ბილყამად წოდებული ცნობილი და ძლიერი წინასწარმეტყველის შესახებ. თუ იგი ვინმეს აკურთხებდა, ყველაფერი კარგი მოვიდოდა კურთხეულის თავზე. თუ იგი ვინმეს დაწყევლიდა, არავის აცდებოდა. მეფე ბალაკმა მთავრები გაგზავნა ბილყამ წინასწარმეტყველთან და თან შესანიერი გაატანა შემდეგი სიტყვებით: „გთხოვ, მოდი და დაწყევლე ეს ხალხი, რადგან ჩემზე ძლიერია იგი: ეგების შევძლო და განვდევნო ამ ქვეყნიდან“ (რიცხვ.22:6).

ბილყამმა ასე დააბარა წარმოგზავნილებს:

„აქ გაათიეთ ეს ღამე და გაგცემთ პასუხს, როგორც მეტყვის უფალი“. დარჩნენ მოაბის მთავრები ბილყამთან“.  
(რიცხვ.22:8)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ბილყამმა „უფალი“ ახსენა. იგი არ ცდილობდა უცხო ღმერთების მითითებების გაგებას, რადგან ერთადერთი ჭეშმარიტი ღვთის წინასწარმეტყველი იყო. მან ახსენა უფლის სახელი *იაჰვე*. ეს ღვთის სახელია და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები არასოდეს იყენებდნენ მას რომელიმე ცრუ ღმერთის აღსანიშნავად.

რამდენად ხშირად ვუნოდებთ იესოს და მამა ღმერთს *ჩვენს უფალს*? ჩვენ არ ვლაპარაკობთ ვინმე სხვაზე, გარდა ჩვენი შემოქმედისა, უზენაესი ბატონისა და ჩვენთვის სიცოცხლის გამღებისა. ბილყამმაც ზუსტად ეს გააკეთა.

მოდი, გულმოდგინედ განვიხილოთ, რა უთხრა ღმერთმა ბილყამს იმ საღამოს. საინტერესოა, აღინიშნოს, რომ მას არც დაუცდია, სანამ ბილყამი მის ძიებას დაიწყებდა.

„მივიდა ღმერთი ბილყამთან და ჰკითხა: „ვინ არიან ეს კაცები?“ (რიცხვ.22:9)

არსებითად უფალი ბილყამს ეუბნება: „ვინ არიან ეს კაცები ჩემთვის? მათ ჩემთან აღთქმა არ აქვთ! სერიოზულად ფიქრობ, რომ ამათ გამო უნდა დამეკითხო, ნახვიდე თუ არა ჩემთან აღთქმაში მყოფი ხალხის დასაწყევლად? ნუთუ ამას ლოცვა სჭირდება? ეს ხომ ისედაც ცხადია!“

არის საკითხები, რომლებზე ლოცვა საერთოდ არ გვჭირ-



დება! ჩვენ უკვე ვიცით ღვთის ნება მის მიერ გაცხადებული დაწერილი ალთქმიდან. საჭირო არ არის იმაზე ლოცვა, ერთად შეიკრიბონ თუ არა ქრისტიანები. ღმერთმა უკვე თქვა: „ნუ მივატოვებთ ჩვენს შესაკრებელს, ზოგიერთებს რომ სჩვევიათ!“ (ებრ.10:25).

არ გჭირდებათ ლოცვა, უნდა გაიღოთ თუ არა შესანიერი ადამიანებისთვის, რომლებიც თქვენ გემსახურებიან, რადგან წერილი ამბობს: „ასევე დაუწესა უფალმა სახარების მქადაგებლებს სახარებით ცხოვრება“ (1კორ.9:14).

საჭირო არ გახლავთ ჰომოსექსუალურ ურთიერთობაში შესვლა ან სხვების ნაქეზება ამის გასაკეთებლად, რადგან ღმერთმა უკვე თქვა ამის შესახებ:

„განა არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სამეფოს? თავი არ მოიტყუოთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც დადეღელებულნი, ვერც მამათმავალნი, ვერც ქურდნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი, ვერც მლანძღველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სამეფოს.“  
(1 კორ.6:9-10)

არ უნდა სთხოვოთ ღმერთს, დამალოთ თუ არა გადასახადებიდან! ეს ქურდობაა. არც შეყვარებულთან ქორწილამდე დაწოლის ნებართვა უნდა ითხოვოთ! ეს სექსუალური ცოდვაა. არ უნდა იქონიოთ ახლო ურთიერთობა სხვის ცოლთან! ეს მრუშობაა. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. ახალ ალთქმაში ბევრი მცნება გვაქვს, სადაც სრულიად ცხადად არის ნაჩვენები ღვთის ნება.

არსებითად, ღმერთი ასე ამბობდა: „კარგი, ბილყამ. რახან ვერაფერს ხვდები ან უფრო ზუსტად რომ ვთქვა, არ გინდა რომ მიხვდე, მკაფიოდ გაგიცხადებ ჩემს ნებას ...“ „არ ნაჰყვე მათ და არ დაწყევლო ის ხალხი, რადგან კურთხეულია იგი!“ (რიცხვ.22:12).

აქ არაფრის განმარტება აღარ არის საჭირო.

ახლა დააკვირდით ბილყამის პასუხს ამ ღვთიურ მითითებაზე:

„ადგა ბილყამი დილით და უთხრა ბალაკის მთავრებს: „ნადით თქვენს ქვეყანაში, რადგან არ უნდა უფალს, რომ გამოგყვეთ!“ (რიცხვ.22:13)

ბევრი, ალბათ, შეაქებდა ბილყამს. ჩვენც მოვიწონებდით მის მორჩილებას და ვიტყოდით: „აი, რა კარგი ძმაა!“ და მაინც, მის განცხადებაში არის რალაც, რაც სხვაგვარად გვაფიქრებინებს. დააკვირდით მის ნათქვამს: „არ უნდა უფალს!“ ის არ ამბობს: „უფალმა ნათლად გააცხადა თავისი ნება, ამიტომ მე არ წამოვალ!“ მან გამოიყენა სიტყები „არ უნდა“.

წარმოიდგინეთ ასეთი მაგალითი: უფროსკლასელების ჯგუფმა გადაწყვიტა საყიდლებზე წასვლა და ფილმის ყურება. ემიმ მშობლებს წასვლის ნებართვა სთხოვა. მათი პასუხი ასეთი იყო: „ემი, დღეს სალამოს ოჯახური ერთობა გვაქვს, ამიტომ გვინდა ჩვენთან ერთად იყო“.

ემის მეგობრებმა გამოუარეს და კარებზე აკაკუნებენ. როცა გოგონა კარს აღებს, მეგობრები ეკითხებიან: „მზად ხარ წამოსასვლელად?“

ემი მოღუშული სახით პასუხობს: „არ შემიძლია!“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: *თქვენთან ერთად წამოსვლა მინდა, მაგრამ სახლში უნდა დავრჩე ოჯახურ სალამოზე!* იგი მშობლების სურვილმა შეაჩერა იმის გაკეთებისგან, რაც წამდვილად უნდოდა. მშობლების სიტყვა მისთვის კანონია. აი, სინამდვილეში რა თქვა ბილყამმა.

## უფრო ტკბილი შეთანხმება

„ამრიგად, მოაბის მთავრები თავიანთ მეფესთან დაბრუნდნენ და ბილყამის პასუხი მიუტანეს. ამან მეფე არ დააკმაყოფილა და არც პასუხად უარის მიღება ეამა. მან უფრო პატივდებული მთავრების გაგზავნა გადაწყვიტა და უფრო დიდი ძღვენი გაატანა ბილყამის შრომის საზღაურად. მეფის სიტყვები ასეთი იყო: „დიდ პატივს გცემ და ყველაფერს, რასაც მტყვი, გავაკეთებ; გთხოვ, წამოდი და დაწყევლე ეს ხალხი“ (რიცხვ.22:16-17).

თუ კარის მეზობელი გეტყვით, „ყველაფერს მოგცემ, რაც გამაჩნია“, ეს შესაძლოა ბევრი არც იყოს, მაგრამ მთელი ერის მეფის შემოთავაზება, უთუოდ, უზარმაზარი იქნება.

როცა უფროსკლასელი ვიყავი, იყო ერთი ცნობილი კომედიანტი, სახელად ფილიპ უილსონი. მისი ერთ-ერთი ფრთიანი გამონათქვამი გახლდათ: „ემმაკმა მაიძულა ამის გაკეთება“.

მაშინ ეს სასაცილოდ ჟღერდა და ხალხიც ხშირად იმეორებდა, მაგრამ მისი სიტყვები სიმართლეს არ შეესაბამება. ემმაკს არ შეუძლია, რაიმეს გაკეთება აიძულოს მორწმუნე

ადამიანს. ჩვენ მკაფიოდ გვითხრეს: „ყოველი ცდუნდება თავისი გულისთქმით, რომელიც წარიტაცებს და აცდუნებს მას“ (იაკ.1:14). საკვანძო სიტყვა გახლავთ „ცდუნება“. სულ ეს არის, რის გაკეთებაც ეშმაკს მორწმუნისთვის შეუძლია. თქვენ ვერაფრით გაგიტაცებთ ის, რის სურვილიც არ გაქვთ. ჩემ წინ კოკაინის მთელი გროვა რომ დადოთ, გეტყვით: „მოაშორე აქედან!“ ამით ვერ მაცდუნებთ, იმიტომ რომ არალეგალური ნარკოტიკების მიმართ არანაირი ლტოლვა არ მაქვს.

თუმცა ეშმაკი ჭკვიანია და არ პასიურობს. მან დემონები მოგიჩინათ არა მარტო თქვენი ცხოვრების, არამედ თქვენი დედ-მამისა და იმათი მშობლების ცხოვრების შესასწავლად. მან კარგად იცის, რა სისუსტეები ახასიათებდა თქვენს ოჯახურ შტოს, როცა საქმე გულისთქმაზე მიდგებოდა.

მან ბილყამის ცხოვრებაც შეისწავლა და კარგად იცოდა, რომ წინასწარმეტყველს სიმდიდრის, საზღაურისა და სტატუსის მოპოვების არაჯანსაღი გულისთქმები ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, რომ სატანამ ამიტომაც მიანოდა ურჯულო მეფეს კიდევ უფრო სარგებლიანი ძღვენის გაგზავნის იდეა. დაიცათ! ბილყამის პასუხი მტკიცე აღმოჩნდა კიდევ უფრო დიდი ძღვენის შემოთავაზების ფონზე:

„თუნდაც ოქრო-ვერცხლით ავსებული მთელი თავისი სახლი მომცეს ბალაკმა, მაინც ვერ გადავალ უფლის, ჩემი ღვთის ბრძანებას. ვერც პატარა საქმეს გავაკეთებ და ვერც დიდს“. (რიცხვ.22:18)

აღბათ, ისევ მოვიწონებდით ბილყამის გაბედულ პოზიციას ღვთის სიტყვის მორჩილებაში მაშინაც კი, როცა შთამბეჭდავი ოდენობის შეთავაზება მიიღო. მიუხედავად ამისა, საკვანძო სიტყვები წინასწარმეტყველის შებორკილობაზე მიგვანიშნებს. მან თქვა: „ვერ გადავალ“ და არა „არ გადავალ“. არაფერი შეცვლილა. მას ისევ ღვთის სიტყვა აკავებდა, რომელიც მისთვის კანონი იყო. ეს მოსაზრება მისმა მომდევნო სიტყვებმა ცხადყო:

„გთხოვთ, დარჩით აქ ეს ღამე და გავიგებ, კიდევ რას მეტყვის უფალი“. (რიცხვ 22:19)

რა? უფრო უხვი ძღვენი ღმერთს აზრს შეაცვლევინებდა? ვინმეს სჯერა, რომ ღმერთმა პირველ ჯერზე „არა“ მეფის მომდევნო ელჩებისგან უფრო გულუხვი ძღვენის მიღების მოლო-

დინში ათქმევინა წინასწარმეტყველს? რა სასაცილოა! ღმერთს არ ურჩევია წინასწარმეტყველისთვის უკეთესი შესაძლებლობის ლოდინი! თუ ბილყამს პირველ ჯერზეც არ სჭირდებოდა ამ საკითხზე ლოცვა, მით უმეტეს არ დასჭირდებოდა მეორე ჯერზე! და თან ღმერთმა თავისი ნება ნათლად გააცხადა პირველად გამოგზავნილ ელჩებთან: „არ ნაჰყვე მათ!“

მიუხედავად ყველაფრისა, ბილყამმა იმ ღამით ლოცვა არჩია. ნახეთ, როგორია ღვთის პასუხი:

„თუ შენს დასაძახებლად მოვიდნენ ეს კაცები, ადექი და გაჰყევი მათ; ოღონდ, რასაც მე გეტყვი, იმას გააკეთებ“.  
(რიცხვ.22:20)

რა საოცარი მომენტია! ღმერთი ახლა ამბობს „გაჰყევი მათ!“ სწორად ამოვიკითხეთ? რა ხდება? საოცარია, მაგრამ სურათი მთლიანად შეიცვალა! ახლა ბილყამს აქვს სიტყვა ღვთისგან, რომ გაჰყვეს მოაბელ მთავრებსა და უხუცესებს. ამრიგად, ის ისე იქცევა, როგორც ღმერთმა დაავალა – კაზმავს ვირს და მოაბელ მთავრებს მიჰყვება. იგი ღვთიური მითითების მორჩილია. და მაინც, ნახეთ, რა ხდება ამის შემდეგ:

„აღინთო ღვთის რისხვა, მისი წასვლის გამო“.  
(რიცხვ.22:22)

რა მოხდა? ღმერთს რამე დაემართა? ბილყამი ხომ ზუსტად იმას აკეთებს, რაც ღმერთმა წინა ღამით უთხრა, მაგრამ მაინც მის რისხვას იმსახურებს. რით აიხსნება ეს ყველაფერი?

ამას ლოგიკური ახსნა აქვს წმიდა წერილში და თან საკმაოდ ნათელიც. ის ტრიალებს ჭეშმარიტების ირგვლივ, რომ ცოდვის ძალა რჯულია. და თუ რატომ არის ასე, მომდევნო თავში აღმოვაჩინოთ.

## ამოქმედი!

ბევრ მორწმუნეს სჭირდება იმედიანი სიტყვის მოსმენა: ცოდვის ძალისგან სრულად გათავისუფლება შესაძლებელია.

დიახ, სწორად კითხულობთ. ქრისტიანს შეუძლია ცოდვაზე ამაღლდეს. იესო იმისთვის არ ჯვარცმულა, რომ ზეცის ბილეთი გაჩუქოთ. როცა იგი მოკვდა, ცოდვისა და სიკვდილის

ძალაუფლებისგან გაგათავისუფლათ. ცოდვას თქვენზე ძალაუფლება აღარ აქვს, პირიქით, თქვენ ბატონობთ მასზე.

ეს მხოლოდ ღვთის მადლით არის შესაძლებელი – ღვთიური ძალით, რომელიც შეგვეწევა იქ, სადაც ადამიანი უძლურია. ჩვენ თავისუფალი მისადგომი გვაქვს მადლთან და ამ ძალას ვფლობთ. თუ მას არ გამოვიყენებთ, მადლის ყოველგვარ სარგებელს დავკარგავთ. მორწმუნის ცხოვრებაში მადლის ძალის დაკარგვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზა ის არის, რომ ადამიანებს წარმოდგენა არ აქვთ ამ ძალის ფლობაზე.

დღეიდანვე დაიწყეთ თავის გაძლიერება წმიდა წერილზე ფიქრით, რომელიც გაგიცხადებთ, რომ ცოდვის მძლეველი ძალა თქვენ გეკუთვნით. მანამდე იფიქრეთ ამ ჭეშმარიტებაზე, სანამ რეალობად არ იქცევა. ღმერთს მიმართეთ და მოინანიეთ ყოველი გზა, სადაც ცოდვას თქვენზე გაბატონების უფლება მიეცით და მადლიერება გამოიჩინეთ ღვთის მიმართ, რომ დღესვე გათავისუფლებთ! საკუთარ თავს აპატიეთ წარსული წარუმატებლობები და ღმერთს სთხოვეთ, გაჩვენოთ, თუ როგორ ხედავს თქვენს მომავალს! ჩაინერეთ ყველაფერი, რასაც იგი გაჩვენებთ ან გეტყვით!



## ცოდვის ქალა (ნაწილი 2)

მოდი, იმ ადგილიდან გავაგრძელოთ, სადაც წინასწარმეტყველი ბილყამი დავტოვეთ წინა თავში!

ღვთისგან მითითების მიღების შემდეგ, რომ არ გაჰყოლოდა მოაზიდან და მიდიანიდან გამოგზავნილი ელჩების პირველ ჯგუფს, ბილყამმა კიდევ ერთხელ სცადა უფლის წინაშე წარდგომა მეორე, უფრო წარჩინებულ წარმომადგენლებთან ერთად. მას ღვთისგან სხვაგვარი პასუხის მიღების იმედი ჰქონდა.

გქონიათ ოდესმე მსგავსი ვითარება? გცოდნიათ გულში ღვთის ნება რაიმე საკითხში, მაგრამ მაინც მისულებართ მასთან ლოცვით და სხვაგვარი პასუხის მიღების მოლოდინით? შესაძლოა, უვარგისი სურვილი შემდეგი ნათქვამით შენიღბეთ: „ამაზე უნდა ვილოცო!“ ან „ამაზე კიდევ ერთხელ უნდა ვილოცო!“

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე კი ბევრჯერ დამიშავებია და მოგვიანებით გაგიზიარებთ რამდენიმე სავალალო შემთხვევას, როცა ამ სფეროში შევცოდე.

ბილყამს ძღვენისა და ძალმოსილი მეფისგან პატივის მიღების შინაგანი სწრაფვა ჰქონდა, მაგრამ ვერ ბედავდა ღვთის მითითების „საზღვრების“ გადალახვას. საკმაოდ გონიერი გახლდათ იმის მოსაფიქრებლად, რომ ნებისთ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კურთხევას ვერ მიიღებდა. ზოგჯერ ეს ცოდნა საკმარისია, რომ კარი გაუღოს უფრო დიდ ცდუნებას.

წარმოიდგინეთ ბილყამის გაკვირვება, როცა ღვთის ნათქვამი გაიგონა: „ადექი და გაყევი მათ!“ შესაძლოა, ასეც გაიფიქრა: „გასაოგნებელია! რა კარგი ვქენი, რომ ხელმეორედ ვილოცე!“

„ამრიგად, მეორე დღეს ბილყამი ადგა და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც უფალმა უბრანა წინა ღამით, მაგრამ ჩვენდა

გასაკვირად ვკითხულობთ: „აღინთო ღვთის რისხვა, მისი წასვლის გამო“ (რიცხვ.22:22).

რა, ღმერთი ხომ არ „გადარეულა“?! რა თქმა უნდა, ეს რიტორიკული კითხვაა, რადგან ყველასთვის ცხადია მისი პასუხი: „არავითარ შემთხვევაში!“ მაშ, რატომ განრისხდა ღმერთი? ბილყამმა ზუსტად ის გააკეთა, რაც მან უთხრა – გაჰყვა მთავრებს. მაშ, რაშია საქმე?

აქ იმალება ჭეშმარიტება, რომელიც მრავალმა არ იცის და ვერ გაუგია. მის აღმოსაჩენად მრავალწლიანი განსაცდელების გავლა დამჭირდა:

*„თუ გულით გვინდა რაღაც (გულისთქმა გვტანჯავს) და ღმერთი ამ საკითხის ირგვლივ თავის ნებას გვიცხადებს (მისი სიტყვის ან ლოცვის პასუხის მეშვეობით), მაგრამ მაინც ვერ ვთმობთ მას, ღმერთი ხშირად მის ანაბარა გვტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენთვის საუკეთესო არ არის და ამისთვის საბოლოოდ განვისჯებით კიდევ“.*

გასაოცარი გაცხადებაა, მაგრამ ჭეშმარიტია. ნება მომეცით, ამ მოსაზრების სისწორე რამდენიმე ბიბლიური მაგალითით დაგიმტკიცოთ!

## **აღსრულებული თხოვნები**

„ისრაელს მეფე უნდოდა. წინამძღოლები სამუელ წინასწარმეტყველთან მივიდნენ და თავიანთი სურვილი გაანდეს. მათ თქვეს: „დაგვიდგინე მეფე, რომ განგვსჯიდეს, როგორც სხვა ხალხებშია!“ (1სამ.8:5).

სამუელი უფალს დაეკითხა და ღმერთმაც უპასუხა მათ წინასწარმეტყველის მეშვეობით, თუ რატომ არ იქნებოდა კარგი მეფის ყოლა. მან წინასწარ გააფრთხილა წინამძღოლები, რომ მეფე მათ ვაჟებს თავის არმიაში გაამწესებდა. ასევე წაიყვანდა მათ ძეგებს თავისი მინდვრების სახნავად, მოსავლის ასაღებად, იარაღისა და სხვა საჭირო ნივთების საკეთებლად. იგი ასევე წაიყვანდა მათ ასულებს და მზარეულებად, მრეცხავებად, მენელსურნელებად და სხვა უამრავი სამუშაოს შესასრულებლად დაადგენდა. მეფე ამითაც არ დაკმაყოფილდებოდა და ისრაელიანთა საუკეთესო საძოვრებს, ვენახებს, ზეთისხილის ბაღებს, მსხვილფეხა პირუტყვს და ცხვრის ფარებს დაეპატ-



რონებოდა და თავის დიდებულებსაც დაურიგებდა. ღმერთმა ისიც უთხრა წინასწარმეტყველს, რომ დრო დადგებოდა, როცა ისრაელიანები ახლა მათთვის სასურველი მეფის თავიდან მოშორებას შეევედრებოდნენ, მაგრამ აღარ მოუსმენდა.

გარდა ამისა, ვკითხულობთ: „არ მოუსმინა ხალხმა სამუელს. თქვეს: „არა, მეფე უნდა გვესვას. ჩვენც ისეთები უნდა ვიყოთ, როგორც სხვა ერები არიან“ (1სამ.8:19-20).

ამრიგად, სამუელმა კვლავ მიიტანა უფალთან ხალხის მოთხოვნა, რაც ასე გულით უნდოდათ. ღვთის პასუხი მის ნებას ეწინააღმდეგებოდა. მან თქვა: „გაუგონე მათ და დაუდგინე მეფე“ (1სამ.8:22). ღმერთმა მისცა სასურველი, თუმცა ეს მათთვის საუკეთესო არ იყო. ისრაელიანებმა თავიანთი მონარქი მიიღეს. მან და ყველა მომდევნო მეფემ ხალხს ის გაუკეთეს, რაზეც ღმერთმა თავიდანვე გააფრთხილა,

აი, კიდევ ერთი მაგალითი. როცა ისრაელი ეგვიპტიდან გამოვიდა, ღმერთმა მათ ციური მანანა გამოუგზავნა საკვებად. ეს იყო ზეციური პური, რომელსაც წმიდა წერილის სხვა ადგილას „ანგელოზების საკვები“ ეწოდება (იხ. ფს.78:25). ის იმდენად დამანაყრებელი იყო, რომ მოგვიანებით ელიამ მხოლოდ ორი ციური ნამცხვრის ჭამა შეძლო და ორმოცი დღე შეუჩერებლად ირბინა მთელი ძალით. დროდადრო მეც ვისურვებდი მსგავსი საკვების მიღებას!

გავიდა ხანი და ისრაელიანებს მოზებრდათ ეს პური და ხორცი მოუნდათ. მათ სათხოვარი მიიტანეს. მეფსალმუნე წერს: „ითხოვეს და მწყერი გაუგზავნა“ (ფს.105:40). ღმერთმა მათი თხოვნა საოცრად დააკმაყოფილა. წმიდა წერილში ასე ვკითხულობთ:

„აღძრა აღმოსავლეთის ქარი ზეცაზე და თავისი ძალით წარმართა სამხრეთის ქარი. მტვერივით აწვიმა მათზე ხორცი და ზღვის ქვიშასავით - ფრთოსანი ფრინველი. მათი ბანაკის შუაგულში, მათი საცხოვრებლის გარშემო ჩამოყარა“. (ფს. 78:26-28)

ღმერთმა არა მარტო უპასუხა თხოვნას, არამედ ეს სასწაულებრივად გააკეთა! დიდი ძალით მოიყვანა ასობით ათასი ფრინველი და ბანაკში ჩამოყარა. ისრაელს არ მოუხდა მათზე ნადირობა და არც ძაღლები, იარაღი, გალიები და სხვა მონყობილობები დასჭირვებია მათ დასაჭერად. მწყერი უბრალოდ ჩამოიყარა ბანაკში და ხალხს ხელის განვდენა დარჩენოდა მათ

ასაკრეფად ჰაერში თუ მინაზე. ჩვენს დროში ეს ამბავი სოციალურ მედიას ააფეთქდებდა და ჟურნალ-გაზეთების მთავარ გვერდებზე მოხვდებოდა. ღმერთი სასწაულებრივად მოვიდა, მაგრამ ნახეთ, რას წერს მეფსალმუნე:

„ჭამეს და გაძღნენ მეტისმეტად, შეუსრულა სურვილი მათი. მაგრამ ჯერ კიდევ არ გამძღარიყვნენ, ჯერ კიდევ პირში ჰქონდათ საჭმელი, რომ ღვთის რისხვა აღიძრა მათზე, ამოხოცა მათ შორის ძლიერნი და დაამხო ისრაელის ჭაბუკნი“. (ფს.78:29-31)

თავად ღმერთმა და არა რომელიმე ღვთაებამ ან დემონმა შეუსრულა მათ სურვილი და ეს საოცარი გზით გააკეთა, თუმცა ღვთიური სასჯელი მათზე ჭამის დასრულებამდე მოვიდა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ღმერთმა კაცობრიობის შექმნამდე გაითვალისწინა ჩვენთვის თავისუფალი ნების მოცემა. მან კარგად იცოდა, რომ შეიძლებოდა აგვეჩინა ისეთი რამ, რაც საბოლოოდ მისი სურვილის საწინააღმდეგო იქნებოდა და თან გაგვანადგურებდა კიდევც.

მაგალითად, რას იტყვით უძღებ ძეზე? მან თავისი მემკვიდრეობა მოითხოვა. მამამ კარგად იცოდა, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი სულიერი სიმნიფე ქონების სწორად გამოყენებისთვის. მიუხედავად ამისა, მამამ უკან დაიხია და შვილს ეგზომ სასურველი მემკვიდრეობა გადასცა. შედეგად ძემ თავისი საქმიანობა ღორების სამწყემსურში დაასრულა ღრმა მწუხარებით გარემოცულმა.

წმიდა წერილში ამის დამადასტურებელი სხვა მაგალითებიც არსებობს, მაგრამ ვფიქრობ, თქვენთვის ნათელია ჭეშმარიტება. ჩვენ არახელსაყრელ და გამანადგურებელ მდგომარეობაში ვიმყოფებით, როცა დაჟინებით ვითხოვთ იმას, რაც ღვთის ნებას არ შეესაბამება.

## ჭკვიანი ვირი

ამ ცოდნით ისევ ბილყამის ამბავს დავუბრუნდეთ.

ახლა ის მოაბის მეფესთან შესახვედრად მიდის. მეფის დამხმარეები მის გვერდით არიან, მაგრამ ღმერთი მისმა არჩევანმა განარისხა. მოულოდნელად, ბილყამის წინ ანგელოზი აღიმართა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ანგელოზები მშვილდ-ისრით შეიარაღებული პატარა ჩასუქებული ბავშვები როდი არი-

ან, არამედ დიდი ძალის მქონე შთამბეჭდავი არსებები. ჩემი აზრით, ეს ანგელოზი რვიდან ათ ფუტამდე (2,5-3 მეტრი) მაინც იქნებოდა.

ანგელოზი გზაზე გადაუდგა ბილყამს და ხმალი აღმართა. ღმერთმა სასწაულებრივად აუხილა თვალები ვირს ამ უზარმაზარი არსების დასანახად, რომელიც მათ ხმლით გაჩეხვას უპირებდა. იგი გზიდან გადავიდა და მინდორს მიაშურა თავის საშველად. გაბრაზებულმა ბილყამმა ვირს ცემა დაუწყო და ისევ გზაზე მოაბრუნა.

ანგელოზმა გზის იმ მონაკვეთზე გადაინაცვლა, სადაც ორივე მხარეს კედელი იყო აღმართული. ვირმა ისევ მოინდომა ანგელოზის გვერდის ავლა და რაც შეიძლება შორს გაქცევა, მაგრამ ბილყამის ფეხი კედელს მიაჭყლიტა. წინასწარმეტყველი სულ გაცეცხლდა და ვირი კიდევ სცემა.

ახლა ანგელოზი გზის იმ მონაკვეთთან დადგა, სადაც ვინრო გასასვლელი იყო და შემობრუნებაც ვერ მოხერხდებოდა. ამჯერად ვირმა ხმალაღმართული ანგელოზი დაინახა თუ არა, ძირს დაეარდა. ბილყამის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა და ვირი კიდევ ერთხელ სცემა.

ახლა ღმერთმა ვირს ბაგე გაუხსნა და მან ბილყამს უთხრა: „რა დაგიშავე, რომ უკვე მესამედ მცემ?“ (რიცხვ.22:28).

გაცხარებული დაობდნენ ბილყამი და ვირი. ბოლოს უფალმა ბილყამსაც აუხილა თვალები ანგელოზის დასანახად. იგი მაშინვე მინაზე განერთხო თავყანსაცემად.

აქამდე ანგელოზს მოვიხსენიებდი როგორც ერთ-ერთს ღვთის უამრავ ანგელოზთა შორის, რომლებიც მას ემსახურებიან. თუმცა NKJV-ის მთარგმნელებისა და ჩემთვისაც ცხადია, რომ იგი თავად უფალი იყო. თუმცა ამ საკითხს თქვენს გადასანყვეტად დავტოვებ, რადგან ახლა ამ ან სანინააღმდეგო მოსაზრებაში თქვენი დარწმუნება მიზნად არ დამისახავს.

ანგელოზი ბილყამს შემდეგი სიტყვებით შეენინააღმდეგა: „რად სცემე ვირი სამჯერ? აჰა, შენს დასაბრკოლებლად გამოვედი, რადგან უკუღმართია შენი გზა ჩემს თვალში. დამინახა ვირმა და სამჯერ გადაუხვია ჩემგან; რომ არ გადაეხვია, მოგკლავდი, მას კი ცოცხალს დავტოვებდი“ (რიცხვ.22:32-33).

ვირმა ბილყამის სიცოცხლე იხსნა! ვირი უფალს რომ არ არიდებოდა, ბილყამი უკვე მკვდარი იქნებოდა. ალბათ, ფიქრობთ, რომ წინასწარმეტყველი ახლა მაინც მოეგებოდა გონს და მოაბისა და მიდიანის წარჩინებულებს ასე ეტყოდა: „მე საქმიდან გავდივარ, უთხარით თქვენს მეფეს, რომ ფული

170 ბაანაღბურა კრიპრონიტი!

თავისთვის დაიტოვოს!“ ბილყამს ეს არ უთქვამს. ამის ნაცვლად მან უფლის წინაშე თავისი შეცოდება აღიარა:

„შეეცოდე, რადგან არ ვიცოდი, რომ შენ დამიდექი გზაზე; ახლა კი, თუ ეს ბოროტებაა შენს თვალში, უკან გავბრუნდები“. (რიცხვ.22:34)

ბილყამმა ცოდვა აღიარა. და მაინც, ის რალაცას ფარავდა სიტყვებით „თუ ეს ბოროტებაა შენს თვალში“.

მართლა ბილყამ? კიდევ რა უნდა მოხდეს? თავად უფალი ჩამოვიდა, რომ წინ გადადგომოდა ასეთი საოცარი გზით, ბილყამი კი მაინც სასურველის მიღწევას ცდილობს. იგი იმდენად ილტვის მეფისგან შეპირებული ფულისა და პატივის მიღებისკენ, რომ სრულიად ავინწყდება ღვთიური წვრთნა. წინასწარმეტყველი საკუთარმა კერპთაყვანისმცემლობამ დააბრმავა და ღვთის გული ვეღარ დაინახა.

ზუსტად ეს ხდება, როცა ჩვენი სურვილები უფლისადმი მორჩილებას გადაწონის, როცა მისი მცნებები შემბორკველად მიგვაჩნია. ცოდვა ძალას იკრებს ტყუილის მეშვეობით. ახლა ის, რაც სრულიად ცხადად ეწინააღმდეგება ღმერთს, ხილული აღარ არის. მორჩილება მას ნათლად ხედავს, მაგრამ კერპთაყვანისმცემლობის მარწუხები ადამიანს ღვთისგან თანხმობის მიღებას აიძულებს მისი მწველი გულისთქმის დასაკმაყოფილებლად.

## ჩემი ნაკლოვანებები

ოცდაათ წელს რომ გადავაბიჯე, ღმერთმა მე და ლიზას გვაჩვენა, რომ ერთ ცნობილ გამომცემლობასთან კონტრაქტის გაფორმება მის ნებას არ წარმოადგენდა. შესყიდვების რედაქტორს „არა“ განვუცხადე, როცა პირველად დამელაპარაკა, მაგრამ არა ისე, როგორ ბილყამი შეხვდა ბალაკის მთავრებს.

რედაქტორი თითქმის ყოველდღე მირეკავდა და მეუბნებოდა, რომ ჩემი სათქმელი მნიშვნელოვანი იყო ქრისტეს სხეულისთვის და გამიზიარა ინფორმაცია, რომ შედარებით უცნობმა ავტორებმა პოპულარობა მოიპოვეს მათ კომპანიაში ნაწარმოებების გამოცემის შემდეგ. გადავყლაპე მისი პირმოთნეობის ანკესი, ძაფი და საძირავი. იმ დროისთვის ორი წიგნი საკუთარი ხარჯებით გამოვეცი და არცთუ ბევრი მკითხველი მყავდა. მიხლოდა ქვეყნის მასშტაბით გავეცანი ხალხს ამ გა-

მომცემლობის ზეგავლენის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთსაც სურდა ჩემი წიგნების გავრცელება, ეს არ იყო მისი დრო, მისი სათქმელი და გამომცემელი. გარდა ამისა, ჩემი მოტივებიც არასწორი გახლდათ. პოპულარობის მოპოვება მინდოდა, რასაც *ცხოვრების სიამაყე*, სტატუსისა და რეპუტაციის დევნა ჰქვია.

ჩემში იმდენად გაძლიერდა ამ ცნობილ გამომცემლობასთან თანამშრომლობის სურვილი, რომ უფლის ნათელი მითითება, ცოლის რჩევა და სხვა ნიშნები უგულვებლევყავი. შინაგანი ხელმძღვანელობის სახით მოსული სულიწმიდის გაფრთხილებები თანდათან გაფერმკრთალდა და უფრო დიდი სურვილის ტყუილმა ჩაანაცვლა.

გამომცემლობა სხვა შტატში მდებარეობდა. გადავწყვიტეთ, რომ იქ ლიზა გაფრინდებოდა და ჩვენი ორგანიზაციის სახელით კონტრაქტს ხელს მოაწერდა, რადგან ჩემი გრაფიკი იმჟამად ამის საშუალებას არ მაძლევდა. მისი გამგზავრების დილას ჩვენმა ერთ-ერთმა ვაჟმა კიბეებზე დაგებული ხალიჩა სულ მთლად აჰყარა სახლის მეორე სართულამდე. როცა ყველაფერს ვაწესრიგებდით, გულმოსულმა ლიზამ მითხრა: „ჯონ, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ღმერთი ამის გაკეთების უფლებას არ გვაძლევს?!“

მე გაბედულად შევეწინააღმდეგე: „არა, ეს მტერი ცდილობს, რომ იმედი გაგვიცრუვდეს და გავჩერდეთ.“ მარტო ეს შემთხვევა რომ ყოფილიყო, შესაძლოა, მართალიც აღმოვჩენილიყავი, მაგრამ საოცრად ბევრი რამ აირია. მე კი ვერაფერს ვხვდებოდი, რადგან მოტყუებული ვიყავი ჩემი ცოდვის ძალით.

ლიზა გაფრინდა და კონტრაქტს ხელი იმ დღესვე მოაწერა. მომდევნო სამი თვის განმავლობაში ჩემი ცხოვრება ქაოსმა მოიცვა. მშვიდობამ დამტოვა და ხელთ მხოლოდ ბრძოლა და ჭიდილი შემრჩა. მთელი სამი თვის განმავლობაში სხვადასხვა ვირუსებით, გრიპებით და ფიზიკური დაავადებებით ვიავადმყოფე. გამომცემელთან საშინელი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. თითქმის ვერაფერზე ვერ ვაღწევდით შეთანხმებას და თან ჩვენმა მსახურებამ ათასობით დოლარი იზარალა.

ბილყამისგან მხოლოდ იმით განვსხვავდებოდი, რომ ბოლოს და ბოლოს დავინახე, როგორ დამაბრმავა ჩემმა დაჟინებულმა სურვილმა. ღვთის ნებას ველარ აღვიქვამდი. მისი სასჯელის (წვრთნის) ქვეშ მოვყევი. გაიხსენეთ პავლეს სიტყვები: „ამის გამო ბევრია თქვენ შორის უძლური და ავადმყოფი, და ბევრს სძინავს. თვითონვე რომ განვიკითხავდეთ ჩვენს თავს, აღარ

ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი. ხოლო მსჯავრდადებულნი უფლის მიერ ვინვრთნებით“ (1კორ.11:30-32). ჩემ მიერ შექმნილი კერპის დასანახად ბევრი არასაჭირო განსაცდელი გადავიტანე. მოვინანიე ჩემი სიჯიუტე და ყველაფერი თითქმის მეყსეულად დაუბრუნდა თავის ადგისე. მოკლე ხანში გამომცემელმა გვაცნობა, რომ სამუშაო კონტრაქტის დასრულება სურდა.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ კიდევ ერთმა ცნობილმა კომპანიამ შემომთავაზა სხვა წიგნის დაბეჭდვა წყენისგან განთავისუფლების საკითხზე. ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა: „წინა გამომცემელი შენი იდეა იყო; ეს გამომცემელი ჩემგანაა“. ჩემი მოტივებიც შეიცვალა წინა წელს მიღებული წვრთნის შედეგად. ახლა მთელი გულით მინდოდა ღვთის მორჩილება, რომ ადამიანები ნამდვილად გათავისუფლებულიყვნენ. ეს იყო ის სიტყვა, რომლის თქმაც ღმერთს სურდა: „სატანის სატყუარა“. მისი ორ მილიონამდე ეგზემპლარი გაიყიდა.

მიყვარს იმის თქმა, რომ ჩემი გაკვეთილი ვისწავლე და ასეთი სისულელე აღარ გამიმეორებია. თუმცა ორმოც წელს რომ გადავცდი, კიდევ ერთხელ უგულებელყავი ღვთის ნათლად გაცხადებული ნება, ჩემი ცოლის ნათქვამი და საბჭოს წევრების მტკიცე რჩევა. ამჯერად ცდუნება უფრო დიდი გახლდათ და წვრთნის სიძნელე, ტკივილი და აგონიაც წინას აღემატებოდა. განსაცდელი თითქმის თვრამეტი თვე გრძელდებოდა. კიდევ ერთხელ გავაცნობიერე, რომ კერპი შევექმენი და მოვინანიე, მაგრამ ეს მრავალი გულისტკივილის ფასად დამიჯდა.

სრულიად დარწმუნებული ვარ ერთ რამეში: ბილყამს ღვთის გულის დანახვა რომ შესძლებოდა, გაცილებთ უკეთ ივლიდა დიდი ხნის განმავლობაში. სინამდვილეში, იგი გულწრფელად არასოდეს მოტრიალებულა კერპთაყვანისმცემლობიდან და ღვთიური მსჯავრით გარდაიცვალა (იხ. ი.ნ.13:22).

ძვირფასო ადამიანო, არ მინდა, ისე რთულად ისწავლოთ მორჩილება, როგორც მე ვისწავლე! იმედი მაქვს, რომ ეს ძლიერი სიტყვა განგანყობთ იმ ტკივილისა და განსაცდელის თავიდან ასარიდებლად, რომლის გადატანაც ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე მომიხდა.

## იმძებლე!

თუ ჩვენს სურვილებს ღმერთს არ დავუქვემდებარებთ, ისინი მისგან დაგვაშორებენ და შესაძლოა, ღმერთმა კიდევ გადაგვცეს მათ. წმიდა წერილში მრავალჯერ გვინახავს, რომ უფალმა თავისი ნება გააცხადა, თუმცა მის ერს რაღაც საწინააღმდეგო სურდა. მან ხალხს სასურველი მისცა მოსალოდნელი განსაცდელის მიუხედავად.

ღმერთი ახლაც ასე იქცევა ჩვენს ცხოვრებაში. იგი სასურველს მოგვცემს, თუნდაც ეს მის ნებას უპირისპირდებოდეს. ხშირად მას ჩვენი სურვილების აღსასრულებლად სხვა გზა აქვს გამზადებული და ეს გზა სწორია მის თვალში. თუ მას გავყვებით, კურთხეული ბილიკით გაგვიძღვება, მაგრამ სასურველი დასასრული მისგან დადგენილ ჟამს მოვა. დღესვე მიუძღვნით უფალს თქვენი გზები! სთხოვეთ მას, გატაროთ მისი და არა თქვენი სურვილების შესაბამისად! ჰკითხეთ მას, რა ნაბიჯები უნდა გადადგათ დღეს, რომ მას უფრო მეტად დაუახლოვდეთ?! ყველაფერი ჩაინერეთ და შემდეგ გააკეთეთ!





## გზასაცდენილი

ჩვენი მიზნის შესანარჩუნებლად მოკლედ შევაჯამოთ კერპთაყვანისცემის არსი: ეს არის მორწმუნე თუ ურწმუნო ადამიანთა მიერ ღვთის გაცხადებული ნების უგულებელყოფა საკუთარი გულისთქმების ანუ სურვილების საკუთარი გზებით დაკმაყოფილების მიზნით. სწორედ ამის გამო წერდა პავლე:

„რადგან იცოდეთ, რომ არც ერთ მეძავს, ან უწმიდურს, ან ანგარს, რომელიც კერპთმსახურია, არა აქვს მემკვიდრეობა ქრისტესა და ღვთის სამეფოში. არავინ გაცდუნოთ ცარიელი სიტყვებით, ვინაიდან ამისთვის ღვთის რისხვა ეწევა ურჩ შვილებს. ამიტომ ნუ იქნებით მათი თანაზიარნი!“ (ეფეს.5:5-7)

ღვთის რისხვა მოვა ურწმუნოზე, მაგრამ უფალი კერპთაყვანისცემაში (სიხარბეში) ჩაფლულ მორწმუნესაც დასჯის, რომ თავის გულთან დააბრუნოს. თუ მორწმუნე ბილყამის მსგავსად ჯიუტად განაგრძობს დაუმორჩილებლობას, შედეგები შეიძლება სასიკვდილოც კი იყოს. პავლე მორწმუნეებს აფრთხილებს: „თუ ხორცის მიხედვით ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ“ (რომ.8:13). იაკობ მოციქულიც გვაფრთხილებს: „როცა ჩაისახება გულისთქმა, შობს ცოდვას. ჩადენილი ცოდვა კი შობს სიკვდილს. ნუ ტყუვდებით, ჩემო საყვარელო ძმებო!“ (იაკ.1:15-16).

კერპთაყვანისცემა ნელი მოქმედების შხამია. იგი სულიერი კრიპტონიტი არის. თავს არ უნდა მივცეთ მასთან ფლირტის გამართვის უფლება. კერპთაყვანისცემის ქსელი შემპარავიც არის და ძლიერიც. მის ძალას თვალი გადავაგვლეთ ბილყამის შემთხვევის განხილვისას, მაგრამ მოდი, უფრო შორს წავიდეთ.

დაკვირვებით ნავიკითხოთ ღვთის გაფრთხილება ისრაელის მთავრებისადმი:

„იყო უფლის სიტყვა ჩემდამი: „ძეო კაცისავ! ამ კაცებ-  
მა კერპები დაიდგეს თავიანთ გულებში და საკუთარი  
ურჯულოება დაიდეს დაბრკოლებად. როგორ ვუპასუხო  
მათ საჭიროებას?“ (ეზეკ.14:2-3)

კიდევ ერთხელ ნათლად ვხედავთ, რომ კერპთაყვანისმცემ-  
ლობა ქანდაკებების, სამსხვერპლოების ან ტაძრების აღმართ-  
ვით არ შემოიფარგლება. ღმერთი ამ მოსაზრებაში დაეჭვების  
საბაბს არ გვაძლევს მკაფიო ნათქვამით: „კერპები დაიდგეს  
თავიანთ გულებში“. ესენი ქალაქის ცენტრებში ხეების ქვეშ ან  
ტაძრებში დადგმული პატარა ფიგურები როდი არიან. ესენი  
ჩვენს გულებში აღმართული კერპებია. ამ სურვილებმა ნავსა-  
ყუდელი პოვეს ჩვენში ღვთის ნების სანინააღმდეგოდ. ღმერთი  
განაგრძობს:

„ამიტომ ელაპარაკე მათ და უთხარი, ასე ამბობს-თქო  
უფალი ღმერთი: თითოეული კაცი ისრაელის სახლიდან,  
რომელიც გულში დაიდგამს კერპებს და საკუთარ ცოდ-  
ვას დაიდებს დაბრკოლებად, მერე კი მივა წინასწარმეტ-  
ყველთან შესაკითხად, მე, უფალი, მისი კერპების სიმრავ-  
ლის მიხედვით გავცემ პასუხს!“ (ეზეკ.14:4)

როცა ადამიანი კერპთაყვანისცემაშია ჩართული (ანუ სა-  
პირისპირო აზრებს ეწებება) და მსახურთან მიდის მითითების,  
რჩევის ან რაიმე სახის ბიბლიური სწავლებისთვის, შეიძლება  
პასუხი მიიღოს, მაგრამ ის არ შეესაბამებოდეს ღვთის ნებას.  
ეს იქნება ბილყამის პასუხის მსგავსი. *The New American Stan-*  
*dard Bible* ეზეკიელის მუხლს ასე თარგმნის: „მე, უფალი, ვუპა-  
სუხებ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი კერპი ჰყავთ მათ  
გულში“.

ახლა ისმინეთ ხელმძღვანელი მსახურის მიმართ გაფრთხი-  
ლება, რომელიც ღვთისგან პასუხის მაძიებლის კერპთაყვანის-  
ცემას უგულებელყოფს და მას ისე ელაპარაკება, თითქოს  
ყველაფერი კარგად იყოს (წინასწარმეტყველები და მღვდლე-  
ბი წინამძღოლი მსახურები იყვნენ ძველ აღთქმაში; აქედან  
მოყოლებული მსახურთა აღსანიშნავად დღევანდელობაში  
მიღებულ ტერმინებს გამოვიყენებ):

„თუ წინასწარმეტყველი ცდუნდება და ეტყვის სიტყვას, მე, უფალი, ვაცდუნებ იმ წინასწარმეტყველს; გავიწვდენ ხელს მასზე და გავდევნი მას ჩემი ხალხიდან, ისრაელიდან“. (ეზეკ.14:9)

ლოცვაში ვტიროდი ან გულით დიდ ნაღველს ვატარებდი, როცა თანამედროვე მსახურებებში, განსაკუთრებით კი დასავლეთის ქვეყნებში მოსმენილი სწავლებების უმრავლესობაზე ვფიქრობდი. ღმერთს შევლაღადებდი პასუხების მისაღებად, თუ რა იდგა ამგვარი სუსტი მახარებლობის მიღმა, იქნებოდა ეს კათედრიდან ქადაგების თუ წერილობითი სახით. სულიწმიდამ ეზეკიელის მე-13 და მე-14 თავებზე მიმითითა. ეს თავები გვიცხადებს გაზავებული სახარების ქადაგების მიზეზს, როცა უგულებელყოფილია ჩვევაში გადაზრდილი ცოდვის მხილება: ეს გახლავთ *კერპთაყვანისმცემლობა*. თუ მსახური არასრულ სახარებას მხოლოდ იმიტომ წარმოადგენს, რომ არ სურს მიმდევრების ან სახელის დაკარგვა, ეს სხვა არაფერია თუ არა შენიღბული ანგარება. სწორედ ამის გამო გოდებდა იერემია იმ დროს, როცა ყალბი მსახურება ყვაოდა:

„რადგან პატარიდან დიდამდე ყველას ანგარება შეჰყრია და წინასწარმეტყველიდან მღვდლამდე ყველა სიცრუის მოქმედია“. (იერ.6:13)

დავინწყე ცხადი სულიერი უძღურების – კრიპტონიტის – ღრმა მუშაობის თვალის შევლება თანამედროვე ეკლესიაში. შეეძელი მრავალი მაღიარებელი მორწმუნის უკმაყოფილებისა და ამგვარი გულის მდგომარეობიდან „მათ ცხოვრებაში არსებული დანაკლისის“ შევსების გაზრდილი სურვილის დანახვა (უმეტეს შემთხვევაში ეს არ გახლავთ ნამდვილი საჭიროებები, არამედ გულისთქმები).

გზას აცდენილი წინამძღოლები, რომლებიც ანგარებიან გულისთქმებს მისდევენ, ისეთ სახარებას ქადაგებენ, სადაც მაძიებელთა ცოდვილი ცხოვრების წესი უგულებელყოფილი და მოწონებულიც კია და თან ურჯულო ქცევის ამსახველი წმიდა წერილის ადგილები მოხერხებულად მიჩქმალულია. ამგვარი კერპთაყვანისმცემლობა როგორც მსახურს, ისე მორწმუნეს ისეთი სიტყვის ან რჩევის მისაღებად განაწყობს, რომელიც ზუსტად შეესაბამება გულისთქმებს და ამ სურვილებს თუ კერპებს კიდევ უფრო აძლიერებს.

ახალ აღთქმაში პავლე იერემიასა და ებეკიელის მსგავსად წინასწარმეტყველებს მომავალ დროზე:

„ვინაიდან დადგება დრო, როცა საღ მოძღვრებას ველარ აიტანენ, არამედ თავიანთი გულისთქმებისამებრ შემოიკრებენ ყურის მომქავებელ მასწავლებლებს“. (2ტიმ.4:3)

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს დროში! მაძიებელს სასურველის მოსასმენად მხოლოდ ის სჭირდება, რომ ანგარების მდგომარეობაში მყოფი „მსახურები“ იპოვოს.

მეორე მხრივ, ღვთისნიერი და ღვთისმოსშიში წინამძღოლი არაფრით გადაუხვევს ღვთის სიტყვის მითითებას. წმიდა წერილი მთლიანად უნდა იქნას გათვალისწინებული და არა მისი ცალკეული ნაწილები. ასეთ წინამძღოლს შესწორების ან დაპირისპირების ისევე არ ეშინია, როგორც – გამხსნევის.

მსახურებს, რომლებზეც პავლე ლაპარაკობს, უფრო მეტად თავიანთი რეპუტაცია, გარეგნობა, რაოდენობრივი ზრდა და დღის წესრიგი აღელვებთ ხოლმე. მათი დარწმუნება სწორი შედეგით ან საზღაურით შეიძლება, ამრიგად, ისინი მსმენელთა სურვილებზე მორგებულ სიტყვას ლაპარაკობენ და ასწავლიან და ნაკლებად ფიქრობენ ღვთის სიტყვის ერთგულად გაცხადებაზე მსმენელის რეაქციის მიუხედავად.

## **ჭეშმარიტება მხოლოდ ერთმა მსახურმა გააცხადა**

იუდას მეფე იოშაფატი ისრაელის მეფე ახაბს შეეკრა შვილების ქორწინების შედეგად. ეს იოშაფატის სწორ ნაბიჯად ვერ ჩაითვლებოდა, რადგან იგი ღვთისმოსავი კაცი გახლდათ, ხოლო ახაბი კერპთაყვანისმცემელი იყო. გარკვეული დროის შემდეგ იოშაფატი სამარიას გაემგზავრა ისრაელის მეფის სანახავად.

ახაბმა იოშაფატს იუდას შეკრება სთხოვა ისრაელთან ერთად სირიის წინააღმდეგ ომისთვის. იოშაფატმა ასე უპასუხა: „რამ გაგვყო მე და შენ, რამ გაყო ჩემი ხალხი და შენი ხალხი? ომშიც შენთან ერთად ვიქნები“. და დაამატა: „ჯერ უფალს დაეკოთხე, რას იტყვის?!“ (იხ.1ნეშტო.18).

ამრიგად, მეფე ახაბმა ისრაელის ოთხასი წარჩინებული მსახური და წინამძღოლი შეკრიბა. ისინი ბაყალის, აშერას, ქემოშის ან სხვა რომელიმე ცრუ ღმერთის მსახურები არ იყვნენ. ისინი უფალი ღმერთის (ისინი იაჰვეს სახელით ლაპარაკობდ-

ნენ) მსახურები გახლდნენ. ახაბი მათ დაეკითხა, ომში უნდა წასულიყო თუ თავი შეეკავებინა.

ყველა მსახურმა ერთხმად განაცხადა: „ნადი და მეფის ხელში ჩააგდებს მას ღმერთი!“ (2ნეშტ.18:5). ეს წინამძღოლები ისე განვრთნეს, რომ მხოლოდ დადებითად და მსმენელთათვის მისაღებად ლაპარაკობდნენ განსაკუთრებით ზემდგომი და მნიშვნელოვანი პირებისთვის. მათ, იაჰვეს მსახურების მიუხედავად, ანგარება ამოძრავებდათ. ისინი კერპთაყვანისმცემლები იყვნენ.

ამ წინასწარმეტყველებს უდიდეს პატივს სცემდნენ ისრაელში და მათი სიტყვაც შთამბეჭდავი იყო, მაგრამ იოშაფატი მათმა რჩევამ არ დააკმაყოფილა. მის ცხოვრებაში არსებულმა ღვთის შიშმა გარჩევის უნარი შეუნარჩუნა. მან იკითხა: „ხომ არ არის აქ სადმე კიდევ უფლის წინასწარმეტყველი, რომ მასაც დავეკითხოთ?“ (მუხლი 6). მან იცოდა, რომ იაჰვეს წინასწარმეტყველებმა ილაპარაკეს, მაგრამ რაღაც რიგზე ვერ იყო. ახაბი შეეპასუხა: „არის კიდევ ერთი კაცი, მიქაიაჰუ იმლას ძე, რომლის პირითაც შეგვიძლია, უფალს დავეკითხოთ, მაგრამ მძულს იგი, რადგან ჩემზე სიკეთე არასოდეს უწინასწარმეტყველებია, მხოლოდ ბოროტს ლაპარაკობს (მუხლი 7). კერპთაყვანისმცემლის ან პირმოთნეობას დაჩვეულ მორწმუნეთა თემისთვის სახარების ნამდვილი მსახური ხშირად საძულველი და მხნეობის წამრთმევია.

მიქაია სხვებისგან გამოირჩეოდა, რადგან მას არ სურდა მიმდევრების დიდი არმიის ყოლა და არც ახაბისგან მოელოდა რამეს. მას უფლის მეტად ეშინოდა, ვიდრე – ადამიანის და წარმატებაზე მეტად ღვთის თვალში მოსაწონად ყოფნა ერჩია. მან იცოდა, რომ იაჰვე იყო მისი წყარო და ღმერთს უფრო აამებდა, ვიდრე კრიპტონიტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ მეფეს. ამან მიქაია სინმიდეში დაიცვა და გაათავისუფლა სიცრუისგან, რომელშიც სხვა მსახურები მოქმედებდნენ.

ახაბმა მიქაიას მოყვანა ბრძანა. სანამ ისინი ღვთის ჭემ-მარიტ მამაკაცს ელოდნენ, მსახურები ორი მეფის წინაშე წინასწარმეტყველებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ციდეკიამ ბენიამინის ტომიდან რკინის რქები გაიკეთა და თქვა: „ასე ამბობსო უფალი: ამით ურქენ არამელებს და მოსპობ“ (მუხლი 10).

შემდეგ ყველა მსახურმა ერთხმად ურჩია მეფეს: „ადი გილყადის რამოთში და გამარჯვებას მისცემს მეფის ხელს უფალი“ (მუხლი 11). ნამდვილად არის უსაფრთხოება მრავალ წინამძღოლთან, არა? და რაც მართლა გამამხნეველები და ერთი

შეხედვით, დაცული ჩანდა, ყველას მათგანის ჰარმონიული დამონშება გახლდათ! დიახ, მათ დაამონშეს ახაბის გულის სურვილები და მათ სასარგებლოდ ილაპარაკეს ანგარების-თვის, რაც კერპთაყვანისცემაა!

სანამ ხსენებული მსახურები ერთსულოვნად იძლეოდნენ რჩევას ორი მეფის წინაშე, წარგზავნილმა კაცმა მიქაია იპოვა და უთხრა: „აჰა, მეფის წარმატებაზე ლაპარაკობენ ერთხმად წინასწარმეტყველნი. შეეთანხმოს შენი სიტყვები მათ სიტყვებს; შენც თქვი რამე სასიკეთო!“ (2 ნეშტ.18:12).

იგივე სიტყვები მოვისმინე რამდენიმე ცნობილ ეკლესიაში, სადაც მინვეული გახლდით. „ჯონ, გაამხნევე ხალხი! იქადაგე დადებითად. ააშენე და ნუგეში ეცი მათ! ჩვენი მსახურების ბოლოს მხიარულ სიმღერას შემოვძახებთ და შენც ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულე! გვინდა, რომ ყველამ კარგად იგრძნოს თავი“. თუ მანიპულაციას ვეწევი, მეტად აღარ ვართ ღვთის წინასწარმეტყველების მოლაპარაკე ელჩები, არამედ უბრალო ადამიანები, რომლებიც ახალი აღთქმის სხვადასხვა მონაკვეთებში ნაპოვნ პოზიტიურ მუხლებს მათთვის სასურველის მისაღებად იყენებენ.

მიქაიას პასუხი ხისტი იყო, რადგან მას არ შეეძლო პირ-მოთნეობა: „ცოცხალია უფალი, რასაც ჩემი ღმერთი იტყვის, იმას ვილაპარაკებ!“ (მუხლი 13).

*ო, მამაო, გამოგზავნე წინამძღოლები, რომლებიც იგივეს გააკეთებენ დღეს!*

როცა მიქაია ახაბის წინაშე წარდგა, ის შეკითხვა დაუსვეს, რაზეც უამრავმა მსახურმა მის მოსვლამდე უპასუხა. მიქამ სარკაზმით თქვა: „ნადით და გამარჯვება მოგეცემათ!“ (მუხლი 14).

ახაბი მიქაიას გაუბრაზდა დაცივნის გამო. შემდეგ წინასწარმეტყველმა ღვთის სიტყვა განაცხადა ამ ვითარებასთან დაკავშირებით: „უმწყემსო ცხვარივით მთებზე გაბნეული ვიხილე მთელი ისრაელი და თქვა უფალმა: პატრონი აღარ ჰყავთ, დაე, მშვიდობით დაბრუნდეს თითოეული თავის სახლში!“ (მუხლი 16).

ახაბი იოშაფატს მიუბრუნდა და უთხრა: „აკი გითხარი, სასიკეთოს არ იწინასწარმეტყველებს-მეთქი ჩემზე, არამედ – ბოროტს?!“ (მუხლი 17). ამის შემდეგ მიქაიამ ახაბს უამბო, რა ხდებოდა სინამდვილეში, რასთან ჰქონდათ საქმე:

„კვლავ თქვა მიქაიაჰუმ: „აჰა, ისმინეთ სიტყვა უფლისა! ვიხილე უფალი თავის ტახტზე მჯდომი და ცის მთელი მხედრობა მის მარჯვნივ და მარცხნივ მდგომი. თქვა უფალმა: ვინ გაიტყუებს ახაბს, ისრაელის მეფეს, რომ გავიდეს და დაეცეს გილყადის რამოს? ზოგი იმას ამბობდა და ზოგი ამას. გამოვიდა სული, დადგა უფლის წინაშე და თქვა: მე გავიტყუებ. ჰკითხა უფალმა: რითი? თქვა: გავალ და სიცრუის სულად გარდავიქმნები მისი წინასწარმეტყველების ენაზე. უთხრა უფალმა: გაიტყუებ და კიდევ გამოგივა; ნადი და ასე გააკეთე! აჰა, ჩაუდგა უფალმა სიცრუის სული ყველა შენს წინასწარმეტყველს; უფალს კი ცუდი აქვს შენზე ნათქვამი“. (მუხლები 18-22)

ღმერთმა ახაბს მისი გულის კერპთაყვანისმცემლობის (სინარბის) შესაბამისად უპასუხა. ეს გახლავთ ებეკიელის მიერ ნათქვამი ჭეშმარიტების თვალსაჩინოება. ღმერთმა არა მარტო ბილყამის გულში არსებულ კერპთაყვანისცემას უპასუხა, როგორც უკანასკნელ თავში დავინახეთ და ახაბისას – ამ თავში, არამედ ანალოგიურად მოექცა ყველას, ვისგანაც სიტყვა გამოვიდა.

ახაბმა მიიღო მისი გულის სურვილების შესაბამისი გზავნილი და უარი თქვა ღვთის ჭეშმარიტი სიტყვის გაგონებაზე, რომელიც მას დაცვას და ხსნას მოუტანდა. ახაბი საბრძოლველად გაემართა. იმის მიუხედავად, რომ სხვაგვარად გადაიცვა სირიელებისგან თავის დასაცავად, იგი უმისამართო ისარმა დაჭრა და დაღამებამდე გარდაიცვალა. შეიძლება ადამიანს დაემალეთ, მაგრამ ღმერთს ვერ დაემალებით!

რას ვიტყვით თანამედროვეობაზე? გვინდა თუ არა ღვთისგან დანაპირები დაცვა, უზრუნველყოფა და დახსნა მივიღოთ? ან გვინდა, ადამიანები თვალთმაქცობდნენ ჩვენთან? გვინდა, „მშვიდობის სიტყვა“ მოვისმინოთ, როცა რეალურად განსაცდელი გველოდება იმ სიცრუის გამო, რომლისაც მრავალს სჯერა?

შეგვიძლია ეს საკითხი წმიდა წერილის ფონზე განვიხილოთ? რა უმჯობესია: ხანგრძლივი დაცვა ღვთის მთლიანი სიტყვის რჩევის მორჩილებაში თუ ხანმოკლე ზედაპირული კურთხევა მაშინ, როცა გარდაუვალი განსაცდელი თუ სასჯელი აქვია ჩასაფრებული?



## იპოქრატე!

მრავალ მალიარებელ ქრისტიანს მხოლოდ იმის მოსმენა სურს, რაც თავს კარგად აგრძნობინებს და ბევრი მსახური ანგარებისა და ადამიანთა შიშის გამო მხოლოდ გამამხნეებელ სიტყვას უქადაგებს თავის მიმდევრებს. ყველა, ამ შემთხვევაში ტკბილი სიტყვები, შესანიშნავად ისმინება, მაგრამ მათ ნაკლები აქვთ და წინამძღოლებსა და მიმდევრებსაც არასასურველ ადგილას წაიყვანენ.

ჩვენ ჭეშმარიტების მოსმენა გვჭირდება, თუნდაც პირველ ჯერზე მტკივნეული იყოს. მნიშვნელობა არ აქვს, რას განვიცდით, როცა მას ვისმენთ. ის მაინც უმჯობესია გასაჭირზე, რომლისკენაც მივექანებით სიცრუეში ცხოვრების შემთხვევაში.

თქვენ შეგიძლიათ, იყოთ ჭეშმარიტების მიმდევარი პიროვნება.

დაიწყეთ ღვთის მიმართ თხოვნით, რომ თქვენს ცხოვრებაზე ჭეშმარიტება გელაპარაკოს! მოინვიეთ იგი, რომ გაგიცხადოთ ნებისმიერი ადგილი, სადაც უნებლიეთ მოტყუვდით! ჩაინერეთ, რასაც ის გეტყვით, რომ მომდევნო დღეებში ან კვირებში იფიქროთ! შემდეგ სთხოვეთ მას, გაგაძლიეროს ჭეშმარიტების სათქმელად, თუნდაც ეს პოპულარული ან პოლიტიკურად არაკორექტული იყოს! საჭირო არ არის ჩხუბის წამოწყება, მაგრამ მიქაიასავით უნდა შეგეძლოს თქმა: „ცოცხალია უფალი, რასაც ჩემი ღმერთი იტყვის, იმას ვილაპარაკებ!“



მონოდეზულნი ვართ,  
რომ ვიყოთ ნამდვილი  
სუპერგმირები ამ  
თაობაში.



ღვთის **გაღლის**  
მიღების მოწმობა  
გახლავთ

ჩვენი **ბარდაქმნა**  
შიგნიდან გარეთ.







ქვეყნიერებაზე *ზეგავლენის*

მოსახლენად ვართ მოწოდებული ...

და არა იმისათვის, რომ მისი

*ზეგავლენის* ძველ მოვექცეთ







┌ *ღმერთს ვუყვარვართ*

ისეთები, როგორებიც ვართ,  
მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ  
ასეთებად დაგვტოვებს.

*პირიქით...*





იგი გვაძლიერებს  
მადლის მეშვეობით, რომ  
წმიდა ცხოვრებით ვიცხოვროთ.



ჩვენმა **გეგმვა**  
ღმერთმა იმისთვის **არ**  
უბრუნა, რომ  
**გეგმვა** ვიყო.



გარეულ მუტი ვებგვერდზე: [CloudLibrary.org](https://CloudLibrary.org)





## ყალბი იესო

აღბთ, ახლა ასე ფიქრობთ, *ყალბი იესო* – რაზე ლაპარაკობთ? ამ თავში მოცემულია შემპარავი საკვანძო ელემენტი, რომელიც მორწმუნეებს კერპთაყვანისცემაში ითრევს. ამ ასპექტის განხილვა საიდუმლოს გარკვევაში დაგვეხმარება, თუ რატომ ვარდება მრავალი თანამედროვე ქრისტიანი ასე ადვილად სულიერ კრიპტონიტად წოდებულ მახეში, რომელიც ძალას გვართმევს როგორც ეკლესიას, ისე ცალკეულ პიროვნებებს.

### ჩემთან მოგიყვანეთ

როგორც ადრე აღვნიშნე, ისრაელის ეგვიპტიდან გამოსვლა სიმბოლოა ჩვენი დახსნისა, ქვეყნიერებიდან ჩვენი გამოსვლისა. მოსე ისრაელს სინაის მთისკენ მიუძღვის, სადაც იგი ღმერთს შეხვდა აალებულ ბუჩქთან. მოსეს სურდა, რომ მის ხალხს იგივე განეცადა. რატომ მოინდომებდა მათ ნაყვანას აღთქმულ მინაზე, სანამ აღთქმის მიმცემის წინაშე არ წარადგენდა? როგორც კი სინაის მიაღწიეს, ვკითხულობთ:

„ავიდა მოსე ღმერთთან და მოუხმო მას უფალმა მთიდან: „ასე უთხარი იაკობის სახლს და აუწყე ისრაელის შვილებს: ხომ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტელებს; არწივის ფრთებზე აგიყვანეთ და ჩემთან მოგიყვანეთ“.  
(გამ.19:3-4)

დააკვირდით სიტყვებს: „ჩემთან მოგიყვანეთ“. ეს განცხადება აჯამებს ღვთიურ განზრახვას, რომელიც ქვეყნიერებიდან ჩვენი დახსნის მიღმა დგას. ღმერთმა თავისთან მოგიყვანათ. მას თქვენთან მოზიარეობა და მამაშვილური ურთიერთობის

ქონა სწყურია. წარმოგიდგენიათ, როგორი აღტაცებით ელოდა ღმერთი მის ერთან შეხვედრა, რომელიც ასეულობით წლის განმავლობაში ტყვეობაში ცხოვრობდა? მახსოვს, როცა ლიზა ორსულად იყო თითოეულ ჩვენ ვაჟზე. ერთი სული მქონდა, როდის დაიბადებოდნენ. ცხრა ხანგრძლივ თვეს ველოდებოდი ყოველ მათგანს. მინდოდა ხელში ამეყვანა, მათი ზრდისთვის თვალ-ყური მედევნებინა, მათი ხმები მესმინა, მათ პიროვნებებს დავეკვირვებოდი და მათთან მამაშვილური ურთიერთობა მქონოდა. მარტივად რომ ვთქვათ, მთელი გულით ველოდი.

ასეთი იყო ღვთის დამოკიდებულებაც გარდა იმისა, რომ მას ცხრა თვეზე მეტხანს მოუხდა ცდა.

ხალხს წარმატებული შეხვედრისთვის მომზადებაც სჭირდებოდა. ღმერთმა თქვა: „განწმიდე ისინი დღეს და ხვალ და გაირეცხონ სამოსელი. მზად იყვნენ მესამე დღისთვის, რადგან მესამე დღეს ჩამოვა უფალი მთელი ხალხის თვალწინ სინაის მთაზე“ (გამ. 19:10-11).

უფალი თავის ერს ეუბნება: „მენატრები, მაგრამ ნამდვილი შეხვედრა რომ გვქონდეს, სამოსიდან ეგვიპტის ჭუჭყი უნდა ჩამოირეცხო. მე მამა ვარ, მაგრამ ასევე წმიდა ღმერთი ვარ და ნუ იქონიებ ჩემთან ზედაპირულ დამოკიდებულებას!“

ეგოისტ ადამიანთან ღრმა, აზრიანი ურთიერთობის ქონა შეუძლებელია. ღმერთმა თავი მთლიანად მოგვიძღვნა. მას არ შეუძლია იმის კეთების ნება დაგვრთოს, რასაც ქვეყნიერება აკეთებს – საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს მასთან ურთიერთობაში მყოფები.

სინაისთან ორი დღე გავიდა და მესამე დღეს უფალი ჩამოვიდა საკუთარი თავის წარსადგენად. როცა ეს მოხდა, ხალხმა პირი უკან იბრუნდა და შიშისგან აკანკალდა. მათ მოსეს უთხრეს: „შენ გველაპარაკე და მოგისმენთ, ოღონდ ღმერთი ნუ დაგველაპარაკება, თორემ დავიხოცებით!“ (გამ.20:19).

მოსე აღშფოთდა. როგორ შეეძლოთ იმისგან წასვლა, ვინც ისინი ბორკილებიდან იხსნა და გადაარჩინა? როგორ შეიძლება არ უნდოდეთ თავიანთი შემოქმედის ხმის გაგონება? და მაინც, შეგიძლიათ, ღვთის იმედგაცრუება წარმოიდგინოთ? როგორ ელოდა იგი ამ მომენტს. მას მთელი გულით უნდოდა მათთვისაც ესწავლებინა ის გზები, რომელთაც მოსეს ასწავლიდა. და მაინც, მათ უარყვეს ღმერთი.

წარმოდგენაც არ მინდა, რა დამემართებოდა, ჩემს ერთ-ერთ ვაჟს ასე რომ ეთქვა: „მამა, არ მინდა პირისპირ ვილაპარაკოთ! თუ რამის თქმა გინდა, ჩემს რომელიმე ძმას დააბარე! რა დამანგრეველია!“

## სამღვდელოების ღაფუქნა

ვინაიდან ხალხს არ უნდოდა ღმერთთან უშუალო ურთიერთობა, მან მღვდლობის დაფუძნება გადაწყვიტა. მღვდელი ღმერთს ადამიანების ნაცვლად ელაპარაკება. ებრაელებს უკვე ჰყავდათ წინასწარმეტყველი მოსე, რომელიც ღვთის ნათქვამს ხალხს გადასცემდა. და მაინც, ღმერთს მღვდლობა უნდა ჩამოეყალიბებინა, რომ ხალხთან განუწყვეტელი ურთიერთობის მსგავსება შეენარჩუნებინა.

შემდეგ ღმერთმა თქვა: „ჩადი და ამოიყვანე აჰარონი!“ (გამ.19:24). აჰარონი მისი პირველი მღვდელი გახდებოდა, თუმცა ეს არ იყო ღვთის თავდაპირველი გეგმა. თავიდან მას სურდა, რომ ყველა ისრაელიანი მღვდელი ყოფილიყო. როცა ისინი სინაის მთას პირველად მიადგნენ, მან თქვა: „იქნებით ჩემთვის მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად! აჰა, სიტყვები, რომელთაც ეტყვი ისრაელის შვილებს!“ (გამ.19:6). ღმერთს სურდა, რომ ისრაელში ყველას ჰქონოდა მასთან კავშირის საშუალება.

ღმერთმა მოსეს აჰარონის მთაზე ამოყვანის დავალება მისცა. თუმცა არსად ჩანს ჩანაწერი, რომ აჰარონი იქ სალაპარაკოდ წავიდა. რაღაც მიზეზის გამო იგი ისევ ბანაკში დარჩა ხალხთან, ხოლო მოსემ მთის მწვერვალზე გაატარა ორმოცი დღე და ღამე. რატომ არ წავიდა აჰარონი? იქნებ მან მეტი ნუგეში ჰპოვა ადამიანებთან ვიდრე ღმერთთან? მას ღმერთთან მარტო დარჩენის უფრო მეტად ხომ არ ეშინოდა? პასუხი არ ვიცით, მაგრამ ის კი ვიცით, რომ მალე აჰარონი რაღაც წარმოუდგენელს მოიმოქმედებს.

## ყაზი იაჰვი

„დაინახა ხალხმა, რომ აყოვნებდა მოსე მთიდან ჩამოსვლას, შეიკრიბნენ აჰარონთან“. (გამ.32:1)

რა ხდებოდა? უპირველესად, ადამიანებს ჰქონდათ სურვილები, რომელთა დაკმაყოფილებაც უნდოდათ. ამისთვის კი ღვთის კაცი იყო საჭირო. მეორე, აჰარონს წინამძღოლობის ნიჭი ჰქონდა მთელი ცხოვრების მანძილზე, რომელიც ხალხს იზიდავდა. ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან ძლიერი ლიდერი ყოველთვის იზიდავს ადამიანებს იმისდა მიუხედავად, ღმერთს ემორჩილება თუ არა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ წინამ-

ძლოლს ბევრი მიმდევარი ჰყავს, არ ნიშნავს, რომ ღმერთთან თანხმობაშია. მოისმინეთ, რას ეუბნება ხალხი აჰარონს:

„ადექი, გაგვიკეთე ღმერთი, რომელიც ჩვენი წინამძღო-  
ლი იქნება, რადგან არ ვიცით, რა შეემთხვა იმ კაცს,  
მოსეს, რომელმაც გამოგვიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან“.  
(გამ.32:1)

პირველ რიგში, ყურადღება მივაქციოთ, რომ ხალხი არ ამ-  
ბობს: „არ ვიცით, რა შეემთხვა ღმერთს“. ეს მნიშვნელოვანი  
პუნქტია, რასაც მალე განვიხილავთ.

მეორე, დააკვირდით მათ ნათქვამს, „გაგვიკეთე ღმერთი  
(ინგ. ღმერთები)“. ღმერთების აღსანიშნავი ებრაულის სიტყვა  
გახლავთ „*ელოჰიმ*“. იგი 2600-ჯერ მეტად გვხვდება ძველ  
აღთქმაში. 2250 შემთხვევაში ლაპარაკია ყოვლისშემძლე  
ღმერთზე. მაგალითად, მარტო დაბადების წიგნის პირველ თავში  
იგი ოცდათორმეტჯერ არის ნახსენები. ბიბლიის პირველივე  
მუხლში ვკითხულობთ: „თავდაპირველად ელოჰიმმა შექმნა ცა  
და მიწა“.

მეორე მაგალითი იქნება 2რჯ.13:4: „უფლის (*იაჰვე*), შენი  
ღვთის (*ელოჰიმ*) კვალს გაჰყევი და მისი გეშინოდეს; მისი მცნე-  
ბანი დაიცავი, მისი ხმა გაიგონე, მას ემსახურე და მიენებე!“  
თქვენ ხედავთ, რომ წმიდა წერილში უფლის სახელად მოცე-  
მულია *იაჰვე*, შემდეგ იგი ნახსენებია როგორც ჩვენი *ელოჰიმ*.  
იგი ღმერთია – აბსოლუტური ძალაუფლება და უპირველესი  
წყარო.

და მაინც, *ელოჰიმ* ძველ აღთქმაში, დაახლოებით, 250-  
ჯერ არის გამოყენებული ცრუ ღმერთების აღსანიშნავად,  
როგორებიც არიან, მაგალითად, დაგონი (1სამ.5:7) ან ბაყა-  
ლი (1მეფ.18:21). ამრიგად, ეს სიტყვა ყოველთვის კონტექსტის  
გათვალისწინებით უნდა ნავიკითხოთ, რომ გავიგოთ, ვისზეა  
ლაპარაკი.

აჰარონი ხალხის სათხოვრის შესრულებას მათგან ოქროს  
საყურეების მიღებით იწყებს. იგი ოქროს ადნობს და სამარცხ-  
ვინო ხბოს ასხამს. მისი დასრულების შემდეგ ხალხი ამბობს:  
„ესაა შენი ღმერთი, ისრაელო, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან  
გამოგვიყვანა“ (გამ.32:4). ღვთის აღმნიშვნელი ებრაული სიტყ-  
ვა ისევ *ელოჰიმია*. თუმცა ჩვენ შემდეგი ნათქვამით ვხვდებ-  
ით, ვის გულისხმობენ ისინი: „რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან  
გამოგვიყვანა“. მათ კარგად იცოდნენ, ვინ გამოიყვანა ეგვიპ-

ტიდან – სულელები არ იყვნენ. თუმცა ჩვენი მიგნება მომდევნო მუხლში დასტურდება:

„ეს რომ დაინახა აჰარონმა, სამსხვერპლო ააგო მის წინ და თქვა: „უფლის დღესასწაულია ხვალ!“ (გამ.32:5)

სიტყვა „უფალი“ ამ მუხლში გახლავთ „იაჰვე“. CWSB აცხადებს:

„სიტყვა აღნიშნავს ისრაელის ღვთის კერძო სახელს, რომლითაც იგი მოსეს გამოეცხადა (გამ. 6:2,3). ეს ღვთიური სახელი ტრადიციულად არ გამოითქმებოდა მისი სინმიდიდან გამომდინარე. რენესანსის ეპოქამდე ის ძველი აღთქმის ებრაულ ტექსტებში ხმოვნების გარეშე იწერებოდა და ამ სახით იყო წარმოდგენილი: **იჰჰვჰ**“.

ეს სიტყვა ამ შემთხვევის გარდა არსად აღნიშნავს ცრუ ღმერთს მთელ ბიბლიაში. აქ შეცდომა არაფერია. ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება, როგორ შეიძლებოდა აჰარონსა და ისრაელიანებს ხბოსთვის ეცქირათ და იაჰვე ეწოდებინათ. მათ არ უწოდებიათ ბაყალი, დაგონი, აშერა, რა, ნეფტისი ან სხვა ეგვიპტური ღმერთების სახელები. მათ არ უთქვამთ: „ესაა რა, ისრაელო, რომელმაც ამოგიყვანა შენ ეგვიპტის ქვეყნიდან!“

გაიხსენეთ მათი სიტყვები: „არ ვიცით, რა მოუვიდა მოსეს“. მათ არ უთქვამთ: „არ ვიცით, რა მოუვიდა ღმერთს“. ისინი იაჰვეს არსებობას ან მათ ცხოვრებაში ჩარევას არ უარყოფენ. ისრაელიანები კვლავაც აღიარებენ, რომ ისინი იაჰვემ გადაარჩინა, გამოიხსნა, განკურნა და უზრუნველყო. მათ, უბრალოდ, ღვთის ნამდვილი სახება ადვილად სამართავი იაჰვეს გამოსახულებით შეცვალეს, რომელიც მათ სასურველს მისცემდა.

აი, თანამედროვე მაგალითი, თუ როგორია იგივე დამოკიდებულება ჩვენს დროში: მე და ლიზა ბევრს ვმოგზაურობთ და მსახურებაში – *Messenger International*-ში – შესანიშნავი გუნდი გვყავს. ამიტომ, რასაც აქ ვნერ, ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნება და ჩვენი გუნდის წევრები მსგავსს არასოდეს ჩაიდენენ. წინამძღოლებისთვის რამდენიმე სამოქმედო და კულტურული პრინციპები არსებობს, რომელთაც მე და ლიზა გამუდმებით ვიმეორებთ მათი დიდმნიშვნელოვნების გამო. აი, ზოგიერთი მათგანი: ჩვენი გუნდის წევრებისგან რვა საათში მოვითხოვთ ცხრა საათის ტოლფას ნაყოფიერებას. გვინდა, სახალისო სამუშაო გარემო შევქმნათ, რომ ყველაფერი აღმატებულობის განცდით და სიყვარულით ვაკეთოთ და ნებისმიერ პიროვნებას, პარტნიორს ან წინამძღოლს, რომელიც

დაგვიკავშირდება, ამ განწყობით მოვემსახუროთ. იგივე ხალისით ვაკეთოთ ზოგიერთი ყოველდღიური და ყოველკვირეული საქმეები და ასე გავაგრძელოთ. ჩვენი აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც გამოგონილ სახელს, ტიმს ვუნოდებ, პასუხისმგებელია ჩვენ მიერ მოთხოვნილი სამოქმედო და კულტურული სტანდარტების დაცვა-შენარჩუნებაზე.

დავუშვათ, მე და ლიზა სადღაც გავემგზავრეთ და არა მარტო ჩვენ, არამედ ხსენებული დირექტორიც წასულია. მომდევნო პასუხისმგებელი პირი გახლავთ ჩვენი ფინანსური მენეჯერი ჯორდანი (ეს სახელიც გამოგონილია). ტიმის წასვლის შემდეგ ჯორდანი გუნდს უცხადებს: „იციოთ, ჯონსა და ლიზას სურთ, რომ აქ ხალისიანი გარემო სუფევდეს. მოდი, დიჯეი დავიქირავოთ და საცეკვაო მოედანი მოვანყოთ კვამლით და შუქფეხტებით! მომდევნო ექვსი დღე კარგად გავერთოთ“.

ამ გასართობი საღამოს განმავლობაში გუნდი „აღიარებს“, რომ ზუსტად იმას აკეთებს, რასაც ჩვენ ვითხოვდით. ისინი ამას ხაზგასმით იმეორებენ: „ეს ის არის, რაც ჯონსა და ლიზას უნდათ. მათი სურვილია, სახალისო გარემოში ვიმუშაოთ“. უცებ გუნდის ერთ-ერთი წევრი ყვირის: „ეი! ჯონი მირეკავს. ჩვენი საღამოს შესახებ ვუთხარი და ძალიან ნასიამოვნებია ჩვენ გამო“. რასაკვირველია, ეს სიცრუე იქნება. მართლა რომ დამერეკა და გამეგო, რასაც აკეთებენ, ძალიან გავბრაზდებოდი ჩემი გუნდის წევრებზე.

ახლა დავუშვათ, რომ ჩვენი დირექტორი ოფისში მანამ დაბრუნდა, სანამ მე და ლიზა მოვიდოდით. ისიც ძალიან გაბრაზდებოდა, მუსიკას გამორთავდა, შუქებისა და კვამლის მანქანას გაუშვებდა და გუნდს კარგად უსაყვედურებდა. „ეს სულაც არ იყო ის, რაც ჯონსა და ლიზას უნდოდათ“, იტყოდა იგი, „თქვენ ისინი კარგად არ წარმოაჩინეთ!“ ამის შემდეგ სამსახურიდან დაითხოვდა ხელმძღვანელებს, რომლებმაც ასეთი ყალბი ატმოსფერო შექმნეს.

ახლა დავაკვირდეთ ისრაელის ქცევას მართვადი იაჰვეს შექმნის შემდეგ:

„ადგნენ მეორე დღეს დილაადრიანად, სრულადდასანველი შესწირეს და სამშვიდობო მსხვერპლიც მიიტანეს; დასხდა ხალხი საჭმელად და სასმელად, მერე ადგნენ და გამართეს ცეკვა-თამაში“ (გამ. 32:6).

ეს იაჰვეს პატივსაცემად გამართული ზეიმი გახლდათ. მთავრებმა და ხალხმა მას მსხვერპლი შესწირეს და შემდეგ

აიშვეს. ყველანი ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ მათი ნამოქმედარი იაჰვეს მოსწონდა ან თანახმა იყო ამაზე. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მას პრობლემა არ ექნებოდა მათ ღორმუცელობაზე, დროსტარებასა და მოლხენაზე (რაც ალბათ სექსუალურ უზნეობასაც მოიცავდა). ისინი ამ ქმედებებს ღვთისთვის (*იაჰვესთვის*) მოსაწონად სახავდნენ, რაც სინამდვილეში სრულიად მცდარი აზრი გახლდათ.

ახლა ისრაელიანებმა ყველაზე მაცდური ფორმის კერპთაყვანისცემას მიჰყვეს ხელი. მათ ყალბი იაჰვე შექმნეს, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა ნამდვილისგან. ხალხს ეს ხელს აძლევდა, რადგან უფლება ჰქონდათ, სასურველი ეკეთებინათ ღვთის დასტურით. ეს საფუძველშივე არაფრით განსხვავდება წარმართი ერების დამოკიდებულებისგან, რომლებიც უარს ამბობენ ღვთის თაყვანისცემაზე (მორჩილებაზე). ამასთან დაკავშირებით პავლე აცხადებს: „რადგან შეიცნეს ღმერთი და არ აღიდეს, როგორც ღმერთი (ინგ. „წარმოისახეს უგუნური აზრები ღვთის შესახებ“) (რომ.1:21). ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ წარმართები თავიანთ ღმერთებს სახელებს უწოდებდნენ, როგორებიცაა: დაგონი, ბაყალი, ჰაფი, ამიტი, სოფდუ და ასე შემდეგ, ხოლო ისრაელი მის მიერ შექმნილ ღვთაებას *იაჰვეს* უწოდებდა.

ამის შემდეგ ღმერთმა თავის აღმასრულებელ დირექტორს, მოსეს უთხრა: „ჩადი ძირს, რადგან გაირყვნა შენი ხალხი, რომელიც გამოიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან! მალე გადაუხვიეს გზიდან, რომელიც დავუდგინე“ (გამ.32:7-8).

მოსე დაბრუნდა და ანგარიში მოითხოვა ნამოქმედარისთვის. თავდაპირველად აჰარონისგან, რომელიც პასუხიმგებელ პირად დატოვა, შემდეგ – მთავრების და ბოლოს – ხალხისგან. წმიდა წერილში ვკითხულობთ: „იხილა მოსემ, რომ თავაშვებულია ეს ხალხი, რადგან ააშვებინა თავი აჰარონმა მტერთაგან გასაქირდად. დადგა მოსე ბანაკის შესასვლელთან და თქვა: „ვინც უფლისაა - ჩემკენ!“ და შეიკრიბა მასთან ლევის ყველა ძე“ (გამ. 32:25-26). ისინი, ისევე როგორც ჩვენ, უფლის მხარეს ვერ ვიქნებით მხოლოდ მისი სახელის აღიარებით ან საგალობლების გალობით. უფლის მხარეს მაშინ ვირჩევთ, როცა მის მიერ დადგენილი გზების თანახმად ვცხოვრობთ.

ამას რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვამდე მივყავართ:

დღეს გვყავს თუ არა შექმნილი „იესო“, რომელიც ყველაფერს გვაძლევს, რასაც ჩვენი გზასაცდენილი გულისთქმები ისურვებენ?

ვალღარებთ თუ არა, რომ მან სისხლი დაღვარა ჩვენს გამო, გვიხსნა და ქვეყნიერებისგან გადაგვარჩინა?



ვუგალობთ თუ არა საგალობლებს და გვსურს, ჩვენთვის შესაძლებელი გახადოს ზეცა, სინამდვილეში კი „ჩვენი იესო“ არ არის ის იესო, რომელიც მამა ღმერთის მარჯვნივ ზის?

როგორ შევქმენით ყალბი იესო?

ცდუნებულია თუ არა ეკლესიაში მოსიარულე უამრავი მორწმუნე ეგვიპტიდან გამოსული ისრაელიანების მსგავსად?

და კიდევ ერთი კითხვა: ვინ არიან მოსეს მსგავსი ადამიანები, რომლებიც ღვთის მთიდან ჩამოდიან და ცდუნებულებს ცეცხლითა და სიყვარულით სავსე გულებით უპირისპირდებიან?

თუ ისინი არ აღდგებიან, ჩვენი ცდუნება კიდევ უფრო მომძლავრდება. კრიპრონიტი კვლავ გამოიყენებს ჩვენს სისუსტეებს სიკვდილამდეც კი.

## იმძებლე!

დასავლურ კულტურაში ადვილია იმის თქმა, რომ იესოსი გნამს. თუმცა დასავლეთის მკვიდრთა უმრავლესობამ ქრისტიანობა მიატოვა, რადგან ქრისტიანებსა და ქვეყნიერებას შორის დიდი განსხვავება აღარ არის. ქრისტიანები იესოს სახელს აღიარებენ და ამბობენ, რომ ღმერთს პატივს მიაგებენ, თუმცა სრულიად გაუმართლებელ ცოდვაში ცხოვრობენ. როგორც მოსემ განაცხადა ანგარიშის მოკითხვისას, „ვინც უფლისაა – ჩემკენ!“, ახლაც დროა, რომ ნამდვილი ქრისტიანები წამოინიონ და დაძმებს ჭეშმარიტებისკენ მოუწოდონ.

იესოს მიმდევრობა ყველაფრის ფასად დაგვიჯდება. ჩვენი ცხოვრება ჩვენ არ გვეკუთვნის. ჩვენი ნება ღმერთს ემორჩილება ან ის არ ყოფილა ჩვენი უფალი. მისი გვნამს და მისგან ველით ყველა საჭიროების დაკმაყოფილებას. ეს გახლავთ მოწოდება მთელი საქრისტიანოს მიმართ: დიახ, გამოდით გადასარჩენად, მაგრამ ჯერ უნდა მოკვდეთ თქვენი მეობისთვის და განახლდეთ!

იფიქრეთ ქრისტიანობის ჭეშმარიტ მოწოდებაზე! ჩაინერეთ თქვენი აზრები, რამდენად ეთანხმება თქვენ მიერ ნასწავლს ამ თავში ნათქვამი ან მისგან რით განსხვავდება?! შემდეგ მოიძიეთ, ვინმე თქვენი ოჯახიდან ან ეკლესიიდან, რომელსაც ამ თემაზე დაელაპარაკებით! მათაც გადაეცით ეს ჭეშმარიტება!



## საწყისი წერტილი

სრულიად ცხადია, რომ ღვთის მთიდან მოსეს ჩამოსვლის დროისთვის ისრაელი მთლიანად კერპთაყვანისცემაში იყო ჩაფლული. თუმცა აცნობიერებდნენ, რომ სწორედ იაჰვემ იხსნა ისინი და ეგვიპტის მონობიდან გამოიყვანა. როგორც უკვე განვიხილეთ, კერპთაყვანისცემა ღვთის ნათლად გაცხადებული ნების ურჩობაშია ფესვგადგმული. თუ იესო ქრისტეს ჩვენს უფლად და მხსნელად ვაღიარებთ, მაგრამ მის ძალაუფლებას არ ვემორჩილებით, ყველაზე მაცდური ფორმის კერპთაყვანისმცემლობაში ვერთვებით.

მოდით, *Messenger International*-ის გუნდის მოგონილ თვალსაჩინოებას დავუბრუნდეთ! ჩვენი დირექტორი ტიმი ოფისში მოდის და უმართავ დროსტარებას აწყდება. იგი ძალიან ბრაზობს ფინანსურ მენეჯერ ჯორდანზე. თუმცა ეს უკანასკნელი მარტივად უხსნის ტიმს: „ჩვენ ზუსტად იმას ვაკეთებთ, რაც ჯონმა და ლიზამ გვითხრეს! სახალისო ატმოსფერო შევქმენით“.

რას უპასუხებს ტიმი? „დიახ, ჯონსა და ლიზას სურთ სახალისო ატმოსფეროს შექმნა ოფისში, მაგრამ რას უპირებთ მათ დანარჩენ მითითებებს – ცხრა საათის ღირებულების სამუშაო რვა საათში, ხელმისაწვდომობა ყველა ადამიანისთვის, რომელიც ჩვენთან დარეკავს, ყოველდღიური დავალებები და სხვები? თქვენ მხოლოდ ერთ ასპექტს მიაქციეთ ყურადღება და სხვებისგან გამოყავით, დანარჩენი მითითებები კი უგულვებელყავით“.

ანალოგიურად ხომ არ ვიქცევით თანამედროვე ეკლესიებში? დარწმუნებული ვარ, ახალ აღთქმაში მოვქცნეთ მცნებები, რომლებიც მოგვწონს. ვაღიარებთ, რომ მაღლით ვართ დახსნილები რწმენის მეშვეობით და მაღლის დამსახურება არ შეგვიძლია, რადგან ეს ღვთის კეთილგანწყობაა ჩვენ მიმართ. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ერთმანეთის მიმართ სიყვარულს, სიცოცხ-

ლით სიხარულს, ერთმანეთის მომსახურებას, ახალი სიმღერების შექმნას ღვთის საქებრად და სადიდებლად, ვიყოთ შესაბამისი, გავნიოთ კარგი ხელმძღვანელობა და ჩამოვაყალიბოთ ჯანსაღი საზოგადოება. ამ ყველაფერს მგზნებარებით ვაცხადებთ. ეს კარგი საქმეებია და ახალი აღთქმა ყველა მათგანს მხარს უჭერს.

და მაინც, ხომ არ უარყოფთ თავმდაბლობის, სინმიდის, სქესობრივი სინმიდის და სხვა ცოდვების, მაგალითად, პორნოგრაფიისგან თავშეკავების მნიშვნელობას?

გავაფრთხილეთ თუ არა ჩვენთვის საყვარელი ადამიანები, რომ გაექცნენ მამათმავლობას, გარყვნილებას, სიმთვრალეს, უნმანურ ხუმრობებს, ამაო ლაყბობას, უპატიებლობას, სიმნარეს, ჭორაობას და ბევრ სხვა მნიშვნელოვან მცნებას, მითითებას და გაფრთხილებას, რომლებიც ახალ აღთქმაში გვაქვს?

შეგვიძლია, იესოს სიტყვების სხვადასხვა ასპექტიდან მხოლოდ იმაზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტანდარტებსა და გადახრებს არ ეწინააღმდეგება?

შეგვიძლია, აზროვნებაში ისეთი იესოს პორტრეტი შევქმნათ, რომელიც ჩვენი კულტურის უღმერთო გზებს არ უპირისპირდება?

შეგვიძლია, თავი ავარიდოთ იესოსთვის მიუღებელზე ლაპარაკს და მხოლოდ ის სიტყვები ვაღიაროთ, რომლებსაც საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდება?

შეგვიძლია, გავაფართოოთ სიცოცხლისკენ მიმავალი გზა და კარი?

შეგვიძლია, დაფუშვათ, რომ ადამიანი რამდენიმე მაგიური სიტყვის გამეორებით ხსნას დაიმკვიდრებს?

ხომ არ შევქმენით ყალბი იესო, რომელიც წმიდა წერილის სრულ სიტყვაში გაცხადებულისგან განსხვავდება? პავლე ბოლოს ასე წერს კორინთელთა ეკლესიას, რომელიც სულიერი კრიპტონიტის ზეგავლენის ქვეშ იყო:

„ვინაიდან მოშურნე ვარ თქვენ მიმართ ღვთიური მოშურნეობით, რადგან დაგნიშნეთ ერთ კაცზე, რათა წმიდა ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე. მაგრამ ვშიშობ, რომ როგორც გველმა აცდუნა ევა თავისი მზაკვრობით, ასევე არ გაიხრწნას თქვენი გონება და არ გადაუხვიოთ უბრალოებასა და სინმიდეს ქრისტეში“. (2კორ.11:3-4)

მორწმუნეთა ერთობლიობა ადვილად აცდა გზას, მაგრამ

არა იესოს არსებობის უარყოფელი ცრუ ღვთაების ან რელიგიის გამო, არამედ სხვაგვარი — გაყალბებული იესოს რწმენის გამო. არ დაგავინყდეთ, რომ ყალბ იაჰვეს, ოქროს ხბოს — ისრაელის შვილების გადარჩენას, დახსნას და უზრუნველყოფას მიანერდნენ ... თუმცა ის უშვებდა და ადამიანებს უბიძგებდა ქმედებებისკენ, რომლებიც ღვთიური ბუნების სანინაალმდე-გო იყო და ასე ნათლად ჩანს მის სიტყვაში. ჩვენც ხომ არ შევქმენით ყალბი იესო, რომელიც იგივეს კეთებისკენ გვიბიძგებს და ურჯულოებას უშვებს? ნუთუ წინასწარ განზრახვით უგულვებლევყავით ახალი აღთქმის რთული საკითხები?

პავლე ისეთ განაცხადს აკეთებს, რომელიც არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა დატოვოს ყურადღების მიღმა:

„ამიტომ გიმონებთ თქვენ ამ დღეს, რომ უბრალო ვარ ყველა სისხლისგან. რადგან არაფერი დამიკავებია და ღვთის სრული ნება განგიცხადეთ“. (საქმ.20:26-27)

პავლე სახარების მხოლოდ სასიამოვნო მონაკვეთებს არ ასწავლიდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ღვთის სრული ნება გაგვიცხადა. იგი ჩვენს ფინანსურ მენეჯერს არ ჰგავდა, რომელმაც გუნდს ჩემი და ლიზას სურვილების მხოლოდ გასართობი ნაწილი გაუმხილა. პავლეს სიტყვებს NKJV-ში ასე ვკითხულობთ: „თავი არ ამირიდებია, რომ თქვენთვის ღვთის სრული ნება გამეცხადებინა. Amplified Classic -ში ვკითხულობთ: „არასოდეს შემიმოკლებია ან დამიმაღავს რაიმე და არც თქვენთვის ღვთის სრული მიზნის, გეგმისა და ნების გადაცემის საქმეში დავმარცხებულვარ“.

თუ ახალი აღთქმის უხერხულ მოძღვრებებს უგულვებლევყოფთ, პავლესავით ველარ ვიტყვით: „თუ ვინმეს ხვედრი მარადიული სიკვდილი იქნება, მე ვერ დამაბრალებს“. ფაქტობრივად, შეიძლება ადამიანის მოქცევა ჭეშმარიტად ჩაითვალოს, თუ მას ახალი აღთქმის საკვანძო საკითხებს დაუფმალავთ? ჩვენს ხელთ იყო სრული ნების გაზიარების ძალაუფლება, მაგრამ არ გამოვიყენეთ. იქნებ ის გვაფიქრებდა, რომ მაძიებელი აღარ მოისურვებდა მომდევნო მსახურებაზე, შეკრებაზე ან პატარა ჯგუფში მოსვლას?

ახლა ჩვენს ქრისტიანულ კულტურაში წლების მანძილზე წმიდა წერილის მნიშვნელოვანი საკითხების გვერდის ავლის სავალალო შედეგებს ვიმკით. სამწუხაროდ, უკვე ბევრია გზასაცდენილი. ამასთან დაკავშირებით უამრავი მაგალითის მოყვა-

ნა შეგვიძლია. მასხენდება ერთი ძალზე გავლენიანი მსახური, ფართო მასებისთვის ცნობილი ავტორი და კონფერენციების პოპულარული მქადაგებელი. 2016 წელს ამ ქალბატონმა განაცხადა, რომ მისი ქორწინება დასრულდა (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს). იგი ქმარს გაეყარა და ამ წიგნის წერის დროს სხვა ქალთან ცხოვრება დაიწყო და დაინიშნა.

იგი თავის მიმდევრებს რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას მათი ერთობლივი ცხოვრების შესახებ. ერთ-ერთ პოსტში მან თავის ქალ პარტნიორთან ვნებიანი კოცნის ფოტოც კი გამოაქვეყნა და განმარტა, თუ როგორ მიიყვანა მისმა ცხოვრებისეულმა გზამ ამ ურთიერთობამდე, რომლის ყოველი ნაწილი „წმინდაა“. ეს ის არ არის, რასაც წმიდა წერილი აღწერს. გული მტკივა ამის გამო. ჩვენ წინაშეა „სახარების მსახური“, რომელსაც მართლა სჯერა, რომ სწორ მდგომარეობაშია ღვთის წინაშე და ხალხის დახმარების, მსახურებისა და სიყვარულის სურვილი აქვს, თუმცა იგი საფუძვლიანად ცდება.

კიდევ უფრო დამაბნეველი მისი ასობით ათასი მიმდევრის უამრავი გამამხნეველი და მოწონების გამომხატველი კომენტარები გახლავთ. მისი პოსტები ცხადყოფენ, რომ იგი ღმერთს წარმოადგენს და მისი მიმდევრებიც ეთანხმებიან. მთელი ამ ამბის შემდეგ მისი პოპულარობა კი არ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. ეს ყველაფერი ამავდროულად სულისშემძვრელი, მტკივნეული, ტრაგიკული და შიშისმომგვრელია.

მეორე ტრაგიკული ვითარება არის ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ევანგელური რწმენის წინამძღოლის განცხადება მისი მიმდევრებისა და ზოგადად მთელი ეკლესიისთვის, რომ სრულად უნდა მივიღოთ ჰომოსექსუალი წყვილები, როგორც იესოს ნამდვილი მიმდევრები. მან თქვა, რომ ეს გადანყვეტილება ჰომოსექსუალ წყვილებთან დიდი ხნის მუშაობის შემდეგ მიიღო და აღმოაჩინა, რომ მათი ურთიერთობა ძალიან ჰგავს კაცისა და ცოლის ურთიერთობას. ამგვარ დასკვნამდე მისვლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ადამიანი ნებისით ამოიღებს ახალი აღთქმის ცალკეულ ნაწილებს და ბიბლიის მთლიან სათქმელს უგულვებლყოფს. როგორც აპარონისა და ოქროს ხბოს შემთხვევაში მოხდა, მრავალმა გადაუხვია ჭეშმარიტებას მათი წინამძღოლის განცხადების გამო.

ეს ტრაგიკული სიცრუეა. ჩვენი დასავლური მსახურების ფილოსოფიის წიაღში წარმოშობილი ყალბი იესო საოცრად უშლის ხელს ადამიანებს ჭეშმარიტი მხსნელის პოვნაში. კითხვა უნდა დავსვათ: „ნუთუ ეს არის ნამდვილი იესო? ეს არის

ღვთის სიყვარული? ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ სიკეთით, მოთმინებით და სხვების მიმართ ქველმოქმედებით განისაზღვრება?“ ყველა ეს თვისება კარგია და ჩვენს საზოგადოებაშიც მოწონებით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია უგულუბელვყოთ სიყვარულის განსაზღვრება წმიდა წერილში: „ღვთის სიყვარული ის არის, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს“ (1იოან.5:3)?

ნუთუ სიყვარულის განსაზღვრების საპოვნელად ახალი აღთქმის მხოლოდ ნაწილის მიღებით დაკმაყოფილდით?

## მონანიების აუცილებლობა

ეს გადაგვარებული სახარება მონანიების უქონლობის შედეგი ხომ არ არის? იმ ქალ მსახურსა და ავტორს, პასტორსა და მრავალ სხვას ოდესმე უთხრეს, რომ იესოს მიმდევრობისთვის ცოდვას უნდა განშორებოდა? თუ მათ უბრალო ლოცვით ილოცეს, რომელიც ჩვენს სტანდარტულ ლოცვად იქცა: „იესო, შემოდი ჩემს ცხოვრებაში და გამხადე ქრისტიანი!“

მოუსმინეთ პავლეს სიტყვებს:

„სასარგებლო არაფერი დამიკავებია თქვენთვის, რაც არ გაგიცხადეთ და გასწავლეთ საჯაროდ თუ სახლებში; ვუმონებდი იუდეველებსა და ბერძნებს ღვთის წინაშე მონანიებას და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს რწმენას“. (საქმ.20:20-21)

მხოლოდ ერთი სათქმელი! პირველი ნაბიჯი არის ცოდვების მონანიება! ღვთის შვილად გახდომისთვის მონანიება სავალდებულოა და არა არჩევითი. მიუხედავად ამისა, მას არ ახსენებენ გადარჩენისთვის მოწვევის ტიპურ ახსნა-განმარტებაში.

რამდენიმე წლის წინ მარხვის პირველ დღეს გავიგონე სულიწმიდის ნათქვამი: „ნაიკითხე მარკოზის პირველი თავი!“ დაშურებით ჩავიკითხე მთელი თავი, მაგრამ ახალი და განსხვავებული ვერაფერი დავინახე. სულიწმიდამ მითხრა: „ისევ ნაიკითხე!“ კიდევ ნავიკითხე და არც ამჯერად გამიცხადდა რამე. მან მესამედ, მეოთხედ და მეხუთედ მითხრა. რამდენჯერმე ნავიკითხე, მაგრამ .... ამაოდ. ეს დაახლოებით შვიდჯერ მოხდა. ბოლოს ლოკოკინასავით ზღაზვნით ნავიკითხე სათითაო სიტყვა და საწყისმა ფრაზამ მიიპყრო ჩემი ყურადღება:

„დასაწყისი სახარებისა იესო ქრისტესი ...“. (მარკ.1:1)

მომდევნო სიტყვებს საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა: „აჰა, მე მოვავლენ შენი სახის წინაშე ჩემს ანგელოზს, რომელიც მოამზადებს შენს გზას“. ანგელოზი იოანე ნათლისმცემელი გახლდათ. მის მსახურებას „მონანიების ნათლისცემა“ ეწოდა. ნათლობა სრულ და არა ნაწილობრივ შთაფვლას ნიშნავს. იოანეს სიტყვა სრული მონანიების შესახებ სახარების საწყისი პუნქტი არის. ვერავინ შეძლებს იესოსთან ჭეშმარიტ ურთიერთობაში შესვლას, თუ ნამდვილი მონანიებით არ დაინწყებს.

შემდეგ სულიწმიდამ მითხრა: „იოანეს მსახურება ყველა სახარების დასაწყისშია მოცემული. იოანეს ამბავი ძველ აღთქმაში არ წერია, რადგან იგი ახალი აღთქმის სახარების მნიშვნელოვანი ნაწილია“.

ამის შემდეგ სულიწმიდამ იესოს სიტყვებზე მიმითითა:

„ყველა წინასწარმეტყველი და რჯული იოანემდე წინასწარმეტყველებდნენ“. (მათ. 11:13)

ადგილიდან წამოვხტი და ვიყვირე: „მართალია!“ იესოს არ უთქვამს: „ყველა წინასწარმეტყველი და რჯული ჩემამდე (იესო ქრისტემდე) წინასწარმეტყველებდნენ“. არა, რადგან იოანეს სიტყვა სრული მონანიების შესახებ ახალი აღთქმის სახარების საწყისი წერტილია. თქვენ არ შესულხართ იესო ქრისტესთან ურთიერთობაში, თუ მთლიანად არ მოინანიეთ თქვენს ცხოვრებაში გაცნობიერებული ცოდვები.

მონანიება შესასვლელი კარია!

გაიხსენეთ ჩვენი ამბავი ჯასტინსა და ანჯელაზე, ქალის უცნაური იდეა ქორწინების შესახებ. მან ვერ შეძლო ძველი შეყვარებულების მიტოვება. მას ჯასტინი ძალიან უყვარდა, ყველა სხვას ერჩივნა და მასთან მთელი ცხოვრების გატარებას ფიქრობდა. თუმცა ქალს არავინ უთხრა, რომ ჯასტინთან საქორწინო აღთქმაში შესვლისთვის აუცილებელი იყო ყველა ადრინდელი კავშირის (მენტალური, ემოციური და ფსიქიური) გადაჭრა უკლებლივ ყველა ძველ შეყვარებულთან. ეს გადანწყვეტილება იქნებოდა ჯასტინთან აღთქმაში შესვლის მისეული უნარის საწყისი პუნქტი.

იგი გაოგნებული დარჩა, როცა ჯასტინი ძლიერ გააბრაზა ტონისთან შეხვედრის გეგმების გაგებაში. ასე რამ გააღიზიანა? – ფიქრობდა ქალი, – ნუთუ ასეთი ეჭვიანია? დიას, ის ძალიან

ეჭვიანი იყო და ასეც უნდა ყოფილიყო. ღმერთი ჩვენზეც ეჭვიანობს და ეს სწორია. ჩვენ ხომ მასთან აღთქმაში შევედით? როგორ შეიძლება ამ ურთიერთობაში სხვა საყვარლების ჩართვა?

ნუთუ შემთხვევითია იოანეს პირველივე სიტყვები წმიდა წერილში: მოინანიეთ, რადგან მოახლოებულია ცათა სამეფო!“ (მათ.3:2)?

იქნებ იოანე ერთადერთია, ვინც ამას ამბობს? ეს იზოლირებული მუხლია და ამ საკითხზე სხვა ავტორები არაფერს ამბობენ? არავითარ შემთხვევაში! იესოს პირველი მითითებები ასეთია:

„მოინანიეთ, რადგან მოახლოებულია სასუფეველი ცათა!“ (მათ.4:17)

ჩვენმა უფალმა და მეფემ იცოდა, რომ მონანიება აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ღმერთთან ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. საოცარია, მაგრამ მან სწორედ ეს კრიტიკური გამოიყენა იმის განსაზღვრისთვის, ადამიანები ღმერთს ეკუთვნიან თუ არა.

შემდეგ იესომ დაიწყო იმ ქალაქების ყვედრება, სადაც ბევრი სასწაული მოახდინა, მაგრამ ხალხმა ცოდვები არ მოინანიო და ღვთისკენ არ მობრუნდა (იხ. მათ.11:20).

თუ ადამიანმა სულის გადარჩენისთვის მხოლოდ ის უნდა გააკეთოს, რომ „ღვთისკენ შემობრუნდეს“, იესო მარტო ამას გამოკვეთდა. ამრიგად, ანჯელასაც მთლიანად უნდა მიეტოვებინა თავისი შეყვარებულები, რომ ჯასტინისთვის სრულად მიეძღვნა თავი. ანალოგიურად, ჩვენც უნდა მოვინანიოთ ცოდვები, რომ მთლიანად იესოს ვეკუთვნოდეთ.

ამ სიტყვას არაერთხელ ვხვდებით, რადგან ეს იესოს მსახურების ძირეული მისია გახლავთ. იგი აცხადებს: „მართალთა მოსახმობად კი არ მოვედი, არამედ ცოდვილთა – რათა მოინანიონ“ (ლუკ.5:32). მონანიება არჩევითი არ არის. იესომაც განუცხადა ხალხთა ჯგუფს: „თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით!“ (ლუკ.13:3)

აი, ქეშმარიტება: ღვთისკენ მობრუნება შეუძლებელია მონანიების გარეშე.

მოდით, წინ წავიდეთ და ვნახოთ, იესოს მოწაფეები როგორ უყურებდნენ სახარების გაზიარებას: იხილეთ, რას აცხადებდნენ ისინი თავიანთი პირველი მისიისას: „წავიდნენ და ქადა-



198 ბაანაღბური კრიპონიტი!

გებდნენ მონანიებას“ (მარკ.6:12). ისინი ყველას უქადაგებდნენ მონანიებას, რადგან აუცილებელია ამის თქმა ადამიანებისთვის! ჯოჯოხეთის ტანჯვაში მყოფი მდიდრისთვის ცნობილი იყო ცოდვების მონანიების მნიშვნელობა:

„მან კი თქვა: არა, მამაო აბრაჰამ, თუ ვინმე მკვდართაგანი მივა მათთან, მონანიებენ“. (ლუკ.16:30)

რა მოხდა აღდგომის შემდეგ? შეიცვალა მათი სათქმელი? ლუკა იესოსა და მონაფეების შეხვედრას აღწერს. იგი მათ გულქვაობის გამო საყვედურობს და თვალებს უხელს. შემდეგ იგი იხსენებს, რომ წინასწარმეტყველებს არაერთხელ უთქვამთ მის შესახებ:

„და იქადაგება მისი სახელით მონანიება ცოდვათა მისატევებლად იერუსალიმიდან მოყოლებული ყველა ხალხში“. (ლუკ.24:47)

წინასწარმეტყველები მხსნელის სახელით მიტევებას, მხოლოდ მონანიების შემთხვევაში უშვებდნენ და პეტრე მოციქულიც იგივეს ამბობს. მოისმინეთ მისი პირველი სიტყვები, რომლითაც ღვთის გულმხურვალე მამიებლებს არიგებს ორმოცდამეათე დღეს გადარჩენის მისაღებად:

„მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს“. (საქმ.2:38)

ისევ ვიმეორებ, რომ ღვთისკენ მობრუნება შეუძლებელია მონანიების გარეშე. რას იტყვით პავლეზე? შეიცვალა თუ არა მან სახარების სიტყვა წარმართებთან ქადაგებისას? სულაც არა:

„ამიტომ, არ ვეურჩე ზეციურ ჩვენებას, მეფე აგრიპავ. პირველად დამასკოსა და იერუსალიმის მკვიდრთ, მერე კი იუდეის მთელ ქვეყანას და აგრეთვე წარმართებს ვუქადაგებდი მონანიებას, ღვთისკენ მოქცევას, და მონანიების ღირსი საქმეების აღსრულებას“. (საქმ.26:19-20)

აქ მონანიება „კარგ იდეად“ კი არ ითვლება, არამედ ყველასთვის სავალდებულოა. სხვა გზა არ არსებობს! ის ამბობს, რომ ცოდვები ყველამ უნდა მოინანიოს.

პავლე განმარტავდა, როგორ განირა ღმერთმა თავი ყველა ადამიანის, იუდეველისა თუ წარმართის გადასარჩენად:

„ამგვარად, ღმერთმა უგულებელყო უმეცრების ჟამი და ახლა მოუწოდებს ადამიანებს, ყველას, ყველგან, რომ მოინანიონ“. (საქმ.17:30)

თუ იესო ქრისტეს სწავლების საფუძვლებს გადახედავთ, ალბათ, მოულოდნელი არ იქნება და მიხვდებით, პირველ რიგში რას ამბობს:

„ამიტომ, მივატოვოთ ქრისტეს სიტყვის სანყისები და ვესწრაფოთ სრულყოფას; ნულარ ჩავუყრიოთ საძირკველს მკვდარი საქმეების მონანიებასა და ღვთის რწმენას!“ (ებრ.6:1)

ახალი აღთქმის ყველა მონაკვეთი ვერ მოვიყვანე, სადაც ეს მცნება გვხვდება, მაგრამ საკმაოდ ჩამოვთვალე ცოდვების მონანიების მნიშვნელობის მომცველი მუხლები. არ არსებობს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს რწმენა, თუ ადგილი არ ჰქონია ღვთის გაცნობიერებული ურჩობის თავდაპირველ მონანიებას.

ამრიგად, ქრისტიანობას ვერ შევძლებთ, თუ ნებსით ვართ მიწებებული პორნოგრაფიას.

მორწმუნეობას ვერ შევძლებთ, თუ უარს არ ვამბობთ შეყვარებულთან ფიზიკურ კავშირზე.

ქრისტიანი ვერ გავხდებით, თუ ზურგს არ შევაქცევთ მამათმავლობას.

მორწმუნე ვერ გავხდებით, თუ გადასახადებს ვიპარავთ.

ვერ გავხდებით ქრისტიანები თუ გენდერულ გადაგვარებას ვემხრობით.

ვერ გავხდებით ქრისტიანები თუ უპატიებლობას არ მოვიშორებთ. და ეს ჩამონათვალი ამოუწურავია.

თუ დაუჩინებლად ვენებებით ახალი აღთქმის მხოლოდ განსაზღვრულ მცნებებს, მაშინ „ყალბ იესოს“ ვქმნით. გულში ცდუნებული ვართ და ჩვენი რწმენაც წარმოსახვითია. ჩვენ გვაფრთხილებენ: „იყავით სიტყვის შემსრულებლნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად!“ (იაკ.1:22).

როგორ გაიგებენ ღვთის მაძიებლები ამ ინფორმაციას, თუ ჩვენ არ გავაცხადებთ? ნუთუ ჩვენ, ლიდერები ვვარაუდობთ, რომ ისინი ყველაფერს თავისით მიხვდებიან? თუ მაძიებელთა მიმართ ჩვენი ერთადერთი მოთხოვნა ასეთია: „ღვთისგან შორს ხართ? იგი თქვენ გელოდებათ თავის სახლში. ილოცეთ ამ ლოცვით ჩემთან ერთად!“ – ეს არის ადამიანთა წრფელი სიყვარულის გამოხატულება?

თუ ჩვენი მიდგომა ასეთია, ისევე ვიქცევით, როგორც ანჯელას ოჯახი ან სხვები იქცევიან, როცა არავითარი სწავლება არ მიანოდეს ქორწინების შესახებ. მათ უგულებელყვეს ანჯელასთვის საჭირო ცოდნის მიცემა, რომ ჯასტინზე დაქორწინების შემთხვევაში ძველ შეყვარებულებს უნდა დაშორებოდა. ხომ არ ვარაუდობდნენ, რომ თავად მოიფიქრებდა ამას? ახლა ანჯელაც დაბნეული და შეცბუნებულია. ჯასტინი, რომელსაც იგი უყვარს და საქორწინო აღთქმის ერთგული იყო, ძალზე გაბრაზებულია.

მსმენელის მიუხედავად, არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი სახარება, რომელიც ასე უნდა იყოს წარმოდგენილი: პირველი, ყველა გაცნობიერებული ცოდვის *მონანიება* და ღვთისკენ მოქცევა. არ არსებობს ნამდვილი რწმენა პირველადი *მონანიების* გარეშე.

სახარების გადაცემის თანამედროვე ფორმა მაძიებლის რწმენასა და ლოცვას ითვალისწინებს, შემდეგ მისთვის ცნობილი ცოდვიდან მოტრიალებას – რამდენიმე კვირის, თვის, ზოგჯერ წლის განმავლობაში. შესაძლებელია თუ არა მოგვიანებით ადამიანის გულში აღარ იყოს მონანიების მოტივაცია იმ მიზეზით, რომ მაძიებლები დარწმუნებული არიან თავიანთ გადარჩენაში?

ანჯელა ძალიან ნუხდა, რომ არავინ უთხრა ჭეშმარიტება, სანამ ჯასტინზე დაქორწინების გადანყვეტილებას მიიღებდა. ჩვენც ეკლესიის მსახურებებზე კონფლიქტურ დამსწრეთა რიცხვს გავამრავლებთ, თუ ამათ არ ვეტყვით სულის ხსნისთვის საჭირო სრულ ინფორმაციას.

## იპოქრიტი!

ახალ აღთქმას მკაფიო სათქმელი აქვს: არ არსებობს სულის ხსნა ცოდვებისგან მონანიების გარეშე. თქვენ იესოსთან ქორწილი არ გექნებათ, სანამ ქვეყნიერებასთან ურთიერთობას

არ შეწყვეტ. ძველი ცხოვრებისთვის უნდა მოკვდეთ, რომ ახალი დაიწყოთ.

თუ რალაც დროით სიტყვის გადამცემი ყოფილხართ, მაღევე ისწავლიდით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები კრისტალურად ნათლად უნდა წარმოადგინოთ. თუ ასე არ მოიქცევით, მსმენელი, უბრალოდ, ვერ გაგიგებთ და თქვენი კომუნიკაციის მიზანი დაიკარგება. ღმერთმა ეს იცის. სწორედ ამიტომ მან ასე მკაფიოდ დაგვანახა განხილული საკითხი – ჩვენ უნდა მოვინანიოთ!

ამ წიგნის კითხვისას, ალბათ, რამდენჯერმე მოინანიეთ, მაგრამ მაინც როგორ გამოკვეთს ეს თავი, რომ მონანიება ასე მნიშვნელოვანია? რა სხვაობას მოიტანს იგი თქვენს ცხოვრებაში ახლა, როცა უკვე იცით მის შესახებ? როგორ ცვლის ის ქვეყნიერებასთან, საყვარელ ადამიანებთან ან დაღუპულებთან თქვენი ურთიერთობის ხერხებს? ღმერთს სთხოვეთ ერთი კონკრეტული მოქმედების ჩვენება, რომელსაც თქვენს ცხოვრებაში შემოუძღვებით მონანიების მნიშვნელობის საპასუხოდ! როგორც ყოველთვის, ჩამონერეთ, რასაც უფალი გეტყვით იმ გეგმის ჩათვლით, თუ როგორ მოიყვანთ სისრულეში მითითებულ მოქმედებებს!



## მონანიება

ნინა თავში არაერთხელ გავიმეორეთ წმიდა ნერილის სიტყვები: „მოინანიეთ ცოდვები და ღვთისკენ მობრუნდით!“ ვინაიდან მონანიება არჩევითი ვარიანტი კი არა, აუცილებლობა არის მარადიული სიცოცხლის მისაღებად, მისი დეტალურად განხილვა გვმართებს. ამ ჭეშმარიტების გაცხადებისას აღმოვაჩინეთ (მომდევნო თავში), რომ ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის მონანიება არსებითია ღმერთთან ახლო ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

პირველი, მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ ახალი აღთქმის და ძველი აღთქმის მონანიება ერთმანეთისგან განსხვავდება. ძველ აღთქმაში ღვთის ერი ძაძებსა და ნაცარში ინანიებდა. ისინი გოდებდნენ, მიწაზე განერთხმებოდნენ და ცრემლს ღვრიდნენ მონანიების ნიშნად. ეს მწუხარების გარეგნული გამოხატულება და ღვთის მორჩილებაში დაბრუნების ნიშანი გახლდათ. ახალ აღთქმაში აღმოვაჩინეთ, რომ გარეგნულ მხარეს ნაკლები ყურადღება ექცევა, ხოლო გულის მდგომარეობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

### ახალი აღთქმის მონანიება

ახალ აღთქმაში არსებითი სახელი „მონანიება“ (*მეტანოია*) და ზმნა „მონანიება“ (*მეტანოიო*) ოცდაოთხ-ოცდაოთხჯერ გვხვდება. ყველაზე გავრცელებული და მიღებული განმარტება არის „აზრის შეცვლა“, თუმცა მხოლოდ ამით თუ დაკმაყოფილდით, მისი ნამდვილი მნიშვნელობის ძალა მხედველობიდან გამოგვრჩება.

*Baker Encyclopedia of the Bible* აცხადებს, რომ მონანიება გახლავთ „პირდაპირი მნიშვნელობით აზროვნების შეცვლა – არა პირადი გეგმების, ზრახვების ან მრწამსის, არამედ მთლიანი

პიროვნების შეცვლა ცოდვილი ცხოვრების მიმართულებიდან ღვთისკენ კურსის აღებით“ (ხაზგასმა დამატებულია).

ძალიან მომწონს სიტყვები *მთლიანი პიროვნება*. შეიძლება რალაცაზე აზრი შევიცვალო, მაგრამ არ ვიყო სრულად დარწმუნებული. ამ სიტყვების გამოყენებით სწავლულებმა აჩვენეს, რომ მონანიებაში უფრო მეტი რამ დევს, ვიდრე, უბრალოდ, აზრის შეცვლა. *The Lexham Theological Wordbook* კიდევ უფრო ღრმად მიდის განცხადებით, რომ მონანიება არის „პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი მიმართულებას უცვლის მის გონებასა და ნებას – ცოდვილი ქმედებებიდან ღვთისკენ“.

მონანიება, რასაკვირველია, მოიცავს გონებას, მაგრამ კიდევ უფრო ღრმად მიდის; მასში ჩართულია ნება და ჩვენი ემოციები. იგი გამსჭვალავს გულს, სადაც ჩვენი პიროვნების მყარი ცვლილება ხდება. იესო ამბობს:

„ვინაიდან გულიდან გამოდის: ბოროტი ზრახვანი, მკვლელიობანი, მრუშობანი, მეძავობანი, ქურდობანი, ცრუმონმობანი, გმობანი. ეს ყველაფერი ბილწავს ადამიანს, დაუბნელი ხელით ჭამა კი არ ბილწავს ადამიანს“.  
(მათ. 15:19-20)

ქცევა, იქნება ეს სპონტანური თუ ჩვევაში გადაზრდილი, ჩვენი შინაგანიდან მომდინარეობს. ჭეშმარიტი მონანიებისთვის მხოლოდ აზრის შეცვლა რომ კმაროდეს, იესო ასე იტყოდა: „ვინაიდან გონებიდან მოდის ...“. წმიდა წერილი ამბობს: „როგორც გულში ფიქრობს, ისეთია იგი“ (იგ.23:7). ჩვენს პიროვნებას შინაგანიდან ნაკარნახევი დამოკიდებულება განსაზღვრავს, თუ როგორ აღვიქვამთ ცხოვრებას.

შესაძლოა, ფიქრობდეთ: *არ მინდა, ჩემი ქცევით განისაზღვროს ჩემი პიროვნება*. გეთანხმებით, ეს არ არის სასიამოვნო ჭეშმარიტება, მაგრამ არ შეგვიძლია იესოს სიტყვების უგულვებელყოფა: „მათი ნაყოფით იცნობთ მათ. განა ეკლიდან კრეფენ ყურძენს ან ლედვს ბირკავადან?“ (მათ.7:16). ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს პიროვნებას ქცევები განსაზღვრავს და არა ჩვენი ზრახვები.

მხოლოდ ეს ცოდნაც კი კმარა სახარების ძალის ილუსტრირებისთვის, რადგან ის მოიცავს ყველაზე ღრმა ფიქრების და შესაბამისად, ჩვენი ქმედებების შეცვლის უნარს. სახარების ზეგავლენის ქვეშ მოქცევა ახალი ტიპის აზროვნება ან ემოციურად დატვირთული რეაქცია როდია. ეს გახლავთ აღქმისა



და რწმენის საფუძვლიანი ცვლილება, რომელსაც თან ახლავს ჭეშმარიტად გარდაქმნილი ქცევა.

მონანიება მაშინ ხდება, როცა ჭეშმარიტებისადმი ვიღვიძებთ და სულის სიღრმეში სრული დარწმუნება მოდის, რომ ჩვენი ცხოვრებისეული ფილოსოფია თუ ქცევა მთლიანად ეწინააღმდეგება ჩვენი შემოქმედისას. ეს გულისშემძვრელი გააზრება არა მარტო მსოფლმხედველობას გვიცვლის, არამედ სურვილებსა და საქციელსაც. ის, რაც გვსურს და გვიყვარს, ღვთის საპირისპიროა, ამიტომ საკუთარი შინაგანის შეცვლის მტკიცე გადაწყვეტილებას ვიღებთ. არა მარტო ვშორდებით ძველს, არამედ მის სიძულვილამდეც კი მივდივართ. მონანიება ჭეშმარიტი თავმდაბლობაა და ის კარს უღებს ღვთის განუზომელ მადლს, რომელიც ღვთისნიერი ცხოვრების უნარს გვაძლევს.

## ურწმუნო

მონანიება ისევე სჭირდება მორწმუნეს, როგორც ურწმუნოს, მაგრამ ცოტათი განსხვავებული გზებით. მოდი, პირველად განვიხილოთ ურწმუნოს შემთხვევა!

წინა თავში გამუდმებით გვესმოდა იოანე ნათლისმცემლის, იესოსა და მისი მოწაფეების ნათქვამი: „მოინანიეთ ცოდვები და მობრუნდით ღვთისკენ!“ ფაქტობრივად, ეს ორი მცნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი მეორესგან განცალკევებით არ არსებობს, რადგან ისინი ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენენ. ბიბლიური მონანიება ყველა ასპექტში ღვთისკენ შემობრუნებას ნიშნავს. ის, ვინც ნამდვილად მოდის ქრისტესთან, ასე აცხადებს:

„ისე ვცხოვრობდი, როგორც ჩემთვის საუკეთესო მეგონა, თუმცა ახლა ვხვდები, რომ ვცდებოდი. აქედან მოყოლებული, მნიშვნელობა არ ექნება, რას ჩათვლის ღმერთი ჩემთვის საუკეთესოდ, ვირწმუნებ და მთელი გულით, გონებით და მოქმედებით მივიღებ“.

ეს ადამიანი გულით იღებს გადაწყვეტილებას (რომელიც მოიცავს ინტელექტს, ემოციებს და ნებას), რომ ღვთის ნება აღასრულოს. ისევე შეგახსენებთ იესოს ნათქვამს: „ვისაც მისი ნების აღსრულება სურს, მიხვდება, ვისგანაა ეს მოძღვრე-

ბა, ღმერთისგანაა იგი თუ ჩემით ვლაპარაკობ“ (იოან.7:17). მონანიებისას ურწმუნოები საკუთარი დამოუკიდებელი ცხოვრებისგან ღვთისკენ ტრიალდებიან და ეს მათ გულს ღვთის ხმის მოსმენის საშუალებას აძლევს.

როცა ურწმუნოები ჭეშმარიტად ინანიებენ, კერპთაყვანისცემას შორდებიან და ღვთის ძალაუფლების სრული დამორჩილების მდგომარეობაში მოდიან. არსებითად, ისინი ასე აღიარებენ: „არ მივიღებ არც ერთ აზრს, რწმენას, ფიქრს ან არგუმენტს, რომელიც თავს ღვთის სიტყვაზე მაღლა დააყენებს“. პავლე გაბედულად აცხადებს:

„ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ ღვთის ძალაა, რათა დაგანგრიოთ სიმაგრენი; მისით ვამხობთ ზრახვებსა და ყოველგვარ სიმაღლეს, რაც კი აღმართულია ღვთის შემეცნების წინააღმდეგ, და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად“. (2 კორ.10:4-5)

ღვთის იარაღი მისი სიტყვა, სიბრძნე და რჩევაა. ქვეყნიური იარაღი არის: საზოგადოების ფილოსოფია, კულტურა, ტრადიციები, კანონები ან ღვთის სიტყვის საპირისპირო ცხოვრების წესი. შესაძლოა, კითხვა დასვათ: „ქვეყნიერებას იარაღი აქვს?“ ო, დიახ, ჯოჯოხეთი განუწყვეტელ შეტევას ახორციელებს ქვეყნიერების სისტემის მეშვეობით როგორც ქრისტიანის, ისე ურწმუნოს საფრთხეში მოსაქცევად.

ზემოთ ნახსენებ მუხლში ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „დანგრევა“ და „დამხობა“. ზუსტად ეს სიტყვები არაერთხელ არის გამოყენებული ძველ აღთქმაში, სადაც ადამიანები კერპთაყვანისცემას ზურგს აქცევენ. ისრაელი ანგრევდა, მიწისაგან პირისა აღგვიდა ან ამხობდა აღმართულ კერპებს (მხედველობაში იქონიეთ, რეალურად რას აკეთებდნენ ისინი; კერპთაყვანისმცემლობის ფესვი ცნობილი ცოდვის ჩვეულ ნიმუშებში დევს. აი, რას ანგრევდნენ ისინი და არა მხოლოდ ქანდაკებებს).

ამისგან არაფრით განსხვავდება პრინციპი, რომელზეც პავლე ლაპარაკობს. ჩვენ ღვთის სიტყვას ვიყენებთ ღვთისგან გაუცხოებული მამაკაცებისა და ქალების კერპთაყვანისმცემლური აზრების წინააღმდეგ. ამის გაკეთებისას მსმენელნი ინანიებენ (ანგრევენ და ამხობენ) ყველა ადამიანურ აზროვნებას, არგუმენტს ან ღვთიური ძალაუფლების ურჩობას. არსები-

თად, სწორედ ამას აღნიშნავს ცოდვაში ცხოვრების მონანიება. ამის კეთებით ადამიანი მართლაც ბრუნდება ღვთისკენ და ამით საკუთარ თავს ათავისუფლებს.

## ფილოსოფიური სხვაობა

ამას თანამედროვეობაში, განსაკუთრებით კი, დასავლეთში არსებულ ერთ-ერთ უზარმაზარ ფილოსოფიურ განსხვავებამდე მივყავართ. საოცრად ბევრმა ლიდერმა გაითავისა მოსაზრება, რომ დაღუპულ ადამიანებთან მისაღწევად აუცილებელია სახარების იმ მონაკვეთების ქადაგება, რომლებიც წინააღმდეგობას არ გამოიწვევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიყოთ პოზიტიურები და მოვერიდოთ იმ ცოდვების დასახელებას, რომელთა მონანიებაც ადამიანებს სჭირდებათ. ამგვარი მიდგომით, იქნება ეს ნებსით თუ უნებლიედ, ვაჭრებს ვემსგავსებით, რომლებიც მყიდველის დარწმუნებას ცდილობენ საქონლის სიკარგეში და სრულიად ჩქმალავენ მის უარყოფით მხარეებს. სამწუხაროა, რომ ეს ხერხი დაღუპულ ადამიანებამდე მისვლის თითქმის სტანდარტულ მეთოდად იქცა.

მსახურების ამ მცდარ ფილოსოფიას ორი ცხადი სარგებელი აქვს. პირველ რიგში, გამოვრიცხავთ ადამიანების სიტყვით დაჭრის შესაძლებლობას. ლეგალისტური მიდგომა თანაგრძნობის ნაკლებობით ხასიათდება და მეტ ყურადღებას რჯულის სიტყვასიტყვით დაცვაზე ამახვილებს, რომ მავანნი მართლად წარმოჩნდნენ, ქცევები აკონტროლონ და აღიარებული ძალაუფლება მოიხვეჭონ. ლეგალიზმის სისასტიკე გზადაგზა დაჭრილ სულებს ტოვებს, რომელთაც ღვთის ძიების სურვილი დაკარგეს იესოს სახელით წარმოდგენილი პიროვნებების ან ინსტიტუტების ულმობელი დამოკიდებულების გამო. ის არის მიზეზი, რომ მრავალმა ადამიანმა სხვა ყველაფერზე მეტად სწორედ ღმერთთან ჭეშმარიტ ურთიერთობას აქცია ზურგი.

იესომ დაასახელა ლეგალისტური „მსახურების“ შედეგები: „კეტავთ ცათა სამეფოს ადამიანთა წინაშე; არც თქვენ შედინართ და არც შემავალთ ანებებთ შესვლას!“ (მათ. 23:13).

ამრიგად, მართებულია ჩვენი სურვილი, რომ მოვიშოროთ ლეგალისტური დამოკიდებულება, მაგრამ არ შეგვიძლია ქანქარა მეორე უკიდურესობისკენ გადავხაროთ. ნუთუ თავი უნდა ავარიდოთ ახალი აღთქმის ჭეშმარიტ მსახურებას ოდესღაც ხალხის დამაზიანებელი პრაქტიკის დაბრუნების შიშით? ლეგალიზმის მცირე ჩრდილისგან გაქცევის მცდელობაში ცოდვას

არ ვუპირისპირდებით და მონანიების მონოდებას ვივინყებთ? ამით ნაბან წყალს ბავშვსაც ხომ არ გადავაცოლებთ?

ამ კითხვებს უსათუოდ უნდა ვუპასუხოთ, რადგან ის, რაც ახლა მახარებლობაში ნორმად ითვლება, სულიერებისგან უკვე შორსაა. როგორ შეგვიძლია მონანიების გარეშე მოვუწოდოთ ადამიანებს სულის გადარჩენისკენ, თუ ბიბლია მკაფიოდ ასწავლის მონანიების აუცილებლობას? ნუთუ ნამდვილად გადარჩენილები არიან ადამიანები, რომელთაც ასეთი შეზღუდული სახარება მივანოღეთ?

ამგვარი გზასაცდენილი მონანიების მეორე „სარგებელი“ ის არის, რომ მოქცეულებს უფრო ადვილად ვიძენთ და სწრაფად მზარდ მსახურებას, ეკლესიას თუ სახლის ჯგუფს ვაყალიბებთ. ხომ არ დაგვაინწყდა, რომ აპარონის შეცდომას უმრავლესობა მხარს უჭერდა? ჩვენი მიმდევრების დიდი თუ მცირე რაოდენობა არ განსაზღვრავს უფლის გულთან თანხმობაში ყოფნის საკითხს. განმსაზღვრელი ფაქტორია ჭეშმარიტება და არა ეკლესიაში მომსვლელთა რიცხვი.

ხომ არ დაგვაინწყდა იესოს მონაფეოების ფასი? ხომ არ უგულებელვყავით მისი არაერთი მითითება ცოდვების მიტოვების (საკუთარი თავის უარყოფის) და ჩვენი ჯვრის აღების (მისი მორჩილებისთვის სრული მზადყოფნის) შესახებ?

თუ ჩვევაში გამჯდარ ცოდვებს არ დავუპირისპირდებით, იესოს მხსნელად მიმღები პიროვნება საზოგადოების მიერ განსაზღვრული სტანდარტებით ცხოვრებას გააგრძელებს ღვთის სიტყვაში სიარულის ნაცვლად. ჩვენს საზოგადოებაში სრულიად ნორმალურია ქორწინების გარეშე იზიარებდე სარეცელს საყვარელ ადამიანთან, იყო მამათმავალი იმ დონემდეც კი, რომ ამ ურთიერთობას ქორწინება უწოდო, ზომიზე მეტს სვამდე, მარისუანით და სხვა ნივთიერებებით „კაიფობდე“, თავი გაირთო უხამსი, შეუფერებელი ან გარყვნილი ტელეგადაცემებით, ვიდეოებით ან ფილმებით და მრავალი სხვა – ჩემი სია არასრულია. ყველა ეს ქცევა პირდაპირ ეწინააღმდეგება ახალი აღთქმის მცენებებს.

## ზეციური სტანდარტები

მართლა არის მცნებები ახალ აღთქმაში? ო, დიახ. ფაქტობრივად, ახალ აღთქმაში ხუთას მცნებაზე მეტია, რომ თავი ანებოთ სხვადასხვა ფიქრებსა და ქცევებს. პავლე მოციქული, კაცი, რომელმაც ღვთის მადლზე უდიდესი გამოცხადება მიიღო, ასე

წერს: „არაფერია წინადაცვეთა და არაფერია წინადაუცვეთელობა, თუ არა ღვთის მცნებათა დაცვა“ (1კორ.7:19).

მაგალითად, ღმერთი ნათლად ბრძანებს, რომ ქორწინების მიღმა სქესობრივი ცხოვრება არა მარტო აკრძალულია, არამედ სასჯელსაც იმსახურებს. მომდევნო მუხლი ფუჭი სიტყვები როდია:

„რადგან იცოდეთ, რომ არც ერთ მეძავს, ან უწმიდურს, ან ანგარს, რომელიც კერპთმსახურია, არა აქვს მემკვიდრეობა ქრისტესა და ღვთის სამეფოში. არავინ გაცდუნოთ ცარიელი სიტყვებით, ვინაიდან ამისთვის ღვთის რისხვა ეწევა ურჩ შვილებს“. (ეფეს.5:5-6)

და კიდევ:

„ყველას ცოლ-ქმრობა იყოს პატიოსანი, სარეცელი - შეუბილწავი; მეძავეებსა და მრუშებს ღმერთი გაასამართლებს“. (ებრ.13:4)

რაც ახლა ნავიკითხეთ, არ ეხება მხოლოდ სქესობრივ ცხოვრებას ქორწინების მიღმა, არამედ პორნოგრაფიას და სხვა უწმიდურობებს. როგორ უნდა გაიგონ ამის შესახებ ღვთის მაძიებლებმა, თუ არ გავაცხადებთ? ნუთუ მართლა გვეყვარება ადამიანები, რომელთა გადარჩენასაც ვესწრაფვით, თუ მნიშვნელოვან ჭეშმარიტებებს დავუმაღლავთ?

ღმერთი მკაფიოდ ამბობს, რომ მრუშობაში, მამათმავლობაში, ქურდობაში, ლოთობასა (ამაში ნარკოტიკებიც შედის) და დღევანდელი საზოგადოებისთვის მისაღებ სხვა ცოდვებში მცხოვრებნი ცათა სამეფოს ვერ დაიმკვიდრებენ:

„განა არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სამეფოს? თავი არ მოიტყუოთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც დადედლებულნი, ვერც მამათმავალნი, ვერც ქურდნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი, ვერც მლანძღველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სამეფოს!“ (1 კორ.6:9-10).

ლეგალისტებმა დიდი ზიანი მოიტანეს ჭეშმარიტი სიყვარულისა და თანაგრძნობის ნაკლებობით. ისინი ახალი აღთქმის სიტყვებს იყენებდნენ საკუთარი მხილებებისა და წესების თანხლებით, რომ ადამიანები მათ მიერ მოწონებულ ქცევას

დაქვემდებარებოდნენ. ნუთუ ამ ყველაფერს იმ დონეზე გამოვეხმაურეთ, რომ ახლა თავს შორს ვიჭერთ იესოს მცნებებისგან, იქნება ეს უშუალოდ მისი ნათქვამი თუ მისი მოციქულების წერილები?

ამას წინათ, 1 კორინთელთა მიმართ წერილის იგივე სიტყვები დიდ და ცნობილ ეკლესიაში წარმოვთქვი. თავდაპირველი რამდენიმე მსახურების შემდეგ პასტორმა მთხოვა, რომ ჰომოსექსუალობის საკითხი არ მეხსენებინა არც ერთ დარჩენილ მსახურებაზე. ბედის ირონიით, ამავდროულად ჩვენი რესურსების მაგიდასთან ცრემლების ღვრით მოვიდა პოლიციელი ქალი, რომელიც ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ლესბოსურ ურთიერთობაში იმყოფებოდა და თქვა: „ის წიგნი მჭირდება, რომელზეც მან საღამოს ილაპარაკა – „სიკეთე თუ ღმერთი?“ ჯონი დღეს მე მელაპარაკებოდა“.

საიდან ეცოდინებათ ადამიანებს ზეცის სტანდარტები, თუ მსახურებებს ჩვენი ამჟამინდელი ფილოსოფიის მიხედვით გავაგრძელებთ? იფიქრეთ იოანე ნათლისმცემლის სიტყვაზე! მისი სწავლება უპირისპირებოდა იმ ეპოქის საზოგადოებაში მოჭარბებულ ცოდვებს. სიმდიდრის დაგროვების მოწადინე ადამიანებს ქონების ღარიბებისთვის განაწილებას ურჩევდა, ქურდებს – პარვისთვის თავის დანებებას, მოძალადეებს – ძალადობის შეწყვეტას, მუშაკებს – თავიანთი ანაზღაურებით დაკმაყოფილებას (იხ. ლუკ.3:10-14). ადამიანები მკაცრ უდაბნოში გამგზავრებას არ უშინდებოდნენ მის მოსასმენად, რადგან ჭეშმარიტება სწყუროდათ. იოანეს სიტყვების მოსმენის შემდეგ ეხმაურებოდნენ მას და თავიანთ ცოდვებს აღიარებდნენ. ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ პოლიციელი ქალისგან ჩემ მიერ ნახსენები საეკლესიო მსახურებიდან, რომელმაც არაფერი იცოდა მისი ცხოვრებისეული არჩევანის სავალალო შედეგების შესახებ.

იოანე ნათლისმცემელმა საჯაროდ ამხილა იუდეის მეფე ჰეროდე, რომ ძმის ცოლთან წოლით ღვთის მცნებას არღვევდა და მოგვიანებით, ჭეშმარიტების სწავლების გამო თავის მოკვეთით დასაჯეს. იოანე არ ცდილობდა გავლენიანი მთავრისთვის ესამოვნებინა, მაგრამ მაინც მოიპოვა მისი პატივისცემა. ჰეროდეს საჯაროდ მხილებისგან თავი რომ შეეკავებინა, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა. ახლა გრძელვადიან შედეგზე ვიფიქროთ. მოგვიანებით, იესომ პატივი მიაგო იოანეს დიდი თავყრილობის წინაშე (იხ. მათ.11:7-15) და შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რა ჯილდოს მიიღებს გასამართლების დღეს!



იოანე ერთგულებას იჩენდა ზეციური სტანდარტების დაცვაში დასაღუპავად განწირული ადამიანების გულისთვის.

პავლე ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამდა წერილებსა თუ ქადაგებებში. დაღუპულებისკენ მიმართული მისი სიტყვა ნათელი იყო. „გუქადაგებდი მონანიებას, ღვთისკენ მოქცევას, და მონანიების ღირსი საქმეების აღსრულებას“ (საქმ.26:20). მან ტიმოთეს მიუთითა: „რომ დაჟინებით იქადაგო სიტყვა მოსახერხებელ და მოუხერხებელ დროს, ამხილო, შერიხხო, შეაგონო მთელი სულგრძელობითა და სწავლებით“ (2 ტიმ.4:2) სხვა მსახურს ასე უთხრა: „ამხილე მთელი ძალაუფლებით!“ (ტიტ. 2:15).

პავლემ კომპრომისის ადგილი არ დატოვა. ერთხელ მას მდიდარი და გავლენიანი ერის წინამძღოლის, ფელიქსისა და მისი მეუღლის, დრუსილასთვის სახარების ქადაგების შესანიშნავი შანსი მიეცა. დიდ მოციქულს არ უთქვამს გამამხნეველი სიტყვა, რომელიც მათ მოსაზრებებს არ ეწინააღმდეგებოდა. ჩვენ ასე ვკითხულობთ:

„რამდენიმე დღის შემდეგ ფელიქსი მოვიდა, თან თავისი იუდეველი მეუღლე დრუსილა ახლდა. მოუხმო პავლეს და ქრისტე იესოს რწმენის შესახებ გამოჰკითხა. პავლემ სამართლიანობაზე, თავშეკავებასა და მომავალ განკითხვაზე ილაპარაკა, ამიტომ ფელიქსი შეშინდა და უთხრა: „ახლა წადი და როცა მოვიცლი, დაგიძახებ!“ (საქმ. 24:24-25)

AMPC ძალზე მკაფიოდ გვეუბნება: „ვინაიდან პავლე აგრძელებდა სიმართლეზე, წმიდა ცხოვრებასა (ვნებების მოთოკვა) და მომავალ სამსჯავროზე ლაპარაკს, ფელიქსი შეშფოთდა და შეშინებულმა უთხრა: „წადი!“

მთლიანი ამბის კითხვისას აღმოვაჩინეთ, რომ ფელიქსმა პავლეს მოუხმო, რადგან ღმერთსა და მომავალ ცხოვრებაზე მოსმენა სურდა. მმართველს გული ჰქონდა განწყობილი შემოქმედთან ურთიერთობისთვის. დღევანდელობაში იგი შეიძლება შევადაროთ დაინტერესებულ, ურწმუნო მაძიებელს, რომელიც შიგადაშიგ ეკლესიას სტუმრობს. მოციქულის ქადაგება ნამდვილად ეწინააღმდეგებოდა ფელიქსის ცოდვებს, რომელთა მიტოვება მას არ სურდა, რადგან შეშინებულმა პავლეს წასვლა უბრძანა.

დღეს ეს შეიძლება შევადაროთ გავლენიანი ურწმუნოს მიერ საეკლესიო მსახურების დატოვებას შემდეგი სიტყვებით: „უკან



ალარ დავბრუნდები. ამ ქადაგებამ შემაშინა!“ რა აშინებს მას? ნიშნავს თუ არა ეს იმ ცოდვის მოშორებაზე უარის თქმას, რომელიც ქადაგებაში ახსენეს?

პავლეს ჩვენი დასავლური ფილოსოფიის თანახმად რომ ექადაგა, მისი სიტყვა ასეთი იქნებოდა: „ფელიქს, ღმერთს უყვარხარ. მან იესო გამოგზავნა, რომ შენთვის მომკვდარიყო და დაეხსენი. გინდა მიიღო იგი გულით? თუ ასეა, ჩემთან ერთად გაიმეორე: „იესო, შემოდი ჩემს გულში და გამხადე ღვთის შვილი!“ და ეს იქნება დასასრული.

ამის საპირისპიროდ, პავლეს სიტყვებმა ფელიქსი შეაშინა. მოციქულმა იცოდა, რომ მმართველი მხოლოდ მაშინ გახდებოდა ქრისტიანი, თუ ცოდვებს მოინანიებდა. პავლეს გამამხნეველები ქადაგების შემდეგ ცოდვილის ლოცვით რომ ელოცა, ფელიქსი მოტყუვდებოდა. იგი სრულიად დარწმუნებული იქნებოდა მაღლიდან შობაში, რეალურად კი, დაუხსნელ კერპთაყვანისმცემლად დარჩებოდა. გარდა ამისა, პავლე გზას გაუხსნიდა კრიპტონიტს ეკლესიაში დასაფუძნებლად, მაგრამ მოციქული იესო ქრისტეს ერთგული მსახური გახლდათ და ასეთ საქმეში მონაწილეობას არ მიიღებდა.

ვიცი, რომ ეს გამომაფხიზლებელია, მაგრამ ჩვენ, როგორც ქრისტეს ელჩები, მას არ უნდა ჩამოვუვარდეთ.

## იპოქრიტი!

დღევანდელი ეკლესიების უმრავლესობა იმ ადამიანების ხარჯზე იზრდება, რომლებიც „ცოდვილის ლოცვას“ წარმოთქვამენ. ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ცოდვებისთვის იესოს თავგანწირვის აღიარების უბრალო გამეორება და მისი ჩვენს გულში მონვევა. წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა თქვენი სახლის ჯგუფი, თუ ეკლესიის წინამძღოლები ადამიანებს ცოდვების მონანიებასა და ღვთისკენ მობრუნებას უქადაგებდნენ. თქვენი აზრით, რამდენი ადამიანი დარჩებოდა ჯგუფში?

ეს მწვავე პროცესი იქნებოდა, განსაკუთრებით ეკლესიის ლიდერებისთვის. და მაინც, წარმოიდგინეთ, როგორები იქნებოდნენ დარჩენილი მორწმუნეები. პირველი დიდი გამოღვიძება იმით ხასიათდებოდა, რომ განახლების მქადაგებლები ეკლესიიდან ეკლესიაში გადადიოდნენ მონანიების ქადაგებით, ხოლო მათი მსმენელები სკამებს ეჭიდებოდნენ, ყვირილით და მონანიების ქვითინით მერხებიდან ძირს ვარდებოდნენ და

ღმერთს გადარჩენას ევედრებოდნენ. მონანიებულთა რიცხვი ათასებს აწევდა და მათ მსოფლიო შეცვალეს. მთელი ქალაქები ღვთისკენ ბრუნდებოდნენ.

მონანიებაზე ქადაგებამ შეიძლება დაცალოს ჩვენი ეკლესიები, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ აავსებს მათ. სთხოვეთ ღმერთს, რომ მონანიების პოტენციალი გაჩვენოთ და შემდეგ ილოცეთ, რომ ის თქვენს ცხოვრებასა და ეკლესიაში გამოათავისუფლოს!



## სამი მეფე

ამ წიგნის დაწერა ძველი აღთქმის ექვსი წიგნის ხელახლა წაკითხვამ შთამაგონა. ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში და სამუელის, მეფეთა და ნეშტთა წიგნები წავიკითხე სხვადასხვა საკითხები შევისწავლე. და მაინც, ამასწინათ, მეთოდურად ვლოცულობდი და მათში საოცარი რამ ამოვიკითხე. გაკვირვებული დავრჩი, როცა ღმერთმა თვალები ამიხილა ისეთი რამის დასანახად, რაც ადრე არასდროს შემიმჩნევია.

რასაც მომდევნო ფურცლებზე ნახავთ, ცოტა არ იყოს, აკადემიური და მოსაწყენი მოგეჩვენებათ, მაგრამ მხოლოდ ჩემი აღმოჩენიდან გამოტანილი დასკვნის გადმოცემა სათქმელის ზეგავლენას სრულიად დააკნინებს, თუ არ გაგიზიარებთ ძველი აღთქმის მეფეთა მოკლე რეზიუმეს. მათი ცხოვრების შეჯამებაში ძალმოსილი ჭეშმარიტება ჩანს, რაც ადვილი დასანახი არ არის ექვსი მთლიანი წიგნის წაკითხვის შემთხვევაში მათში ჩანსული სხვადასხვა ამბების გამო.

ადრე ამ წიგნების კითხვისას ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ მეფეთა ორი ძირითადი კატეგორია არსებობდა – ისინი, რომლებიც „სწორად იქცეოდნენ უფლის თვალში“ და „კერპთაყვანისმცემლები“. მიუხედავად ამისა, რაღაც დროის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მეფეთა სამი სხვადასხვა ჯგუფი არსებობს.

ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ იეჰუს გარდა ისრაელის არც ერთი მეფე არ მოქცეულა ისე, როგორც მოსანონი იქნებოდა უფლის თვალში, თუმცა სამწუხაროა მისი განდგომილება სიცოცხლის ბოლოს. ამრიგად, პირველ რიგში იუდას მივუბრუნდეთ. საულის, დავითისა და სოლომონის გარდა მას კიდევ ოცი მეფე მართავდა. კერპთაყვანისმცემელი მეფეები იყვნენ რეხაბუყამი, აბიამი, იორამი, ახაზია, ლოთოლია (დედოფალი), ახაზი, მენაშე, ამონი, იეჰოახაზი, იეჰოიაკიმი, იეჰოიაჰინი და ციდეკია. ამ მეფეების მმართველობისას იუდა

არნახულ სიძნელებს და მტრების შემოსევებს განიცდიდა. ხშირად მათი დამარცხება შეუძლებელი ხდებოდა და ერი დიდად ზარალდებოდა.

იუდას ასევე მართავდნენ მართალი მეფეები (დავითი და სოლომონი კეთილად იქცეოდნენ უფლის თვალში, თუმცა სოლომონმა ხანდაზმულ ასაკში ნაიბორძიკა). სამეფოს გაყოფის შემდეგ ასეთები იყვნენ: ასა, იოშაფატი, იოაში, ამაცია, ყუზია, იოთამი, ხიზკია და იოშია. და მაინც, რვა მეფისგან შემდგარი სია შეიძლება ორ კატეგორიად გაიყოს. პირველ კატეგორიაში შემავალი მეფეები თავიანთ პირად ცხოვრებაში იმას აკეთებდნენ, რაც სწორი იყო უფლის თვალში, მაგრამ არ ებრძოდნენ და ანგრევდნენ საკერპე მალლობებს, რომელთა თაყვანისცემაც ხალხში გავრცელებული იყო.

ამის საპირისპიროდ, მეორე ჯგუფში შემავალი მეფეები პირად ცხოვრებაშიც მართლად იქცეოდნენ ღვთის წინაშე და კერპთაყვანისცემის გორაკებსაც ანადგურებდნენ. ერის წარმატება ამ მეფეების მმართველობისას გაცილებით შთამბეჭდავი იყო, ვიდრე იმათ შემთხვევაში, რომლებიც კერპთაყვანისცემას არ ძირკვავდნენ. მოდი, დავაკვირდეთ თითოეულ მათგანს!

1. დავითი. მისი მეფობისას ადგილი არ ჰქონდა კერპთაყვანისცემას. იგი დამურებით მოუნოდებდა ხალხს, რომ უფლისთვის მთელი გულით, გონებით, სულითა და სხეულით ემსახურა. მას ომი არ წაუგია და სამეფოც გამდიდრდა დავითის ხელში. მან თავის ძეს წარმატებით დააწყებინა მეფობა.
2. სოლომონი. იგი მეფობის უმეტეს წლებში მამამისის, დავითის გზებით დადიოდა. მეფის მორჩილებამ ის მოიტანა, რომ არა მარტო მის პირად, არამედ ქვეშევრდომების ცხოვრებაშიც ყველაფერი საუცხოოდ მიდიოდა. წმიდა წერილში ვკითხულობთ: „მშვიდად ცხოვრობდნენ იუდა და ისრაელი, თითოეული თავისი ვაზისა და ლეღვის ძირას, დანიდან ბერ-შებაყამდე, სოლომონის მთელი მეფობის მანძილზე“ (1 მეფ.4:25). იფიქრეთ ამაზე: არავის სჭირდებოდა მთავრობის დახმარება, რადგან ერში სიუხვე სუფევდა. მისი წინამძღოლობა იმდენად დიდებული იყო, რომ „ყოველ ხალხთაგან მოდიოდნენ სოლომონის სიბრძნის მოსასმენად“ (1 მეფ.4:34). ფაქტობრივად, მოგვიანებით ვკითხულობთ: „დედამინის ყოველ მეფეს სურდა სოლომონის ხილვა და იმ

სიბრძნის მოსმენა, რომელიც ღმერთმა ჩადო მის გულში“ (1 მეფ.10:24). ასევე ვკითხულობთ: „წარმატებული იყო იგი და მთელი ისრაელი ემორჩილებოდა“ (1 ნემტ.29:23). ერი დიდად წარმატებული გახდა: „ოქრო და ვერცხლი რიყის ქვას გაუთანაბრა იერუსალიმში, კედარი კი სიკომორის ხეს, დაბლობში რომ ხარობს“ (2 ნემტ.1:15).

მიუხედავად ამისა, გავიდა დრო, სოლომონი ეურჩა ღმერთს და უამრავი უცხოელი ცოლი შეირთო. მათ მეფის გული უცხო ღმერთებისკენ მიდრიკეს (გაცნობიერებული ჩვეული ცოდვა) და შედეგად, უფალმა მოწინააღმდეგეები წამოაყენა, რომლებიც სოლომონის წინსვლას დაუპირისპირდნენ და სამეფოც გასაჭირმა მოიცვა (იხ. 1 მეფ.11:14,23). ამ ცნობილი ურჩობის შედეგი იყო სამეფოს ორად გაყოფა, როცა მის ძეს ორი შტო შეხვდა და დანარჩენი ტომები დაკარგა.

აქედან მოყოლებული მხოლოდ იუდას მმართველებს ჩამოვთვლი:

3. რეხაბყამი. სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.
4. აბიამი. სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.
5. ასა. იგი მგზნებარე გულით მიჰყვებოდა ღმერთს. მეფე არა მარტო პირად ცხოვრებაში აკეთებდა უფლისთვის მოსაწონს, არამედ მთელი ძალისხმევით ცდილობდა კერპთაყვანისცემის ამოძიკვას ისრაელი ერიდან. მან აკრძალა ქალებისა და კაცების სატაძრო პროსტიტუცია, მოიშორა ყველა სახის კერპი და საკუთარი ბებია, მაცაქა დედა-დედოფლობას ჩამოაშორა, რადგან ამ უკანასკნელმა აშერას უხამსი სვეტი აღმართა (იხ. 1 მეფ.15:11-13). მან ასევე მოიშორა უცხო სამსხვერპლოები და წარმართული ტაძრები, დაანგრია სანმიდარები და მოჩეხა აშერას სვეტები, იუდას ყველა ქალაქს მოაშორა წარმართული ტაძრები და საკმევლის სამსხვერპლოები. არსებითად, ასა იუდას მკვიდრებს ჩვეული ცოდვების მონანიებისკენ მოუწოდებს. მან იუდაელებს უფლის ძიებისა და მისი რჯულისა და მცნებების დაცვისკენ მოუხმო (იხ.2 ნემტ.14:2-4).

იუდაელებისთვის ჩვეული ცოდვების მიტოვების მითითებამ რამდენიმე სასარგებლო შედეგი გამოიღო: „მოისვენა სამეფომ მისი მეფობის დროს“ (2 ნემტ.14:5). ამ მშვიდობიანი წლების განმავლობაში ასამ შეძლო გამაგრებული ქალაქების აშენება მთელ იუდაში. იმ დროს არავის უცდია იუდაზე თავდასხმა. მოგვიანებით ასას და მის სამეფოს

მილიონიანმა არმიამ შემოუტია: „მისდევდა ასა და მასთან მყოფი ხალხი და დაეცნენ ქუშელნი და არავინ გადარჩენილა მათგან ცოცხალი, რადგან შეიმუსრნენ უფლისა და მისი მხედრობის წინაშე. დიდძალი ნადავლი წამოიღო იუდაამ“ (2 ნეშტ.14:13). მტერი არა მარტო დამარცხდა, არამედ იუდაამ დიდძალი ნადავლიც წამოიღო ბრძოლის ველიდან.

თვალნათლივ ვხედავთ წინამძღოლის კურთხევას, რომელიც პირადად დაემორჩილა ღმერთს, მოიშორა ყველა გაცნობიერებული ჩვეული ცოდვა და ხალხსაც იგივეს კეთებისკენ მოუწოდა.

6. იოშაფატი. იგი ასევე იყო მეფე, რომელიც სწორად იქცეოდა უფლის თვალში პირადი ცხოვრებისა და წინამძღოლობისას. მან იუდაელებს კერპთაყვანისცემის მონანიებისკენ მოუწოდა (გაცნობიერებული ჩვეული ცოდვა). იოშაფატმა ქვეყნიდან გააძევა დარჩენილი მამაკაცი და ქალი ტაძრის მესავეები (იხ. 1 მეფ. 22:46). მეფემ იუდადან მოიშორა წარმართული ტაძრები და აშერას სვეტები (იხ. 2 ნეშტ.17:6). მმართველობის მესამე წელს მან მთავრები გაგზავნა იუდას ქალაქებში, რომ ყველასთვის ესწავლებინათ უფლის რჯული. მათ უფლის რჯულის წიგნი წაიღეს და ყველა ქალაქი მოიარეს.

რა იყო იოშაფატის წინამძღოლობის შედეგები? „უფლის შიშმა მოიცვა ყველა ის

სამეფო, იუდას ირგვლივ რომ იყო; და არ ებრძოდნენ იოშაფატს. ფილისტიმელთაგან ზოგს ძღვენი მოჰქონდა იოშაფატთან ... თანდათან აღზევდა და გაძლიერდა იოშაფატი“ (2 ნეშტ.17:10-12). ამის შემდეგ ვკითხულობთ: „მდიდარი და პატივით მოსილი იყო იოშაფატი“ (2 ნეშტ.18:1). მეფისა და იუდას წინააღმდეგ ჯარები მოდიოდნენ, მაგრამ ღმერთმა მათ თავიანთი თავი გაანადგურებინა და იუდაამ დიდძალი ნადავლი წამოიღო.

ამის შემდეგ ვკითხულობთ: „განამტკიცა უფალმა სამეფო მის ხელში ... უხვად ჰქონდა სიმდიდრე და არც პატივი აკლდა. უფლის გზების ერთგული იყო“ (2 ნეშტ. 17:5-6).

იოშაფატის დიდი შეცდომა იყო ახაბის კერპთაყვანისმცემელ ოჯახთან კავშირი. მას ეს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუფდა, ხოლო მისი ვაჟი საბოლოოდ გახრწნა. იეჰუდ წოდებული წინასწარმეტყველი ასე დაუპირისპირდა: „განა შეიძლება ბოროტი კაცისთვის დახმარების განევა და უფლის მოძულის სიყვარული?“ (2 ნეშტ.19:1-2). როგორც



არ უნდა იყოს, იოშაფატი და იუდა წარმატებული იყვნენ მეფის მორჩილების გამო, რაც ხალხის ცხოვრებიდან ჩვეულებრივ ცოდვების (კერპთაყვანისმცემლობის) ამოძიკვასაც მოიცავდა.

7. იორამი. სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.
8. ახაზია. სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.
9. ლოთოლია (დედოფალი). სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.
10. იოაში. მასზე დაწერილია: „სათნოდ იქცეოდა იოაში უფლის თვალში (2 ნეშტ. 24:2). რაც შეეხება, მის მმართველობას, ეს სულ სხვა საკითხია. მას არ დაუნგრევია საკერპო მადლობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან არ მოუწოდა ხალხს, რომ ჩამოსცილებოდნენ ჩვეულ ცოდვებს. ბოლოს ვკითხულობთ: „მოვიდნენ იუდას მთავარი ... ამის შემდეგ იწყო მეფემ მათთვის ყურის გდება. მიატოვეს უფლის ... სახლი და ემსახურებოდნენ აშერებსა და კერპებს“ (2 ნეშტ. 24:17-18).

ადამიანებმა, რომლებზეც მას უნდა მოეხდინა ზეგავლენა, საბოლოოდ, აქეთ მოაქციეს გავლენის ქვეშ. წერილში ვკითხულობთ: „მოვიდა უფლის მრისხანება იუდასა და იერუსალიმზე მათი დანაშაულის გამო. (მუხლი 18). მასთან წინასწარმეტყველი მოვიდა და უთხრა: „რად უგულვებელყოფთ უფლის ბრძანებებს? ხელი არ მოგემართებათ“ (მუხლი 20). და ბოლოს, „აღდგა მის წინააღმდეგ არამელთა ლაშქარი წლის დასასრულს. ... ერის ყოველი მთავარი მოსრეს და მთელი წართმეული ნადავლი დამასკოს მეფეს გაუგზავნეს. თუმცა მცირე ხალხით მივიდა არამელთა ლაშქარი, დიდძალი ლაშქარი ჩაუგდო მათ ხელში უფალმა, ... იოაშსაც დაედო მსჯავრი“ (მუხლები 23-24). იგი არამელებმა დაჭრილი დატოვეს და შემდეგ სხვებმა მოკლეს. იოაშის მეფობა იმ მმართველის მაგალითია, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა ჩვევაში გადაზრდილ ცოდვას და მის გარდაუვალ, საშინელ შედეგებს.

11. ამაცია. წმიდა წერილში ვკითხულობთ: „სწორად იქცეოდა უფლის თვალში, მაგრამ არა მთელი გულით“ (2 ნეშტ. 25:2). მას „მადლობები არ გაუუქმებია და ხალხი ჯერ კიდევ იქ სწირავდა და აკმევდა“ (2 მეფ. 14:4). შედეგები არც ამ შემთხვევაში იყო სამეფოსთვის სასარგებლო. ამაციამ ედომი დაამარცხა და ამით ძალზე ამაცობდა. ერთმა გამარჯვებამ ისრაელის მეფის, იოაშის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვეტინა. იოაშმა გააფრთხილა, რომ მის ერში არეუ-

ლობა არ მოეტანა. ამაციაჲმ ყური არ უგდო და ისრაელის არმიისგან სასტიკად დამარცხდა. იგი დაატყვევეს. ისრაელის მეომრებმა იერუსალიმის კედლის 600 ფუტი (დაახლ. 180 მ) მოანგრირეს და უფლის ტაძრიდან გაზიდეს მთელი ოქრო, ვერცხლი და ნივთები. ისრაელმა სამეფო სასახლის საგანძური წაიღო სხვა ნადავლთან ერთად. ამაცია მოკლეს (იხ. 2 ნემტ.25:11-28). ვნახეთ, რომ მმართველს, რომელიც უფლის თვალში მოსაწონია, მაგრამ მის ხელქვეით მყოფი ადამიანების ჩვევაში გადაზრდილ ცოდვებს არ შეეწინააღმდეგება, საქმე კარგად არ მისდის.

12. ყუზია. იგი სწორად იქცეოდა უფლის თვალში და სანამ უფალს ეძებდა, ღმერთი ყველაფერში შეენეოდა. ყუზია ძლიერი და წარმატებული გახდა. არაფერია ნათქვამი იმაზე, ებრძოდა თუ არა იგი კერპთაყვანისმცემლობას, მაგრამ ვიცით, რომ კეთრით გარდაიცვალა სიამაყის გამო.
13. იოთამი. ამ მეფეზე ბევრი არაფერია ცნობილი. იგი უფლის თვალში სწორად იქცეოდა, მაგრამ ხალხი ისევ ურჯულოებაში ცხოვრობდა. „მალლობები არ გაუქმებულა და ხალხი ისევ მალლობებზე სწირავდა და აკმევდა საკმეველს. (2 მეფ.15:35). შედეგები ასეთი იყო: „იმ დღეებში გაგზავნა უფალმა იუდას წინააღმდეგ რეცინი, არამის მეფე და ფეკახ რემალიაჰუს ძე“ (2 მეფ.15:37).
14. ახაზი. არ აკეთებდა მოსაწონს უფლის თვალში.
15. იეზიზკია. ხიზკიას მამა, ახაზი ძალზე ბოროტი მეფე იყო. მან დაკეტა უფლის სახლის კარები და შეაჩერა ყოველგვარი ჭეშმარიტი თაყვანისცემა. პირველი, რაც ხიზკიამ გააკეთა, უფლის სახლის კარის გაღება იყო. მან განმინდა შებილწული ჭურჭელი და შენობა შეაკეთა. მასზე ნათქვამია: „ყველაფერში სწორად იქცეოდა უფლის წინაშე, როგორც მამამისი დავითი. მან გააუქმა მალლობები, დაამსხვრია ქანდაკებანი და აჩეხა აშერა. მანვე დაამსხვრია მოსეს გაკეთებული სპილენძის გველი, რადგან ისრაელის ძენი იმ დღეებამდე უკმევდნენ და ნებსუმთანს უწოდებდნენ მას“ (2 მეფ.18:3-4). შემდეგ მან პასექის დღესასწაული აღადგინა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და როცა ხალხი უკან დაბრუნდა, „გავიდა ... იუდას ქალაქებში და დაამსხვრირეს სვეტები, აჩეხეს აშერები, დაანგრირეს მალლობები და სამსხვერპლოები მთელ იუდაში, ბენიამინში, ეფრემსა და მენაშეში, ვიდრე მთლიანად არ გაანადგურეს“ (2 ნემტ.31:1).

ხიზკიაზე ნათქვამია: „უფალს მიეკრა და მის კვალს არ განდგომია; იცავდა მის მცნებებს, რომელიც მოსეს პირით

ბრძანა უფალმა. ყველგან, სადაც გავიდოდა,

„უფალი იყო მასთან და გონივრულად იქცეოდა“ (2 მეფ.18:6-7). აშური გამოვიდა მის წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს უფლის ანგელოზი ჩამოვიდა მტრის ბანაკში და 185 000 მეომარი დახოცა. მეფისა და მისი ქვეშევრდომებისთვის სარგებლობა მოიტანა იმან, რომ ხიზკია ხალხში გავრცელებულ ცნობილ და ჩვეულ ცოდვებს დაუპირისპირდა.

16. მენაშე. სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.
17. ამონი. სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.
18. იოშია. ის უკიდურესად მორჩილი მეფე გახლდათ, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე წინამძღოლობაში. მასზე დაწერილია: „წავიდა მეფე უფლის სახლში და მასთან ერთად იუდას ყველა კაცი და იერუსალიმის ყველა მცხოვრები ... წაიკითხა მეფემ იმ აღთქმის წიგნის ყოველი სიტყვა, უფლის სახლში რომ იპოვეს(2 მეფ.23:2). მან განაახლა აღთქმა და მღვდლებს უბრძანა, მოემორებინათ უფლის სახლიდან ყოველგვარი ჭურჭელი, რომელიც ბაყალის, აშერას და სხვა ციური ძალების თაყვანსაცემად გამოიყენებოდა. მან დაწვა ისინი და ფერფლი კერპთაყვანისმცემელთა საფლავებზე მიმოაბნია.

ბევრი რამ არის აღწერილი იმ საქმეებიდან, რაც ამ მმართველმა მოიმოქმედა ცნობილი და ჩვეული ურჩობის აღსაკვეთად. ჩემს ბიბლიაში შემოვხაზე ყველა ადგილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ იოშიამ „გაყარა, გაიტანა, დაწვა, დაანგრია, წაბილწა, გაუშვა, მოაშორა, გადაყარა, წამსხვრევებად აქცია“ და ბევრი ამგვარი სიტყვა, რომლებიც იუდას ცნობილი ცოდვების საწინააღმდეგოდ იყო გამოყენებული. 2 მეფეთა წიგნის მხოლოდ 23-ე თავში ოცდახუთი ადგილი გამოვიდა. ამ მეფის შესახებ დაწერილია, რომ „არ ყოფილა მანამდე მისი მსგავსი მეფე, რომელიც უფლისკენ მთელი თავისი გულით, სულითა და ძალით მოიქცა, მოსეს რჯულის თანახმად და არც მის მერე აღმდგარა მისი მსგავსი“ (2 მეფ.23:25). ეს კარგად აისახა როგორც მეფის, ისე ხალხის ცხოვრებაში მთელი მისი მეფობის დროს.

19. იეჰოახაზი. სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.
20. იეჰოიაკიმი. სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.
21. იეჰოაშინი. სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.
22. ციდეკია. სწორად არ იქცეოდა უფლის თვალში.

მოდით, თავი მოუყაროთ მეფეების ამბავს: საბოლოო ჯამში, კარგად მიდიოდა იმ მმართველების საქმე, რომლებიც ღვთისმოსაობით ცხოვრობდნენ და თავიანთი ქვეშევრდომების ჩვეულ ცოდვებს (კერპთაყვანისცემას) უპირისპირდებოდნენ. ეს სასიამოვნო სურათი უცხო იყო იუდასთვის, როცა მას პირადი ღვთისნიერებით ცნობილი მეფე მართავდა, მაგრამ ხალხის ჩვეულ ცოდვებს უგულვებელყოფდა.

დღეს ეს უნდა ვისწავლოთ ეკლესიაში. ჩვენ პრობლემებს ვიქმნით, როცა ღვთის მადიებლებს ცოდვილის ზოგად ლოცვას ვთავაზობთ და ჭეშმარიტი მონანიებისკენ არ მოვუწოდებთ. რა მოხდება, თუ „ახალმოქცეულს“ ცოდვების მიტოვების არანაირი სურვილი არ აქვს? ასეთ შემთხვევაში ჩვენს თემში კერპთაყვანისმცემლებს ვუშვებთ.

ჩვენ, წინამძღოლები შეიძლება ღვთისმოსაობით ვცხოვრობდეთ, მაგრამ ხალხში არსებულ ცოდვის მალლობებს თუ არ დავუპირისპირდებით, შედეგებს მოვიმკით და ეს ზუსტად ის იქნება, რაც მეფეების შემთხვევაში დავინახეთ. შესაძლოა მოკლევადიან წარმატებას მივალნიოთ, მაგრამ დასასრული სამწუხარო იქნება. თავდაპირველად, ყველაფერი კარგად მიდიოდა რამდენიმე მეფის ცხოვრებაში, რომლებიც მათი ქვეშევრდომების ურჩობას არ ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ წინამძღოლობის ნაკლოვანებამ ბოლოს მაინც გამოიღო სავალალო შედეგი.

თუ ჩვენ სახარების გაზიარების არანააღმდეგობრივ გზას ავირჩევთ, თემში მხოლოდ კერპთაყვანისმცემლები შეგვრჩებიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ სწორად დგანან ღვთის წინაშე. ფაქტობრივად, ჩვენი უმოქმედობით თემში სულიერი კრიპრონიტის არსებობას ვუშვებთ.

## იბოძაქდე!

ძალზე გავრცელებულია მთლიანი სურათის გამორჩენა მხედველობის არიდან, როცა მხოლოდ დეტალებს ვაკვირდებით. ამ საკითხს ერთი გამოთქმაც შეეფერება – ტყვეს ვკარგავთ ხეების გამო. ამის გაკეთება ღვთის სიტყვის შესწავლის დროსაც შესაძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისტორიის ხანგრძლივ პერიოდებს ვაკვირდებით. ამ თავში მოყვანილი მაგალითის მიხედვით დროის შკალაზე კონკრეტული საკითხის მიდევნება ისეთ მიგნებას გვანჯდის, რომელსაც სხვაგვარად ვერ დავინახავდით. ის უფრო მასშტაბურ სურათს წარმოგვიდგენს.

ისრაელისა და იუდას ისტორიის მასშტაბური სურათი ის გახლავთ, რომ ღმერთი წარმატებას აძლევს წინამძღოლებს, რომ-

ლებიც საკუთარი ღვთისმოსაობის გარდა პასუხისმგებლობას იღებენ ყველაფერზე, რაც უფალმა მათ ძალაუფლებას დაუქვემდებარა.

შესაძლოა, თქვენ არ იყოთ მეფე ან დედოფალი. შესაძლოა, სამსახურშიც კი არ იყოთ მენეჯერი ან ზედამხედველი. მიუხედავად ამისა, აუცილებლად გექნებათ თქვენი ძალაუფლების სფერო. ის, თუ რა პასუხისმგებლობას აიღებთ ამ სფეროში და არა მხოლოდ თქვენს პირად ცხოვრებაზე, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ღვთის მოქმედებას თქვენდა სასარგებლოდ. სთხოვეთ ღმერთს, რომ გაჩვენოთ თქვენი ძალაუფლების არეალი და ამ ადგილას სამართლიანობის დასამყარებლად თქვენი პასუხისმგებლობა დაგანახოთ! ჩაინერეთ, რას გეტყვით იგი და შემდეგ სამოქმედო გეგმა დასახეთ!



# პროკტურნობის მონიტორინგის გეგმა

ნახილი 4





## დაპირისპირება

მოდი, დავინყოთ კრიპტონიტის, როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ისე თემში მოშორების მოგზაურობა, მაგრამ პირველ რიგში „თვალეში ჩაეხედოთ“ ამ სასიკვდილო ნივთიერების განადგურებაზე უარის თქმის შედეგებს.

საშუალო სკოლის მაღალ კლასებში სწავლისას სავალდებულო იყო ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის მიღების ორდლიანი კურსის გავლა, სადაც მათი გამოყენების საზარელ შედეგებს გვაცნობდნენ. ქრისტესთან შეხვედრამდე გიჟური დროსტარების წლების მიუხედავად, არალეგალურ ნარკოტიკებს არ გავკარებივარ, კურსებზე ნასწავლი შედეგების შიშმა დამიცვა.

რასაკვირველია, არსებობს არაჯანსაღი შიში, მაგრამ იესომ მისგან გაგვათავისუფლა. კიდევ არსებობს ღვთიური მოშიშება, რომელიც სკოლაში ნარკოტიკებზე გაგონილის მიმართ შიშის მსგავსია, რომელიც გვიცავს იმისგან, რაც ჩვენს ცხოვრებას შეინიარავს. წმიდა წერილი აცხადებს: „ამიტომ გვემინოდეს, რათა, ვიდრე მის სიმშვიდეში შესასვლელი აღთქმა რჩება, ვინმე თქვენგანი დაგვიანებული არ აღმოჩნდეს“ (ებრ.4:1). და „უფლის შიშით განერიდებიან ბოროტებას“ (იგ.16:6).

ამ თავში კიდევ ერთხელ მივმართავ ქრისტიან წინამძღოლებს. ამ სიტყვამ უნდა გამოგვაფხიზლოს, რადგან მორწმუნე „თავია და არა კუდი“ (2 რჯ.28:13). ყველა ჩვენგანი მოწოდებულია ღვთის სამეფოს ელჩობისთვის, რომელიც წინამძღოლობის მნიშვნელოვან პოზიციას წარმოადგენს.

წმიდა წერილის სინათლეზე განვიხილავთ ჩვენი დღევანდელი მსახურების სტრატეგია? რატომ ვყოყმანობთ ცოდვის მაღლობების დაპირისპირების საქმეში? ღვთის შეცნობის მოსურნე ადამიანებს ჩვენი იმედი აქვთ, რომ ჭეშმარიტებას გადავცემთ, ჩვენ კი არ ვეხებით საკითხებს, რომლებიც მათ ხელს უშლის

ნამდვილი ურთიერთობების შენარჩუნებაში. ნუთუ ამით ვიცავთ მათ? ვაცნობიერებთ კი, რომ საბოლოო ჯამში, მაძიებლებს ზიანს ვაყენებთ ჭეშმარიტების მიჩქმალვით? რატომ უნდა მოვატყუოთ ადამიანები, რომლებიც საუკუნო სიცოცხლის შესახებ სიტყვის მოსასმენად მოვიდნენ?

ეს არაფრით განსხვავდება ანჯელას შემთხვევისგან, როცა სათანადო გაფრთხილების გარეშე საეჭვო და რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამაც მისი ოჯახური ცხოვრება დააზარალა. რატომ უნდა ვაფიქრებინოთ ვინმეს, რომ ჩვევაში გადაზრდილი ცოდვა იესოსთან ურთიერთობაში უნდა შემოიტანონ? ეს შეუძლებელია. ამით ხომ არ ვთავაზობთ ურთიერთობას, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს? განა ეს ყალბი გადარჩენა არ არის?

მოდი, ამას სხვადასხვა კუთხიდან დავაკვირდეთ! განვიხილავთ მაძიებლობის შედეგებს მაშინ, როცა წინამძღოლები კრიპტონიტის დაპირისპირებაზე უარს ამბობენ და ბოლოს – შედეგებს საეკლესიო თემისთვის. საბოლოო შედეგები სამივე მათგანისთვის დამანგრეველია.

## მაქიუბლუბი

უნდა გვახსოვდეს, რომ არა რამდენიმე, არა ამაზე ცოტა მეტი, არამედ მრავალი მივა იესოსთან განკითხვის დღეს სრულიად დარწმუნებული, რომ ღვთის სამეფოში შესვლა დაიმსახურა, მაგრამ ამის ნაცვლად მოისმენს სიტყვებს: „გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო!“ (მათ.7:23).

ვინ არიან ეს ადამიანები? სპირიტუალისტები? სხვა რელიგიების წარმომადგენლები? კულტებში ჩაფლული ადამიანები? თუ იესოს სიტყვებს კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩინოთ, რომ ისინი ჩვენს შორის ცხოვრობენ; ისინი ჩვენს ეკლესიებში დადიან და ქრისტიანობას აღიარებენ. იესო ასე ამბობს: „ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო, როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს!“ (მათ.7:21). იგი ლაპარაკობს ადამიანებზე, რომლებიც მას უფალს უწოდებენ. იგი ჯოზეფ სმითს, მუჰამედს, ბუდას, ჰარი კრიშნას, კონფუციუსს, რას, სიკხს ან რომელიმე სხვა წინასწარმეტყველსა თუ ღვთაებას არ ახსენებს. არა, ეს ადამიანები, რომელთაც სამეფოში შემეგებაზე უარი უთხრეს, იესოს თავიანთ „უფალს“ უწოდებენ და ამას მგზნებარედ აკეთებენ.

რატომ მეორდება მუხლში ორჯერ სიტყვა „უფალი“? რო-

გორც ადრე აღვნიშნე, წმიდა წერილში სიტყვის ან ფრაზის ორჯერ გამეორება შემთხვევითი არ გახლავთ. ავტორს რაღაცის ხაზგასმა სურს. თუმცა ამგვარ შემთხვევებში ეს უბრალო ხაზგასმის კი არა, გაძლიერებული ემოციის მაჩვენებელია.

მაგალითად, მეფე დავითის რეაქცია ასეთი იყო, როცა იოაბის არმიის მიერ შვილის დასჯის ამბავი შეიტყო: „სახე დაიფარა მეფემ და ხმამალა მოთქვამდა: „შვილო, აბესალომ! შვილო, აბესალომ! შვილო!“ (2 სამ.19:4). სავარაუდოდ, დავითს „შვილო, შვილო!“ ორჯერ არ უთქვამს, მაგრამ ავტორმა მისი დიდი მწუხარების გამოხატვა სიტყვების განმეორებით სცადა, რომ მკითხველის ყურადღება მეფის ემოციებისთვის მიეპყრო.

ზუსტად ასე, უფალი მასთან მისული ადამიანების ძლიერ ემოციურ განწყობას გადმოგვცემს, რომელიც მის მიმართ აქვთ. ისინი არა მარტო ეთანხმებიან მოძღვრებას, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა, არამედ ემოციურადაც იხარჯებიან და რწმენაშიც გულმხურვალენი არიან. ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანებზე, რომლებსაც ახარებთ ქრისტიანობა და ენთუზიაზმით ლაპარაკობენ თავიანთ რწმენაზე.

მათ არა მარტო ღრმა ემოციური კავშირი აქვთ ქრისტიანობასთან, არამედ საეკლესიო მსახურებებშიც არიან ჩართულნი:

„ახლა ვხედავ ამას – განკითხვის დღეს ათასობით დადგებიან ჩემს წინაშე სიამაყის გრძნობით აღვსილნი: „უფალო, უფალო, განა შენი სახელით არ ვქადაგებდით?! განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით დაფინანსებულ პროექტებში ყველანი სიტყვით არ გამოვდიოდით? (მათ.7:22 MSG)

*The Message* პარაფრაზი საუკეთესოდ გადმოსცემს აზრს, რომ ეს ადამიანები განდგომილები არ არიან. ისინი უშუალოდ ჩართული იყვნენ ეკლესიის საქმიანობაში ან მხარს უჭერდნენ მას. ისინი საჯაროდ აღიარებდნენ სახარებისეულ რწმენას – „განა შენი სახელით არ ვქადაგებდით?“ ერთი სიტყვით, ისინი ადამიანთა ცხოვრების ცვლილების ნაწილს წარმოადგენდნენ.

ეს პარაფრაზული ვერსია იყენებს სიტყვას „ათასობით“. როგორც არ უნდა იყოს, თარგმანთა უმეტესობაში მოცემულია სიტყვა „მრავალი“. ბერძნულ დედანში მოცემულია სიტყვა „პოლუს“, რომელიც აღნიშნავს „დიდ რაოდენობას, დიდ რიცხოვნობას“ და ხშირად, ის გამოიყენება მნიშვნელობით „უმეტესად“. ნებისმიერ შემთხვევაში, იესო ადამიანთა პატარა

ჯგუფზე არ ლაპარაკობს, არამედ ძალზე დიდი რაოდენობაზე. ფაქტობრივად, სრულიად შესაძლებელია, რომ ეს იყოს სრული რაოდენობის უმეტესი ნაწილი.

მოდით, შევაჯამოთ! იესო მიმართავს ადამიანებს, რომლებსაც სახარების სწავლების სწამთ: ისინი მას უფალს უწოდებენ, ემოციურად იხარჯებიან, საჯაროდ ქადაგებენ და აქტიურ ქრისტიანულ ცხოვრებას ეწევიან. მათში ადვილად ამოვიცნობთ ნამდვილ ქრისტიანებს. ამრიგად, რა არის დამამორებელი ფაქტორი? რით განსხვავდებიან ისინი ჭეშმარიტი მონაწილეებისგან? იესო გვეუბნება: „მაშინ მე განვუცხადებ მათ: არასოდეს მიცნისართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა!“ (მათ.7:23).

ცხადი საკვანძო განაცხადია „ურჯულო ქმედებები“. პირველი, რა არის ურჯულოება? ეს არის ბერძნული სიტყვა „ანომია“. *Thayer's Greek Dictionary* მას ასე განსაზღვრავს: „რჯულის გარეშე [ყოფნის] ვითარება მისი არცოდნის ან დარღვევის გამო“. მარტივად რომ ვთქვათ, ურჯულოებაში მცხოვრები ადამიანისთვის ღვთის სიტყვა ავტორიტეტული არ არის. იგი რეგულარულად სცოდავს ნამდვილი მონანიების გარეშე. ასეთ პიროვნებას შეიძლება თანამედროვე კერპთაყვანისმცემელი ეწოდოს.

ამრიგად, ურჯულოება კრიპტონიტის ერთგვარი ფორმაა.

ასეთი კაცები და ქალები გარკვეული პერიოდულობით კი არ ნაბორძიკდებიან, არამედ ჩვევაში აქვთ გამჯდარი ღვთის სიტყვის თავიდან აცილება, უგულებელყოფა, უარყოფა და დაუმორჩილებლობა. ისინი უღვთოდ ცხოვრობენ – ზოგიერთისთვის წმიდა წერილის ადგილები იმას არ გულისხმობს, რასაც ამბობს; სხვებისთვის წმიდა წერილის ზოგიერთი ადგილი დღეს უკვე მოძველებულია და უმრავლესობა არაბიბლიური მადლის მფარველობას იჩემებს.

ჩემდა სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ მათი ცოდვაში ცხოვრების ერთ-ერთი მიზეზი ეკლესიის წინამძღოლების მიერ ჭეშმარიტი მონანიების მოწოდებაზე უარის თქმა გახლავთ – ისინი არასოდეს დაპირისპირებიან თემში არსებულ ჩვეულ ცოდვებს. იმ ადამიანებისთვის არავის უთქვამს, რომ შეუძლებელი იყო მათი კერპების (საყვარლების) შემოტანა იესო ქრისტესთან აღთქმით ურთიერთობაში. ჭეშმარიტად მადლისმიერი გადარჩენა რომ მიეღოთ, არა მხოლოდ ამაზე ფიქრს შეიზიზღებდნენ, არამედ ცნობილი და განმეორებადი ცოდვებისგან თავს შორს დაიჭერდნენ. ისინი თავიანთ ხორცს ჯვარს

გაკრავდნენ ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად და ღვთიური ბუნების შექმნას და ნაყოფების მოტანას შეეცდებოდნენ. ეს გახლავთ ჭეშმარიტი მორწმუნის ნიშანი.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ იესო ასე ამბობს: „არასოდეს მიცნობარ“. სიტყვა „ცნობა“ გახლავთ ბერძნული სიტყვა „გინოსკო“, რაც ნიშნავს „ძალზე ახლოს და სიღრმისეულ გაცნობას“. მათ არასოდეს ჰქონიათ ღმერთთან ნამდვილი ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ იესოს „მოძღვარსა“ და „უფალს“ უწოდებდნენ, მათთვის ეს მხოლოდ ტიტულები იყო და რეალურად, მას არასოდეს დამორჩილებიან. ღმერთთან ადამიანის ნამდვილი ურთიერთობის დასტური უფლის სიტყვის მორჩილება გახლავთ:

„იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ ვიცავთ მის მცნებებს. ვინც ამბობს, შევიცანიო იგი, მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და ჭეშმარიტება არ არის მასში“. (1 იოან.2:3-4)

ეს განცხადება სრულად შეესაბამება იესოს მთაზე ქადაგების დასაწყისს: „მათი ნაყოფით იცნობთ მათ“ (მათ. 7:20). ქმედებები, რომლებზეც იესო ლაპარაკობს, არ გახლავთ: ქრისტიანული მსახურება, ქადაგება ან ეკლესიაში სიარული, რადგან ზეცის გზიდან განდგომილ ადამიანებსაც შეიძლება ჰქონდეთ იგივე მახასიათებლები. დღეს უმრავლესობა ღვთის შვილად ჩათვლის მას, ვინც იესოს „უფალს“ უწოდებს, მისი მოძღვრების სწამს, ემოციურად ჩართულია და აქტიურად მონაწილეობს ქრისტიანულ მსახურებებში.

ნება მომეცით, სათქმელი ასე გამოვხატო: თქვენ აუცილებლად იპოვით ამ თვისებებს ნამდვილ მორწმუნეში. ფაქტობრივად, ადამიანი ნამდვილი მორწმუნე ამის გარეშე ვერ იქნება. და მაინც, მხოლოდ ამ თვისებების ქონა არ ნიშნავს, რომ პიროვნება ღვთის შვილია. გადამწყვეტი კითხვა ასეთია: მოინანიეს თუ არა გაცნობიერებული და ჩვევაში გადაზრდილი ცოდვები და მთელი გულით ეძიებენ თუ არა ღვთის მორჩილებას? ლაკმუსის ქაღალდით შემოწმება ამგვარი იქნება: *ამ ადამიანებისთვის ღვთის სიტყვები „ნადი და აღარ შესცოდო!“ არჩევითია თუ სავალდებულო?* (იხ. იოან.5:14)

## ბალამცემაზი

მოდით, წინამძღოლების ანუ სახარების გადამცემების საბოლოო შედეგებზე ვისაუბროთ! შემადრწუნებელია წმიდა წერილში წარმოთქმული განაჩენი მასზე, ვისაც ღვთის სიტყვა მიენდო, მაგრამ ჭეშმარიტების დამაპირისპირებელი ასპექტების გადაცემას თავს არიდებს. დაკვირვებით ნავიკითხოთ ღვთის გაფრთხილება მისი მაცნეებისადმი:

„როცა ბოროტმოქმედს ვეტყვი: უსათუოდ მოკვდები-მეთქი, მაგრამ შენ არ გააფრთხილებ და არაფერს ეტყვი, რომ თავის ბოროტ გზას ჩამოშორდეს და იცოცხლოს, მოკვდება ბოროტმოქმედი თავის ურჯულოებაში, ხოლო მის სისხლს შენგან მოვიკითხავ! მაგრამ თუ გააფრთხილებ ბოროტმოქმედს, ის კი არ მოიქცევა თავისი ბოროტებიდან და ბოროტი გზიდან, ის თავის ურჯულოებაში მოკვდება, შენ კი თავს იხსნი. ხოლო როცა მართალი თავისი სიმართლისგან მიიქცევა და ურჯულოებას ჩაიდენს, დაბრკოლებას დაუდებ წინ და მოკვდება, რადგან არ გააფრთხილებ. თავის ცოდვაში მოკვდება ის და მართალ საქმეებს, მან რომ მოიძოქმედა, აღარ გაიხსენებენ; მის სისხლს კი შენგან მოვიკითხავ. თუ გააფრთხილებ მართალს, რომ არ შესცოდოს მართალმა და ისიც არ შესცოდავს, უსათუოდ იცოცხლებს, რადგან მიიღო გაფრთხილება, შენ კი თავს იხსნი“. (ებეკ.3:18-21)

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რამდენად ხშირად არის გამოყენებული სიტყვა „გაფრთხილება“. ნება მომეცით, გულწრფელი კითხვა დაუუსვა მწყემსებს, წინამძღოლებს და ყველა მორწმუნეს, რადგან ყველა ჩვენგანს აქვს დავალებული დაღუპული ადამიანებისთვის სახარების მიტანა და ცოდვაში მყოფთა სიყვარულით მხილება. გინდათ, პასუხისმგებლობა იტვირთოთ იმ ადამიანებზე, რომლებსაც აფიქრებინეთ, რომ ღვთის წინაშე სწორად დგანან და სინამდვილეში ასე არ არიან, რადგან ჩვევაში გადაზრდილი ცოდვის წინააღმდეგ გაფრთხილება დაუკავებთ? ისინი გადარჩენის შესახებ ცრუ დაცულობის გრძნობას შეეფარნენ, მაგრამ თქვენ მათ არ აფრთხილებთ ცოდვების მოშორებაზე, ამიტომ ერთ დღესაც გაიგონებენ სიტყვებს: „გამშორდით!“

შეიძლება ეს მოხდეს იმ მიზეზით, რომ სახარების სწორად ქადაგება ნიშნავს: „შევაგონოთ და ვასწავლოთ ყოველ ადა-



მიანს ყოველგვარი სიბრძნე, რათა ყოველი კაცი წარვადგინოთ სრულქმნილად ქრისტე იესოში“ (კოლ.1:28). ჩვენ არა მარტო უნდა ვასწავლოთ, არამედ უნდა გავაფრთხილოთ კიდეც.

იფიქრეთ, რა გააცხადა ღმერთმა ამ მუხლებში: „მე თქვენ გაკისრებთ მათ სიკვდილზე პასუხისმგებლობას“. გიფიქრიათ ფაქტზე, რომ ჩვენი დაუდევრობის შესახებ მარადისობაში გავიგებთ? ესაია გვეუბნება, რომ ახალ ცასა და ახალ დედამიწაზე

„ახალმთვარიდან ახალმთვარემდე, შაბათიდან შაბათამდე, მოვა ყოველი ხორციელი თაყვანსაცემად ჩემს წინაშე! - ამბობს უფალი. გამოვლენ და დაინახავენ ჩემს წინააღმდეგ შემცოდე ადამიანთა გვამებს, რადგან მათი მატლი არ მოკვდება და მათი ცეცხლი არ ჩაქრება. და შესაზიზღი იქნებიან ყოველი ხორციელისთვის!“.  
(ეს. 66:23-24)

ნუთუ გგონიათ, რომ „პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი“ დაივიწყებს მათ, რომლებიც ცეცხლის ტბაში იწვიან მისი დაუდევრობის გამო?

თუ ჩვენი ფილოსოფია ადამიანების ისეთი სახით მიღებაში მდგომარეობს, როგორებიც არიან, ყოველგვარი მონანიებისგან დაცლილი „ცოდვილის ლოცვის“ და ზეცის დამკვიდრების ყალბი იმედის შეთავაზებით, რა იქნება შედეგი? ამით ჩვენს მსმენელებს ცრუ დაცულობის გრძნობას ვთავაზობთ და ნამდვილი მონანიების მოტივაციას ვუკარგავთ. ზედმეტია თქმა, რომ ჩვენ დავაკვირდებით მათ, ვინც გზას ავაცდინეთ „უკიდურესი თავზარდაცემით“.

გაიხსენეთ პავლეს საყურადღებო სიტყვები: „ამიტომ გიმონებთ თქვენ ამ დღეს, რომ უბრალო ვარ ყველა სისხლისგან. რადგან არაფერი დამიკავებია და ღვთის სრული ნება განგიცხადეთ“ (საქმ.20:26-27). პავლემ კარგად იცოდა, რას ამბობდა ღმერთი ეზეკიელის მეშვეობით მისი სიტყვის ნებისმიერი გადამცემის მიმართ. თუ სრულად არ ვილაპარაკებთ მის გზებზე, პასუხისმგებლობა დაგვეკისრება და ეს ჩვენი ბრალი იქნება. შესაძლოა, ამიტომაც გვწერს იაკობ მოციქული:

„ჩემო ძმებო, ბევრნი ნუ გახდებით მასწავლებლები, რადგან იცოდეთ, რომ ასეთები უფრო მეტად განვისჯები“.(იაკ.3:1)



ეს სიტყვები იმისთვის არ არის მოცემული წმიდა წერილში, რომ უგულბებლვყოთ ან ზედაპირულად მოვეკიდოთ. ღმერთი გვევადრება, რომ მისი სიტყვები არ ჩავახშოთ და არც გულგრილობა გამოვიჩინოთ მისი მოწოდების მიმართ ჩვევაში გამფადარი ცოდვის მონანიების საქმეში. იგი ამას როგორც წინამძღოლის, ისე მაძიებლის გულისთვის ამბობს. მას ვუყვარვართ, მაგრამ იგი წმიდა ღმერთია და არ შეუძლია მის თანდასწრებაში ცოდვის ბუნების არსებობა დაუშვას. მან საამისოდ გზა გაკვალა; მან უმაღლესი საფასური გადაიხადა ჩვენი დახსნისა და ძალით აღჭურვისთვის, რომ ცოდვისგან განთავისუფლებულეზ გვეცხოვრა. როგორ გავექცევით სასჯელს თუ უარვყოფთ სწავლებას ან ეგზომ დიდებულ გადარჩენას?

ნუთუ მართლა ღირს მახარებლური თხოვნის მიტოვება, რისკენაც ახალი აღთქმა ცხადად მოგვინოდებს? ახალი აღთქმის ბოლო წიგნში ვკითხულობთ: „თუ ვინმე რამეს მოაკლებს ამ წინასწარმეტყველების წიგნის სიტყვებს, ღმერთი წაართმევს მას წილს სიცოცხლის ხიდან, წმიდა ქალაქიდან და იქიდან, რაც ამ წიგნშია ჩანერილი (გამოცხ. 22:19). როგორ შეგვიძლია ამ გაფრთხილების უგულბებლვყოფა? როგორ შეგვიძლია, არ გაფუზიაროთ ნამდვილი გადარჩენის პირველი ნაბიჯი – ცოდვების მონანიება – მათ, ვინც ჩვენგან ჭეშმარიტების გადმოცემას ელოდება?

იქნებ გვგონია, რომ ღმერთზე მეტი ვიცით? იქნებ ვფიქრობთ, რომ უფრო მნიშვნელოვანია ეკლესიაში მაძიებლის რეგულარული დასწრების მიღწევა და შესაძლოა, სამომავლოდ ცოდვებისგან განშორებაში მისი დარწმუნება? და მაინც, რეალობა ასეთია: თუ პიროვნებას ერთხელ უკვე უთხრეს, რომ გადარჩენა მიღებული აქვს, რადგან ცოდვილის ლოცვით ილოცა და „ზეციური ოჯახის“ წევრი გახდა, მოგვიანებით რატომ უნდა იგრძნოს მონანიების აუცილებლობა? ასეთები ხომ უკვე „შიგნით“ არიან და „მაღლი იფარავთ“.

ჩარლზ ფინეი დიდი მახარებელი გახლდათ. მისი მსახურება იმდენად ძალმოსილი იყო, რომ ზოგჯერ ამის გამო პატარა ქალაქები ჩერდებოდნენ, ერთ შემთხვევაში კი მთლიანმა როჩესთერ-სითიმ (ნიუ იორკი) შეწყვიტა ყოელგვარი ბიზნეს-საქმიანობა მისი შეკრებების ძალის გამო. იყო შემთხვევები, როცა იგი ცოდვების მონანიებას ქადაგებდა და ყოველ საღამოს მიყოლებით ლოცულობდა ღვთის მაძიებლების სულების სახსნელად, სანამ მათ კიდევ შეეძლოთ თავის შემაგრება თავიანთ სკამებზე. დრო გადიოდა და იგი ჯერ კიდევ არ ლოცულობდა

მათთან ერთად გადარჩენის მისაღებად. ბოლოს, რამდენიმე საღამოს შემდეგ, იგი რაღაც ამდაგვარს იტყოდა: „თუ თქვენ ქრისტიანად გახდომა გწყურიათ, დღევანდელი შეკრების შემდეგ „გამოკითხვის კუთხეში“ მობრძანდით!“

მრავალმა ათასმა ადამიანმა მიიღო გადარჩენა იმ შეკრებებზე და ისტორია გვაჩვენებს, რომ იმ დროს მოქცეულთა 90 % რწმენის ერთგული დარჩა. დღეს ანალოგიური სტატისტიკური მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. მისი წარმატება დიდი იყო, რადგან ყოველთვის ითვალისწინებდა ახალი აღთქმის სწავლებას; მან იცოდა, რომ ბიბლიის მეთოდები უტყუარია.

## თავი

ახლა სინათლეზე გამოდის ის, რაც ამ წიგნის დასწავლის დაფარული იყო. თუ გადარჩენას შევთავაზებთ განუწყვეტელ ცოდვაში მცხოვრებ ადამიანებს, ჩვენს თემში ცოდვის საფუარს შემოვუშვებთ. ნებისით ცოდვა სწრაფად ვრცელდება და ზეგავლენას ახდენს, როგორც ცალკეულ მორწმუნეებზე, ისე მთელ თემზე კრიპტონიტის მსგავსად, რომელიც სუპერმენს აუძლურებდა.

ცოდვასთან დაპირისპირების გარეშე ჩვენს ეკლესიებს, მორწმუნეთა თემს და შედეგად, მთელს დაბებს, ქალაქებსა და ერებს ვასუსტებთ, რომ არ იხილონ ღვთის დიდება. პირველი ეკლესია მთელ ქალაქებსა და რეგიონებს ცვლიდა ღვთის დიდების ძალით. რატომ არ ვცვლით ჩვენს თემს ოცდამეერთე საუკუნეში? ჩვენ ხომ მოწინავე ტექნოლოგიური საშუალებები გვაქვს პირველ ეკლესიასთან შედარებით, რომ ეფექტურად მივალწიოთ დაღუპულ ადამიანებამდე.

რატომ ყვავის ამერიკასა და დანარჩენ დასავლურ სამყაროში აბორტები, ლალატი, სქესობრივი უზნეობა, ჰომოსექსუალობა და სქესთა აღრევა? ამის მიზეზი ჩვენი საზოგადოებების უფრო მეტად განვითარება როდია. ანალოგიური მზარდი ურჯულოება შეინიშნებოდა ეკლესიის სულიერი გაცივებისას მეოთხე და მეხუთე საუკუნეებში. რომაულ საზოგადოებაში ქრისტიანობის პოპულარიზაციასთან ერთად ეკლესია ქვეყნიერებას დაემსგავსა და მისი ნაყოფიერება იქამდე მცირდებოდა, სანამ ე. წ. ბნელი შუა საუკუნეები არ მოვიდა.

პირადად მე არ მინდა, რომ ეს ისევ განმეორდეს და ვიცი, რომ მრავალი წინამძღოლი ამ აზრს იზიარებს. ჩვენ უკან არ დავიხვეთ სრული ჭეშმარიტების გაცხადებისგან სიყვარულით და თანაგრძნობით.

გთხოვთ, შემოგვიერთდით და გადანყვიტეთ ჭეშმარიტების გახმიანება ეკლესიაში, იქნება ეს პოპულარული ნაბიჯი თუ არა, მიიღებენ თუ არ მიიღებენ! ილაპარაკეთ უფლის სიტყვა, რომელიც ცვლილებას მოუტანს ადამიანებს, თემებს, ქალაქებსა და ერებს. სხვა რამის კეთება მოყვასის სიყვარულზე უარის თქმას ნიშნავს.

## იმოქმედე!

ქრისტეს სხეულში არ არსებობს როლი, რომელშიც ცოდვის შედეგების დაფარვას შეძლებთ. ის არა მარტო წინამძღოლებს ვნებს, არამედ ერთი ადამიანიდანაც კი შემოდის, რომელიც მას თავის ცხოვრებაში დაუშვებს. ცოდვაზე ჩვენი ღუმილი ადამიანებს ანგრევს და მათ სიკვდილზე პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ბოლო წინადადება, მაგრამ, პირველ რიგში, ჩემი ღუმილი ცოდვასთან დაკავშირებით, ადამიანებს ანადგურებს და მათ სიკვდილზე პასუხისმგებლობას მე მაკისრებს. რამდენჯერმე ხმამაღლა გაიმეორეთ ის და თქვენში ღრმად შეღწევის საშუალება მიეცით. დაე, ეს ჭეშმარიტება თქვენს გულსა და გონებაში დაფუძნდეს!

ღმერთი პასუხს მოგთხოვთ ამ საკითხში. ვერ შევძლებთ ცოდვის მიჩქმალვას. რას ფიქრობთ, როგორი სახე აქვს მას თქვენს ცხოვრებაში? როგორ ცვლის ის თქვენს ქორწინებას ან მშობლობას? როგორ შეცვლის ის ადამიანებთან ან თქვენს ეკლესიასთან საუბარს? სთხოვეთ ღმერთს პასუხი ამ კითხვებზე მანამ, სანამ ნათელი წარმოდგენა არ შეგექმნებათ, თუ როგორ უნდა იცხოვროთ ამ ჭეშმარიტებით! შემდეგ მოძებნეთ სანდო მეგობარი და მას ელაპარაკეთ თქვენს გეგმაზე, თუ როგორ მოიშორებთ მას!

## შენყნარება

მოდი, ჩვენი აღმდგარი მეფის მიერ ნათქვამ სიტყვებს მივუბრუნდეთ.

იესო აზიის შვიდ ეკლესიას მიმართავს ბიბლიის ბოლო წიგნში. მისი სიტყვები მხოლოდ ისტორიულ ეკლესიებს რომ ეკუთვნოდეს, ბიბლიაში არ ჩაინერებოდა. წმიდა წერილში მათი ჩართვა მიმართვის წინასწარმეტყველურ ხასიათზე მიუთითებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი დღეს ჩვენც გვებება, როგორც იმ დროს, როცა წარმოითქვა.

ღვთის სიტყვა ცოცხალია, ამიტომ იესოს განაცხადს ისე შევხედავთ, როგორც ყველა ჩვენგანის მიმართ ახლანდელ დროში ნათქვამ სიტყვებს. ამრიგად, თუ ფეხსაცმელი გვერგება, უნდა ჩავიცვათ კიდევ – ან მისი ქებით გავძლიერდებით, ან მისი სიყვარულით სავსე შესწორებით გავინწორთებით.

### ვინ არის იეზაბელი?

ისტორიული ეკლესია, რომელსაც ყურადღებას მივაპყრობთ, თიატირა გახლავთ. იესო დასაწყისში თავის თავს ასე უწოდებს: „ძე ღვთისა, ვისი თვალებიც ცეცხლის აღს წააგავს, ხოლო მისი ფეხები ელვარე სპილენძითაა“ (გამოცხ.2:18). ამ განცხადების განმარტება შემდეგნაირად შეგვიძლია. მისი თვალები ლაზერის სხივივით არის, რომელსაც საკითხის სიღრმის დანახვა შეუძლია, ხოლო მისი ფეხები ხალასი სპილენძია და მის ყოვლისშემძლე ძალას აღწერს.

სასიხარულოა, რომ იესო ჩვენი ქებით იწყებს: „ვიცი შენი საქმეები, სიყვარული, რწმენა, მსახურება და მოთმინება; და რომ შენი უკანასკნელი საქმეები პირველზე მეტია. (გამოცხ.2:19). ერთი რამ სრულიად აშკარაა: იგი არ მიმართავს მკვდარ ეკლესიას, არამედ ცოცხალსა და მზარდს.

იგი ჩვენი სიყვარულის აღიარებით და შექებით იწყებს. ეკლესიის ან მსახურების კვდომისას, პირველ რიგში, ღვთისა და ადამიანების მიმართ სიყვარული მცირდება და ცივდება. ეს სავალალო მდგომარეობა, საბოლოო ჯამში, სიმართლის სხვა ნაყოფებსაც აკვდინებს.

გასაკვირი არ არის, რომ ეფესოს პირველ ეკლესიას უფალი სწორედ ამ საკითხში საყვედურობს – მათ მიატოვეს პირველი სიყვარული. თუმცა თიატირას შემთხვევაში ასე არ გახლდათ. იესო აქებს ამ ეკლესიას სიყვარულის გამო. იგი აღიარებს, რომ მორწმუნეთა თემი ერთმანეთზე მზრუნველი წევრებისგან შედგება და ეს მეტად მნიშვნელოვანია ღვთის თვალში. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ იესო სწორედ ამიტომ გვინონებს ერთმანეთის მიმართ სიყვარულს, სანამ რაიმე სხვა საკითხს შეეხებოდეს, მაგალითად, ჩვენს რწმენას, მსახურებას ან მოთმინებას.

მეორე გასაოცარი რეალობა ის გახლავთ, რომ ეს ეკლესია სიყვარულში, რწმენაში, მსახურებასა და მოთმინებაში იზრდება. შესანიშნავია! „შენარჩუნება“ ის სიტყვა არ არის, რომელიც ამ მორწმუნეებს მიესადაგებათ. ისინი განუხრელად იზრდებიან ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით. *The Message*-ის პარაფრაზირება მშვენიერია: „ვხედავ ყველაფერს, რასაც ჩემთვის აკეთებთ. შთამბეჭდავია! სიყვარული და რწმენა, მსახურება და მოთმინება. დიახ, ძალზე შთამბეჭდავია! ყოველდღიურად უმჯობესდებით ამ საკითხებში“. ნებისმიერი წინამძღოლი თუ ეკლესიის წევრი სიხარულით აივსებოდა, თავად უფლისგან რომ მოესმინა მსგავსი სიტყვები.

მოულოდნელად იესოს ლაპარაკში შესწორება ისმის:

„მაგრამ შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ თავის ნებაზე უშვებ დედაკაც იეზაბელს, თავის თავს წინასწარმეტყველს რომ უწოდებს, და ასწავლის და აცდენს ჩემს მორჩილთ, რომ იმეძაონ და კერპთშენანირი ჭამონ“.  
(გამოცხ.2:20)

რამდენი რამ არის გასაგები ამ სიტყვებში. უპირველესად, გადავხედოთ სახელს, *იეზაბელი*. ეს სახელი რეალურია თუ ისტორიულია? ბიბლიის განმარტებების უმრავლესობის მიხედვით – არა. *The New American Commentary: Revelation* აცხადებს: „სახელი იეზაბელის ხსენების ვერც ერთ შემთხვევას ვერ ვხედავთ იმ დროის ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში ... რო-

მელიმე ებრაელს რომ თავისი ასულისთვის იეზაბელი დაერქმია, იმაზე ნაკლებ სავარაუდოა, ვიდრე ქრისტიანების მიერ ბავშვისთვის – იუდას ან ებრაელების მიერ იესოს დარქმევა პირველი საუკუნის მომდევნო ეპოქაში“. ამკარაა, რომ *New Living Translation*-ის მთარგმნელები ამ მოსაზრებას ემხრობიან, რადგან იესოს სიტყვები ასეა გადმოცემული: „იმ იეზაბელს“.

სახელის ასე მოხსენიება ძალიან ჰგავს თქვენ მიერ მუდამ მასხარა პიროვნების ხსენებას – „ის მასხარა“. ეს მათი საკუთარი სახელი როდია, არამედ უფრო მათი რეგულარული ქცევის აღწერა.

გაცილებით დასაჯერებელია, რომ ლაპარაკია გავლენიან, ისტორიულ პიროვნებაზე, რომელიც „იეზაბელად“ მონათლეს, მაგრამ ეს მისი ნამდვილი სახელი არ არის. მას დიდი გავლენა ჰქონდა და საბოლოოდ, წინამძღოლთა ერთიანმა ჯგუფმა მისი სიტყვები უკვდავყო. დღევანდელ მსოფლიოში ეს შეიძლება იყოს რომელიმე კაცი, ქალი ან უფრო სავარაუდოა, წინამძღოლთა ჯგუფი, რომელთა წევრები ერთიან მოძღვრებას იზიარებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, არსებითი ის გახლავთ, რომ მსახურთა ამგვარმა ფილოსოფიამ მთელი ეკლესია მოიცვა.

რატომ უნოდებდა უფალი ამ საერთო სახელს? როგორც ჩანს, მისი ნაყოფი იეზაბელის, ისრაელის მეფე ახაბის ცოლის ნაყოფის ანალოგიური იყო. ამ ისტორიის შესახებ მეფეთა წიგნში ვკითხულობთ. ბევრი რამ შეიძლება ითქვას ხსენებული ისტორიული დედოფლის შესახებ, მაგრამ ჯერ მის მიერ ისრაელზე მოხდენილ გავლენას გადავხედოთ. იგი კერპთაყვანისმცემლობის მტკიცე მხარდამჭერი იყო, რის შედეგადაც უფლის სიტყვა ჩახშობილ იქნა თემში, ისრაელ ერში. წინამძღოლები თანდათან ჩაჩუმდნენ, ხოლო ერის დარჩენილი ნაწილი იმდენად უმოქმედო შეიქნა, რომ გარინდებამ მოიცვა. მხოლოდ ერთი ადამიანი, ელია აღმოჩნდა ის, ვინც მათ წინააღმდეგ გამოვიდა.

იეზაბელის გავლენა ამკარა ხდება, როცა ელია ერს უპირისპირდება და არჩევანის გაკეთებას სთხოვს ღვთის მორჩილებასა და ცოდვაში ცხოვრებას შორის. ამას იგი „მსახურების“ წინაშე აკეთებს, რომლებიც დედოფლის ხელის შემყურენი არიან – ბაყალისა და ამერას წინასწარმეტყველები. ეს ადამიანები იყვნენ ელიასდროინდელი მედია, მთავრობაზე ზეგავლენის მოსურნე ჯგუფები, კანონმდებლები, ადვოკატები და ა. შ. მთელი ერი შეიკრიბა და ელიამ ამ „ელიტის“ წინაშე ხალხი გამოინვია:

„როდემდე უნდა მერყეობდეთ ორ აზრს შორის? თუ უფალია ღმერთი, მის კვალს გაჰყევით! მაგრამ, თუ ბაყალია [ჩვეული ცოდვა] – მაშინ მის კვალს გაჰყევით!“  
(1 მეფ. 18:21)

ღვთის გზაზე სიარული უფრო მეტია, ვიდრე ჩუმი რწმენა. ჩვენ მისი სიტყვა უნდა გავაცხადოთ; ჩვენ ელჩები გვეწოდა. როგორ ხდება ეს? პავლემ ამაზე ნათლად ილაპარაკა:

„გაცხადე და დაჟინებით იქადაგე სიტყვა! შეინარჩუნე ამ საქმის გადაუდებლობის შეგრძნება [ყოველთვის მზად იყავი] მოსახერხებელ და მოუხერხებელ დროს, ადამიანთაგან მიღების თუ მიუღებლობის დროს! შენ, როგორც სიტყვის მქადაგებელმა ხალხს უნდა აჩვენო, რაშია არასწორი მათი გზები“. (2 ტიმ.4:2 AMPC)

ელია ერთადერთი ადამიანი იყო ისრაელში, რომელსაც სხვები საკმარისად უყვარდა იმისთვის, რომ მათი არასწორი ცხოვრება საამკარაოზე გამოეტანა.

იეზებელის ზეგავლენამ წინამძღოლებსა და საზოგადოებაში შიში დათესა. ახლა ისინი გაჩუმდნენ, ლეთარგიას მიეცნენ, დაშინდნენ და *იაჰვეს სახელით* ლაპარაკის სურვილი დაკარგეს. ჩვევაში გამჯდარმა ცოდვამ იმძლავრა და ღვთის სიტყვა უგულბებელყოფილ იქნა. ანალოგიური შედეგის დასაწყისს ვხედავთ ახალ აღთქმის ეკლესიაში. იესო ამას არ უშვებს და პოულობს მსახურს – იოანე ნათლისმცემელს – ელიასგან არცთუ განსხვავებულ ადამიანს, რომელიც ხმამაღლა ილაპარაკებს.

## ნამდვილი პრობლემა

ახლა უნდა ვიკითხოთ, იესო თიატირის ეკლესიას ფიზიკურად ჩადენილი სექსუალური უზნეობისა და კერპშენაწირის ჭამისთვის კიცხავდა თუ არა. ეს ვერსიაც დასაშვებია, მაგრამ მე ამგვარი განმარტებისგან თავს შევიკავებდი, რადგან კერპშენაწირის ჭამას პავლე არ კრძალავდა ორი ეკლესიისადმი მიწერილ წერილებში (იხ. რომ.14 და 1კორ.10). რატომ უნდა ეწოდებინა იესოს ბოროტება იმისთვის, რასაც პავლე სულიწმიდის შთაგონებით იწონებდა? ერთი სახელგანთქმული ბიბლიური განმარტება შემდეგ აზრს გვანვდის: „რაც შეეხება ადამიანთა ჩართულობას სექსუალურ უზნეობაში, საკმაოდ



ბევრი განმმარტებელი ამას ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევს, რადგან ეკლესიაში არ დაუშვებდნენ ამგვარი ცოდვის არსებობას. უფრო საფიქრებელია, რომ ხსენებულ მიმართვაში ლაპარაკია სულიერ და/ან დოქტრინალურ ორგულობაზე“ (*The New American Commentary: Revelation*).

როგორც არ უნდა იყოს, იესოს საყვედურის ობიექტი არც ერთი ეს ფაქტი არ გახლავთ. მოქმედება, უფრო სწორად, უმოქმედობა, რაზეც იესო ყურადღებას ამახვილებს და ჩვენც მას უნდა მივბადოთ, არის *შენიშვნა*. იგი ამბობს, „ნებაზე უშვებ“. აქ გამოყენებულია ბერძნული სიტყვა „ეაო“. *Handbook on the Revelation to John* დეტალურად განმარტავს მას: „მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს როგორც დადებითი კუთხით – „ნებას რთავ“, ასევე უარყოფითად „არ უკრძალავ“, „არ შეაჩერებ“, „არ აღმოფხვრი“.

როცა ამაზე ფიქრობ, წარმოუდგენელი გეჩვენება. იესო მიმართავს დამნაშავეს ან ჩვენს დღევანდელობაში, დამნაშავეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთი მოძღვრების გადაცემას, რომელსაც ღვთის ერი კერპთაყვანისცემის (ჩვევაში გადაზრდილი ცოდვის) ცდუნებაში შეჰყავს. იგი ნათლად აცხადებს: „მე მივეცი დრო, რომ მოენანიებინა, მაგრამ არ სურს მოინანიოს თავისი მეძაობა“ (გამოცხ.2:21). ნათლად ჩანს, რომ სხვა გაფრთხილებებიც ყოფილა, მაგრამ არ გაუთვალისწინებიათ.

ახლა იესო მკაცრად საყვედურობს ყველას, ვინც ამ ცოდვის არსებობა დაუშვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ არ ვუპირისპირდებით ცოდვას. ამის ნაცვლად, გვირჩევენია ახალი აღთქმის მშვენიერი, გამამხნეველები და კარგი განწყობის შემქმნელი მონაკვეთები ვისმინოთ. არსებითად, ჩუმად ვართ და იეზებელის დროინდელი ისრაელი ერისგან არაფრით განვსხვავდებით. ეს მდგომარეობა შეიძლება შემდეგ სიტუაციას შევადაროთ: ყველა ჩვენგანი ცეცხლწაკიდებულ სახლშია მომწყვდეული, მაგრამ არავინ ცდილობს თავის დაღწევას და არც სხვას ეხმარება სახლიდან გამოსვლაში. მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რომ ერთმანეთს ვამხნევებთ, თუ რა კურთხეულები ვართ და სიყვარულსაც გამოვხატავთ იმ დროს, როცა ჭერი და კედლები თავზე გვენგრევა.

## ანალოგიური დილემა

იულა მოციქულიც იგივე პრობლემას წაანყდა. მას თანა-



მოდმე ქრისტიანების გამხნევება სურდა ჩვენი გადარჩენის სასწაულის შესხენებით, მაგრამ ვერ შეძლო. სახლი ინვოდა. იგი წინ უნდა აღდგომოდა კრიპტონიტს, რომელიც ეკლესიაში იპარებოდა. გადახედეთ ამ სიტყვებს:

„საყვარელნო! ძალიან მონადინებული ვიყავი ჩვენს საერთო ხსნაზე მომენერა თქვენთვის; მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე წერილობით შემეგონებინეთ, რომ იღწვოდეთ რწმენისთვის, რომელიც ერთხელ წმიდანებს გადაეცათ. ვინაიდან შემოიპარნენ ზოგიერთნი, რომელთაც ადრიდანვე ეწერათ ეს სასჯელი, უღვთონი გარყვნილებად რომ აქციეს ჩვენი ღვთის მადლი და უარყოფენ ერთადერთ მბრძანებელსა და ჩვენს უფალ იესო ქრისტეს.“  
(იუდ. 3-4)

ღვთის კაცს დაშურებით სწადია, იესო ქრისტეში ცხოვრების სიკეთების, კურთხევებისა და აღთქმების შესახებ აუწყოს მისთვის საყვარელ ადამიანებს. მას ამამაღლებელ და გამამხნეველ ატმოსფეროში დარჩენა სურს უმრავლესობის მსგავსად.

ამ გაუგებრობასთან კავშირი მეც მაქვს. წერის ან სწავლებისას ხშირად ადგილი აქვს ერთ დიდ ემოციურ ბრძოლას – მხოლოდ „გამამხნეველ“ მხარეს დარჩენის სურვილს. მიყვარს სხვების გამხნევება – ვის არ უყვარს? როგორც არ უნდა იყოს, სულიწმიდა გვიბიძგებს, რომ ყურადღება მივაქციოთ იმას, რაც ღვთის ძვირფასი შვილების განადგურებას ცდილობს.

ამრიგად, იუდას ჭეშმარიტი სიყვარული სთხოვს, რომ გაფრთხილების დამცავი სიტყვები დანეროს. რა ხდება? აქ ცოტათი სხვაგვარადაა საქმე, ვიდრე თიატირაში. უღმერთო დამნაშავეები მწყემსების, წინამძღოლების ან მორწმუნეების ნილაბს ირგებენ და ისე ასწავლიან, ან უფრო სავარაუდოა, იმგვარი ცხოვრების სტილს არჩევენ, სადაც ჭეშმარიტი „ძალით შემოსველი მადლის“ ნაცვლად „ნებაზე მიმშვები მადლის“ მაგალითს იძლევიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიმშვები მადლის სწავლება კრიპტონიტისგან არ გვიცავს და არც მისგან თავის დაღწევის ძალას გვმატებს, სამაგიეროდ ღვთიურ საზღვრებში ცხოვრების საშუალებას ძალზე მცირედ ან საერთოდ არ იძლევა. ეს ირგვლივ მყოფ საზოგადოებას ჩვენი ცხოვრების წესს კარნახობს, სადაც მადლი გამაძლიერებელი ძალის კი

არა, უბრალო საფარველის დონემდე დაკნინებული. ამრიგად, შედარებით სუსტი მორწმუნეები თავისუფლად მიჰყვებიან დაცემული ბუნების სურვილებს, ისე როგორც ამას საზოგადოებრივი კულტურა წარმოსახავს და ამით კრიპტონიტის გავლენის ქვეშ ექცევიან. ეს არ არის ღვთიური მადლის მიზანი.

იუდა უკმაყოფილოა საფუარის მიმართ *შემწყნარებლობით*, რომელიც ჩვენს ეკლესიებში გზას მიიკვლევს. იგი ნამდვილი მამაა და თავის შვილებს გადაგვარებული სწავლებისგან იცავს, რომელიც მათ ღვთისგან აშორებს. ისო მას არ შეუსწორებდა, როგორც თიატირის წინამძღოლებთან აკეთებს, არამედ შეაქებდა იუდას.

პავლე, მეორე მზრუნველი მამა, ჩუმად არ იყო, როცა ეკლესიის მორწმუნეებს შორის დაყოფას, ბრძოლას, უზნეობას, სასამართლო გარჩევებს, ანგარებას და სხვა უღმერთო ქმედებებს ხედავდა. მას მეტისმეტად უყვარდა ისინი, რომ მთელ სხეულში სწრაფად მზარდი საფუარის წინააღმდეგ ქმედითი ზომების მიღებაზე უარი ეთქვა. იაკობსა და პეტრეს შორის არანაირი განსხვავება არ იყო.

თუ ეკლესიის პირველი მამების წერილებს წაიკითხავთ, ნახავთ, რომ ისინი ღვთის დანერილი და საჯაროდ გაცხადებული სიტყვის იარაღს მიმართავდნენ ღვთის ერში არსებული ცოდვების საწინააღმდეგოდ. ისინი გაბედულად ლაპარაკობდნენ და ქვეყნიური კულტურის მიერ ჯანსაღი მოძღვრების საწინააღმდეგოდ ფორმირებულ ყველა იდეას და დასაბუთებას ანადგურებდნენ. იეზუბელის გამაძლიერებლებმა ვერ შეაშინეს ეს წინამძღოლები და მათ კულტურაში მიღებული კერპების მოსპობაზე უარი ვერ ათქმევინეს!

## სიჩუმე თანხმობის ნიშანი

როცა საქმე წინამძღოლებს ეხება, სიჩუმე უსიტყვო კომუნიკაციას წარმოადგენს. იგი თანხმობაზე მეტყველებს და ნებას რთავს შემდეგი ნათქვამით: „კარგია, რასაც აკეთებ“. არსებობს ძველი ლათინური გამოთქმა: „სიჩუმე თანხმობას ნიშნავს; მას მაშინ უნდა ამოელო ხმა, როცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა“. არც ერთი ადრეული ეკლესიის მამა ან წინამძღოლი არ რჩებოდა ჩუმად, როცა კრიპტონიტი თავის გზას იკვლევდა მათთვის საყვარელი ადამიანების ცხოვრებაში, რომელთა გამოც პასუხისმგებლობა ჰქონდათ აღებული. ისინი გაბედულად ლაპარაკობდნენ, რადგან ის დამანგრეველი, შხამიანი და

მომაკვდინებელი იყო – საფუარივით სწრაფად გამრავლების შემძლე.

იოანე მოციქული აცხადებს: „მთელი ქვეყნიერება ბოროტებაში წევს“ (1 იოან.5:19). საზოგადოებაში ბოროტების გამუდმებული მოდინება ხდება – ყველაზე დამანგრეველი საიდუმლო ბოროტების მოდინება. დიახ, იგი სიკეთით შენიღბულია. ამ მაცდურ მოვლენას წუთისოფლის წესი ეწოდება (ეფეს.2:2).

ამას ასე შეხედეთ: მდინარის სათავემდე მისალწვეად დინების სანინალმდეგოდ ცურვა გჭირდებათ. ჩვენ ქვეყნიერებაზე ვცხოვრობთ, რომელსაც გარკვეული მიმართულება აქვს და მისი ნაკადები ღვთის სამეფოს წინააღმდეგ არის მიმართული. კიდევ უფრო საშიშია ამ ნაკადების სიკეთის ნიღაბფარებული მაცდური სახე. თუ ხმას არ ავიმალღებთ, ეს ნიღბების ამოღებას და დინების მიმართულებით ცურვას დაემსგავსება. შესაძლოა, გეზი აღმასვლით გქონდეთ აღებული, ისევ გქონდეთ ქრისტიანობის გარეგნული შეხედულება და საუბარი, მაგრამ თანამედროვეობის სოციალურ ეთიკას მისდევდეთ და ეფექტურობა დაკარგოთ.

ნიღბების ამოღებით თავს ავარიდებთ საშიშ დაპირისპირებას, მაგრამ რასაც არ შევეწინააღმდეგებით, ის არ შეიცვლება. ედმუნდ ბერკი წერდა: „ბოროტებას გამარჯვებისთვის მხოლოდ ის სჭირდება, რომ კეთილმა კაცმა არაფერი გააკეთოს“. ქვეყნიური კერპები ადამიანის გულსა და გონებაში მყარ ადგილს იკავებს მაშინ, როცა წინამძღოლები ჩუმად არიან.

როცა სიცრუე იზრდება, ჩვენ კი მის მიმართ შემწყნარებლობას ვიჩენთ, საბოლოოდ, სედაციურ გავლენის ქვეშ ვექცევით. ახლა ჩვენ თანავუგრძნობთ და ვეთანხმებით კიდევ იმას, რაც ჩვენს ზებუნებრივ ძალას აშრობს. ჩვენ ახლა საპირისპირო კულტურა კი არა სუბკულტურა ვართ. „ქრისტიანობის“ იარლიყი გვაქვს, მაგრამ ძალის ელჩებზე უფრო არეულობის აგენტებს ვგავართ. ჩვენს ირგვლივ ქვეყნიერება კითხვას სვამს: „ვხედავთ თქვენს ეკლესიებს, გვესმის თქვენი მუსიკა და სიყვარულისა და მადლის სწავლება, მაგრამ სად არის თქვენი ყოვლისშემძლე ღვთის ხილული თანდასწრების დამადასტურებელი ნიშნები?“

პავლე გაბედულად უწოდებს ჯვრის მტრებს მათ, ვინც ქრისტიანობას აღიარებს, მაგრამ ქვეყნიერების მდინარებას მიჰყვება. დიახ, მტრებს!

„ვინაიდან ბევრნი, რომელთა შესახებაც ხშირად მითქვამს თქვენთვის, და ახლა ტირილითაც გეუბნებით,

ისე იქცევიან, როგორც ქრისტეს ჯვრის მტრები. მათი ბოლო დაღუპვაა, მათი ღმერთი მუცელია, მათი დიდება კი სირცხვილშია, ისინი მინიერზე ფიქრობენ. ხოლო ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია, საიდანაც ველით მხსნელს, უფალ იესო ქრისტეს“. (ფილ. 3:18-20)

ყურადღებით წაიკითხეთ პირველი მუხლი; უპირველესად, იქ წერია „ბევრი“. მეორე, მათი სიტყვებიდან არ ჩანს, რომ ისინი მტრები არიან, რადგან სიტყვიერად იესოს აღიარებენ. „ისინი სიტყვით აღიარებენ ღმერთს, საქმეებით კი უარყოფენ“ (ტიტ. 1:16). ისინი ღვთისმოსაობით ინიღბებიან, მაგრამ მათი ქცევა მტრობის ტოლფასია. მათ ხორცის მადა იზიდავს: გულისთქმა, სიამოვნება, სტატუსი, პოპულარობა, სექსუალური უზნეობა, ჭორაობა და მრავალი სხვა.

პავლე ხმამაღლა ლაპარაკობს, იგი უპირისპირდება და არ იწყნარებს. წაიკითხეთ მისი წერილები და ნახეთ, რაოდენ ხშირად გვაფრთხილებს და გვისწორებს უღვთო და ქვეყნიურ ქცევას. გახსოვდეთ, რომ რეალურად, ღვთის სიტყვა ჩვენამდე აღწევს პავლეს მეშვეობით!

ღვთის სიტყვის განაცხადით უშუალო დაპირისპირება ერთადერთი გზა გახლავთ ამ სიმაგრეების დასანგრევად. თუ პირდაპირ არ შევეწინააღმდეგებით წერილის მეშვეობით, ამგვარ ფილოსოფიურ სიმაგრეებს როგორც მორწმუნეთა, ისე დაღუპულ ადამიანთა გულსა და გონებაში უფრო ძლიერად ფეხმოკიდების საშუალებას ვაძლევთ. კრიპტონიტის ზეგავლენისთვის კარი ღია რჩება, როცა უარს ვამბობთ მის წინააღმდეგ ლაპარაკზე.

## კონტრასტული შედეგები

როგორია იესოს დასკვნითი სიტყვები ჩვენი ეკლესიის მიმართ? ეს სუსტი გულის პატრონებისთვის განკუთვნილი არ გახლავთ. იგი ნათლად აცხადებს, რომ ამ ცრუ მოძღვრებებს დაქვემდებარებულები „დიდ გასაჭირს“ გაივლიან, თუ არ მოინანიებენ. ეს იქნება ნიშანი და ყველა ეკლესია გაიგებს, რომ იგი იკვლევს ჩვენს აზრებსა და ზრახვებს და თითოეულს დამსახურებისამებრ მიაგებს (იხ. გამოცხ. 2:22-23).

და აი, დიდებული ახალი ამბავი: იესო ამბობს, რომ ვინც კრიპტონიტს არ მიეყიდება, ვინც მტკიცედ იდგება ღვთის სი-

ტყვასა და სულის მმართველობაზე – მიეცემა ძალაუფლება ერებზე ... იგივე ძალაუფლება, რაც იესოს მიეცა მამა ღმერთის მიერ.

შედეგები საკმაოდ კონტრასტულია: ერთი ნანინასწარმეტყველები შედეგებია, ხოლო მეორე – უზარმაზარი ჯილდო. განა შეგვიძლია ყურადღება არ მივაპყროთ ამ მითითებებს, განსაკუთრებით, თუ ისინი ჩვენი აღმდგარი მეფის პირიდან გამოვიდა?

## იამოქმედე!

იეზებელი ღვთის წინასწარმეტყველებს გაჩუმებას აიძულებდა და რამდენიმე მათგანი მოაკვლევინა კიდეც. მხოლოდ ერთმა ადამიანმა მოისურვა უფლის სახელით ლაპარაკი და ნახეთ, რა გააკეთა ღმერთმა იმ ერთადერთისთვის. მან დაიცვა იგი, უზრუნველყო და მხარი დაუჭირა ზებუნებრივი ნიშნებით და სასწაულებით, რომლებიც დღემდე გვაკვირვებს.

ღმერთი კვლავაც დაეძებს ადამიანებს, რომლებიც აღდგებიან და ჭეშმარიტებას ილაპარაკებენ. ეს არ ნიშნავს უბრალო კრიტიკის მცდელობას. ჩვენ ცოდვებზე მონადირენი როდი ვართ. ამავედროულად, არ შეგვიძლია საკუთარ თავს უფლება მივცეთ, რომ ცოდვამ დაგვაშინოს ან ვიდარდოთ, თუ ხალხი ჩამორჩენილის, შეუწყნარებლის ან სხვა რაიმე იარლიყს მოგვაკრავს.

პირველი ნაბიჯი გახლავთ ამ გაფრთხილების გათვალისწინება თქვენს ცხოვრებაში. რაც არ უნდა დაგიჯდეთ, გათავისუფლდით ცოდვებისგან, რომელსაც წარსულში ჩადიოდით! გათავისუფლების შემდეგ სხვების გათავისუფლებას შეუდექით, გულმოდგინება გამოიჩინეთ ცოდვის საშიშროებაზე მათი გაფრთხილების საქმეში! პავლე წერს: მზად ვართ, შური ვიძიოთ ყოველგვარ დაუმორჩილებლობაზე, როცა თქვენი მორჩილება აღსრულდება“ (2 კორ.10:6).

თუ დაპირისპირება არ გიყვართ, ღმერთს სთხოვეთ, რომ მოგცეთ სხვების მიმართ სიყვარული, რაც მათთან დასაპირისპირებლად გიბიძგებთ! გადალახეთ მომდევნო მიზანი! ამის შემდეგ, ღვთის მადლით შეძლებთ სხვებსაც დაეხმაროთ მის გადალახვაში.

## სიყვარული და ჭეშმარიტება

ახლა კრიპტონიტის მოშორების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს მივუახლოვდით – მისი მოკვდინების უკან მდგომ ზრახვას. კრიპტონიტის განადგურების მძლავრი ძალის ნაკლებობის ან არარსებობის მიზეზი, უმეტესწილად, გახლავთ სახარების და მსახურების ფილოსოფიის წარდგენის ჩვენთვის დამახასიათებელი მანერის მხარეს ქანქარის გადახრის მოტივაცია. ძალა, რომელზეც მე ვლაპარაკობ, სხვა არაფერია, თუ არა ღვთიური სიყვარული. პავლე ძლიერ განცხადებას აკეთებს:

„რათა აღარ ვიყოთ ბაღლები, რომელთაც არყევს და წარიტაცებს მოძღვრების ყოველგვარი ქარი ადამიანთა ცბიერებით, ცდუნების მზაკვრული ხელოვნებით, არამედ ჭეშმარიტების სიყვარულით მთქმელნი, ყველაფერში ვიზრდებოდეთ მის მიმართ, ვინც არის თავი, ქრისტე“.  
(ეფეს.4:14-15)

ცრუ მოძღვრებები, რომლებზეც იესო თიატირის ეკლესიას აფრთხილებდა და ასევე იუდას, პეტრეს, იოანესა და პავლეს წერილებში აღწერილი გადახრები იმდენად კარგად არის შეფუთული, რომ თავისუფლად შეიძლება მათი ჭეშმარიტებებად მიღება. მტერი გაცილებით მოხერხებულია, ვიდრე ჩვენ გვგონია. თუ მან ევას ცდუნება ღვთის თანდასწრებით გაჟღენთილ, სრულყოფილ გარემოში შეძლო, რამდენად ადვილი იქნება მისთვის ჩვენი ცდუნება ამ გახრწნილ ქვეყნიერებაზე? და რა დაგვიცავს ცრუ მოძღვრების ცდუნებისგან?

პასუხი გახლავთ ჭეშმარიტება, მაგრამ არა მხოლოდ ეს, არამედ სიყვარულით ნათქვამი ჭეშმარიტება. სიყვარულის გა-

რეშე ნათქვამ ჭეშმარიტებას „ასოებით გამოსახულ რჯულამდე“ მივყავართ, რომელიც კლავს. ეს გახლავთ ლეგალიზმი. ის, საბოლოო ჯამში, ცდუნებას აღანთებს და მას ეხმარება. ის ასევე ეკლესიის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი სულიერი გაფრთხილებების თავიდან არიდების და ზოგჯერ გაუქმების მიზეზიც გახლავთ.

ლეგალიზმი გვცემს, რადგან ის გულისამრევი, მკაცრი და საძულველია. მის სისასტიკეს წინ რომ აღვუდგეთ, საჭიროა ყურადღება სიყვარულზე გავამახვილოთ. სიყვარულის გარეშე ნათქვამი ჭეშმარიტება საერთოდ არ არის სიყვარული. იგი ყალბია. მას სიკეთის, თანაგრძნობის, მგრძნობიარეობის და მოთმინების ფორმა აქვს და ყველა ეს თვისება ღვთიურ სიყვარულს ახასიათებს. თუ მათ სიყვარულის გარეშე გამოვავლენთ, უცილობლად ვიქნებით გატაცებული ცდუნების გზაზე.

მოდით, გულწრფელები ვიყოთ! ჩვენ თავს ვარიდებთ გარკვეულ სულიერ ჭეშმარიტებებზე ლაპარაკს, რადგან მათ ჩვენთვის სასურველი სიყვარულის ფარგლებს მიღმა მდგომად მივიჩნევთ. ეს ის ჭეშმარიტებებია, რომლებიც ადამიანებს მოუწოდებენ, არ დარჩნენ იგივენი და შეცვალონ ცხოვრების წესი. ჩვენ მამაკაცებისა და ქალების მონანიებისკენ მოწოდებას თანაგრძნობის, სინაზის, სიკეთისა და სიყვარულის ნაკლებობად მივიჩნევთ. და მაინც, ვიფიქროთ ამაზე: ვხედავ ბრმა ადამიანს, რომელიც კლდისკენ მიემართება და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ უფსკრულში გადავარდნა ემოქრება. შემოძლია ამ უბედურებას მოხდენის საშუალება მივცე და ჩარევისგან თავი შევიკავო, რომ ეს საქციელი უარყოფითად არ აღიქვან ან ადამიანის არჩევანის მიმართ შეუწყნარებლობა არ დამნამონ. თუ მას არ შევაჩერებ და მიმართულებას არ შევუსწორებ, კაცი მოკვდება. თუ მას დადებითი სიტყვებით გავამხნევებ და განწყობის ამამალლებელ მოწოდებებს გავაკეთებ, მაგრამ მიმართულების შეცვლაზე არაფერს ვეტყვი, მისი ცხოვრების ბოლო წუთებს სასიამოვნოს გავხდი, თუმცა კანიონის ფსკერზე აღსასრულს ვერ ავარიდებ. ნუთუ ნებისმიერი ამ ქმედებათაგან ნამდვილის სიყვარულის გამოვლინება შეიძლება იყოს?

ჩვენს საზოგადოებასა და ბევრ ეკლესიაში, ჭეშმარიტი სიყვარულის ამგვარი გამოხატულება ფანატიკურ და საძულველ საქმედ ითვლება. ეს სიმაგრე მრავალმა მორწმუნემ აღმართა, როცა ცხოვრება ამქვეყნიური სამოცდაათი თუ ოთხმოცი წლის ხანგრძლივობით განსაზღვრა და მარადისობის კუთხით არ განიხილა. დააკვირდით ამ მაგალითს: თუ ბედნიერების თვალ-



თახედვა ერთი დღის ხანგრძლივობისაა, შემიძლია საქორნილო მოპატიჟებას დავთანხმდე და ნუგბარით სავსე სუფრიდან ნებისმიერი კერძი დავაგემოვნო. ამ შემთხვევაში სასიხარულო, ბედნიერი დღე მექნება. თუ ბედნიერების ექვსთვიანი თვალთახედვა მაქვს, სუფრასთან სხვაგვარად მოვიქცევი – მხოლოდ ერთ დესერტს მივირთმევ ან სულაც არაფერს. არ მინდა მეორე დღეს მუცლის გვრემამ შემანუხოს. ყველა იმ დესერტის დამატებითი ათი ფუნტი საკმაო წონას შემატებს ჩემს სხეულს და საბოლოო ჯამში, ჯანმრთელობის უგულუბელყოფა ხანგრძლივ პრობლემას წარმოშობს.

ცხოვრება მარადისობის თვალსაზრისით უნდა დავინახოთ, რომ ჭეშმარიტი სიყვარული გავისიგრძეგანოთ. მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრების ჭრილში დანახული სიყვარული ადამიანებს ისეთებად იღებს, როგორებიც არიან და ცხოვრების შეცვლის მოწოდებაზე უარს ამბობს. ჩვენ უბრალოდ გვინდა, ადამიანებმა გაიხარონ დარჩენილი წლებით, სანამ საუკუნო უფსკრულში ჩავარდებიან. მარადიულობის პერსპექტივით დანახული ნამდვილი სიყვარული ასე ამბობს: „საკმარისად ვზრუნავ შენზე, რომ რამდენიმე უხერხული წუთი შეგიქმნა ენით აღუწერელი საუკუნო წამების, აგონიისა და ტანჯვისგან დასახსნელად“.

ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია. ეს არ გახლავთ მეტაფორა ან რაიმე მხატვრული ხერხი, ან დროებითი დასჯის ადგილი. ადამიანები, რომლებიც იქ დაასრულებენ ცხოვრებას, „დაიტანჯებიან დღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ.20:10). შეგვიძლია იესოს სიტყვების უგულუბელყოფა, რომ „წავლენ ისინი საუკუნო სატანჯველში“ (მათ.25:46) ან პავლეს ნათქვამის უარყოფა, „რომლებიც მარადიულ დაღუპვას მიიღებენ სასჯელად უფლის პირისა და მისი სიძლიერის დიდებისგან“ (2თეს.1:9)?

*მარადიული სამუდამოს* ნიშნავს – სხვა განმარტება არ არსებობს. ენით აღუწერელი ტანჯვა, ტკივილი და სასჯელი არასოდეს მთავრდება. და მაინც, ეს ყველაფერი განსაკუთრებით საზარელია უფლის თანდასწრების სრული არარსებობის გამო. თანდასწრების მოშორება არა მხოლოდ მომავალ ცხოვრებაში ხდება, არამედ ამ ცხოვრებაშიც. ხსენებულ ასპექტზე მოკლედ ვილაპარაკებ.

ღმერთმა ჯოჯოხეთი ადამიანებისთვის კი არა, „ემმაკისა და მისი ანგელოზებისთვის“ შექმნა (მათ.25:41). სატანამ კაცობრიობა მოატყუა და ამით დატყვევებულები, საკუთარი



ხვედრის მოზიარედ გვაქცია. სიყვარულით აღძრული იესო ჩვენს სახსნელად მოვიდა იმისგან, რაც თავად დავიტეხეთ თავს. თუ მან ასე დიდებული გადარჩენა მოგვიტანა, როგორ შეგვიძლია ზედაპირულად მოვეკიდოთ ამ საზარელი ხვედრისგან ჩვენი დახსნის გზას?

მოდი, დავუბრუნდეთ საქორწინო მოპატიჟების ილუსტრაციას. ჩემმა გადანყვეტილებამ, რომ მხოლოდ ერთი დესერტი მივირთვა ან საერთოდ არაფერი შეეჭამო, შესაძლოა, შემაჭიროვოს. სხვები მეტყვიან: „კარგი რა, ჯონ. ნახე რა მშვენიერი დესერტებია და რა გემრიელად გამოიყურება. მათი ჭამა გასიამოვნებს. მოდი, ცხოვრებით დავტკბეთ!“

არა, ეს განცხადებები ჭეშმარიტებისგან შორს არის და გზას ამაცდენს. „მოდი, ცხოვრებით დავტკბეთ!“ – არასწორი გამოთქმაა. უნდა იყოს: „მოდი, ამ დღით დავტკბეთ!“ რეალობა ასეთია: გაცილებით მეტად ვისიამოვნებ ცხოვრებით გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებისას. იგივე მიდგომა ჭეშმარიტია ღვთის სამეფოსთვისაც.

თქვენი აზრით, რატომ გაუძლო პავლე მოციქულმა ქვებით ჩაქოლვას, ოცდაცხრამეტი დარტყმით ხუთჯერ გამათრახებას, სამჯერ ჯოხით ცემას, განსაცდელებით დღითა და ღამით ტანჯვას და მრავალ სხვა სიძნელეს? ფიქრობთ, რომ ამით სახელი შეიქმნა თავისთვის, რომ კონფერენციის პოპულარული მქადაგებელი ყოფილიყო, უამრავი ხალხი შემოეკრიბა და ბესტელერების ავტორი გამხდარიყო? არა, ღვთის სიყვარულმა უბიძგა ამის საკეთებლად – სიყვარულმა აამოძრავა. იგი მარადიულობის თვალთახედვით აფასებდა მოვლენებს და სრული გაბედულებით უყვარდა. იგი პოპულარობას ჭეშმარიტებაზე უპირატესად არ მიიჩნევდა, რადგან უყვარდა ის ადამიანები, რომლებთანაც გაგზავნილი იყო ქრისტესთან მოსვლაში დასახმარებლად.

## **როგორია ნამდვილი სიყვარული?**

„ღმერთი სიყვარულია“ (1 იოან.4:8). მას უბრალოდ კი არ აქვს სიყვარული, არამედ თავისი არსით არის სიყვარული. ამრიგად, როგორ უნდა განვმარტოთ სიყვარული?

ამას წინათ, ლოცვისას უფალი გულში დამელაპარაკა: „შვილო, ჩემი ხალხი სიყვარულის პერიფერიებს უფრო აქცევს ყურადღებას, ვიდრე მის ძირითად მნიშვნელობას“.

მოვიდა აზრი, რომ *სიყვარული მომთმენია, სიყვარული*

კეთილია, სიყვარული არ ამპარტავნობს, სიყვარული არ უხეშობს, სიყვარული თავისას არ ეძებს და სხვა უამრავი მნიშვნელობა, რომლებიც კორინთელთა მიმართ პირველ წერილსა და მთელ ბიბლიაშია მოცემული. სულინმიდამ მიმითითა ილუსტრაციაზე, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ პატარა ბავშვს ქალისა და მამაკაცის ერთმანეთისგან გარჩევა. თუ მას ვეტყვით, რომ „ქალს ორი ფეხი, ორი თვალი, ერთი ცხვირი, ერთი პირი, ორი მკლავი, ორი ხელი და ორი ფეხი აქვს“ – ეს საკმარისი იქნება?

ამგვარი ზოგადი აღწერილობით ბავშვი დაინახავს მამაკაცს და იტყვის: „აი, ქალი“. ეს იმიტომ მოხდება, რომ თქვენ ზუსტად არ მიანიშნეთ განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის. თქვენ არ გითქვამთ: „აი, ეს განასხვავებს ქალს მამაკაცისგან...“

ასეთია „სიყვარული“, რომელიც ქვეყნიერებას სიამოვნებს – ის მეტისმეტად მომთმენი, კეთილი, თავაზიანი და ღვთის სიყვარულის მრავალი მსგავსი თვისების მატარებელია. მიუხედავად ამისა, განსაზღვრება, რომელიც ღვთის სიყვარულსა და ქვეყნიერების სიყვარულს შორის საბოლოო განსხვავებაზე მიანიშნებს, ასეთია: „ეს არის ღვთის სიყვარული, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს“ (1 იოან.5:3).

იმ შემთხვევაში, თუ ეს მნიშვნელოვანი განსაზღვრება მხედველობიდან გამოგვრჩა პირველ წერილში, იოანე, როგორც სიყვარულის მოციქული, მეორე წერილშიც გვთავაზობს იგივე განმარტებას: „სიყვარული კი ის არის, რომ მისი მცნებების მიხედვით დადიოდეთ“ (2 იოან.6).

ეს განსხვავდება პავლე მოციქულის „სიყვარულის“ განმარტებისგან, რომელიც კორინთელების მიმართ პირველ წერილშია მოცემული. იოანე არ იძლევა სიყვარულის აღწერილობით ასპექტებს, მაგრამ ძირეულ გასაზღვრებას გვთავაზობს – რით განსხვავდება ღვთის სიყვარული მისი ყველა სხვა ფორმისგან. უფალი ამას ნათლად აჩვენებს საიდუმლო სერობისას:

„ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, ის არის ჩემი მოყვარული“. (იოან.14:21)

ამრიგად, თუ კეთილი, მომთმენი, რბილი, უშურველი, თავაზიანი, თავმდაბალი და თავმეკავებული ვარ, მაგრამ ცოლს რეგულარულად ვლაღატობ ან გადასახადებში ვიტყუები, ღვთის სიყვარულში არ დავდივარ.

თუ კეთილი, მომთმენი, რბილი, უშურველი, თავაზიანი, თავმდაბალი და თავშეკავებული ვარ, მაგრამ ვინონებ და ვპატიებ სქესობრივ უზნეობას, როგორცაა ჰომოსექსუალობა, რომლის მიმართ მზარდი შეწყნარება და ნახალისება ბევრი ქვეყნის მთავრობების მხრიდანაც შეინიშნება, არ დავდივარ ღვთის სიყვარულში.

ფაქტობრივად, ცდუნებული ვარ და გაცილებით საშიშ მდგომარეობაში ვიმყოფები, ვიდრე უხეში, შურიანი, ტრაბახა, გალიზიანებული ადამიანი, რადგან მან იცის, რომ ღვთისგან შორსაა. მე კი მცდარად ვფიქრობ, რომ ღვთის წინაშე სწორ მდგომარეობაში ვარ – „ცოდვილის ლოცვა“ ხომ წარმოვთქვი, თუმცა ჩვევაში გამჯდარი ცოდვები, რეალურად, არასოდეს მიმიტოვებია. მოკლედ რომ ვთქვათ, იესოს მცნებებს არ ვითვალისწინებ.

ამ მომენტისთვის ნება მომეცით, ერთ მნიშვნელოვან პუნქტს შევეხო: ღვთის მცნებებს გადარჩენის მისაღებად კი არ ვიცავ, არამედ მის სიტყვაში დავდივარ, რადგან უკვე გადარჩენილი ვარ და ღვთის სიყვარული ჩემში მკვიდრობს. მორჩილების გამორჩენა გახლავთ ნიშანი, რომ ღმერთს ნამდვილად დაუუქვემდებარე ჩემი გული და ცხოვრება.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ ჭეშმარიტებას, რომ სიყვარულის ნებისმიერი ფორმა, რომელიც ღვთის სიტყვას და გზებს ეწინააღმდეგება, არ არის მარადიული სიყვარული. ის დროებითია. ის ადამიანებს თავს კარგად აგრძნობინებს, მსხვერპლის გაღების განცდაც კი ექნებათ და ჩართულობასა და მიღებას უზრუნველყოფს, მაგრამ საუკუნო არ არის. მას მარადიულ სიცოცხლემდე არ მივყავართ. ის ერთ დღეს კლდეს მონყდება და ცეცხლის ტბის საუკუნო უფსკრულში გადაეშვება.

მაშ, რატომ არის დროებითი ასე სწორი გარეგნული ნიშნების მქონე სიყვარული? ადამი და ევა ფიქრობდნენ, რომ კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხის ნაყოფი კარგი იყო და მათ სიბრძნეს მიაწვდებდა.

„დაინახა დედაკაცმა, რომ საჭმელად კარგი ჩანდა ის ხე, თვალთათვის საამური და ... შემეცნებას იძლეოდა“.  
(დაბ.3:6)

ევას თავდაპირველი აზრები, ალბათ, ასეთი იქნებოდა: რატომ გვითხრა მოსიყვარულე ღმერთმა, რომ არ უნდა ვჭამოთ ის, რაც ჩვენთვის „კარგია“? ამას არავითარი ლოგიკური აზრი

არ აქვს. მან „სიკეთისა“ და „სიბრძნის“ მიღება არჩია, რომელიც ღვთის ნების მიღმა იყო. გვინდა, ვიცოდეთ „რატომ?“, მაგრამ მოდი, სწორხაზოვნად განვიხილოთ: არის რამდენიმე პუნქტი, რომლებშიც ღმერთი ჩვენს მორჩილებას ელოდება იმის მიუხედავად, რომ ვერ ვხედავთ, რა დგას მათ მიღმა. შეგვიძლია მივენდოთ უფალს, როცა მოჩვენებითი სიკეთისგან თავის დაცვას გვირჩევს? შეიძლება მის ბუნებას ვენდოთ? თუ მსაჯულები ვხდებით, რომლებმაც თავად იცინან, რა არის მათთვის უკეთესი და არაფრით განვსხვავდებით ედემის ბაღის წყვილისგან?

ბევრი მაგალითი არსებობს ღვთიური საიდუმლოსა და ღვთის მითითებების მიღმა მდგარი „რატომ?“ კითხვის შესახებ, მაგრამ მე მხოლოდ ერთს მოვიყვან. თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში არ შემხვედრია პიროვნება, რომელიც მეტყუადა, რა მიზეზით უთხრა ღმერთმა წინასწარმეტყველს შემდეგი სიტყვები: „პურს ნუ შეჭამ, წყალს ნუ დალეე და ნურც იმ გზით დაბრუნდები, რომლითაც მოხვედი!“ (1 მეფ.13:9). წინასწარმეტყველი არ დამორჩილდა ამ ერთი შეხედვით უაზრო მითითებას და ამ ურჩობამ მისი სიცოცხლე შეინირა.

სიმართლე რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი სიყვარული, ზოგჯერ, საერთოდ არ ჰგავს სიყვარულს. რატომ ეტყოდა პავლე კორინთელთა ეკლესიას, „ხოლო მე ხალისით დავიხარჯები და გამოვიფიტები თქვენთვის, თუმცა, რაც უფრო მეტად მიყვარხართ, ნაკლებად გიყვარვართ“ (2 კორ.12:15)? ცოტა არ იყოს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მორწმუნეთა თემი დარწმუნებული არ არის პავლეს სიყვარულში. ჩემი აზრით, სრულიად ცხადია, რომ ისინი პავლეს დოგმატურ, კანონების ზედმინევნიტ დაცვის მოსურნე წინამძღოლად თვლიდნენ, რომელიც მათ, ასე ვთქვათ, წესების საზღვრებში აქცევდა. შესაძლოა, მოციქულზე მათი შეხედულება იმ დონემდე მივიდა, რომ ფანატიკოსადაც მიიჩნევდნენ, თუმცა ეს სიმართლეს სრულიად არ შეეფერებოდა! მას კორინთელები მარადიული სიყვარულით უყვარდა და არა სიყვარულის ამქვეყნიური ვერსიით. იგი მათ ჭეშმარიტებით უპირისპირდებოდა, აფრთხილებდა და მონანიებისკენ მოუწოდებდა, რაც შეიძლება მსმენელებს უსიყვარულობად ეჩვენებოდათ. მიუხედავად ამისა, მისი სიტყვები ღვთის ჭეშმარიტი სიყვარულით იყო გაჟღენთილი.

## ჭეშმარიტების სიყვარულით თქმა

ნათქვამის შესაჯამებლად მივუბრუნდეთ ჭეშმარიტი სიყვარულის მნიშვნელობაზე მსჯელობას:

სიყვარული მომთმენია.  
სიყვარული კეთილია.  
სიყვარული უშურველია.  
სიყვარული არ ყოყორობს.  
სიყვარული არ ამპარტავნობს.  
სიყვარული არ უხეშობს.  
სიყვარული თავისას არ ეძებს.  
სიყვარული არ ღიზიანდება.  
სიყვარული წყენას არ იმახსოვრებს.  
სიყვარული უმართლობით არ ხარობს.  
სიყვარული არასდროს ნებდება.  
*ეს არის სიყვარული, რომ დაიცვათ უფლის მცნებები.*

თუ ჭეშმარიტებას ვლაპარაკობთ და არ ვართ კეთილები და მომთმენები, არამედ უფრო შურიანი, ტრაბახა, ამაყი, უხეში, მოთავისე, გაღიზიანებული, წყენის გულში ჩამტოვებელი, უპატიებელი, ურჯულოებით მოხარული ირგვლივ მყოფებზე იმედგაცრუებული ადამიანები, მაშინ მის მცნებებს არ ვიცავთ. შესაძლოა, მონანიებაზე, ქრისტეს რწმენასა და წმიდა წერილში მოდიებულ ყველა საკითხზე ვიქადაგოთ, მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარულში არ ვმოქმედებდეთ. თუ ასეა, ლეგალიზმის სამეფოში ვართ და ღმერთთან მიყვანის ნაცვლად ადამიანებს ტკივილს ვაყენებთ.

ერთხელ, ერთი ახალგაზრდა მომიახლოვდა და მითხრა:

– თქვენს მსგავს მსახურებაში ვარ მოწოდებული. უფალმა ქრისტეს სხეულის საწვრთნელად მომიხმო!

როცა ამაზე მესაუბრებოდა, გულში მივხვდი, რომ მას არასწორი მოტივები ჰქონდა. სულიწმიდამ მისთვის სათქმელი სიტყვები მომცა:

– გინდა იცოდე, როგორ უნდა იმოქმედო ნამდვილ წინასწარმეტყველურ მსახურებაში?

მას სახე გაუნათდა და მყისვე მითხრა:

– დიახ, მინდა.

– მთელი ის დრო, როცა ნებისმიერი ფორმის შესწორებას ან გაფრთხილებას გადასცემ ადამიანებს, შენი გული მათი სიყვარულით უნდა ინვოდეს, – ვუთხარი მე.

მან რამდენიმე წუთით ხმა ვერ ამოიღო.

– ოჰ, ღმერთს ჩემში გვარიანი სამუშაოს ჩატარება მოუწევს.

მე მას ვუთხარი:

– შენით ვამაყობ. იმის თქმას, რაც ახლა მოვისმინე, თავმდაბლობა სჭირდება. უფრო ახლოს ხარ იმ ადგილის დაკავებასთან, ვიდრე წარმოგიდგენია. შენი გული მგრძნობიარეა.

სიყვარული სხვა ადამიანებზე უფრო მეტად ზრუნავს, ვიდრე საკუთარ თავზე. მას საკმარისად უყვარს, რომ ადამიანს კლდიდან გადავარდნის ნება არ მისცეს. ის კორინთელთა მიმართ პირველ წერილში აღწერილ სათნო თვისებებს ამჟღავნებს, მაგრამ ამის გაკეთებისას არ უხვევს ჩვენი მხსნელისა და ღვთის მცნებებიდან.

სიყვარული ცოცხალი და მნიშვნელოვანია, ამიტომ ის სიცოცხლის არსია. ილოცეთ, რომ ღმერთმა აავსოს თქვენი გული მისი სიყვარულით, რათა საკუთარ თავზე მეტად სხვებზე ზრუნვა შეძლოთ! ჩვენ გვეუბნებიან, რომ სულიწმიდა სიყვარულს ღვრის ჩვენს გულებში. შეგვიძლია ვითხოვოთ – მისი სიცოცხლის სიღრმე, სიგრძე და სიმაღლე, რომელიც სიყვარულს იძლევა.

ამრიგად, ითხოვეთ, კიდევ ითხოვეთ და თხოვნა გააგრძელეთ, რომ ღმერთმა თქვენი გული ღვთიური, მარადიული სიყვარულით აავსოს!

## იბოძებო!

ხმა უნდა ამოვიღოთ ცოდვის წინააღმდეგ, რომელსაც ეკლესიის დაპყრობა სურს, მაგრამ ეს სიყვარულით უნდა გავაკეთოთ, სხვაგვარად, ჩვენი გაფრთხილებები სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. ღმერთი გამუდმებით მიგვითითებს მთელ ბიბლიაში და მაინც, მისი წრფელი სიყვარული კიდევ უფრო მეტის საკეთებლად უხმობს – ყველა იმ ცოდვის საფასურად ძის გაგზავნას, რომლებზეც გვაფრთხილებდა, რომ არ ჩაგვედინა.

სწორედ ასეთი სიყვარული უნდა გვექონდეს, როცა ადამიანებს ცოდვის წინააღმდეგ ვაფრთხილებთ. სიყვარულის მხოლოდ ერთი წყარო არსებობს და ეს ღმერთია. ღმერთი სიყვარულია. თუ სიყვარულში გაზრდა გვსურს, ღმერთთან მოზიარეობაშიც უნდა ვიზრდებოდეთ.

256 ბაანაღბურა კრიპრონიტი!

ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ღმერთთან რეგულარული დროის დაყოფას, თხოვნას და ძიებას, რომ უფრო მეტად აგავსოთ თავისი სიყვარულით. როცა სიყვარულით სავსე ვართ, დაპირისპირების ყოველგვარი შიში ქრება. ის მოქმედებისკენ აღგვიძრავს ჩვენს ირგვლივ მყოფთა სასიკეთოდ, არა ჰუმანიტარული მიზნებისთვის, არამედ მათთვის საჭირო გაფრთხილების მისაცემად. ღვთის სიყვარული გვათავისუფლებს და სხვებისთვის თავისუფლების მოტანის ძალას გვაძლევს. დღეს დრო გამოყავით წრფელი ლოცვისთვის, მალე არ დანებდეთ, რომ ღმერთმა აგავსოთ მისი სიყვარულით!



## კრიპტონიტის განადგურება

როცა საქმე ცოდვაზე მიდგება, მორწმუნეს სამი სავარაუდო სცენარი ელოდება.

პირველი, არიან ისეთები, რომლებიც ცოდვას ყურადღებას არ აქცევენ მათი გაქვავებული გულების გამო. ისინი უგრძნობი არიან ღვთის გულის დამამსხვრეველი რეალობის მიმართ. უფალი მათზე გოდებს: „რცხვენიათ კი იმ სისაძაგლის გამო, რომ სჩადიან? სულ არ რცხვენიათ, არც კი წითლდებიან“ (იერ.8:12). მათი სინდისი იქამდეც კი მიდის დათმობაზე, რომ ცდუნებული არიან.

მეორე, და ასეთივე საშიშ მდგომარეობაში არიან ისინი, რომლებიც წამოეგებიან ტყუილზე, თითქოს ყველანი ბუნებით ცოდვილები ვართ და იესოს სისხლი საკმარისად ძლიერია მათთვის სასჯელის ასარიდებლად, მაგრამ არა ცოდვის ბორკილებისგან გასათავისუფლებლად. ისინი მტკიცედ დგანან ქეშმარიტებაზე, რომ ქრისტეში განვინმიდეთ, მაგრამ სჯერათ ტყუილის, თითქოს აუცილებელი არ იყოს ამ ქვეყანაზე წმიდად ცხოვრება. ასეთი იყო სწავლების სახეობა, რომელიც მიღებული იყო თიატირის ეკლესიაში. პავლე განსაკუთრებით გამოყოფს ამგვარ აზროვნებას, როცა წერს:

„მაშ, რა ვთქვათ, დავრჩეთ ცოდვაში, რათა მადლი გამოვლდეს? არამც და არამც! ჩვენ, რომლებიც მოვუკვდით ცოდვას, როგორღა ვიცხოვროთ მასში?“  
(რომ. 6:1-2)

პირველი ორი სურათი ნათლად ასოცირდება კრიპტონიტთან, რომელიც არის ადამიანისთვის ცნობილი და ჩვევა-

258 ბაანაღბურა კრიპრონიტი!

ში გადაზრდილი ცოდვა. იგი ასუსტებს, როგორც ცალკეულ მორწმუნეს, ისე მორწმუნეთა ნებისმიერ თემს. ვინც ამ კატეგორიაში ექცევა, ცოდვას არის მიცემული. ასეთები განკითხვის დღეს მოისმენენ იესოს ხმას: „გამშორდით!“ (იხ. მათ. 7:20-23).

მესამე კატეგორიაში შედიან ადამიანები, რომლებიც იბრძვიან და ცოდვისგან გათავისუფლებას ცდილობენ. მათ სურთ ეს, მაგრამ ცოდვას მაგრად უპყრია მათი ცხოვრება. ასეთებმა ჯერ კიდევ ვერ აღმოაჩინეს ღვთის სიტყვაში, თუ როგორ უნდა მოიპოვონ თავისუფლება რწმენით. როცა ისინი სცოდავენ, მათი გული იტანჯება ღვთის მიმართ სიყვარულის გამო. ისინი ჭეშმარიტად ინანიებენ, მაგრამ დროდადრო კვლავ სცოდავენ. სამწუხაროდ, ერთ-ერთი, რაც მათ ბოროტებაში ამყოფებს, დანაშაულისა და სირცხვილის განცდაა იმ ცოდვის გამო, რითაც დატყვევებული არიან. მათ უკან სწევს თავიანთი ცოდვის სირცხვილი.

თუ მესამე ჯგუფს მიეკუთვნები, კარგად მომისმინეთ! იესო გვეუბნება: „თუ შეგცოდოს შენმა ძმამ, გაუწყერი; თუ მოინანიოს, მიუტევე. დღეში შვიდჯერ რომ შეგცოდოს და შვიდჯერვე მოგიბრუნდეს და გითხრას ვინანიებო, აპატიე!“ (ლუკ. 17:3-4). მიზეზი, რის გამოც ჩვენი მოძღვარი სხვა შემცოდეთა პატიებას მოითხოვს, რომლებიც ნამდვილად ინანიებენ დღეში რამდენჯერმე, არის სხვათა პატიება ისე, როგორც ჩვენი ზეციერი მამა გვპატიებს (იხ. ეფეს. 4:32). იცოდეთ, თუ ბევრჯერ სცოდავთ, მაგრამ ყველა ჯერზე ჭეშმარიტი მონანიებით გულმოდრეკილი უახლოვდებით ღმერთს, ნაპატიები ხართ და იესო ქრისტეს სისხლი გწმენდთ ისე, თითქოს არასოდეს შეგეცოდოთ. ნუ დასჯით საკუთარ თავს! რადგან ეს იესოს სისხლის სიდიადეს გართმევთ და თქვენი საქმეებით გამართლებას აბრუნებს. ამის გაკეთებით ვერც გადარჩენას და ვერც პატიებას მიიღებთ. პატიება ღვთის მოწყალე ნიჭია.

ამ თავში სწორედ მესამე ვარიანტს მინდა შევეხო. გაგიზიარებთ ჩემს ამბავს, თუ როგორ მომცა ღმერთმა გამათავისუფლებელი სიტყვა.

## პირ ვთავისუფლები

როცა ოცი წლის ვიყავი, რამდენიმე მეგობარმა პორნოგრაფიული ჟურნალები გამაცნო. ერთმანეთს ვუცვლიდით და ზედმეტია იმის თქმა, რომ დიდი ხანი არ გასულა, რაც მათზე დამოკიდებული გავხდი.

თავდაპირველად უფრო მსუბუქი პორნოთი დავიწყე, მაგრამ სწრაფად გადავედი ყველაზე სასტიკ მასალაზე. ამან სექსუალური ფანტაზიები აღმიძრა, რომელთა გაკონტროლება ჩემს გონებას აღარ შეეძლო. უფროს კლასებში გოგონებს მივაჩერდებოდი და წარმოვიდგენდი, როგორ მქონდა მათთან სქესობრივი ურთიერთობა. მთლიანად დამიპყრო სქესობრივმა გულისთქმამ.

ცხრამეტი წლის ვიყავი, როცა ცხოვრება იესოს მივუძღვენი ჩვენს სტუდენტურ საძმოში ჩატარებულ შეკრებაზე. ბევრმა ცოდვამ მეყსეულად დაკარგა ჩემს ცხოვრებაზე ძალაუფლება: სმა, გინება, შეუფერებელი ქცევა გოგობთან, უხეშობა და ბევრი სხვა უღვთო ქცევა თანდათან გაქრა. თუმცა პორნოგრაფია და გულისთქმა პოზიციებს არ თმობდნენ. ისევ შებორკილი ვიყავი და თავის დახსნას ვერ ვახერხებდი. ყოველ ჯერზე, როცა ამ ცოდვას ვემორჩილებოდი, მაშინვე ვინანიებდი და ღმერთს გულწრფელად ვთხოვდი პატიებას.

გადარჩენის მიღებამდე დიდად არ მადარდებდა ჩემი სექსუალური გულისთქმა. მას მაშინ ვიხსენებდი, როცა სურვილი მენვეოდა. გადარჩენის მიღების შემდეგ სასტიკ ბრძოლაში ჩავები. არ მინდოდა პორნოგრაფიის ყურება, რადგან ვიცოდი, რომ ეს ღვთიური ქცევა არ იყო. და მაინც, ის უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი წინააღმდეგობის ძალა.

1982 წელს, 23 წლის ასაკში ლიზაზე დავქორწინდი. ვფიქრობდი, რომ ჩემი გულისთქმა სხვა ცოდვებით გაქრებოდა, რადგან ჩემი ოცნების ქალზე ვიქორწინე. ასე არ მოხდა და უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდი. თუკი სადმე პორნოგრაფია იყო ჩემს სიახლოვეს, ისე მიზიდავდა, როგორც მაგნიტი ლითონის ბურბუშელას. ის უარყოფითად მოქმედებდა ჩემი და ლიზას ურთიერთობაზე, როგორც საწოლში, ისე სხვა სიახლოვის სფეროებში.

1983 წელს მსახურება დავიწყე, მაგრამ ისევ პორნოს ვებრძოდი. ჩემი დარწმუნება, რომ ეს არასწორი ქმედება იყო, უფრო და უფრო იზრდებოდა. ეკლესიაში ჩვენს მწყემსზე, მის ოჯახსა და სტუმარ მსახურებზე მზრუნველობა მეკისრებოდა. ჩვენი ეკლესია ამერიკაში ყველაზე ცნობილი გახლდათ და მას მრავალი გამოჩენილი მწყემსი და მქადაგებელი სტუმრობდა. ერთ-ერთი მათგანი ცნობილი იყო გათავისუფლების მსახურებით. იგი აზიაში მოღვაწეობდა რამდენიმე წლის განმავლობაში და ადამიანთა უზნეობებისა და დემონებისგან გათავისუფლების დოკუმენტური ისტორიები ფენომენალური და

260 ბაანაღბური კრიპონიტი!

ზოგჯერ, სრულიად წარმოუდგენელი გახლდათ. ღმერთი მას საფუძვლიანად იყენებდა. ეს იყო ლესტერ სამრალი.

1984 წლის შემოდგომაზე იგი ჩვენს ეკლესიაში ჩამოვიდა ოთხდღიანი სემინარის ჩასატარებლად და მე კიდევ ერთხელ ვუმასპინძლე. იგი უკვე საკმაოდ კარგად გავიცანი წინანდელი ვიზიტებიდან. როცა მას მანქანით დავატარებდი და მარტო ვიყავით, საუკეთესო შესაძლებლობად მიჩვენებოდა გულის გადაშლა და ჩემი ტანჯვისა და სექსუალური გულისტქმის შესახებ მოყოლა. თავი დავიმდაბლე და საშინლად გულწრფელი ვიყავი, რადგან თავის დაღწევა მინდოდა. ლესტერი მკაცრად მელაპარაკა, როგორც რწმენაში ნამდვილ მამას შეეფერებოდა. ყურადღებით ვუსმენდი მის ყოველ სიტყვას. შემდეგ სასოწარკვეთით ვთხოვე: „ილოცეთ ჩემი გათავისუფლებისთვის!“.

მან ძალზე ძლიერი ლოცვით ილოცა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მომდევნო კვირებსა და თვეებში არავითარი ცვლილება არ მიგრძენია. ისევ გავაგრძელე ჩემს გულისტქმასთან ბრძოლა.

დაახლოებით ცხრა თვის შემდეგ ერთი ბინა შემომთავაზეს, რომ ლოცვა-მარხვისთვის განემარტოებულიყავი. მარხვის მეოთხე დღეს, 1985 წლის 6 მაისს, რომელიც არასოდეს დამავინწყდება, სრულიად გავთავისუფლდი გულისტქმის სულისგან, როცა ლოცვაში ვიყავი ჩაძირული. სულიწმიდა წამიძღვა, რომ მგზნებარედ მეზრძანებინა გულისტქმისთვის ჩემი ცხოვრების დატოვება. ასეც მოვიქეცი და ძალაუფლება, რომელიც ჩემზე მოვიდა, ყველაფერს აღემატებოდა, რაც იქამდე განმეცადა. მაღლობა ღმერთს, რომ მას შემდეგ თავისუფალი ვარ!

## რატომ მოგვინახით?

რამდენიმე წლის მანძილზე თავისუფლებაში სიარულის შემდეგ, გულისგამანვრილებელი კითხვა ამეკვიატა, რომელიც უფალს ლოცვაში გაფუზიარე. „მამა“, – ვკითხე მე, – „ვერაფერს მივხვდი, თავი დავიმდაბლე ლესტერის, ღვთის დიდი ადამიანის წინაშე. მისი მსახურებისას მრავალი გათავისუფლდა, მაგრამ მე რატომ ვერ გავთავისუფლდი მაშინ, როცა ჩემთვის ილოცა? რატომ გავიდა კიდევ ცხრა თვე, სანამ რეალურად გავთავისუფლდებოდი?“

უფალმა დაიწყო ჩემი ცხოვრების ჩვენება იმ დროის განმავლობაში. 1984 წლის შემოდგომაზე, როცა ლესტერი საქადაგებლად ჩამოვიდა, ყოველ დღით საათნახევარი ვლოცულობდი.

ასე ვიქცეოდი რამდენიმე წელი. დილის 5 საათზე ვდგებოდი და 5:30-მდე აზრზე ვერ მოვდიოდი. შემდეგ 7:00-მდე ვლოცულობდი. ჩემი ყველაზე მგზნებარე ლოცვა იმ დროისთვის ასეთი გახლდათ: „უფალო, გამომიყენე, რომ მრავალი მივიყვანო იესოსთან, გამომიყენე სწეულთა განსაკურნებლად, გამომიყენე ადამიანთა გასათავისუფლებლად. ზეციერო მამა, გამომიყენე ერებზე ზეგავლენისთვის იესოს სახელით!“ ამაზე ყოველდღე ვლოცულობდი. ღმერთს ვთხოვდი, მსახურებაზე დავყენებინე და გაეღო კარი, რომელთაც ვერავინ დაკეტავდა. მხურვალე ლოცვით ვლოცულობდი!

იმავე შემოდგომის ერთ დღეს მორიგ დილის ლოცვას ვასრულდებდი და ისევ ისე შევღალადებდი ღმერთს, როგორც მრავალი თვის, წლების განმავლობაშიც კი. მოულოდნელად, სათხოვრის მიტანის მგზნებარე მომენტში სულიწმიდა დამელაპარაკა და მითხრა:

– შვილო, შეგიძლია მრავალი მოიყვანო იესოსთან, ბევრი გაათავისუფლო და სწეულები განკურნო, მაგრამ მაინც სამუდამო ჯოჯოხეთში დაასრულო.

კათოლიკედ აღმზარდეს და იმ დროისთვის ზეციდან შობის მხოლოდ ხუთ წელს ვითვლიდი, ამიტომ სრულიად გაუცნობიერებელი ვიყავი იმაში, რის აღწერასაც ვაპირებ. ავკანკალდი, უფრო სწორად, შინაგანმა ცახცახმა ამიტანა, როცა მისი სიტყვები გავიგონე. ვირყეოდი და ლაპარაკის მემინოდა. ამავდროულად, სრულიად შეცბუნებული გახლდით, მაგრამ ვიცოდი, რომ ღმერთი ლაპარაკობდა. მისმა თანდასწრებამ მოწინებით ამავსო.

ბოლოს ძალა მოვიკრიბე და მოკრძალებით ვკითხე:

– რა უნდა ვქებო ყველაზე მეტად? რა არის უმნიშვნელოვანესი?

ნათლად გავიგონე მისი პასუხი:

– ჩემი ახლოს გაცნობა!

ამ შეხვედრის შემდეგ ჩემი ბიბლიიდან გავიგე, რომ ეს ყოფილა დავითის, მოსეს, პავლესა და ყველა იმ ადამიანის უდიდესი სურვილი, რომლებმაც ცხოვრება კარგად დაასრულეს. პავლე აცხადებს: „ახლაც ყველაფერი წაგებად მიმარჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს შეცნობის უპირატესობის გამო“ (ფილ. 3:8).

მისი წადილი იესოს ახლოს გაცნობა იყო და ეს შემეცნება ძალმოსილ მსახურებას წარმოშობდა. მე უფრო მსახურებას ვესწრაფოდი, ვიდრე იესოს ახლოს გაცნობას. იმ დღემ ყველაფერი შეცვალა.

ახლა ჩემი დილის ლოცვები სხვა საკითხზე იყო ფოკუსირებული და მათი შინაარსი შეიცვალა: „უფალო, მინდა გიცნობდე იმდენად კარგად, რამდენადაც ადამიანს შეუძლია შენი შეცნობა! მინდა შენთვის სათნო ვაკეთო, რამდენადაც ადამიანს შეუძლია გასიამოვნოს! მაჩვენე შენი გული, გამომიცხადე, რა არის შენთვის მნიშვნელოვანი. მასწავლე შენი გზები და ჰყავი ისე, რომ ჩემმა ცხოვრებამ სიხარული მოგიტანოს ...“.

ისევ ვდგებოდი სისხამ დილით, მაგრამ ჩემი მგზნებარე ლოცვები ახლა სხვა მიმართულებისა იყო. ვერ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა, მაგრამ ღმერთმა ეს მოგვიანებით მაჩვენა.

ამრიგად, პასუხი კითხვაზე: „რატომ ვერ გავთავისუფლდი, როცა ლესტერ სამრალმა ილოცა ჩემთვის?“ ნელ-ნელა გამოიკვეთა. ღმერთი მაშინ დამელაპარაკა და მითხრა:

– როცა მახარებლის წინაშე გაიხსენი, გეშინოდა, რომ სექსუალური გულისთქმა იმ მსახურებას ჩამოგაშორებდა, რომლისთვისაც მოგიწოდებ. გეშინოდა, რომ ცოდვა ჩემი საქმისათვის უუნაროს გაგხდიდა. მწუხარების მიზეზს შენივე თავი წარმოადგენდა. ეს ამქვეყნიური ნაღველი იყო.

მან განაგრძო:

– ცხრა თვის განმავლობაში მევედრებოდი, რომ ახლოს გაგეცანი. გული გეფლითებოდა იმის გამო, რომ შენი ცოდვით გულს მტკენდი. იცოდი, რომ შენი ცოდვების გამო მოკვდი და შეიზიზღე იმ ყველაფერში მონაწილეობა, რამაც მე ჯვარზე გამგზავნა. შენი დარდის ობიექტი ახლა მე გაგხდი; ეს უკვე ღვთის გულისთვის დანალვლიანებაა.

პავლე კორინთელთა ეკლესიას უცხადებს:

„ახლა ვხარობ არა იმიტომ, რომ დანალვლიანდით, არამედ იმიტომ, რომ დანალვლიანდით მოსანანიებლად; რადგან დანალვლიანდით ღვთის გულისთვის, ასე, რომ ჩვენგან არაფერი გვენებიათ. ვინაიდან ღვთის გულისთვის დანალვლიანება წარმოშობს მონანიებას გადასარჩენად ყოველგვარი წუხილის გარეშე, ხოლო ქვეყნიერების ნაღველი სიკვდილს წარმოშობს“. (2 კორ.7:9-10)

„გადარჩენის“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა ამ მუხლში მხოლოდ ხელახლა შობას როდი აღნიშნავს. ეს გახლავთ სიტყვა „სოტერია“, რომელიც განიმარტება როგორც „უსაფრთხოება, გათავისუფლება, საფრთხის ან განადგურებისგან დაცვა“ (WSNTDICT). მოდი, ამ განმარტებიდან სიტყვა „გა-



თავისუფლება“ გამოვაცალკევოთ და ზემომოყვანილ მუხლში ჩავსვათ: „ვინაიდან ღვთის გულისთვის დანაღვლიანება წარმოშობს მონანიებას გასათავისუფლებლად“. მე გავთავისუფლდი და ამისკენ გზა ღვთის გულისთვის დანაღვლიანებამ გამიხსნა.

## ორგვარი დანაღვლიანება

დანაღვლიანების ორი სახე არსებობს: ღვთიური და ქვეყნიური. როგორ განირჩევიან ისინი ერთმანეთისგან? მეფე საულისა და მეფე დავითის შემთხვევები ამ განსხვავებას კარგად გამოხატავს. როგორც წინა თავში განვიხილეთ, საული ღმერთს ეურჩა ყამალექთან ომის დროს. როცა წინასწარმეტყველმა სამუელმა განმარტება მოსთხოვა, მან ყველაფერი უარყო, მაგრამ სამუელი ამით არ დაკმაყოფილდა. შემდეგ საული ხალხს დებს ბრალს. მხოლოდ წინასწარმეტყველის დაჟინებამ ათქმევინა საულს, რომ შესცოდა. ამ აღიარების შემდეგ იგი სწრაფად ეუბნება სამუელს: „შევცოდე; გემუდარები, დამდე ახლა პატივი ჩემი ხალხის უხუცესებისა და ისრაელის წინაშე!“ (1 სამ. 15:30). საული საკუთარ თავზე დარდობს. სამუელი მას წინამძღოლთა გუნდისა და ხალხის წინაშე დაპირისპირებით არცხვენს. მას პატივის დაბრუნება სურს.

მეორე მხრივ, მეფე დავითი დიდად სცოდავს. იგი სხვა კაცის ცოლთან მრუშობს და ცოდვის დასაფარად იმ კაცის მკვლელობას აწყობს. ნათან წინასწარმეტყველი მას უხუცესებისა და ხალხის წინაშე უპირისპირდება, მაგრამ მისი ცოდვის გამჟღავნებისას დავითი მინაზე ეცემა და ამბობს: „შევცოდე უფალს“ (2 სამ. 12:13).

საული ამბობს: „შევცოდე“, ხოლო დავითი ამბობს: „შევცოდე უფალს“. აი, რა განსხვავებაა მათ შორის. დავითი გულგატეხილია, რომ მისთვის საყვარელ უფალს თავისი საქციელით გული ატკინა. მისი მწუხარება მისივე პიროვნებაზე არ არის კონცენტრირებული, ხოლო საულისა – კი. ეს მაშინ დადასტურდა, როცა დავითი უფლის წინაშე მინას განერთხა და შვიდი დღე მარხულობდა. იგი უკიდურესად დამწუხრებულია იმის გამო, რაც ღვთის წინააღმდეგ გააკეთა. იგი ამას სრულიად ნათელს ხდის, როცა უფალს შელაღადებს:

„შენ, მხოლოდ შენ შეგცოდე და ბოროტება ჩავიდინე შენს თვალში, ამიტომ მართალი ხარ შენს სიტყვებში და უმნიკვლო — შენს სამართალში“. (ფს. 51:4)



ამქვეყნიური ნალველი ყურადღებას საკუთარ მეობას აქცევს – როგორია ამის შედეგები? გავსამართლდები? უუფლებოდ დავრჩები? გავიტანჯები ჩემი ცოდვის გამო? რას იფიქრებს ხალხი ჩემზე? და ასე შემდეგ. ღვთიური ნალველი იესოს უყურებს: გული ვატკინე მას, ვინც მიყვარს და მნიშვნელობა არ აქვს, რას გადაწყვეტს. *სწორი და ჭეშმარიტია მისი სამართალი და მისი ნყალობის წინაშე ვიდრიკები.*

## თავის ღალწვა

ახლა უკვე თავისუფალი ვიყავი, მაგრამ გონების განახლება მაინც მჭირდებოდა. ამას ორი თუ სამი წელი დასჭირდა. 1985 წლის მაისამდე, თუ სადმე ახლომახლო პორნოგრაფიის ყურება იყო შესაძლებელი, მის მიზიდულობას ვერ ვენინააღმდეგებოდი. ახლა უკვე შემედლო წინააღმდეგობის განწევა და მისგან თავის შორს დაჭერა. თუმცა ლამაზი ქალის დანახვაზე, რომელიც გვერდით ჩამივლიდა მჭიდროდ მორგებული სამოსით, სულ სხვა მხარეს ვიყურებოდი, რომ ჩემი ფიქრებისთვის არეულობის რაიმე შანსი არ მიმეცა. ეს არ იყო სრული თავისუფლება, რასაც იესო უზრუნველყოფდა. გათავისუფლება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

განსხვავება არსებობს გათავისუფლებას, როგორც მოვლენას და რეალურ თავისუფლებას შორის. მე 6 მაისს გავთავისუფლდი, მაგრამ იესო ამბობს: „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (იოან.8:32). მიზანი სწორედ რეალური თავისუფლებაა და ამას ჭეშმარიტების გათავისება სჭირდება.

დრო გადიოდა და მე მის სიტყვასა და ლოცვაში ვრჩებოდი. ჩემმა გონებამ თანდათან დაიწყო საგნების ისე დანახვა, როგორც უფალი ხედავს მას ქალებთან დაკავშირებით. პირველი აზროვნების ცვლა მაშინ მოხდა, როცა ჩემი გული ნალეკა ღვთიურმა გაცნობიერებამ, რომ ყველა ქალი ღვთის ასულია. ვიცი, რომ ეს ძალიან ღრმა აზრი არ გახლავთ, მაგრამ ჩემთვის სასარგებლო კი აღმოჩნდა. სულიწმიდამ მაჩვენა, რომ თითოეული ქალი რომელიღაც დედისა და მამის საყვარელი პატარა გოგონა იყო. ისინი ხორცის ნაგლეჯები არ არიან ჩემს დასაკმაყოფილებლად, როგორც ამას გათავისუფლებამდე აღვიქვამდი.

გარკვეული დროის შემდეგ, გულში უფრო დიდი გამოც-

ხადება მოვიდა. ნათელი გახდა, რომ ყველა ქალი ღვთის ხატად შეიქმნა და ღმერთმა მათ დიდება და ღირსება დაადგა გვირგვინად (იხ. დაბ. 1:26-27 და ფს.8:5). შესაძლოა, არც ეს აზრები იყო დიდად საფუძველჩამყრელი, მაგრამ ჩემი შინაგანი კაცისთვის ცხოვრების ცვლილების ტოლფას გამოცხადებას ნიშნავდა.

ახლა, როცა ჩემ წინ პორნოგრაფია გაიეღებებს, ეს შეურაცხყოფელია! დიახ, ის რაც ერთხელ მატყვევებდა, ახლა სრულიად განმიზიდავს. ახლა თუ ჩემ გვერდით მომხიბლავი ქალი ჩაივლის, თავის მიბრუნება არ მჭირდება, როგორც გათავისუფლებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში. ახლა შემოიძლია სახეში შევხედო და თბილად ვუთხრა: „გამარჯობა“, ნებისმიერი უხამსი სურვილის გარეშე.

იესო ქრისტეს მადლის ძალა აღმოვაჩინე. მივხვდი, რომ ქრისტიანთა უმრავლესობა მადლს გადარჩენად, ცოდვების პატიებად და დაუმსახურებელ ნიჭად მიიჩნევს და ამით მთავრდება ყველაფერი. გავაცნობიერე, რომ ღვთის მადლი ყველა ამ საოცარ ატრიბუტს მოიცავს, მაგრამ ცვლილების ძალასაც გვაძლევს. ის გვაკეთებინებს ყველაფერს, რისკენაც ჭეშმარიტება მოგვიხმობს.

შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ იესოს უსასყიდლო ნიჭი ცოდვის საუკუნო სასჯელისგან გვიხსნის, მაგრამ საკმარისად ძლიერი არ არის ცოდვის ბორკილებიდან ჩვენს გასათავისუფლებლად? ამაში ვერასოდეს დამარწმუნებთ.

ვიცი! საკუთარ თავზე გამოვცადე მისი ცხოვრების გარდამქმნელი მადლი და ახლა თავისუფალი ვარ. ისეთი მადლიერი ვარ, რომ ეს ჩემთვის გააკეთა და ისე მადლიერი ვარ, რომ ამას თქვენთვისაც გააკეთებს! ეს ბრძოლა იყო და არა პარკში გასეირნება. ამას დაჟინება და მხურვალე ლოცვა სჭირდებოდა. სავარაუდოდ, თქვენთვისაც ასე იქნება. კარგი ამბავი ის გახლავთ, რომ არ შეგიძლიათ დამარცხება, რადგან ღვთის მადლი და სიყვარული არასოდეს მარცხდება. დარჩით მასთან და სრულიად გათავისუფლდით!

## იპოქრეტი!

ღმერთი თქვენი მხსნელია და სხვა არავინაა მისი მსგავსი. არავითარი ხუთნაბიჯიანი პროგრამა, არავითარი ადამიანური მცდელობა და არავითარი წესების ჩამონათვალი – როგორ გათავისუფლდეთ ცოდვის ბორკილებიდან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ცოდვისგან გვათავისუფლებს მაშინაც კი, როცა ჩვენ არაფერს ვაკეთებთ საამისოდ. ღმერთი დაგისხნით, მაგრამ მისი გზით სიარული გარკვეულ ქმედებებს მოითხოვს. ჩვენი ზეციერი მამის მიყოლა სწორი მოტივებით, მისი შეცნობით და არა უბრალოდ, ინფორმაციის მოგროვებით მის შესახებ – არის ის, რაც წინ უძღვის ცოდვისგან გათავისუფლებას.

კითხვა იმაში მდგომარეობს, თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია გათავისუფლება? გამოყოფთ დროს ღვთის საძიებლად? მოაწყობთ მარხვა-ლოცვისთვის გასვლას, თუ ეს საჭირო იქნა? შეჰვალადებთ და არ გაჩერდებით, სანამ მის თანდასწრებას არ იპოვით და ჩაეჭიდებით მის აღთქმებს? მიუახლოვდებით მას და საშუალებას მისცემთ, რომ თავად შეარჩიოს დღის წესრიგი თქვენი ურთიერთობისთვის? გააგრძელებთ ცოდვისგან გათავისუფლების ძიებას უფალთან ურთიერთობის გულისთვის და არა იმისთვის, რომ ცოდვა თქვენთვის სასურველ ცხოვრებაში გაბრკოლებთ? თავს დაიმდაბლებთ, რომ ეკლესიაში დაყენებულ ღვთისმოსავ წინამძღოლებს თქვენთვის ლოცვის ნება მისცეთ და მათი აზრი გაითვალისწინოთ ცხოვრებაში?

იფიქრეთ თქვენი ბორკილის საფასურზე, მაგრამ ისიც დათვალეთ, რა დაგიჯდებათ მისგან გათავისუფლება! შემდეგ მიჰყევით უფალს მთელი გულით. იგი გელოდებათ, რომ ახლოს გაიცნობთ მას!

## ცოდვა, რომელიც ცოდვა არ არის

წარბები მაღლა ხომ არ აზიდეთ ამ თავის სახელწოდების კითხვისას?

კერპთაყვანისმცემლობის კიდევ ერთი ასპექტი არსებობს, რომელიც ჯერ არ განგვიხილავს. მას შეიძლება ვუწოდოთ ცოდვა, რომელიც ცოდვა არ არის. კრიპტონიტის მოშორების პროცესის დასასრულებლად ამ საკითხს გვერდს ვერ ავუვლით, რადგან ის შეიძლება ყველაზე მოუხელთებელი და ძნელად აღმოსაჩენი იყოს. მოდი, იგავით დავიწყოთ!

ერთხელ, რომელიღაც თვითმხილველმა იესოს უთხრა, რა დიდებული იქნებოდა ღვთის სამეფოს ნადიმზე ყოფნაო. იესომ ეს ნათქვამი საფუძვლიანი ჭეშმარიტების ილუსტრაციისთვის გამოიყენა. მან თქვა: „ერთმა კაცმა დიდი ვანშიამი გამართა და ბევრი მიიწვია. სერობის დრომ რომ მოაწია, მონა გაგზავნა, რათა წვეულთათვის ეთქვა: მობრძანდით, ყველაფერი მზად არისო. ყველამ ერთიანად დაიწყო მობოდიშება (ლუკ. 14:16-18). ამ იგავის მთავარი სიტყვა „მობოდიშება“ გახლავთ.

ოდესმე გამოგიცდიათ? ვინმეს რალაცას სთხოვთ, იქნება ეს დახმარება, საღამოსა თუ სადილზე მოპატიჟება, აუცილებელი დავალების შესრულება, რაიმეს დარიგება ან ნებისმიერი სათხოვარი და პასუხად უხეირო მობოდიშებას იღებთ. რას გადმოგვცემენ ადამიანები მობოდიშებით? მარტივი მისახვედრია, რომ მათთვის თქვენს დავალებაზე მნიშვნელოვანი სხვა საქმეა. არსებითად, ისინი ამბობენ: „ჩემი პრიორიტეტები თქვენსაზე მაღლა დგას ჩემს ჩამონათვალში“.

იესოს ნათქვამის თანახმად, ზემოხსენებული კაცი ბარბექიუს, ჰამბურგერების, ჰოთდოგისა და ჩიპსების გამოტანას არ აპირებდა გასამასპინძლებლად. ეს დიდი ნადიმი იყო, მნიშ-

ვნელოვანი მოვლენა. მან ეს მონვეულთა საკურთხებლად გააკეთა. მოსანვევები დაიბეჭდა, დაილუქა და დაეგზავნა მათ, რომელთა ნადიმზე ყოფნაც მასპინძელს სურდა, მაგრამ ყველამ მობოდიშებით უპასუხა: „ერთმა თქვა: ყანა ვიყიდე და მის სანახავად უნდა წავიდე, გთხოვ, მაპატიო“ (ლუკ.14:18).

აქ ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: ცოდვა არის თუ არა მინდვრის ყიდვა? რასაკვირველია, არა. თუ ასეა, სავალალო დღეში ვყოფილვარ, რადგან რალაც მინები მიყიდია ცხოვრებაში. და მაინც, თუ მინის შექმნა ღვთის სიტყვაზე უფრო მნიშვნელოვანი ხდება, მაშინ ეს ცოდვაა – „ცოდვა, რომელიც ცოდვა არ არის“. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს კერპთაყვანისცემა ანუ კრიპტონიტია.

მოდით, მეორე მონვეულს მივუბრუნდეთ: „მეორემ უთხრა: ხუთი უღელი ხარი ვიყიდე და მათ გამოსაცდელად უნდა წავიდე, გთხოვ, მაპატიო“ (ლუკ. 14:19).

და ისევ, ხარის ყიდვა ან უფრო შესაბამისი რომ იყოს, ბიზნესისთვის საჭირო აღჭურვილობის ყიდვა ცოდვაა? რა თქმა უნდა, არა – მე მიყიდია ბიზნესისთვის მოწყობილობები ჩემი ცხოვრების მანძილზე. თუმცა ეს ცოდვად ჩაითვლება მაშინ, როცა რალაცის შექმნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უფლის სიტყვა. ამრიგად, ეს გახლავთ ცოდვა, რომელიც ცოდვა არ არის ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კერპთაყვანისმცემლობა ანუ კრიპტონიტია.

მოდით, ბოლო მონვეულის შემთხვევაც განვიხილოთ:

„მესამემ უთხრა: ცოლი შევირთე და ამის გამო არ შემიძლია მოსვლა“. (ლუკ. 14:20)

უკანასკნელად მომეცით ნება, რომ გკითხოთ, ცოლის მოყვანა ცოდვაა? თუ ეს ასეა, მრავალი მამაკაცი ჩემი ჩათვლით ცუდ დღეში ჩავარდნილა. რასაკვირველია, ასე არ არის, მაგრამ დაქორწინებაც ცოდვად ჩაითვლება, თუ ის ღვთის სიტყვაზე მნიშვნელოვანი გახდა. და ისევ, ეს გახლავთ ცოდვა, რომელიც ცოდვა არ არის ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კერპთაყვანისმცემლობა ანუ კრიპტონიტია.

ფიქრობ, სათქმელი ნათელია: როცა ვინმეს, რაიმეს ან ნებისმიერ ქმედებას უფლის სიტყვის წინ ვაყენებთ, ცოდვად ვაქცევთ იმას, რაც ჩვეულებრივ, ცოდვა არ არის.

## ჩემი კრიტიკონიტი გამოვლენილია

როგორც ზემოთ აღვნიშნე, იესო ქრისტე შემეცვარდა, როცა პერდიუს უნივერსიტეტის მეორე კურსზე ვიყავი. მე იგი უფლად მივიღე სტუდენტურ საძმოში 1981 წელს. გულში ცეცხლი მენთო მის გამო!

რამდენიმე თვის შემდეგ პერდიუსს საფეხბურთო სეზონი იწყებოდა. ახლა უკვე მესამეკურსელი გახლდით და როგორც სტუდენტს, ჩვენი თამაშების სეზონური ბილეთებიც მქონდა. პირველ ორ წელს ერთი თამაშიც კი არ გამომიტოვებია, მაგრამ ახლა იესოთი ისე ვიყავი აღფრთოვანებული, თამაშებისთვის გამოყოფილ დროს ბიბლიის შესწავლას ვუთმობდი. საერთო საცხოვრებელში სინყნარე იყო, რადგან ბიჭები თამაშის საყურებლად იყვნენ. ეს მხურვალე ლოცვებისთვის შესაფერისი დრო გახლდათ. დიდად ვხარობდი ღმერთთან ურთიერთობით ფეხბურთის მატჩების ყურებაზე მეტად.

ჩემთვის არავის უთქვამს, „თამაშებზე არ წახვიდე!“ არასოდეს მიფიქრია, რომ თამაშებზე დასწრება ცოდვა იყო. ფაქტობრივად, დამამთავრებელ კურსზე ბევრ მატჩს ვუყურე.

პერდიუსის დამთავრების შემდეგ დალასში (ტექსასის შტატი) გადავედი და რამდენიმე თვის შემდეგ ჩემს ეკლესიაში მსახურების შემოთავაზება მივიღე. მსახურების სიდიდისა და ზეგავლენის გათვალისწინებით ოთხასზე მეტი თანამშრომელი გვყავდა.

იმ დროისთვის დალასის „კოვბოები“ ეროვნული საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ითვლებოდა. „კოვბოების“ დიდი გულშემატკივარი არასოდეს ვყოფილვარ, რადგან მიჩიგანის შტატში გავიზარდე, მაგრამ ყოველ ორშაბათს ვისმენდი თანამშრომლების საუბარს ამ გუნდის შესახებ. ისინი მთელი მგზნებარებით მსჯელობდნენ წინა დღის თამაშის დეტალებზე: სტატისტიკაზე, გამორჩეულ გათამაშებაზე და რასაკვირველია, ფინალის სურათსაც წარმოიდგენდნენ ხოლმე.

ცნობისმოყვარეობის გამო გადავწყვიტე „კოვბოების“ თამაშისთვის მეყურებინა. თავიდან ერთი-ორი მეოთხედით დავიწყე. მომწონდა მათი ყურება, რადგან მართლაც საინტერესო იყო. ამას კიდევ ერთი სარგებელიც ჰქონდა. შესაძლებლობა მომეცა, რომ ოფისის თანამშრომლებთან გონივრულ მსჯელობაში მონაწილეობა მიმეღო.

დრო გადიოდა და „კოვბოების“ მიმართ ჩემი დაინტერესება დიდად გაიზარდა და უკვე მთლიან თამაშებს ვადევნებდი

თვალყურს. აღმოვაჩინე, რომ ტელევიზორსაც მეტისმეტი მონდომებით და შეძახილებით ველაპარაკებოდი და ზოგჯერ ფეხბურთელებსაც ვუყვიროდი. ამან საბოლოოდ, იქამდე მიმიყვანა, რომ მატჩების ერთ მცირე მომენტსაც კი არ ვტოვებდი. მე და ჩემი თანამშრომლები საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგაც არ ვწყვეტდით დრაფტზე მსჯელობას და აღფრთოვანებას გამოვხატავდით, თუ რა დიდებული იქნებოდა გუნდის თამაში მომდევნო სეზონზე. ახლა უკვე სრულიად თავგამოდებულ გულშემატკივრად ვიქეცი!

მომდევნო სეზონიც დადგა და თამაშის მოლოდინმა სრულიად დამიპყრო. ყოველი საკვირაო მსახურების შემდეგ სახლისკენ მივიჩქაროდი, ტელევიზორს ვრთავდი და საეკლესიო ტანსაცმელსაც კი არ ვიცვლიდი, თუმცა მაშინ ყველანი პიჯაკებში ვიყავით გამონყობილი. ზოგჯერ ისე მივეწებებოდი ტელევიზორს, რომ ჩემი მოუხერხებელი ტანსაცმელი და შხაპის მიღების საჭიროება არც კი მახსენდებოდა. თამაშის ერთი ნუთის დაკარგვაც არ მინდოდა.

შესვენებისას ტანსაცმელს ვიცვლიდი. ლიზას ჩემი იმედი არ უნდა ჰქონოდა, თუ რამეში დახმარება დასჭირდებოდა. „ძვირფასო, კოვბოები თამაშობენ!“ – ვეუბნებოდი მე. ეკლესიიდან დაბრუნებისას სანახევროდ შევჭამდით რამეს ან რიგიანად – თამაშის შემდეგ, მაგრამ არასოდეს – თამაშის დროს.

ამ დროისთვის უკვე გუნდის ყოველგვარი სტატისტიკა ვიცოდი. გულმოდგინედ ვიკვლევდი მათ და გამუდმებით ვფიქრობდი, რა შეიძლება უკეთ გაეკეთებინათ „კოვბოებს“. მე ვიყავი საუბრების წამომწყები სამსახურში. ეკლესიიდან რამდენიმე ადამიანს სეზონის ბილეთები ჰქონდა და მათგან ყოველთვის ვიღებდი თამაშის სანახავად სტადიონზე წასვლის მოპატიჟებას. არასოდეს უხეირო ბოდიში არ მომიხდია და უარი არ მითქვამს.

მოდი, უცებ გადავიდეთ მომდევნო სეზონზე. ამაზე ცოტა ხნით ადრე ერთი ლოცვა წარმოვთქვი, რომელიც ჩემი აზრით, საკმაოდ მარტივი და ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ჩანდა. მაშინ არ გამიცნობიერებია, რომ ის მთელ ჩემს ცხოვრებას შეცვლიდა. ლოცვა ასეთი იყო: „უფალო, გთხოვ, ჩემი გული განმიდო; მინდა, წმიდა და შენთვის გამოყოფილი ვიყო. თუ რაიმე არსებობს ჩემს ცხოვრებაში, რომელიც შენ არ მოგწონს ან შენზე წინ მიყენია, გამოავლინე და დამეხმარე მის მოშორებაში!“

საფეხბურთო სეზონი დასასრულს უახლოვდებოდა. ფინალი ახლოვდებოდა. იმ დღეს გადამწყვეტი თამაში იყო. „კოვბოები“



ფილადელფიის „არწივებს“ ეთამაშებოდნენ. გამარჯვებული ბრძოლას გააგრძელებდა, ხოლო დამარცხებული ტურნირიდან გავარდებოდა. ტელევიზორს მიეუფეექი. სავარძელში კი არ მოვთავსდი, არამედ ზუსტად ტელევიზორის ეკრანის წინ ჩავიმუხლე. თამაშის ბოლო მეოთხედი მიმდინარეობდა და მის დასრულებამდე მხოლოდ რვა წუთი რჩებოდა. „კოვბოები“ ოთხი ქულით ჩამორჩებოდნენ, მაგრამ მათი წამყვანი ქუორთერბექი გუნდს დაუნისკენ მიუძლოდა. ახლა იატაკზე ბოლთას ვცემდი, დაშვებული შეცდომების გამო იმედგაცრუებისგან ვყვიროდი ან კარგი მომენტებისას ენით აუნერელი სიხარული მავსებდა. დაძაბულობა ამალეღვებელი იყო.

მოულოდნელად, ღვთის სულმა ლოცვისთვის აღმძრა რაიმე წინასწარი მინიშნების გარეშე. გადაუდებლობის შეგრძნებამ ამავსო – *ილოცე, ილოცე, ილოცე!* ეს იყო ტვირთი, ძლიერი და მძიმე შეგრძნება შინაგანის სიღრმეში. გავაცნობიერე ეს აუცილებლობა, როცა სულიწმიდას სურს წაგიყვანოს და ლოცვაზე დაგაყენოს.

მე ხმამაღლა ვიყვირე:

– უფალო, თამაშის დასრულებამდე მხოლოდ რვა წუთია დარჩენილი! მაშინ ვილოცებ, როცა ის მორჩება.

გადაუდებლობის გრძნობა გამძაფრდა და მოკლებას არ აპირებდა.

ორიოდე წუთი გავიდა, სანამ ამ ტვირთის შემსუბუქებას ველოდებოდი. ბოლოს წამოვიყვირე:

– უფალო, ხუთ საათს ვილოცებ, როცა თამაში დამთავრდება! მხოლოდ ექვსი წუთი დარჩა!

„კოვბოები“ დაუნისკენ მიიწევდნენ. ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდნენ და ამ მნიშვნელოვან თამაშს მოიგებდნენ. ამ ხნის განმავლობაში ლოცვის საჭიროების შეგრძნება არ მტოვებდა. ფაქტობრივად, იგი უფრო გაძლიერდა. იმედგაცრუებული ვიყავი, არ მინდოდა ტელევიზორს მოვცილებოდი.

შემდეგ ხმამაღლა წარმოვთქვი:

– უფალო, მთელ დღეს ვილოცებ და ღამესაც მივაყოლებ, თუ ეს შენი სურვილია!

თამაშის დასასრულს მაინც ვუყურე. „კოვბოებმა“ მოიგეს და როგორც ღმერთს შევპირდი, მაშინვე ავდექი. კიბეებით გავემართე ჩემი კაბინეტისკენ, კარი მივხურე და ხალიჩებიან იატაკზე ლოცვისთვის დავეშვი, მაგრამ გადაუდებლობის გრძნობა გაქრა. არავითარი ტვირთი, მცირედი შეგრძნებაც კი აღარ იყო. აბსოლუტურ სიცარიელეს ვგრძნობდი.

შევეცადე, თავად მემოქმედა. ლოცვა დავინყე, მაგრამ სიტყვები ძალადაკარგული და ჩამკვდარი ჩანდა. დიდი დრო არ დამჭირვებია იმის გასაცნობიერებლად, თუ რა მოხდა. ღვთის სათხოვრის შესრულებას თამაშის ყურება ვარჩიე. *უხეირო მობოდიშება* მის სათხოვარზე წინ დავაყენე.

თავი ხალიჩაში ჩავრგე და ავკვნესდი:

– ღმერთო, ვინმეს რომ ეკითხა, „რა უფრო მნიშვნელოვანია შენთვის, ღმერთი თუ დალასის „კოვბოები?“, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ვუპასუხებდი – „რა თქმა უნდა, ღმერთი!“ თუმცა ახლახანს ვაჩვენე, ვინ უფრო მნიშვნელოვანი იყო. შენ გჭირდებოდი, მაგრამ ფეხბურთის თამაში ვარჩიე შენი სურვილის შესრულებას. გთხოვ, მაპატიე!

გულში მაშინვე გავიგე:

– შვილო, ხუთსაათიანი ლოცვის მსხვერპლი არ მჭირდება, მე შენი მორჩილება მჭირდება.

## ცხოვრების ნებისმიერი სჯერო

ამ სახის კერპთაყვანისცემა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში შეიძლება წარმოიშვას. დროის იმავე პერიოდიდან მახსენდება ერთი დილა. როცა, ის-ის იყო, ჩემი მარცვლეული ფიალაში ჩამეყარა. მიყვარს მარცვლეულის ჭამა დილაობით! იმ დილას გავიგონე ღვთის ჩურჩული: „მინდა, რომ საუზმის ნაცვლად იმარხულო!“

მახსოვს, როგორი დანანებით შევხედე მარცვლეულს. ძალიან მინდოდა მისი ჭამა.

– უფალო, მომავალ კვირას სამდღიან მარხვას დავინყებ, – კიდევ ერთი *უხეირო მობოდიშება*, რომ არ დავმორჩილებოდი მის ნათქვამს. აქედან მან მაჩვენა, რომ საჭმელი ჩემი ცხოვრების კერპი იყო. ავცდი მასთან დროის გატარების შესანიშნავ შესაძლებლობას, რადგან ჭამის სურვილია სძლია მისი თანდასწრებისა და მისი სიტყვის განცდის სურვილს.

ანალოგიურად, როცა მოგვიანებით გოლფისადმი ჩემი სიყვარული ზღვარს გასცდა, სულიწმიდამ ერთ დღეს აღმძრა, რომ გოლფის ყვანჭების (გოლფის სათამაშო ჯოხები) ნაკრები სხვა მწყემსისთვის მეჩუქებინა (მისთვის ეს კერპი არ იყო).

წელიწადნახევრიანი შესვენების შემდეგ უფალმა ერთ პროფესიონალ გოლფის მოთამაშეს გულში ჩაუდო, რომ ათასობით დოლარის ღირებულების გოლფის აღჭურვილობა ერუქებინა. საგონებელში ჩავვარდი. ხუთი თვის შემდეგ ერთ მწყემსს

უფალმა უთხრა, რომ ჩემთვის გოლფის ყვანჭების ნაკრები მოეცა. ახლა კი მართლაც დავიბენი!

მოგვიანებით, მარტო დარჩენილმა უფალს ვკითხე:

– რა უნდა ვუყო ამ აღჭურვილობას?

– წადი, გოლფი ითამაშე! – გავიგონე გულში.

– კარგი, მაგრამ შენ ხომ მითხარი ნელინადნახევრის წინ, რომ გოლფისთვის თავი დამენებებინა და მთელი ყვანჭების ნაკრები სხვისთვის მიმეცა?

– გოლფი შენთვის შეუფერებელი აღარაა, – გავიგონე ღვთის პასუხი, – ახლა ის შენ განახლებას და სიხარულს მოგიტანს.

მას შემდეგ ვითამაშობ გოლფს და ღმერთმა ის შესანიშნავი გზებით გამოიყენა დასვენებისა და განახლებისთვის. ის ასევე გახდა დაღუპული ადამიანების გადარჩენის ხერხი, ხოლო ჩემთვის ჩემს ვაჟებთან, ეკლესიის წინამძღოლებსა და მსახურების პარტნიორებთან დაკავშირების საშუალებად იქცა. ფაქტობრივად, მისიონერული გასვლებისთვის საჭირო ხუთ მილიონ დოლარზე მეტი Messenger International-ს გოლფის თამაშის მეშვეობით შესწირეს მესინჯერის თასზე გოლფის ტურნირებში მონაწილე მეგობრებმა და პარტნიორებმა. გოლფი მთლიანად რომ მომეკვთა ჩემი ცხოვრებიდან, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა. გოლფი კრიპტონიტს აღარ წარმოადგენდა ჩემს ცხოვრებაში.

ესენი ცოდვის ის სფეროები გახლდათ, რომლებიც ცოდვად არ ითვლება. ამის გაკეთება შესაძლებელია ბიზნესის, მსახურების, სპორტის, ურთიერთობების, სასიამოვნო საგნების და ცხოვრების არსებითი საჭიროებების დროსაც კი. სია დაუსრულებელია, რადგან აქ ჩართულია საგნები, აქტივობები, ურთიერთობები და დაკავებული პოზიციები.

ღმერთს სურს, რომ ცხოვრებით ვიხაროთ. ფაქტობრივად, პავლე მოციქულის საოცარი კომენტარი ვიპოვე:

„ღმერთი ... ყველაფერს უხვად იძლევა გასახარად“.

(1 ტიმ. 6:17)

მას სურს, რომ გავიხაროთ ყველა იმ შესანიშნავი კურთხევით, რომელიც მან მოგვცა. მას სურს ცხოვრებით ვისიამოვნოთ, სანაცვლოდ კი მხოლოდ ერთს ითხოვს – პრიორიტეტების სიის თავში დარჩენას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი და მისი სურვილები უპირატესი უნდა იყოს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერი საქმიანობისას.

*არავითარი უხეირო ან თუნდაც მართებული მოპოვებისა!*

## არ გამოტოვო ნადიმი!

მოდის, შევაჯამოთ იესოს იგავი. ზემოთ ნავიკითხეთ სამი მოწვეულის შესახებ, რომლებმაც მასპინძელს მოპატიჟებაზე უარი უთხრეს სხვადასხვა მიზეზის გამო. ახლა ვკითხულობთ:

„დაბრუნდა მონა და აუწყა ეს თავის ბატონს. განრისხდა მასინ მასპინძელი და უთხრა თავის მონას: სასწრაფოდ გადი ქალაქის ქუჩებსა და შესახვევებში და გლახაკნი, ხეიბრები, ბრმები და კოჭლები მომიყვანე. უთხრა მონამ: ბატონო, რაც ბრძანე აღსრულებულია, მაგრამ კიდევ დარჩა ადგილი. უთხრა ბატონმა მონას: გადი გზებზე და ორლობებში, დაიყოლიე ისინი, რომ მოვიდნენ და აივსოს ჩემი სახლი; რადგან გეუბნებით, ვერავინ იმ წვეულ კაცთაგან ვერ იგემებს ჩემს ვახშამს!“  
(ლუკ. 14:21-24)

ეს დანამდვილებით ეხება კრავის საქორწინო ვახშამს – მამა ღვთის ზეიმს მისი ძის გამო ყველაფრის დასასრულს. ყველა ჩვენგანი წვეულია. თუმცა გარკვეული პრინციპები გასათვალისწინებელია აქ და ახლა. თუ ღმერთი გვეპატიჟება მასინ, როცა ჩვენი ყოველდღიური ან საყვარელი საქმიანობა წყდება, მას ჩვენთვის გაცილებით დიდებული რამ აქვს შემონახული. ამას ღვთიური შეხვედრა ჰქვია, რომელიც ნადიმით დასრულდება. აქ იქნება მისი სიტყვის, სიბრძნის, თანდასწრების, უზრუნველყოფის, რჩევის, ძალის ან ნებისმიერი მშვენიერი კურთხევის ზეიმი, რომელთა მოცემა მხოლოდ მას შეუძლია.

მას რალაც ჰქონდა ჩემთვის გამზადებული დალასის „კოვბოების“ თამაშის დროს. ერთხელაც გავიგებ, რა იყო ეს. დარწმუნებული ვარ, რომ მან სხვა ადამიანი იპოვა „გზებსა და ორლობებში“, რომელმაც თავდაპირველად ჩემთვის გამიზნული კონკრეტული კურთხევა მიიღო. მე კი მას ავცდი.

ამ საკითხის გამო მსჯავრდადებას არ განვიცდი, რადგან პატიება უკვე ვითხოვე და მისი წყალობაც დიდია, მაგრამ რალაც ვისწავლე ამ და სხვა შეცდომებიდან. არასოდეს მომდომებია ღვთისგან გამზადებულ რომელიმე სიურპრიზზე უარის თქმა კრიპტონიტზე მიწებების გამო.

როცა მისი სიტყვის ან სიბრძნის მიღების მოულოდნელი მოწვევა მოდის და ყოველგვარ მობოდიშებას გვერდზე გადავდებთ, გავძლიერდებით. დაიმახსოვრეთ, რომ კრიპტონიტი გვასუსტებს!

სამწუხაროდ, ზოგიერთი ადამიანი, შიგადაშიგ, ისევ განაგრძობს ბოდიშების მოხდას. ასეთებმა ვერ შეძლეს ღვთისთვის უპირატესობის მინიჭება და შეიძლება უდიდეს ნადიმს ასცდნენ. იმედი მაქვს, ასე არ მოხდება, რადგან მის სახლში ყველასთვის არის ადგილი.

გთხოვთ, ამ უბრალო სათხოვრით ილოცოთ, რომელიც მრავალი წლის წინ მოვიფიქრე: „ზეციერო მამა, ჩემი უფლის, იესო ქრისტეს სახელით გთხოვ, რომ განწმინდო ჩემი გული! მინდა ვიყო წმიდა, შენთვის გამოყოფილი! ამრიგად, თუ რამე არის ჩემს ცხოვრებაში, რაც შენ არ გსიამოვნებს ან ჩემთვის შენზე წინ დგას, გამოავლინე და დამეხმარე მის მოშორებაში! არ მინდა, ავცდე შენს რომელიმე ნადიმს!“

## იმედი!

იმედი მაქვს, უკვე ილოცეთ თავის დასასრულს მოცემული ლოცვით. თუ ასეა, ღმერთი თქვენს ცხოვრებაში შრომას დაიწყებს მომდევნო დღეების, კვირების ან თვეების მანძილზე, რომ მასთან უფრო ახლოს მოგიყვანოთ და ამ პროცესში ისეთ რამეებს გამოავლენს, რაც მისგან გაშორებთ. წინასწარ ჩაერთეთ ამ საქმეში და ღმერთს სთხოვეთ, დაგანახოთ ის, რაც თქვენს ცხოვრებაში მობოდიშებად იქცა და მისი სიტყვის გამოხმაურებაში გაბრკოლებთ! ჩაწერეთ, რასაც იგი გაჩვენებთ და რამდენიმე წუთი გამოყავით მასზე ლოცვისთვის! ღვთისგან ითხოვეთ ამ საგნებზე მისი თვალთახედვის ჩვენება და ნათქვამი ჩაიწერეთ.

თუ თავის ბოლოს მოყვანილი ლოცვით არ გილოციათ, ახლავე გამოყავით დრო სხვა სახის ლოცვისთვის! სთხოვეთ ღმერთს, მოგცეთ მოშურნე და გამბედავი გული, რომ იმ ლოცვით ილოცოთ! ჩაიწერეთ ყველაფერი, რასაც ღმერთი გულში ჩაგიდებთ ლოცვისას!



## სავახშომო კარი

იესო სხვა ეკლესიის მიმართ თვალსაჩინო განცხადებას აკეთებს გამოცხადების წიგნში. მისი სიტყვები ძალიან ჰგავს ჩვენ მიერ წინა თავში განხილულს:

„აჰა, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან“. (გამოცხ. 3:20)

ვახშამი იესოსთან! ეს მოზიარეობის დღესასწაულია – მოძღვართან მეგობრობა. იქ უფლის თანდასწრებაში მყოფნი მის სიტყვას, სიბრძნეს, რჩევას, ძალას ან ნებისმიერ საოცარ კურთხევას ვიღებთ. სავარაუდოდ, ასეთი ვახშამი მის წყურვილს, მოლოდინს და მისით აღფრთოვანებას წარმოშობს. ეს გვაძლიერებს – იესოსთან ვახშმობა კრიპტონიტთან სრულ წინააღმდეგობას ნიშნავს. ეს შეიძლება შევადაროთ სუპერმენის განახლებულ ძალას, რომელსაც მზისგან იღებს. იესო ცოცხალი სიტყვაა, ჭეშმარიტი პური ზეციდან და მისი თანდასწრება ნებისმიერი ფორმის კრიპტონიტთან დაპირისპირების ძალას გვაძლევს.

ახლა ისმის კითხვა: „რომელ კარზე აკაკუნებს იესო?“ მრავალი მსახური იყენებს წმიდა წერილს ადამიანთა გადარჩენისთვის მოსახმობად და ეს დიდებულია. და მაინც, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ეკლესიას, მისი მიმდევრებს მიმართავს და არა მათ, ვისაც არასოდეს ცნობია უფალი. როგორც არ უნდა იყოს, იესოს განცხადების მნიშვნელოვანი ასპექტი კარს არ უკავშირდება არამედ მის სიტყვებს: „თუ ვინმე მოისმენს“.

თუ საკუთარ სახლში მუსიკას ბოლო ხმაზე ჩავრთავ და ამ დროს მნიშვნელოვანი სტუმარი დააკაკუნებს და დამიძახებს, ვერაფერს გავიგებ. ჩემი სტუმარი, ბოლოს და ბოლოს, წავა.



უფრო მნიშვნელოვანი ხდება კითხვა: „რა გვიშლის ხელს მოსმენაში?“ თუ არ გვესმის, ვახშამზეც ვერ მოვხვდებით. ამრიგად კარგად გამოვიკვლიოთ და ვუპასუხოთ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის კითხვას.

## სინმიდე

თუ თანამედროვე ეკლესიებში სიტყვა „სინმიდეს“ ახსენებთ, ადამიანები მოულოდნელობისგან შეხტებიან და მაშინვე შეცვლიან საუბრის თემას. ე. წ. „პროგრესულებისთვის“ ეს სასურველი საკითხი არ გახლავთ და სავარაუდოდ, მის ხსენებაზე ნირნამხდარნი რჩებიან. სინმიდე ძალიან ხშირად განიხილებოდა საქმეების მეშვეობით სულის ხსნის სინონიმად ან ლეგალიზმად აღიქმებოდა.

როგორც არ უნდა იყოს, ეს იმ ეკლესიის ერთადერთი აღწერილობაა, რომლის წასაყვანადაც იესო ახალ აღთქმაში ბრუნდება. ჩვენთვის არავის უთქვამს, რომ იგი „წინამძღოლებით მართული“ ან „შესაფერისი“, ან „ერთიანი“, ან „ძლიერი თემის“ მქონე ეკლესიის წასაყვანად მოვა. ყველა ეს თვისება უკიდურესად მნიშვნელოვანია ეკლესიის ზრდისა და წარმატებისთვის, მაგრამ არც ერთი მათგანი არ განსაზღვრავს ქრისტეს საპატარძლოს.

სამწუხაროდ, წარსული ლეგალისტური ქადაგებების გამო მრავალ ადამიანს არ სურს სინმიდის შესახებ ლაპარაკი. დღევანდელობაში დიდ ეკლესიას რომ წარმოადგენდნენ, ამ თემას საერთოდ გვერდი უნდა აუარონ. ამავდროულად, მორჩილმა წინამძღოლებმა იციან, რომ სინმიდეზე მთელი ახალი აღთქმა ლაპარაკობს. ამგვარმა კომუნიკატორებმა სინმიდე დოქტრინას დაუახლოვეს, რამაც ასეთი სახე მიიღო: „როცა საქმე სინმიდეზე მიდგება, არ უნდა ვიდარდოთ პირად პასუხისმგებლობაზე, რადგან იესოა ჩვენი სინმიდე – ის ქრისტეშია დაცული“. ეს დოქტრინა სწორია, მაგრამ მთლად ასეც არ არის, რადგან ახალი აღთქმა სინმიდის ორ სხვადასხვა ასპექტს განიხილავს. მეტისმეტად თანამედროვე სწავლება და ქადაგება ორივეს ერთ კალათში ათავსებს.

სინმიდის პირველ ასპექტთან დაკავშირებით წმიდა წერილი გვეუბნება:

„ამოგვირჩია მასში ქვეყნიერების შექმნამდე, რათა წმიდანი და უბინონი ვყოფილიყავით მის წინაშე“. (ეფეს. 1:4)

სანამ ოდესმე მარადიული ფასეულობის ღირსად რაიმეს მოვიმოქმედებდით, ღმერთმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება. მან ამოგვარჩია და ამის გაკეთებით წმიდად გამოგვაცხადა. მის თვალში უმნიშვნელოები ვართ. ეს გახლავთ „სინმიდის პოზიცია“. იმ დღეს, როცა იესო მივიღეთ, წმიდები გავხდით ღვთის თვალში და ამაზე წმიდა ვერასოდეს ვიქნებით. აქედან ოცდახუთი მილიონი წლის შემდეგაც ისეთივე წმიდა იქნებით, როგორც იესოს მიღების დღეს იყავით.

თვალსაჩინოებისთვის გეტყვით, რომ ლიზა ტოსკანოს 1981 წლის ივნისში შევხვდი. მოკლე ხანში შემეყვარდა და მასზე დაქორწინების გადაწყვეტილება მივიღე. 1982 წლის 2 ოქტომბერს იგი ჩემი ცოლი გახდა. ლიზა უფრო მეტად არ არის ჩემი ცოლი, ვიდრე ოცდათხუთმეტი წლის წინ იყო, ჩვენი ქორწინების დღეს. არც ჩვენი ქორწინების სამოცდაათი წლის თავზე იქნება უფრო მეტად ცოლი. მას ჯონ ბევირის ცოლის მდგომარეობა უკავია. ამის არც დამსახურება, არც გამოუმუშავება და არც ყიდვა არ სჭირდება. ის ჩემი ცოლი იმიტომ არის, რომ მე ავირჩიე.

აი, ასეთია სინმიდე, რომელსაც ზოგიერთი წინამძღოლი ასწავლის და ეს ჭეშმარიტია, მაგრამ არსებობს რაღაც უფრო მეტი. მოდი, თვალსაჩინოებისთვის ისევ ჩემი ქორწინების სურათს წარმოგიდგინო სინმიდის მეორე ასპექტის განსახილველად.

სანამ ლიზას შევხვდებოდი, იგი მისთვის საინტერესო ბიჭებს თავს აწონებდა, ტელეფონის ნომერს აძლევდა და ხვდებოდა. ჩვენი ქორწილის შემდეგ მან შეწყვიტა ბიჭებთან ფლირტი ან რომელიმე მამაკაცის ყურადღების მოპოვების მცდელობა. ახლა ლიზა ისე იქცევა, როგორც ამას ჩემი ცოლის მდგომარეობა ავალდებულებს.

გადახედეთ პავლე მოციქულის სიტყვებს:

„როგორც გამგონე შვილები, ნუ აპყვებით უმეცრების დროინდელ გულისთქმებს! არამედ ისეთი წმიდანი იყავით ყოველ საქციელში, როგორი წმიდაცაა იგი, ვინც თქვენ მოგინოდათ“. (1 პეტრ. 1:14-15)

რამდენიმე სიტყვა გამოვყავი. პირველი, გახლავთ „ნუ“. საქციელი, რომლისკენაც პავლე მოგვინოლებს, არჩევითი არ არის. მეორე, პავლე არ ლაპარაკობს ჩვენს მდგომარეობა-

ზე ქრისტეში, არამედ ჩვენს საქციელებზე. გაფართოებული ვერსია ამას მშვენივრად წარმოაჩენს: „თქვენც იყავით წმიდა ყოველ თქვენს საქციელსა და ცხოვრების წესში!“ ეს ქცევით და არა მდგომარეობით განპირობებული სინმიდე გახლავთ. ეს ქორწინების შემდეგ ღიზას ქცევის შეცვლის ანალოგიურია. ჩვენმა საქციელმა ჩვენი მდგომარეობა უნდა წარმოაჩინოს.

აი, აქ იწყება კონფლიქტი. ჩემი ქრისტიანობის დასაწყისში არა ერთხელ მიცდია წმიდად ცხოვრება და ბევრჯერ დავმარცხებულვარ. რბილად რომ ვთქვათ, იმედგაცრუებული ვრჩებოდი. შემდეგ ღვთის მაღლი აღმოვაჩინე. მივხვდი, რომ მაღლი ღვთის დაუმსახურებელი გაძლიერება იყო, რომელიც იმის კეთების უნარს იძლეოდა, რაც ადამიანური ძალებით არ შეგვიძლია. თავს ვერ ვაღწევდი პორნოგრაფიასა და სხვა მავნე ჩვევებს, მაგრამ როცა მაღლი აღმოვაჩინე, მისი რწმენით და მასთან თანამშრომლობით თავისუფლებაში სიარული შევძელი.

ერთი სამწუხარო ფაქტიც არსებობს. ჩვენმა მსახურებამ რამდენიმე წლის წინ გამოკითხვა ჩაატარა. სხვადასხვა ეკლესიებს ვენვიეთ, რომლებიც დოქტრინალური მიმართულებებისა და დენომინაციების სიაში იყვნენ. მთელი ერის მასშტაბით გამოკვითხეთ ხუთი ათასზე მეტი ზეციდან შობილი ქრისტიანი. მონაწილეებს ვთხოვდით მაღლის სამი ან მეტი განმარტება მოეცათ. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ თითქმის ყველა მათგანი მაღლს გადარჩენას, ცოდვების პატიებას, დაუმსახურებელ ნიჭსა და ღვთიურ სიყვარულს უწოდებდა. ეს კარგი სიახლე იყო. ტრაგედია იმაში გამოიხატებოდა, რომ მონაწილეთა ორ პროცენტზე ნაკლებმა იცოდა მაღლის გამაძლიერებელი ძალის შესახებ. არადა, ღმერთმა თავად განაცხადა: „საკმარისია შენთვის ჩემი მაღლი, ვინაიდან უძღურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“ (2 კორ. 12:9). იგი მაღლს ღვთიურ გაძლიერებას უწოდებს.

პეტრე წერს: „მაღლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ ... ისე, როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება“ (2 პეტრ. 1:2-3). პეტრე ღვთის მაღლს ღვთიურ ძალად მოიხსენიებს, რომელიც ღვთისმოსაობით ცხოვრების – სინმიდის ძალას გვაძლევს.

რეალობა ის გახლავთ, რომ ღვთისგან ვერაფერს მივიღებთ, თუ არ ვირწმუნებთ. ჩვენ კი არ შეგვიძლია ვირწმუნოთ ის, რაც არ ვიცით. თუ ამერიკელი ქრისტიანების დაახლოებით ორმა

პროცენტმა იცის, რომ მაღლი გვაძლიერებს, დანარჩენი ოთხ-მოცდათვრამეტი პროცენტი საკუთარი ძალებით ცდილობს სინმიდეში ცხოვრებას, რაც შეუძლებელია. მარცხი, დეპრესია, მსჯავრდადება და დანაშაულის შეგრძნება აუცილებლად მოყვება ამ სურათს.

ამრიგად, ნათელი ხდება მიზეზი, რატომაც აერთიანებენ ქრისტიანი სიტყვის მსახურები სინმიდის ყველა სახეს ერთ, *მდგომარეობის* კატეგორიაში. მეტისმეტად ბევრი ქრისტიანი გაიტანჯა ღვთისმოსაობით ცხოვრების უნარის ნაკლებობის გამო განცდილი იმედგაცრუებით, რადგან ღვთიური ძალის შეწევნა არ ჰქონდათ. მაღლი არ არის ღვთის პასუხი მხოლოდ გადარჩენასა და პატიებაზე, არამედ მისი ძალმოსილი უზრუნველყოფა სინმიდეში ცხოვრებისთვის! ებრაელთა წერილის ავტორი აცხადებს:

„მისდეთ სინმიდეს, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს!“ (ებრ. 12:14-15)

რამდენი რამ დევს ამ ორ მუხლში. პირველი, სიტყვა „მისდეთ“ გახლავთ ბერძნული სიტყვა „დიოკო“. მას შემდეგი მნიშვნელობა აქვს: „მიჰყე მთელი მგზნებარებით და გულმოდგინებით, რომ მოიპოვო“ (WSNTDICT). მეორე ლექსიკონი აცხადებს: „რაიმეს კეთება ინტენსიური ძალისხმევით და განსაზღვრული დანიშნულებით ან მიზნით“ (LOUW-NIDA).

ამ ორი განსაზღვრების ნაკითხვის შემდეგ პირველ რიგში, უნდა ვიკითხოთ, „აქ *მდგომარეობით* სინმიდეზეა ლაპარაკი თუ *ქცევით* სინმიდეზე? პასუხი მარტივია: ის აუცილებლად ქცევითი უნდა იყოს. ამას ასე შეხედეთ: შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ცოლს ვეუბნები: „ლიზა ბევრ, თქვენ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ ჯონ ბევრის ცოლის პოზიციის დასაკავებლად“. იგი გაიცინებს და იტყვის: „მე უკვე ვარ მისი ცოლი“.

რაც შეეხება *მდგომარეობას*, ჩვენ უკვე წმიდები ვართ – მის მისაღწევად არ გვჭირდება დიდი ძალისხმევა. ამრიგად, ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი *ქცევით* სინმიდეს ეხება.

აუცილებელია გულმოდგინედ მიჰყვეთ *ქცევით* სინმიდეს. თუ ასე არ მოვიქცევით, „ღვთიური მაღლი დაგვაკლდება“. როგორ შეიძლება მოგვაკლდეს მფარველი მაღლი, რომელიც დღევანდელ დღეს იქადაგება? ეს შეუძლებელი იქნებოდა. და მაინც, როცა ვაცნობიერებთ, რომ მაღლი ღვთიური ძალაა ქცევითი სინმიდის მისაღწევად, ყველანი ვხვდებით, რომ ეს

ნამდვილად გვაკლია.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ამ თავს ასე ასრულებს: „ვიქონიოთ მადლი, რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მოწინებითა და მოშიშებით“ (ებრ. 12:28; სბს-სტოკჰოლმი-2001). მადლი გვაძლიერებს ღვთის მსახურებისთვის მისაღები გზით და წმიდად ცხოვრების უნარით.

ახლა მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის. ჩვენ ვკითხულობთ, „ეცადეთ ... სინმიდე იქონიოთ ყველასთან, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს“ (ებრ. 12:14). რაზე საუბრობს ავტორი? განა ყველა არ იხილავს იესოს? ჩვენ უკვე გვითხრეს: „აჰა, მოდის ღრუბლებით და დაინახავს მას ყოველი თვალი“ (გამოცხ. 1:7). მაშ, რატომ გვეუბნება წერილი: „სინმიდე იქონიეთ ყველასთან, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს“? რას ნიშნავს ეს?

## ინსო სილვა

ნება მომეცით, თვალსაჩინო გავხადო, თუ რას ნიშნავს „უფლის ხილვა“, როგორც სინმიდის მიდევნების ალტჰმა გულისხმობს. ამერიკის მოქალაქეობის ორმოცდათვრამეტი წლის განმავლობაში თორმეტი პრეზიდენტი გამოვიცვალე. ყველა მათგანის იურისდიქციასა და წინამძღოლობას ვექვემდებარებოდი. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჩემს ცხოვრებაზეც ახდენდა გავლენას. თითოეულ მათგანს ხშირად „ჩვენს პრეზიდენტს“ ვუწოდებდი. და მაინც, არც ერთი მათგანი პირადად არ მინახავს. არიან ამერიკის სხვა მოქალაქეები, რომლებიც ხშირად ხედავენ პრეზიდენტს, რადგან მისი მეგობრები არიან ან მასთან მუშაობენ. ეს პრივილეგირებული ადამიანები რეგულარულად ხედავენ მას და ხშირად არიან მასთან ერთად.

ამ თემის გასაგრძელებლად გეტყვით, რომ აშშ-ს პრეზიდენტების შესახებ ბევრი ფაქტი ვიცი – რა თვალთახედვა აქვთ, რა გადაწყვეტილებებს იღებენ, როგორია მათი პირადი ისტორიები და მრავალი გასაჯაროებული ინფორმაცია. ის, რაც ჩემთვის მიუწვდომელია, ამ ლიდერებთან ახლო ურთიერთობის გამოცდილება გახლავთ. ამრიგად, არ ვიცი მათი ცხოვრების ფარული ამბები – ის, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. ალბათ, არასოდეს მექნება მათთან მეგობრობის სიამოვნება, რომ ძალზე ახლოს ყოფნა შევძლო.

ანალოგიურად, არიან ქრისტეს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ქრისტიანები. იესო არის მათი წინამძღოლი, მისი გა-

დანყვეტილებები გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე და ისინი მას „უფალს“ უწოდებენ, მაგრამ ვერ ხედავენ და არც მის თანდასწრებაში არიან. შესაძლოა, ამაში ეჭვი შეგეპაროთ, მაგრამ ნება მომეცით, რომ იესო დავიმონწილო ამ ქვეყნისთვის თქვენს დასარწმუნებლად:

„ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, ის არის ჩემი მოყვარული, ჩემს მოყვარულს კი მამაჩემიც შეიყვარებს; მეც შევიყვარებ მას და მე თვითონ გამოვეცხადები [მე თავად ვახილვინებ ჩემს თავს და მისთვის რეალური გავხდები]“. (იოან. 14:21)

დააკვირდით მის სიტყვებს: „მე თვითონ გამოვეცხადები“. იესოს მცნებების დაცვა ქცევითი სინმიდის მიღვენებას გულისხმობს. ვინც ასე იქცევა, უფალს იხილავს. უფალი მას ნებას მისცემს, რომ მის ხილულ თანდასწრებასთან მისადგომელი ჰქონდეს. მასთან ახლო ურთიერთობა სცდება, უბრალოდ, მისი უფლობის ქვეშ ყოფნას და ჩვენს მეფესთან მეგობრობამდე მალღდება. იგი ისევ ამბობს:

„თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ იმას აკეთებთ, რაც გამცნეთ“. (იოან. 15:14)

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ „თუ“ კავშირს მის განცხადებაში. ჩვენ საგალობლებს ვგალობთ, წიგნებს ვწერთ და ვასწავლით იესოს შესახებ, რომ ვიყოთ მისი მეგობრები. თუმცა კავშირი „თუ“ ნიშნავს, რომ მასთან მეგობრობა პირობითია. იესოსთან მეგობრობა ჩვენს ნამდვილ სინმიდეს ეფუძნება და ვინც მას პირობითად აქცევს, მონის სტატუსიდან მეგობრის წოდებამდე ამალღდება. იესომ თქვა, რომ მის ერთგულებს, „მონებს აღარ უწოდებს“ (იოან. 15:15). მის მიერ ნახსენები „აღარ“ ნიშნავს, რომ ერთ დროს ისინი მონები იყვნენ და არა მეგობრები.

ფაქტობრივად, ღვთის მონად, მსახურად ყოფნა ცუდი პოზიცია როდია და გაცილებით სჯობს იმას, რომ საერთოდ არ გქონდეთ არავითარი ურთიერთობა. თუმცა მსახურმა არ იცის „რა“-ს უკან მდგარი „რატომ“, მეგობარმა კი ხშირად იცის.

შესაძლოა, შემეწინააღმდეგოთ: „ჩვენ ხომ ყველანი ღვთის ძეგები და ასულები ვართ!“ ღიახ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს პავ-



ლეს მიერ გაზიარებული ჭეშმარიტება, რომ „მემკვიდრე-მეთქი, მაგრამ ვიდრე ის ჩვილია, არაფრით განირჩევა მონისგან, თუმცა ყოვლის მფლობელია“ (გალ. 4:1). „მონის“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა ზუსტად ისაა, რასაც იესო ზემომოყვანილ მუხლებში იყენებს. სანამ ძე ან ასული პატარაა, მისთვის დაფარულია „რატომ“ ხდება რაღაც. მან ღვთის საქმეების მხოლოდ „რა“ საკეთებელი იცის.

შესანიშნავი მოვლენაა როგორც მშობლის, ისე შვილისთვის, როცა ძე ან ასული მეგობარი ხდება. იგივე ღვთის ოჯახისთვისაც ჭეშმარიტია. ურთიერთობის დინამიკაში ცვლილება მიმდინარეობს, როცა ჩვენი ზეციერი მამა უფრო მეტ საიდუმლოს გვანდობს. ცვლილება ჩვენშიც ხდება. უფრო მეტი მოშურნეობით ვცდილობთ, რომ მას იმედი არ გავუცრუოთ, რაც უბრალო დაუმორჩილებლობაზე გაცილებით მეტია. ჩვენ ისევ და ყოველთვის შევეცდებით მის ძიებას დასამორჩილებლად, მაგრამ ახლა ის არ იქნება ჩვენი გულის მამოძრავებელი ძალა. ახლა შევეცდებით, რომ მას ჩვენი იმედი ჰქონდეს.

## კარი

ამრიგად, სინმიდე თავისთავად დასასრული არ არის, როგორც ლეგალისტები აღწერენ. ეს გახლავთ იესოსთან ჭეშმარიტი ურთიერთობის შესასვლელი. ახლა გამოვიკვლევთ იმ „კარის“ მნიშვნელობას, რომელზეც იესო ლაპარაკობდა: ეს გახლავთ მორწმუნის გულის კარი. როცა სინმიდის მიდევნებაზე უარს ვამბობთ, მოსმენისა და გამოხმაურების უნარს ვკარგავთ. შედეგად, მასთან ვახშობის პრივილეგიაც აღარ გვაქვს. ეს მეტისმეტად ხმაურიან სახლს ჰგავს, სადაც ვერ გაიგებ შემოსასვლელ კარზე მნიშვნელოვანი პიროვნების დაკაკუნებას. რამდენიმე მცდელობისა და თქვენი სახელის ამაო მოხმობის შემდეგ სასურველი სტუმარი მიდის.

როცა სინმიდის მოძღვრებას გვერდს ვუვლით, ჩვენს მეფესთან დასაახლოებელ გზას ვხერგავთ, არადა ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეს სხვა ყველაფერზე მეტად სწორედ ეს უნდა! *მფარველი მადლის* სწავლების ჩვენი სტრატეგია, რომელიც *გამაძლიერებელ მადლს* გამორიცხავს, არსებითად, კარის დაკეტვას და საკეტის გადატრიალებას ნიშნავს. ჩვენ მადლის მნიშვნელობა დავამცირეთ, რადგან ის არა მარტო გვიფარავს, არამედ *გვაძლიერებს* კიდევ! უნდა ითქვას, რომ გამაძლიერებელი ასპექტი არსებითია, რადგან მოძღვართან მოზიარეობით



გახარების პოზიციაში გვაყენებს.

მე და ლიზას ინდიანას შტატის საქორწინო სერტიფიკატი გვაქვს, ამრიგად ლეგალურად ვართ დაქორწინებული. შეგიძლიათ, ასეთი სურათი წარმოიდგინოთ: ქორწინების მონაწილას ლიზას სახეში ვუფრიალებ და ვეუბნები: „ჰეი, ძვირფასო, ჩვენ ვიქორწინეთ და ოფიციალურად ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ მე სხვა ქალთან მაქვს ურთიერთობა“. შესაძლოა, ტექნიკურად ლიზას მეუღლედ ვითვლები, მაგრამ ცხადია, ის აღარ მიზიარებს თავის შინაგან მისწრაფებებსა და საიდუმლოებებს. ფაქტობრივად, ინტიმურობა ქრება. ჩვენ მეგობრები აღარ ვართ, რადგან მე ეს პრივილეგია დავკარგე. ჰქვია თუ არა ამას დიდებული ერთობლივი ცხოვრება? ნუთუ ამის გამო ვქორწინდებით? თუ ასე გავაგრძელებ, ოჯახს სამუდამოდ დავემშვიდობები.

ანალოგიურ ქცევას ხომ არ ვუნწყობთ ხელს იმით, რასაც ეკლესიაში ვასწავლით? რამდენიმე მუხლს ხომ არ ვეყრდნობით, რომლებიც ახალი აღთქმის სხვა მუხლებიდან იზოლირების შემდეგ ყველაფერს საუკეთესოდ წარმოგვიჩვენენ, თითქოს ჩვენი ქცევის სინმიდეს მნიშვნელობა არ ჰქონდეს? შეგვიძლია იესოსთან მიახლოებისას ქვეყნიერებაც თან მივიყოლოთ და უფალს ასე ვუთხრათ: „ჩვენ ცოდვილის ლოცვა გავიმეორეთ, მაღლით გადარჩენა მივიღეთ და შენ გეკუთვნიო?“ ამის შემდეგ დარწმუნებული ვართ, რომ იესო თავისი გულის საიდუმლოებებს გაგვანდობს?

ჩემთვის ლიზას წინააღმდეგ მრუშობისგან თავის შეკავების მოტივაცია იმ ძვირფასი ნუთების დაკარგვის შიშია, როცა მე და ჩემს ცოლს თავები ერთ ბალიშზე გვიდევს, ერთმანეთს სახეში შევეყურებთ და იგი ისეთ რამეებს მეუბნება ჩურჩულით, რასაც ქვეყანაზე სხვას არავის გაანდობდა. არ მინდა ლიზას მსგავს შესანიშნავ ქალთან ძალზე ახლო ურთიერთობის სიამოვნება დავკარგო.

იესოსთან ურთიერთობა ამისგან არაფრით განსხვავდება. მიზეზი, რის გამოც უფალს ვერ ვუღალატებ, ჩვენი სიახლოვისა და მეგობრობის დაკარგვის შიშია. არ არსებობს რამე ამაზე დიდი – არც სტატუსი, არც სიმდიდრე, არც სიამოვნება, არც აქტივობა, არც პოპულარობა, არც პოზიცია, არც ცოდვა – არაფერი, რაც შეიძლება იესოსთან სიახლოვეს აღემატებოდეს.

ჩემთვის წარმოუდგენელია მისი აღთქმის გარეშე ცხოვრება: „მომიხმე და გიპასუხებ, და გაუნყებ დიდსა და მიუნვდომელს, რაც არ იცი შენ“ (იერ. 33:3), ან საოცარი რეალობა, რომ იგი

286 ბაანაღბურა კრიპრონიტი!

„აცხადებს ღრმას და დაფარულს, იცის თუ რა არის ბნელში და სინათლე მკვიდრობს მასთან“ (დან. 2:22). არ მინდა ისეთი ცხოვრება, სადაც იესო არ მეტყვის: „იგავებით კი აღარ დაგელაპარაკებით, არამედ პირდაპირ გაუწყებთ მამის შესახებ“ (იოან. 16:25). და რასაკვირველია, აღთქმა, რომ მისი სული მომავალს გამოგვიცხადებს (იხ. იოან. 16:13).

სინმიდე რაღაც ნეგატიური არ არის. პირიქით, ის ახალი აღთქმის ყველაზე პოზიტიური ჭეშმარიტება გახლავთ. როცა ნამდვილად გავაცნობიერებთ მის პოტენციალს, ერთ-ბანებიდან ხმამალა ვიყვირებთ!

## იპოქრიტი!

სინმიდე ცუდი სიტყვა კი არა შესასვლელად დათქმული სიტყვაა. ეს არის გზა, რომელიც ღვთის ხმის მოსასმენ გულის კარს აღებს. სინმიდის გარეშე ვერც კი გაიგონებთ, უფალი რამეს თუ გელაპარაკებათ. ამგვარი სინმიდე არ არის რაღაც ისეთი, რასაც ღმერთი იესოს მსხვერპლის გამო იძლევა. ეს თქვენ უნდა განიცადოთ აზრებით, სიტყვებით და მოქმედებებით.

თუმცა ამ საქმეში ღმერთი მარტო ჭიდილისთვის არ გაგიმეტებთ. სწორედ ამიტომ გაძლევთ მადლს! მისი მადლი გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე ჩვენი გადარჩენაა, თუმცა ესეც საოცარია. ღვთის მადლი გაძლიერებთ წმიდა ცხოვრებისთვის, შიგნიდან გარეთ, რომ სრულად აამოთ ღმერთს!

ახლავე დაიწყეთ ღვთის ძიება! მეტს ნუღარ მოიცდით, ამ მომენტით ისარგებლეთ და უფალს შეჰვალადეთ მისი მადლისთვის! დაასახელეთ თქვენი ცხოვრების სფერო, სადაც ღვთის მადლი ყველაზე მეტად გჭირდებათ და ილოცეთ, რომ ღმერთმა აგავსოთ მადლით იმ ყველაფრის დასაძლევად, რაც ხელს გიშლით მისი ხმის მოსმენაში!

## აღსდები!

რატომ არის ყველა დროის ყველაზე პოპულარული ფილმები, რომლებიც სუპერგმირებზეა გადაღებული? იფიქრეთ ამაზე: ჰოლივუდის ანალოგიური პროდუქცია უფრო მეტ კინომოყვარულს იზიდავს, ვიდრე ფილმები ომებზე, უესტერნები, თრილერები ჯაშუშებზე და სასიყვარულო ისტორიები. სუპერგმირების სერიალები არ გახლავთ მხოლოდ კაცების საყურებელი ფილმები, რადგან გამუდმებით ვისმენდი ქალების აღფრთოვანებას ამ ტიპის ბლოკბასტერებით. რატომ ხდება ასე? ვიცით, რომ უფრო მეტისთვის ვართ შექმნილნი და სუპერგმირების ისტორიები ჩვენს გამოუთქმელ შინაგან სწრაფვას ასახავს.

იფიქრეთ სუპერმენზე. როცა გამოუვალი მდგომარეობები იქმნება, განსაცდელი გადაულახავია და ყველაფერი უიმედობას მოუცავს, კლარკ კენტი „დეილი პლანეტ“-ის ოფისიდან თავს აღწევს, სატელეფონო ჯიხურში შედის და მზადყოფნაში მოდის სხვათა საშველად. ჩვენ გვიყვარს ერთი შეხედვით შეუჩერებელი მტრის ძლევის ამაღელვებელი შეგრძნებები. ნეტარება გვიპყრობს, როცა უსამართლობა აღკვეთილია, ტყვეები გათავისუფლებულია და საზოგადოება ისევ ჩვეულ წესრიგს უბრუნდება.

ეს ყველაფერი მხოლოდ ერთზე მეტყველებს: გვატკბობენ ჩვენი სუპერგმირები, რომლებიც ბოროტს ამარცხებენ. ეს ჩვენს შინაგან მოლოდინს აკმაყოფილებს. ვიცით, რომ ღმერთმა ადამიანები დასაბამიდან „ღვთის მსგავსად, ღვთიური ბუნების მატარებლებად“ შექმნა (დაბ. 1:27). ჩვენ ასევე ვიცით, რომ „უფალი მეომარია“ (გამ. 15:3). ამაზე ბევრი გიფიქრიათ? ეს ღვთის ბუნების ის მხარეა, რომელსაც ნაკლებად ახსენებენ. თითქოს არ ვიცით, რა მოვუხერხოთ ამ ჭეშმარიტებას. და მაინც, ესაია აცხადებს:

„მებრძოლივით გამოვა უფალი, მოშურნეობით აღივსება როგორც მეომარი, დაიგრგვინებს, დიახ, ყიჟინას დასცემს თავის მტრებს და გაიმარჯვებს მათზე“. (ეს. 42:13)

უსამართლობასთან მებრძოლი მეომრები გმირები არიან. რაც შეეხება იესოს, იგი ჭეშმარიტი სუპერგმირია. იგი მძლეველი და გამარჯვებულია.

დიდი ხნით ადრე, სანამ ესაია ამ სიტყვებს დაწერდა, იეშუა ნავეს ძემ იხილა იგი. ჩვენს მეფეს კრავი კი არ ეჭირა, არამედ ხმალი ეპყრა და საკუთარ თავს „უფლის მხედრობის თავი“ უწოდა (ი.ნ. 5:14).

ესაიას მიერ ამ სიტყვების დაწერიდან დიდი ხნის შემდეგ იოანე მოციქულმაც იხილა უფალი და კიდევ უფრო საოცარი გზით აღწერა: „მისი თვალები მსგავსია ცეცხლის აღისა“ და „მისი პირიდან გამოდიოდა ბასრი მახვილი“ (გამოცხ. 19:12-15).

იგი მეომარია! უმეტესობამ ვიცით, რომ მეომრები თავაზიანი მანერებით და მორჩილებით არ გამოირჩევიან და ბუნებით არც მელანქოლიურები არიან. არა, ბრძოლის ველზე მყოფი მეომარი კონცენტრირებული, უდრეკი და ფიცხელია.

ახლა ყურადღება ისევ ჩვენზე გადმოვიტანოთ. ოდესმე გიფიქრიათ ფაქტზე, რომ იესო გამოცხადების წიგნის შვიდ ეკლესიას რალაც ამდაგვარს ეუბნება: „ვინც გაიმარჯვებს ...“. როგორ შეიძლება გამარჯვებულები გავხდეთ, თუ დასაძლევია არაფერია? როგორ შეიძლება გავიმარჯვოთ, თუ ბრძოლა არ იქნება?

დღეს ბევრი აკნინებს ამ მონოდებას. ისინი ამბობენ, რომ ქრისტესთან ჩვენი გაიგივება გამარჯვებულებად გვაქცევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი გამარჯვებულია და ჩვენც ავტომატურად ქრისტესთან ერთად ვართ გამარჯვებული. რატომ ეტყოდა იესო შვიდი ეკლესიის მორწმუნეებს, „ვინც გაიმარჯვებს“, თუ გამარჯვება ავტომატურად ებმის ჩვენს გადარჩენას?

სამყაროში არსებობს ერთი ლექს ლათორი და მას სახელად სატანა ჰქვია. მას ურიცხვი ლაშქარი ჰყავს. მისი მეომრები სულელები არ არიან და მათი ნომერ პირველი მიზანი თქვენი შეჩერება, დატყვევება და გაკონტროლებაა. სატანა აქამდე 24/7-ზე რეჟიმით მუშაობს. თუმცა იგი უკვე განიარაღებულია. მას თქვენსა და ჩემზე ყოველგვარი ძალა და ძალაუფლება შემოაძარცვეს!

ანალოგიურად, ლექს ლათორი უღონო იყო ფოლადის კაც-თან ბრძოლაში. თუმცა მისმა გენიოსურმა, მაგრამ ეშმაკურმა გონებამ კრიპტონიტი აღმოაჩინა და აამუშავა, რამაც მას უპირატესობა მიანიჭა. ამით ლექსმა ჩვენი სუპერმენის დატყვევებისა და გაკონტროლების ძალა მოიპოვა. ანალოგიურად, სატანაც იმ იარაღს იყენებს, რამაც დაცემა მოუტანა სულიერ კრიპტონიტს – რომ თანაბარ დონეზე ებრძოლათ. მან ეს ზეცაში ყოფნისას მოიფიქრა იმ დროს, როცა ცხებული ქერუბი იყო (იხ. ებეკ. 28:14-16). მან საკუთარ თავზე გამოსცადა, როგორ დაგვასუსტებს და გაგვინეიტრალებს ჩვენი სამეფოს ძალებს.

სატანამ (ნამდვილმა ლექს ლათორმა) იცის, რომ სულიერი კრიპტონიტის შედეგების რეალობის დანახვის შემთხვევაში მისგან თავს შორს დავიჭერთ, ამიტომ მოხერხებულად ნიღბავს მას. როდისმე შეგინიშნავთ, რა ხდება თქვენს შინაგანში, როცა მის გავლენას ექვემდებარებით? ამან შეიძლება მოკლევადიანი სიხარული და სიამოვნება მოგიტანოთ, მაგრამ გარდა იმისა, რომ გასუსტებთ, დაუკმაყოფილებელსაც გტოვებთ. თქვენს მძლეველ ბუნებასთან კავშირს კარგავთ და ბალახს ემსგავსებით, რომელსაც მზის სხივი და მორწყვა აკლია. აღმოაჩენთ, რომ შინაგანად თანდათან ხმებით.

## თვალის გადავლება

ძვირფასო ღვთის შვილო, დაუბრუნდი შენს ნამდვილ იდენტობას. ჩვენი თაობის რეალური სუპერგმირობისთვის ხარ მონოდებული. შინაგანში გაქვს ყველაფერი, რომ გაიმარჯვო. ეს გამონაგონი არ არის. კურთხეული ვიყავი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობებით და ფართო მასშტაბით ვიხილე ქრისტეს სხეული. თვალი გადავავლე, თუ რა არის შესაძლებელი საეკლესიო თემებსა და ცალკეულ მორწმუნეებში.

უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ ნება მომეცით, რამდენიმე მოვიყვანო თქვენი სურვილის აღსაძვრელად. მსოფლიოში ყველაზე მეტად დასახლებულ ისლამურ ერში ვიყავი და რამდენჯერმე ვიქადაგე ეკლესიაში, რომელიც ას ორმოც ათასზე მეტ წევრს ითვლის და მათგან ნახევარზე მეტი ყოფილი მუსულმანები იყვნენ. ეკლესიის მთავარ ნაწილში ერთდროულად ოცდათხუთმეტი ათასი ადამიანი ეტევა. მათ რამდენიმე საკვირაო მსახურების ჩატარება უწევთ. იქ რომ არ ვყოფილიყავი და ყველაფერი საკუთარი თვალით არ მენახა,

არ დავიჯერებდი. ეს მართლაც შედეგიანი ეკლესიაა, რომელიც რთულ პირობებში არსებობს. მისი მეომრები გმირები და გამარჯვებულები არიან.

ამ ეკლესიის პასტორის მეორე ვაჟი ტვინის დაზიანებით დაიბადა და ექიმებმა თქვეს, რომ ვერასდროს ილაპარაკებდა ან გაივლიდა. ექსპერტებმა პასტორსა და მის ცოლს აცნობეს, რომ მათი ვაჟი დარჩენილი წლების განმავლობაში უმოძრაოდ იდებოდა, რაც არ უნდა მოკლე ყოფილიყო მისი სიცოცხლე.

პასტორს ღმერთი დაელაპარაკა და უთხრა:

– სად ვარ მე?

– შენი ტახტი ზეცაშია, – უპასუხა პასტორმა.

– არა, მე შენში ვცხოვრობ, – უთხრა უფალმა, – ამიტომ მინდა, დაელაპარაკო შენი ვაჟის ტვინს და ახალი შექმნა, როგორც მე ვთქვი და შევქმენი ყოველივე შენს მიერ ხილული.

პასტორმა მორჩილება გამოიჩინა და მისი შვილის ტვინს ყოველდღე ელაპარაკებოდა იესოს სახელით. ბიჭმა თანდათან ლაპარაკი დაიწყო. შემდეგ უფალმა მითითება მისცა, რომ იგივე ებრძანებინა ფეხებისთვისაც. 6 წლის შემდეგ მან სიარული შეძლო. იმ ბიჭთან გოლფიც კი მითამაშია. ახლა მას უკვე სამი შვილი ჰყავს.

ეს პასტორი გამარჯვებულია, რომელიც კრიპტონიტმა ვერ შეაჩერა.

ამას წინათ ერთ ერში მიმინვიეს, რომ საეკლესიო მოძრაობის პასტორებისა და წინამძღოლებისთვის მელაპარაკა. მათ სტადიონზე მიიყვანეს და გრძნობებმა ამავესო 12 500 წინამძღოლის დანახვაზე. მათ გულებში ცეცხლი ენთო და ეს მგზნებარება გადამდები იყო.

მომდევნო დღეს მთავარ ლიდერებთან ლანჩი მქონდა. აღმოვაჩინე, რომ მათ კავშირში სამასი ათას ადამიანზე მეტი ირიცხებოდა. ვიკითხე, როდის დაიწყო თქვენი მოძრაობა-მეთქი, რადგან ვფიქრობდი, რომ ყველაზე დიდი, ერთი ან ორი თაობის იქით ჩაეყარათ საფუძველი. მათ მითხრეს, რომ ერთი ადამიანისგან დაიწყო თქვესმეტი წლის წინ.

გაოგნებული დავრჩი.

– როგორ მოახერხეთ ეს მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანაში? – ვიკითხე მე.

წინამძღოლმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე საუკეთესო ინგლისურით მიპასუხა:

– ჩვენს ხალხს ვასწავლით, რომ მარადიულობისთვის იცხოვრონ.

ენა ჩამივარდა.

– მრავალ ამერიკულ ეკლესიას ვენვიე – განაგრძო წინამძღოლმა, – და შევნიშნე, რომ ამერიკელი ქრისტიანები სამოცდაათი-ოთხმოცი წლის პერსპექტივით ცხოვრობენ, ხოლო ჩვენი ხალხი მარადიულობის თვალთახედვით ცხოვრობს.

ასეთი დამოკიდებულება სიფხიზლეს მატებს მათ სულიერი კრიპტონიტის საფრთხის ასარიდებლად.

მე და ლიზა სიტყვით გამოვედით ერევანში, სომხეთში, 3 500 პასტორისა და წინამძღოლის წინაშე. ბევრი მათგანი ირანიდან ჩამოვიდა. მსახურებებს შორის ერთმა ახალგაზრდა ქალმა გვითხრა, რომ ირანის პოლიციამ მისი ხანმოკლე არყოფნის დროს უკვე დარეკა მის მობილურზე ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით.

ძლივს ამოვთქვი:

– რატომ ბრუნდები უკან, თუ შენი სიცოცხლე საფრთხეშია?

– თუ უკან არ წავედი, ვინ ეტყვის ირანელ ხალხს იესოს შესახებ? — სხარტად მიპასუხა მან. მინდოდა სადმე ჩავმძვრალიყავი. იგი მართლაც შორსაა კრიპტონიტისგან.

წლების წინ ერთი ეკლესია ყოველდღიურ შეკრებებს აწყობდა ორი თვის განმავლობაში და მსახურებებს ყოველ საღამოს ოთხი ათასი ადამიანი ესწრებოდა. ათასობით ადამიანმა მიიღო გადარჩენა, რეალური განკურნება და განთავისუფლება. ერთ საღამოს იესო გამოჩნდა. ბევრმა იხილა იგი და ყვირილი მორთო. ეს ერთი წუთით მოხდა, მაგრამ გაუჩინარების შემდეგ მისი თანდასწრების ნიშანი დატოვა. აუდიტორიის კედელზე მისი სახის გამომეტყველება დარჩა ზომით რვა ფუტი ექვს ფუტზე (2,4 მ 1,8 მ-ზე). გამოსახულება ტურინის სუდარის მსგავსი იყო. იგი კედელზე ჩანდა მომდევნო თვრამეტი თვის განმავლობაში და თანდათან უფერულდებოდა, სანამ მთლიანად არ გაქრა.

ერთხელ სასწრაფო დახმარების მანქანა მოაყენეს ეკლესიის გვერდით კართან. მედიკოსებმა დარბაზში ბორბლებიანი საკაცით აუადმყოფი შემოიყვანეს. მას გარდაცვალებამდე ოცდაოთხ საათზე ნაკლები ჰქონდა დარჩენილი. ღვთის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ეს კაცი ბოლოს მთლიანად გამოჯანმრთელდა და იმ ღამეს საკაცეც გადააგდო.

ეს ყველაფერი პირველწყაროდან ვიცი, რადგან არა მარტო ვესწრებოდი ყველა მსახურებას, არამედ იმ ეკლესიის პასტორის აღმასრულებელი თანაშემწეც ვიყავი.

მინახავს უმართავი ხანძრების სასწაულებრივი შეჩერება,



რომლებიც გაშმაგებით მოექანებოდნენ მსახურთა ოფისისკენ. დაწყნარებული ან მიმართულებაშეცვლილი ქარიშხლებისა და აუხსნელი სასწაულების მომსწრე ვარ. მინახავს, როგორ მიეცა სმენა ყრუს, ბრმას თვალი აეხილა და დავრდომილმა გაიარა. მყავს ერთი მეგობარი, რომელმაც მრავალი მკვდარი აღადგინა მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში. ვყოფილვარ შეკრებაზე, სადაც ღვთის თანდასწრება ისეთი ძალით გამოვლინდა, რომ სტადიონზე რვა ათას ადამიანზე მეტი ფეხზე ვერ წამოდგა სასწაულების მიმდინარეობის პროცესში, სანამ ადამიანთა ცხოვრება სამუდამოდ არ შეიცვალა.

ასევე ვიცნობ რეალური ამბის მონაწილე წყვილს, როცა მთელმა ტომებმა და საზოგადოებამ მიიღო გადარჩენა და კულტურა მთლიანად შეიცვალა. ამგვარი ამბები უკიდურესად გაიშვიათდა თანამედროვეობაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სწრაფად მივიღვართ წინ იმ დროისკენ, როცა ეს ყველაფერი ყოველდღიურად მოხდება პირველი ეკლესიის ეპოქის მსგავსად და უფრო მეტი სიძლიერითაც.

## იესოსთან ერთად ყოფნა

ყველა ეს ადამიანი და მათი გამოცდილება რალაც ისეთს გვიზიარებს, რაც პირველ ეკლესიას ჰქონდა. ეს ნახსენები და მრავალი მაგალითით განმტკიცებულია სახარებებსა და საქმეთა წიგნში. ჩვენ შეგვიძლია ვფლობდეთ მას და სამი სიტყვით გამოვხატოთ: *ძალაუფლება, ძალა და გაბედულება*.

ვხედავთ, როგორ ცვლიდა იესო დაბებსა და ქალაქებს. საკემარისი იყო მხოლოდ მისი გამოჩენა და ატმოსფერო სრულიად სხვაგვარი ხდებოდა. ერთი მაგალითი გახლავთ სინაგოგაში შესვლა, სადაც „გაოცებულნი იყვნენ მისი მოძღვრებით, რადგან ასწავლიდა, როგორც ხელმწიფების მქონე და არა როგორც მწიგნობარნი“ (მარკ. 1:22).

შემდეგ რაიმე ბიძგის გარეშე მოხდა მეორე შემთხვევა: „იქვე კაცი იყო სინაგოგაში, არანმიდა სულით შეპყრობილი და იყვირა: „რა გინდა ჩვენგან, იესო ნაზარეველო? ჩვენს დასალუჰად მოხვედი?“ (მუხლები 23-24). იესომ უბრძანა: „გაჩუმდი და გადი მაგისგან!“ ბოროტმა სულმა იყვირა, მიწას დაანარცხა კონვულსიაში მყოფი კაცი და წავიდა. იქ მყოფებს განცვიფრების ტალღამ გადაუარა. ყველა მოწინებამ მოიცვა მისი ძალაუფლების, ძალისა და გაბედულების გამო. ზეგავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მომდევნო დღეს მთელი ქალაქი გამოვიდა

იესოს საძებნელად (იხ. 21-38 მუხლები). როგორც თქვენთვის ცნობილია, სახარებებიდან ბევრი მსგავსი სიძლიერის მაგალითის მოყვანა შეიძლება.

გონებისთვის ძნელად აღსაქმელი ფაქტია იესოს მიერ გაკეთებული განცხადება დედამიწაზე მისი ყოფნის დასასრულს: „როგორც მე მომავლინა მამამ, მეც ისე მიგავლენთ თქვენ“ (იოან. 20:21). თუ ეს საკმარისად ამაღელვებელი არ არის, მაშინ ის მარტივად ამბობს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ვისაც ჩემი სწამს, საქმეებს, მე რომ ვაკეთებ, ისიც გააკეთებს, და მათზე დიდსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ“ (იოან. 14:12). იგივე და უფრო დიდი საქმეები! ნუთუ ეს შესაძლებელია? თუ მან თქვა ასე, სრულიად შესაძლებელია! პირველ ეკლესიას ამგვარი რეალობის გამოცდილება არა ერთხელ ჰქონია. ისინი ისეთი ძალაუფლებით, ძალითა და გაბედულებით დადიოდნენ, რომ მთელი დაბები და ქალაქები სულ რაღაც დღეების განმავლობაში მოდიოდნენ იესოსთან. იგივე ჭეშმარიტია დღევანდელ დღესაც, რის დასტურად რამდენიმე თვალთ ნანახი თუ გაგონილი მაგალითი მოგიყვანეთ.

რაც შეეხება პირველ ეკლესიას, თუ მარტო იერუსალიმს განვიხილავთ, არავინ დარჩენილა მათი გავლენის მიღმა. სულ რაღაც დღეებში მონაცვლეობით გამოვლინდა ზემოხსენებული სამიდან ერთ-ერთი: მოქალაქეები განაცვიფრა ძალთაქმედებებმა, გააღიზიანა იესოზე ქადაგებამ ან ცათა სამეფოსკენ მოიზიდა. ეკლესია თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა, დიდ ძალაში მოქმედებდა და რამდენიმე ღირსშესანიშნავი სასწაულიც მოახდინა. ერთ შემთხვევაში დაბადებით დავრდომილი განიკურნა, რომელიც ყოველდღე მიჰყავდათ შეკრების ადგილას. მან მაშინვე ხტუნვა და ყვირილი დაიწყო. ამ ამბავმა ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი შეკრიბა და გააოცა!

ხელისუფლებამ პეტრე და იოანე დააპატიმრა, რომ მოძრაობის იმპულსის განვითარებისთვის ხელი შეეშალათ. ისინი საბჭოს წევრების წინაშე წარადგინეს და დაასკვნეს:

„ხედავდნენ პეტრესა და იოანეს გაბედულებას; იმასაც მიხვდნენ, რომ უნიგნური და მდაბიო ადამიანები იყვნენ და გაუკვირდათ; თან იცნეს, რომ იესოსთან ერთად იყვნენ“ (საქმ. 4:13)

გაბედულებამ მიიპყრო საბჭოს ყურადღებაც. პეტრესა და იოანესთვის გაცილებით ადვილი იქნებოდა დამალულიყვნენ

და მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკური მანევრი განეხორციელებინათ ქალაქის ყველაზე გავლენიანი ადამიანების წინაშე. მათ დაპირისპირების თავიდან აცილება შეეძლოთ. როგორ არ უნდა ყოფილიყო, ისინი მართლები დარჩნენ დიდი საფრთხის მიუხედავად.

რა გაბედულება და რა სიძლიერეა – საიდან მოვიდა? ეს ჩანს სიტყვებში: „ისინი იესოსთან ერთად იყვნენ“. ეს კაცები მოძღვრის თანდასწრებაში ადრეც და ახლაც დადიოდნენ. ისინი იგივე საქმეებს აკეთებდნენ, რასაც იესო აკეთებდა და შედეგად ქალაქები იცვლებოდა. ისინი სინმიდის კაცები იყვნენ. პირველი ეკლესია კრიპტონიტისგან თავისუფალი იყო და ღვთის ძესთან დარჩენა ამჯობინა მისგან ძალის მისაღებად. ამრიგად, ისინი დიდი გაბედულებით, ძალაუფლებით და ძალით დადიოდნენ.

სამწუხაროდ, ისტორია გვაჩვენებს, რომ კორინთოს ეკლესიამ თავის ქალაქზე ზეგავლენა ვერ მოახდინა, როგორც ეს მონაფეებმა მოახერხეს იერუსალიმში და მოგვიანებით სამარიაში, იაფოში, ლიდაში, შარონში, ანტიოქიაში და იუდეისა თუ აზიის რეგიონების სხვა ქალაქებში. კორინთელთა ეკლესიაში საპირისპირო ვითარება იყო. ისინი დასუსტდნენ და თავიანთ ქალაქზე ზეგავლენას ვერ ახდენდნენ. საოცარი ფაქტია, რომ კორინთელებს სულისმიდის ნიჭების სწამდათ და მათში მოქმედებდნენ. მათ მორწმუნეთა წრეში მომხდარი მცირე სასწაულების მიუხედავადაც ვერ შეძლეს ქალაქზე ზეგავლენის მოპოვება.

რას ველოდებით ჩვენი თაობისგან? შესაძლებელია კიდევ ერთხელ ვიხილოთ სასიკეთო ზეგავლენის ქვეშ მოქცეული და შეცვლილი ქალაქები? მრავალ ქალაქში მიწვევენ საქადაგებლად და ვხარობ მსახურებაზე დამსწრეთა დიდი რიცხვით, მაგრამ ამავდროულად, მანაღვლიანებს ადამიანთა უმრავლესობაზე, ზოგჯერ მილიონებზე ფიქრი, რომლებზეც ზეგავლენა ვერ მოახდინეს ცათა სამეფოს სასიკეთოდ. რატომ არ შეგვიძლია დაბების, ქალაქებისა და რეგიონების შეცვლა? იმიტომ ხომ არა, რომ კრიპტონიტმა უპირატესობა მოიპოვა?

ღმერთმა ჩვენი ხვედრი ძველი აღთქმის ერთი მსაჯულის ცხოვრებით განსაზღვრა. მისი სახელია სამსონი. იგი დაუმორჩილებლობას ეთამაშებოდა, სანამ ეს მისი ცხოვრების ნიმუში არ გახდა. საბოლოოდ, სამსონმა საშინელი ფასი გადაიხადა, რადგან კრიპტონიტმა ძალა მოპარა. მას აღარ ჰქონდა ზებუნებრივი ძალა. თუმცა ბევრი ტანჯვის შემდეგ მოინანია და ძალა კვლავ დაუბრუნდა. დასასრულს, მან იმაზე დიდი გმირო-

ბა ჩაიდინა, ვიდრე ყველა დანარჩენ ნლებში, სანამ ძალას დაკარგავდა.

წინასწარმეტყველი დანიელი ხედავდა უკანასკნელ ჟამის თაობას, რომელიც უკან არ იხევდა რაიმე გასაჭირის წინაშე. იგი წინასწარმეტყველებს:

„თვალთმაქცური ენით მიიმხრობს ალთქმის მიმართ უკეთურად მოქმედთ, თავისი ღვთის მცოდნე ხალხი კი სიმტკიცეს გამოიჩინეს და იმოქმედებს“. (დან. 11:32)

ამ არმიის ძალა და ძლიერება იმაში მდგომარეობს, რომ „ღვთის მცოდნე ხალხია“. ამ სიახლოვის გასაღები ჭეშმარიტი სინმიდის მიყოლა გახლავთ.

## ბოლო სიტყვები

სულ ეს არის. ღმერთმა გმირობისთვის, ჩემპიონობისთვის მოგინოდათ, ვინც ცხოვრებაში იმარჯვებს და მისი გავლენის სფეროში განსხვავებას ქმნის. იყავით ძლიერი, გაბედული. დაუახლოვდით მეფეს, რადგან მასაც ეს სწავლია. უფალს თქვენთან ახლოს ყოფნა და გაძლიერება სურს. იგი თქვენს მხარეს არის. მას თქვენი სჯერა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საუკუნო სიყვარულით უყვარხართ.

თქვენ ამ დედამიწის ერთ-ერთი სუპერგმირი ხართ. შემოქმედი ჩვენი ჩემპიონია, რომელიც თქვენშია და მეტია ამ ქვეყნიერების ლექს ლათორზე. მისგან მიიღეთ ძალა და შეცვალებთ მრავალი ადამიანის ცხოვრება. თქვენი ზეგავლენის შესახებ სრულად ვერ გაიგებთ, სანამ მეფის ტახტის წინაშე არ წარსდგებით. გახარებული იქნებით ახლა და იმ დღეს, რომ კრიპტონიტს არ დაემორჩილეთ.

ამრიგად, გაანადგურეთ კრიპტონიტი, მოკალით, გააუქმეთ და იოტისოდენა ადგილიც არ მისცეთ თქვენს ცხოვრებაში. თქვენ დიდების და ძალისთვის ხართ შექმნილი. ძლიერო ადამიანებო, თქვენ გაქვთ დანიშნულება და ამ ქვეყნიერებას სჭირდება, რომ ის აღსრულოთ.

ღმერთი მეომარია და ჩვენ მის ხატად ვართ შექმნილი. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ფილმები სუპერგმირებზე ასე სასიამოვნოდ აღძრავს ჩვენს შინაგანს. გულის სიღრმეში ვიცით, რომ სიდიადისთვის ვართ შექმნილი!

ღმერთმა სწორედ ამისთვის გაგაჩინათ და ისტორიის განმავლობაში ვისმენტ დამონშებებს ადამიანებზე, რომლებიც საოცრებებს აკეთებდნენ ღვთისთვის, რადგან თავიანთ ცხოვრებაში ადგილი არ მისცეს ჩვევაში გადაზრდილ ცოდვებს. ქალაქები დღეების განმავლობაში იცვლებოდნენ ღვთის ძალით და იმ ადამიანთა გაბედულებით. ღმერთი მოგინოდებთ, რომ ნაბიჯი გადადგათ და კვლავ მიიღონ მონანილეობა ამ საქმის კეთებაში.

ჰკითხეთ ღმერთს, რა ბრძოლისთვის მოგინოდათ?! რომელი ქალაქის, რეგიონის, ტერიტორიის ან ერის მოსაპოვებლად მოგავლინათ? ჩაინერეთ, რას გეტყვით და ილოცეთ, რომ მადლი გადმოღვაროს თქვენზე მისი მიზნის აღსასრულებლად. შემდეგ თვალები საუკუნო ჯილდოს მიაპყართ – აღთქმას, რომელიც ყველას გეკუთვნით, ვინც ამ ცხოვრებაში ერთგულ და გამარჯვებულ მსახურებას ეწევა – და გზა გააგრძელებთ. ღმერთმა გმირობისთვის მოგინოდათ!

# სადისკუსიო კითხვები

თუ ამ წიგნს, „გაანადგურე კრიპტონიტის“ სწავლების ნაწილის სახით კითხულობთ (რაც მართლაც არაჩვეულებრივი იდეაა!), გირჩევთ, სასწავლო ვიდეორგოლებს უყუროთ თანდართულ DVD დისკზე ან [Cloudlibrary.org](http://Cloudlibrary.org)-ზე და როგორც ჯგუფმა შესაბამისი სადისკუსიო კითხვები გახსნათ. ვიდეო გაკვეთილები წიგნს პარალელურად გასდევს და მთავარ თემებს განავრცობს. ის იდეალურია ყველა მონაწილისთვის გაკვეთილების საყურებლად და წიგნის წასაკითხად.

## გაკვეთილი 1: ჩვენი პოტენციალი

მოიცავს 1-ლ – მე-3 თავებში განხილულ თემებს

1. მოტივირებული ვერ იქნებით ნებისმიერი პოტენციალიდან სასიკეთო შედეგების მისაღებად, თუ მის შესახებ არაფერი იცით. როგორ წარმოგიდგენიათ პრინციპი, რომ ცხოვრებაში მართალი უნდა იყოს? რომელი ახალი პროდუქტი, ტექნოლოგიები ან მრწამსი გაითავისეთ მას შემდეგ, რაც მათი სარგებელი აღმოაჩინეთ? ხედავთ რაიმე ანალოგიას ამ გაკვეთილში მიღებულ სწავლებასთან?
2. ღმერთში ჩვენი პოტენციალი თითქმის წარმოუდგენელ შესაძლებლობებს მოიცავს. როგორ შთაგაგონათ ამ გაკვეთილმა ქრისტეში ჩვენი იგივეობის აღმოსაჩენად? რომელ სფეროებზე გიფიქრიათ ყველაზე ნაკლებად?
3. რატომ გგონიათ, რომ ეკლესიაში ზოგადად არ ისწავლება თქვენს პოტენციალზე ქრისტეში? თქვენი აზრით, როგორ შეიცვლებოდა ეკლესია, თუ გვასწავლიდნენ რწმენას, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია? თუ ამ შესაძლებლობებზე

- კარგად დაფიქრდებოდით, როგორ შეგცვლიდნენ ისინი?
4. როცა მარცხს განვიცდით ქრისტიანად ცხოვრებაში, ეს გავლენას ახდენს ხალხის შეხედულებაზე ქრისტიანობისა და ღვთის შესახებ. რამდენად განსხვავებული იქნება მათი თვალსაზრისი ქრისტიანობაზე, თუ ჩვენს პოტენციალს სრულად გამოვიყენებთ? რამდენად შეეცვლება ღმერთზე წარმოდგენა, თუ ჩვენს პოტენციალს სრულად გამოვიყენებთ?

## ბაკვეთილი 2: ერთის ძალა

*მოიცავს მე-4 – მე-7 თავებში განხილულ თემებს*

1. პავლე ამას იმიტომ წერს, რომ კორინთელები პატივს არ მიაგებენ ქრისტეს სხეულს, მათ შორის ბევრია უძლური, სნეული და ზოგიც ნაადრევად გარდაიცვალა. ეს დღეს ჩვენც გვხვება, რადგან ნათქვამია, რომ ეს მრავალს შეეხო. რამდენად განსხვავდება ეს მოსაზრება იმისგან, რასაც ეკლესიაზე – ქრისტეს სხეულზე გასწავლიან? რატომ არის დღეს ასე მნიშვნელოვანი ყველა მორწმუნისთვის ამის გააზრება?
2. ქრისტეს სხეულიდან მრავალი ვერ იყენებს თავის შესაძლებლობას ეკლესიაში გაცნობიერებული ცოდვის არსებობის გამო, მაგრამ ეს არ გახლავთ ქრისტიანების ავადმყოფობის, ნაადრევი სიკვდილისა ან დაუძლურების ერთადერთი მიზეზი. რატომ არის ასე მნიშვნელოვანი განსხვავების გაკეთება? ეკლესიაში განსაცდელების კიდევ რა მიზეზებს მოიყვანთ?
3. დასავლეთში ძალზე ინდივიდუალისტური აზროვნება გვაქვს, თუმცა ღვთის წინააღმდეგ ყაქანის შეცოდებამ მთელ ისრაელზე მოახდინა ზეგავლენა, როგორც ერთ სხეულზე. რამდენად ცვლის ეს ჭეშმარიტება თქვენს თვალსაზრისს ქრისტეს სხეულში საკუთარ ფუნქციაზე?
4. სულიერი კრიპტონიტი გაცნობიერებული ცოდვაა. ყაქანმა იცოდა, რომ ნადავლიდან აღება ცოდვა იყო. კორინთელებმაც იცოდნენ, რომ ლოთობა, გაუმადლობა და ეგოიზმი უფლის სერობისას ცოდვა იყო. ორივე შემთხვევამ დაუძლურება და იმ ადამიანების ნაადრევი სიკვდილი გამოიწვია, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ. თქვენი



აზრით, რატომ უდგება ღმერთი ასე სერიოზულად მის სხეულში ცოდვის არსებობას? რატომ არის უფლისთვის ასე მნიშვნელოვანი არა მარტო ცალკეული მორწმუნე, არამედ მთელი სხეულიც?

### ბაკვეთილი 3: კრიპტონიტი

*მოიცავს მე-8 – მე-10 თავებში განხილულ თემებს*

1. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ჯასტინისა და ანჯელას შემთხვევა რეალურად მოხდა? რასაკვირველია, არა. და მაინც, რა ანალოგიას ხედავთ ამ ამბავსა და ზოგიერთი ქრისტიანის ღმერთთან დამოკიდებულებას შორის? რას ეტყოდით პიროვნებას, რომელიც მეუღლეს ასე ექცევა? რას ეტყოდით პიროვნებას, რომელიც ღმერთს ასე ექცევა?
2. გაცნობიერებული ცოდვა სულიერი კრიპტონიტია, ხოლო სულიერი კრიპტონიტი კერპია. რას ნიშნავს ეს, რომ მრავალი ეკლესიაში მოსიარულე, რეალურად, კერპთაყვანისმცემელია? როგორი სახე აქვს კერპთაყვანისმცემლობას ერში, სადაც თაყვანს არ სცემენ ქანდაკებებსა და აღმართულ სვეტებს?
3. კერპთაყვანისცემა არ გახლავთ საგანი, რომელიც ფართოდ ისწავლება ეკლესიებში. ყველაზე მეტად რამ მიიქცია თქვენი ყურადღება ამ გაკვეთილში კერპთაყვანისცემის შესახებ ნასწავლებიდან? რატომ გგონიათ, რომ ეს საკითხია ყველაზე გამორჩეული?
4. წმიდა წერილში ღმერთი კერპთაყვანისმცემლობას გამუდმებით მრუშობას ადარებს. თქვენი სიტყვებით გამოხატეთ, რატომ იქცევა ღმერთი ასე? რას ამბობს ეს ურთიერთობაზე, რომელსაც იგი გვთავაზობს?
5. კერპთაყვანისცემა შემოქმედის ნაცვლად ქმნილების თაყვანისცემით იწყება. როგორია ღვთის პასუხი ამგვარ საქციელზე? რატომ შორდება ღმერთი მათ, ვინც მას არ ირჩევს? თქვენი აზრით, რატომ არის ჰომოსექსუალიზმის მიმართ კეთილგანწყობა გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ საზოგადოება კერპთაყვანისცემაში ჩაეფლო?
6. თუ გვინდა კერპთაყვანისცემის არსებობა ამოვიცნოთ, უნდა ვიცოდეთ როგორია ჭეშმარიტი თაყვანისცემა. ჭეშმარიტი თაყვანისცემა ღვთის მცნებების დაცვაა და არა

გულშიჩამწვდომი ნელი საგალობლის გალობა. როგორ ცვლის თაყვანისცემის რაობის გაგება თქვენს შეხედულებას ქრისტიანულ ცხოვრებაზე?

#### ბაკვეთილი 4: თანამედროვე კერპთაყვანისცემა

*მოიცავს მე-11 – მე-14 თავებში განხილულ თემებს*

1. საულის დაუმორჩილებლობის ამბავი ზოგიერთი ყამალეკელის დანდობასთან დაკავშირებით გვაჩვენებს კერპთაყვანისცემის ფესვს ეკლესიაში. რატომ არის საულის ანგარება კერპთაყვანისცემის ტოლფასი?
2. სამუელმა საულს უთხრა, რომ ურჩობა და კერპთაყვანისცემა ერთი ცოდვაა. ეს მაშინ ხდება, როცა ჩვენთვის სასურველის მხარეს გადავიხრებით ღვთის ნებისგან, რომელიც მან ნათლად გაგვიცხადა. და როგორც საულის ცხოვრებაში ვხედავთ, ამან უფრო დიდი ცოდვის კარი გახსნა მის ცხოვრებაში. რით არის ეს კერპთაყვანისცემა? რატომ მოსდევს მას უფრო დიდი ცოდვები?
3. სიხარბეს (ანგარებას) კერპთაყვანისცემამდე მივყავართ, ფაქტობრივად, ის თავად არის კერპთაყვანისმცემლობა. კმაყოფილებას კი ღვთისმოსაობასთან მივყავართ. როცა თქვენს მიზნებს, პრიორიტეტებსა და ჩვევებს აკვირდებით, თქვენი აზრით, რომელი უფრო ძლიერია თქვენს ცხოვრებაში – ანგარება თუ კმაყოფილება? როგორ შეგიძლიათ ეძიოთ უფრო მეტი კმაყოფილება ცხოვრებაში?
4. კმაყოფილება აუცილებლად უნდა იყოს ყველა ქრისტიანის ცხოვრებაში, თუმცა ის თვითკმაყოფილებაში არ უნდა აგვერიოს. თქვენი სიტყვებით აღწერეთ ამ ორ სიტყვას შორის განსხვავება. როგორ მიხვდებით, თუ ადამიანი კმაყოფილია და არა თვითკმაყოფილი?
5. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესხენება ის გახლავთ, რომ კერპთაყვანისცემა არ იწყება მაშინ, როცა ადამიანი ცოდვაში ჩავარდა, არამედ მაშინ, როცა ცოდვაში ცხოვრობს. იქედან გამომდინარე, რაც ამ გაკვეთილებზე ისწავლეთ, რა განსხვავებაა ამ ორს შორის?
6. თუ ვაცნობიერებთ, რომ ნებსით ცოდვა სულიერი კრიპტონიგია, იმასაც უნდა ვხვდებოდეთ, რომ ღმერთი სრულიად ახალ ცხოვრებას გვთავაზობს ახალი, ღვთიური ბუნებით. აცნობიერებთ, რომ შესაძლებელია მიდრეკილი იყოთ არა

ცოდვისადმი, არამედ სიმართლისადმი? რა გრძნობა გეუფ-  
ლებათ, როცა ხვდებით, რომ ასეთი გარდაქმნა არა მარტო  
შესაძლებელია, არამედ მოსალოდნელიც?

ბაკვეთილი 5: ყალბი იესო

მოიცავს მე-15 – მე-18 თავებში განხილულ თემებს

1. ღმერთმა იმიტომ გადაგარჩინათ, რომ მასთან ახლოს ყო-  
ფილიყავით. მას თქვენთან ახლო ურთიერთობა სურს. ეს  
თქვენგან ქვეყნიერების საგნების მოშორებას მოითხოვს,  
რადგან მას თქვენთან ნამდვილი ურთიერთობის დამყარე-  
ბა სურს. რას ნიშნავს ეს? როგორ მიხვდებით, რომ ამგ-  
ვარი ურთიერთობა დაამყარეთ?
2. წარმოიდგინეთ ღვთის იმედგაცრუება, რომელსაც მთელი  
გულით სურდა ხალხის დაახლოება და მათ უარი განაცხა-  
დეს, მაგრამ მაინც ამტკიცებენ, რომ დახსნა მიღებული  
აქვთ. რას იგრძნობდით, როცა ვინმეზე დაქორწინდით, ის  
კი უარს ამბობს თქვენთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრება-  
ზე? რას იტყოდით, ტელეფონზე ლაპარაკიც რომ არ მოე-  
სურვებინა? რას მოხდებოდა, შუამავლის მეშვეობით რომ  
ჰქონოდა თქვენთან კონტაქტი? ამ ყველაფრის შემდეგ, რა  
სახის ურთიერთობა გექნებოდათ მასთან?
3. აჰარონი ბანაკში დარჩა, ამრიგად შეიძლება ვიფიქროთ,  
რომ ხალხთან ერთად თავს უფრო კომფორტულად  
გრძნობდა, ვიდრე ღვთის თანდასწრებაში. ზოგიერთები  
ასე არიან – თავს უფრო კარგად გრძნობენ ეკლესიაში,  
ვიდრე ღვთის თანდასწრებაში. როგორ ეხმაურებით ღვთის  
თანდასწრებას?
4. ისრაელს მღვდელმთავარი ჰყავდა, რომელმაც განაცხა-  
და, რომ იაჰვემ იხსნა ისინი ეგვიპტის მონობიდან და  
იაჰვეს სცა თავყვანი სრულადდასაწველით და მსხვერ-  
პლებით, თუმცა ეს ყველაფერი ოქროს ხბოს ეძღვნებოდა  
– ყველაფერი ადამიანთა გულის სურვილების დასაკმაყო-  
ფილებლად კეთდებოდა. თუ ისრაელმა მოახერხა სწორი  
სახელით ცრუ და წამბილწველი თავყვანისცემა, დღევან-  
დელ ეკლესიას არ შეუძლია იგივე გააკეთოს? როგორი  
სახე ექნებოდა ამას?
5. ისრაელი ღვთის ზოგიერთ მცნებას ემორჩილებოდა, მაგრამ  
სხვებს უგულუბელყოფდა. მთელი მსოფლიოს ეკლესიე-

ბი იგივეს აკეთებენ. ზოგიერთ, მათთვის სასურველ მონაკვეთს ირჩევენ და უგულბებელყოფენ სხვებს, რომლებიც წმიდა ცხოვრების და ღვთის მიმართ სრული მიძღვნისკენ მოგვინოდებენ. საიდან უნდა გავიგოთ, ნამდვილ იესოს ვცემთ თაყვანს თუ ყალბს?

## ბაკვეთილი 6: სანყისი ჰუნძტი

*მოიცავს მე-19 – 21-ე თავებში განხილულ თემებს*

როგორ განვითარდა ყალბი იაჰვე ისრაელში და როგორ ვითარდება ყალბი იესო ეკლესიაში? ორივე გახლავთ ჭეშმარიტი მონანიების არარსებობის გამო გულის გაქვავების შედეგი.

1. ეს გაკვეთილი, ძირითადად, მონანიებაზეა – მისი აუცილებლობა, მისი როლი სახარებაში და რას ნიშნავს ის. რამდენად ემთხვევა ან განსხვავდება აქ გადმოცემული მნიშვნელობა მონანიებაზე თქვენი თვალსაზრისგან, რომელიც წარსულში გქონდათ? ცვლის თუ არა ეს თქვენს შეხედულებას სახარებაზე? თუ კი, როგორ?
2. თითოეული სახარება იწყება იოანე ნათლისმცემლის ამბით, რომელიც ცოდვების მონანიებას ქადაგებდა. ეს ნიშნავს, რომ იესოს სახარება ყოველთვის მონანიებით იწყება. რა დამოკიდებულება გაქვთ ამ განცხადებასთან? რატომ არის მონანიება ასე მნიშვნელოვანი სახარებაში?
3. გაცნობიერებული ცოდვის მონანიების გარეშე არ არსებობს იესოს ნამდვილი რწმენა. თუ ცოდვას ვენებებით და ქრისტიანის სახელს ვიჩემებთ, ცდუნებული ვართ. თქვენი აზრით, რატომ არის ღვთისთვის ასე მნიშვნელოვანი ჩვენი ცხოვრების წესი?
4. გაიხსენეთ ჯასტინისა და ანჯელას ამბავი. რატომ არ ჰქონდა ანჯელას წარმოდგენა, რომ ქორწინების შემდეგ ყველა ყოფილ შეყვარებულს უნდა ჩამოშორებოდა? როგორ უნდა გაიგონ ურწმუნო ადამიანებმა, რომ იესოს გაცნობამდე საჭიროა მონანიება, თუ ჩვენ არ ვეტყვიან? რა შეიძლება მოგვივიდეს, თუ ადამიანებს ცოდვის შეწყვეტისკენ მოვეუწოდებთ? რატომ არის მნიშვნელოვანი სრული სახარების გაზიარების საფასურის გამოთვლა?
5. ჩვენს პიროვნებას წარმოაჩენს ჩვენი ქმედებები და არა ჩვენი განზრახვები. აქედან ჩანს სახარების ძალა, რომ

მას შეუძლია მთლიანი პიროვნების გარდაქმნა. როგორ გვაჩვენებს ეს, რომ მონანიება დადებითი და კარგი საქმეა? თქვენი სიტყვებით ახსენით, როგორ არის ღვთისგან მონანიების მოთხოვნა, რეალურად, მისი წყალობა ჩვენს მიმართ.

**ბაკვეთილი 7: ჭემმარიტება, შემწყნარებლობა და სიყვარული**

*მოიცავს 22-ე –24-ე თავებში განხილულ თემებს*

1. იუდას ჩვენი გადარჩენის სასწაულზე დაწერა სურდა – რაიმე მშვენიერზე – თუმცა საჭირო გახდა მსმენელთა გაფრთხილება იმ ადამიანების თაობაზე, რომლებიც ღვთის მადლს ცოდვების ჩადენის წასაქებებლად იყენებენ. ოდესმე თქვენს ცხოვრებაში საკუთარი თავისთვის ღვთის გაფრთხილებების უგულვებლყოფის უფლება მიგიციათ, რომ მხოლოდ ადამიანთათვის საამებელი სიტყვები გეთქვათ? რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ გაფრთხილებები თქვენი ცხოვრებისა და ქადაგების ნაწილი იყოს?
2. მიზეზი, რის გამოც ეკლესია ცოდვას იწყნარებს, გახლავთ ჩვენი არასწორი წარმოდგენა ნამდვილ სიყვარულზე. ჭემმარიტ სიყვარულს ჭემმარიტება სჭირდება და ჭემმარიტება ყოველთვის მარადიულ თვალთახედვას წარმოადგენს. როგორ ცვლის ჩვენს ცხოვრებისეულ პრიორიტეტებს მარადიულობის თვალთახედვის შენარჩუნება?
3. ღვთის სიყვარული ღვთის მცნებების დაცვას ნიშნავს. ეს გამოარჩევს ქრისტიანულ სიყვარულს ამქვეყნიურისგან. ღვთის მცნებების დაცვის გარდა, რა განსხვავებას ხედავთ ღვთის სიყვარულსა და ქვეყნიურ სიყვარულს შორის?
4. სიყვარული ღვთიური ჭემმარიტების გარეშე ნამდვილი სიყვარული არ არის – იგი ყალბია. ჩვენი კულტურა განუდგა ნამდვილ სიყვარულს და სწორედ ამიტომ ისწრაფვის ეკლესია ყალბი იესოსკენ. რას ფიქრობთ ჭემმარიტების სიყვარულით თქმის შესახებ? რატომ გგონიათ, რომ ადამიანების უმრავლესობა ჭემმარიტებასთან თავს უხერხულად გრძნობენ?

**ბაკვეთილი 8: კრიპტონიტის ბანაღგურება**

*მოიცავს 25-ე – 28-ე თავებში განხილულ თემებს*

1. ზოგიერთი მორწმუნე ცოდვას ზედაპირულად უყურებს, რადგან ვერ წარმოუდგენია, რამხელა ტკივილს აყენებს ის ღვთის გულს. სხვა ქრისტიანებს სჯერათ ტყუილის, რომ ჩვენ ბუნებით ცოდვილები ვართ და იესოს სისხლი საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ ცოდვის სასჯელი აგვარიდოს, თუმცა ცოდვის ბორკილებიდან ვერ გვათავისუფლებს. ესენი არიან მორწმუნეები კრიპრონიტით – გაცნობიერებული, ჩვევაში გადაზრდილი ცოდვით. რა გავლენას ახდენს თქვენს ცხოვრებაზე ეს ორი თვალსაზრისი? რა გავლენას ახდენენ ისინი სხვა მაღიარებელ ქრისტიანებზე?
2. მორწმუნეთა მესამე ჯგუფს ნამდვილი ქრისტიანები წარმოადგენენ, რომლებიც გაცნობიერებით სცოდავენ, მაგრამ მათთვის ეს გამუდმებული ბრძოლის პროცესია. მათ ამ ცოდვებისგან განთავისუფლება სურთ, მაგრამ ღვთის სიტყვიდან ჯერ ვერ აღმოუჩენიათ, როგორ დააღწიონ თავი. შეცოდების სირცხვილი მათ ცოდვის ტყვეობაში ტოვებს. ამ გაკვეთილზე ნასწავლი ჭეშმარიტებებიდან რომელს გაუზიარებდით ხსენებულ მდგომარეობაში მყოფ მორწმუნეს?
3. ამ გაკვეთილზე გაგიზიარეთ, როგორ გამათავისუფლა ღმერთმა გულისთქმისა და პორნოგრაფიისგან. ყველაზე მეტად რამ შთაგაგონათ ჩემი დამონმებიდან? რატომ? რა იყო თქვენთვის ყველაზე დიდი გამოწვევა? რატომ?
4. ცოდვისგან თავისუფლება ღვთიური ნალველიდან მოდის, რომელიც ქვეყნიური ნალველისგან განსხვავდება. ღვთიური ნალველი აცნობიერებს ტკივილს, რომელსაც ჩვენი ცოდვა ღმერთს აყენებს, მაგრამ ქვეყნიური ტკივილი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გვაზიანებს ცოდვა ჩვენ და ჩვენს მომავალს. თქვენი აზრით, რატომ იძლევა ღმერთი მაღლს პირველი სახის დანალვლიანებაზე და არ იძლევა მეორეზე? რა განსხვავებას ხედავთ ამ ორი სახის დანალვლიანებას შორის თქვენს ცხოვრებაში?
5. ისტორიები სუპერგმირებით ჩვენს წარმოსახვას ატყვევებენ, რადგან ყოველი ადამიანის შინაგან სწრაფვას ეხებიან. პირველი მორწმუნეები თავიანთი ეპოქის სუპერადამიანები იყვნენ. როგორ გავხდეთ ჩვენი დროის სუპერგმირები? როგორ შეცვლის ეს ქვეყნიერების შეხედულებას ღმერთზე?
6. ღმერთი მეომარია და ჩვენც მისი მსგავსებისთვის ვართ შექმნილი. იესო გამოცხადების შვიდივე ეკლესიას გამარ-

ჯვებისკენ მოუნოდებდა, რაც ნიშნავს რომ მასთან ერთად ვიმარჯვებთ და მტერს უნდა ვძლიოთ. როცა მთელ ამ მონაკვეთზე ფიქრობთ, როგორ ცვლის ის თქვენს შეხედულებას ღვთიურ მონოდებაზე, რომ გაიმარჯვოთ ამ ცხოვრებაში? როგორ შეცვალა მან თქვენი წარმოდგენა საკუთარ თავზე, სხვა მორწმუნეებსა და მთლიან ეკლესიაზე?





## დანართი

# სულის გადარჩენა ყველასთვის შესაძლებელია

„თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი, გადარჩები. ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.  
რომ. 10:9-10

ღმერთს სურს, რომ მთელი სისავსით იცხოვროთ. მას დიდი მონადინება აქვს თქვენსა და იმ გეგმის მიმართ, რომელიც თქვენი ცხოვრებისთვის შექმნა. და მაინც, თქვენი დანიშნულებისაკენ სვლის დანყების ერთადერთი გზა ასეთია: ხსნის მიღება ღვთის ძის, იესო ქრისტეს მეშვეობით.

ღმერთმა იესო ქრისტეს სიკვდილითა და აღდგომით გზა გაგისხნათ მის სამეფოში საყვარელი ძისა და ასულის სახით შესასვლელად. ქრისტეს ჯვარცმის მსხვერპლმა შესაძლებელი გახადა თქვენთვის მარადიული და უხვი სიცოცხლის უსასყიდლოდ მიღება. გადარჩენა ღვთის საჩუქარია. თქვენ მას ვერც დაიმსახურებთ და ვერც გამოიმუშავებთ.

ამ ძვირფასი საჩუქრის მისაღებად, პირველ რიგში, უნდა აღიაროთ თქვენი შემოქმედისგან დამოუკიდებლად ცხოვრების ცოდვა (რადგან ეს არის თქვენ მიერ ჩადენილი ყველა ცოდვის ფესვი). ამგვარი მონანიება გადარჩენის მიღების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. პეტრემ ეს იმ დღეს გააცხადა, როცა ხუთი ათასმა ადამიანმა მოინანია საქმეთა წიგნში: „მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რომ წარიხოცოს თქვენი ცოდვები!“ (საქმ. 3:19). წმიდა წერილი აცხადებს, რომ ყოველი ჩვენგანი ცოდვის მონად იბადება. ამ მონობის ფესვი ადამის ცოდვიდან მოდის, რაც ნებსით ურჩობის მაგალითია. მონანიება არის არჩევანი, რაც საკუთარი თავისა და სატანის, სიცრუის მამის

მორჩილებიდან ახალი ბატონის, იესოს ქრისტეს მორჩილებაში გადმოსვლას ნიშნავს, რომელმაც სიცოცხლე გასწირა თქვენს გამოსახსნელად.

იესოს თქვენს ცხოვრებაზე უფლობის ნება უნდა მისცეთ. იესოს უფლად აღიარება მისთვის თქვენს ცხოვრებაზე (სულზე, სამშვიინველსა და სხეულზე) – მთელს თქვენს არსებასა და საკუთრებაზე – ბატონობის მინიჭებას ნიშნავს. როგორც კი ამას გააკეთებთ, ღმერთი სიბნელისგან დაგიხსნით და მისი სამეფოს სინათლესა და დიდებაში გადაგიყვანთ. თქვენ მარტივად გადახვალთ სიკვდილიდან სიცოცხლეში და მისი შვილი გახდებით!

თუ გსურთ გადარჩენის მიღება იესო ქრისტეს მეშვეობით, შემდეგი ლოცვა წარმოთქვით:

*„ზეციერო მამა, ვაღიარებ, რომ ცოდვილი ვარ და შორს ვდგავარ შენი სიმათლის სტანდარტებიდან. ჩემი ცოდვებისთვის საუკუნო სასჯელს ვიმსახურებ. მადლობა, რომ ამ მდგომარეობაში არ დამტოვე. მჯერა, რომ იესო ქრისტე, ქალწული მარიამისგან დაბადებული, შენი მხოლოდმობილი ძე გამოგ ზავნე დედამინაზე ჩემი სასჯელის ჯვარზე ასატანად. მჯერა, რომ იგი მესამე დღეს აღდგა და ახლა შენს მარჯვნივ ზის, როგორც ჩემი უფალი და მხსნელი. ამრიგად, დღეს ვინანიებ შენგან ჩემს დამოუკიდებლობას და ცხოვრებას მთლიანად იესო ქრისტეს უფლობას გადავცემ.*

*იესო, ჩემს უფლად და მხსნელად ვაღიარებ! შემოდი ჩემს ცხოვრებაში შენი სულით და მაქციე ღვთის შვილად. ვინანიებ სიბნელის საქმეებს ჩემს ცხოვრებაში. შენი მადლით ვიცოცხლებ შენთვის, ვინც საკუთარი თავი გასწირა, რომ მარადიულად მეცოცხლა.*

*მადლობა, უფალო! ახლა ჩემი ცხოვრება მთლიანად შენს ხელშია და შენი სიტყვის თანახმად, არასოდეს ვიქნები შერცხვენილი. იესოს სახელით, ამინ!“*

კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება ღვთის ოჯახში! მოგიწოდებთ, რომ ეს საოცარი ახალი ამბავი სხვა მორწმუნეს გაუზიაროთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეუერთდეთ ბიბლიის მორწმუნე ადგილობრივ ეკლესიას და იმ ადამიანებს, რომლებიც ახალ რწმენაში გაგამხნევენ.


თქვენ ეს-ეს არის წამოიწყეთ შესანიშნავი მოგზაურობა.

საქმის ბალახიანა ყვანასთვის შასაძეაბაცია 309

დაე, ყოველდღიურად გაიზარდეთ გამოცხადებაში, მადლსა და  
ღმერთთან მეგობრობაში!

# სიკეთე თუ ღმერთი?

რატომ არ არის საკმარისი ღვთის  
გარეშე გაკეთებული სიკეთე?



თუ საქმე სიკეთესთან გვაქვს, ის აუცილებლად ღვთისგან უნდა იყოს. მართალია?

ჩვენს დროში სიკეთე და ღმერთი სინონიმებად აღიქმება. დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოებაში ზოგადად მიღებული სიკეთე ღვთის ნებას შეესაბამება. ქველმოქმედება, თავმდაბლობა, სამართალი – კარგია. ეგვიპტის, სიამაყე, სისასტიკე – ბოროტებაა. ეს განსხვავება საკმაოდ სწორხაზოვანი ჩანს.

ნუთუ ყველაფერი ასე მარტივადაა? თუ სიკეთის რაობა ასე აშკარაა, რატომ გვეუბნება ბიბლია, რომ ამოსაცნობად გარჩევის უნარია საჭირო?

სიკეთე თუ ღმერთი? არ გახლავთ კიდევ ერთი დამხმარე სიტყვა. ეს წიგნი თქვენგან საკუთარი ქცევის შეცვლაზე გაცილებით მეტს მოითხოვს. ის გაგაძლიერებთ ღმერთთან იმ დონეზე თანამშრომლობისთვის, რომ თქვენი ცხოვრების ყველა ასპექტს შეცვლის.

# ანდამატი

## ჭემმარიტების მოძიება აზრების სამყაროში




თუ ოდესმე ყოფილა დრო, რომ სიყვარულისა და ჭემმარიტების მიმართ ანდამატივით მტკიცე ვყოფილიყავით, ეს ახლათ. ღმერთი სიყვარულია. ღმერთი ჭემმარიტებაა. სიყვარულიც და ჭემმარიტებაც უსასრულოა და ჩვენს ამჟამინდელ ტენდენციებსა და მოსაზრებებს აღემატება. ზოგჯერ ყველაზე დიდი სიყვარულის გამოხატულება ჭემმარიტების ლაპარაკია, თუმცა ჭემმარიტების ლაპარაკი მასში ცხოვრებით უნდა იწყებოდეს.

ლიზა ბევირი, რომელიც ბესტსელერების ავტორი გახლავთ, წმიდა წერილისა და თხრობის მეშვეობით შეგიძლევთ ისეთ მოგზაურობაში, სადაც ადამიანები არა მარტო მკვიდრობენ ღვთის ურყევე ჭემმარიტებასა და სიყვარულში, არამედ თავად ხდებიან ანდამატები – ურყევი, შემართებული და მტკიცე ადამიანები.

ღვთის გეგმა მაშინ გაცხადდება, როცა მასში ვმკვიდრობთ. სწორედ აქ ვყალიბდებით. თუ დავრჩებით ქრისტეში, რომელიც ჩვენი ქვაკუთხედი, ანდამატის მსგავსად გარდავიქმნებით.

# მწიგნობრობით ამოქრავებულნი

გახადეთ თქვენი ცხოვრება ღირსეული  
დღეს და სამარადისოდ



ერთ დღესაც ღვთის წინაშე წარსდგებით და თქვენი ცხოვრების ანგარიშს ჩააბარებთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც საკუთარ თავს ახლა უნდა დაუსვათ, შემდეგია: იმ დროს მზად ვიქნები?

ქრისტიანთა უმეტესობამ იცის, რომ ჯვარცმაზე მათი გამომხაურება განსაზღვრავს მათ ხვედრს მარადისობაში. და მაინც, იცით თუ არა, რომ მარადისობაში თქვენს ადგილს თქვენი ამჟამინდელი ცხოვრების საქმეები განსაზღვრავს?

ღმერთს სურს, რომ აღმოაჩინოთ თქვენი მოწოდება – მას არ სურს სიბნელეში იყოთ. ფაქტობრივად, მას მთელი გულით სწადია, რომ იპოვოთ აზრი და მიზანი, რაც დედამიწაზე თქვენი ადგილის გაცნობიერებით მოდის.

უკანასკნელი ამოსუნთქვის შემდეგ დაწყებული ცხოვრება დანიშნულების ადგილზე მეტია. ნუ მოიცდით იქამდე, სანამ ძალზე გვიანი არ იქნება. აღმოაჩინეთ ღვთისგან ბოძებული ხვედრი მარადისობაში და თქვენი ცხოვრება ღირსეული გახადეთ დღეს და სამარადისოდ.







**Messenger International**  
ცალკეული ადამიანების,  
ოჯახების, ეკლესიებისა და ერების  
დასახმარებლად არსებობს, რომ  
მათ ღვთის სიტყვის გარდამქმნელი  
ძალის გაცნობიერება და  
ცხოვრებაში გამოყენება შეძლონ.

ამგვარი გააზრება ძალით  
აღვსილ ცხოვრებას,  
გარდაქმნილ საზოგადოებებსა  
და მთელი მსოფლიოს წამლეკავ  
უსამართლობაზე დინამიურ  
პასუხს მოიცანს.

Cloud Library გახლავთ ონლაინ  
პლატფორმა, რომელიც მთელი  
მსოფლიოს პასტორებსა და  
წინამძღოლებს უფასო ციფრულ  
რესურსებთან მშობლიურ ენაზე  
წვდომის საშუალებას აძლევს.

მიმართეთ [CloudLibrary.org](http://CloudLibrary.org)-ს  
უფრო მეტი ჩამოსატვირთი  
რესურსებისთვის ჯონ და ლიზა  
ბევირებისგან 90-ზე მეტ ენაზე!

ელექტრონული წიგნები, ვიდეო და  
აუდიო სწავლებები, აუდიო წიგნები,  
ბიბლიები ...



# CLOUD LIBRARY



გსურთ უფრო მეტი? დაასკანერეთ აქ:

# გაანადგურე კრიპტონიტი!

## სასწავლო პროგრამა

სახელმძღვანელო, რომელიც ახლა ხელში გიჭირავთ, „გაანადგურე კრიპტონიტი!“-ის სასწავლო პროგრამის ნაწილია ჯონ ბივერისგან. წიგნის წაკითხვა და თანმხლები სასწავლო მასალების გამოყენება, რომელთაც თანდართულ დისკზე მოიძიებთ და [CloudLibrary.org](http://CloudLibrary.org)-დან ჩამოტვირთავთ, ამ დინამიური და ცხოვრების გარდამქმნელი სწავლების ყოველი ნაწილის გაცნობისა და ათვისების საშუალებას მოგცემთ. მათი სათანადოდ შესწავლა გავლენას მოახდენს თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებაზე, გაამდიდრებს მას და ღვთისთვის უფრო მეტის გაკეთების ძალას მოგცემთ.

**„გაანადგურე კრიპტონიტი!“-ის სრული სასწავლო პროგრამა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:**

- **“გაანადგურე კრიპტონიტი!” სახელმძღვანელო წიგნი**  
პროგრამის ერთადერთი ბეჭდური ნაწილი წიგნი ასევე არის თანდართულ დისკზე PDF-ფაილის სახით.
- **„გაანადგურე კრიპტონიტი!“ რესურსდისკი**  
თანდართული დისკი მოიცავს პროგრამის სრულ მასალას ციფრულ ფორმატში. მის ჩართვას ვერ შეძლებთ საშინაო DVD ფლეიერით, თუმცა ფაილები იკითხება ტაბლეტით, კომპიუტერით ან სმარტფონებით.
- **„გაანადგურე კრიპტონიტი!“ აუდიო წიგნი**  
გაანადგურე კრიპტონიტი! თქვენს მშობლიურ ენაზე MP3 ფორმატში.
- **„გაანადგურე კრიპტონიტი!“ ვიდეო გაკვეთილები**  
6 ვიდეოგაკვეთილი MP4 ფორმატში.
- **„გაანადგურე კრიპტონიტი!“ აუდიო გაკვეთილები**  
6 ვიდეოგაკვეთილი MP3 ფორმატში.
- **მასალები ბონუსის სახით**  
დისკი ასევე მოიცავს დამატებით წიგნებსა და რესურსებს: „აფაბელის“ აუდიო სპექტაკლი, „მარადისობით ამოდრავებულნი“ და „სიკეთე თუ ღმერთი“.

# ყველა ეს პროგრამული რესურსი საჩუქარია!



შეგიძლიათ, გააკეთოთ დისკის ასლები, გადაილოთ მასალები, ელ. ფოსტით გაუგზავნოთ მეგობრებს, დააკოპიროთ და გადაიტანოთ ტექსტი Word-ის დოკუმენტში, სწავლება გაუგზავნოთ თქვენს ეკლესიას, ატვირთოთ ინტერნეტში სხვებისთვის გამოსაყენებლად.

გაგზავნეთ ეს რესურსები ყველგან, სადაც ღვთის სიტყვისა და ძალით აღვსილი ქრისტიანული ცხოვრების შესახებ კარგი სწავლების ნყურვილია.

მეტი ინფორმაცია „გაანადგურე კრიპტონიტი!“-ის სასწავლო პროგრამის კომპონენტებზე:

- ამ დისკზე არსებული ფაილები არ გამოდგება ჩვეულებრივი ვიდეოფლეიერისთვის. ისინი წარმოადგენენ „შერეულ მედია-ფაილებს“ ვიდეო, აუდიო და ტექსტური ფაილების ერთობლიობით. მათი ნახვა შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერზე ან რომელიმე სხვა ციფრულ მონწყობილობაზე.
- MP4 ვიდეო ფაილები შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ და ნახოთ ტაბლეტზე ან კომპიუტერზე.
- MP3 აუდიო ფაილები შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე.
- PDF ციფრული ფაილები შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე. ადვილად შესაძლებელია მათი წაკითხვა, ამობეჭდვა ან გამრავლება.



CloudLibrary.org CLOUD LIBRARY

# გაანადგურე კრიპტონიტი!



**MESSENGER**  
INTERNATIONAL  
MessengerInternational.org

უფურეთ ვიდეოს და  
გადმოტვირთეთ უფრო მეტი



**CloudLibrary.org**

მხოლოდ  
კომპიუტერისთვის

## ჯონ ბეჰირი



ეს სასწავლო პროგრამა და ჯონ და ლიზა ბეჰირების სხვა სწავლებების მოძიება შესაძლებელია მესინჯერის უფასო ვიდეოჩვენების მეშვეობით ან რესურსების ჩამოტვირთვით შემდეგი ვებგვერდიდან:



**CloudLibrary.org**

დამატებითი რესურსები სხვა ენებზე იხილეთ და ჩამოტვირთეთ  
Youtube.com & Youku.com-დან და სხვა მსგავსი მედია-გვერდებიდან.



სუპერმენის მსგავსად, რომელსაც ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა და მტრის დამარცხება შეუძლია, ქრისტეს მიმდევრებსაც აქვთ გამოწვევების წინაშე დგომისა და გამარჯვების ზებუნებრივი უნარი. თუმცა ჩვენსა და ამ გმირის ცხოვრებაში ერთი საერთო პრობლემა არსებობს. ეს გახლავთ კრიპტონიტი, რომელიც ძალას გვპარავს.

რასაკვირველია, სუპერმენი და კრიპტონიტი ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნება, მაგრამ სულიერ კრიპტონიტზე იგივეს ვერ ვიტყვით.

წინამდებარე წიგნი პასუხებს გვთავაზობს კითხვაზე, თუ რატომ არ აქვს ბევრ ჩვენგანს ღვთიური ძალა, რომელიც ასე თვალსაჩინო იყო პირველი საუკუნის ქრისტიანთა ცხოვრებაში.

წიგნი „გაანადგურე კრიპტონიტი!“, ჯონ ბევირი ააშკარავებს კრიპტონიტის რაობას, თუ რატომ მიდიან მის მიმართ კომპრომისზე ჩვენს ეკლესიებში და როგორ უნდა გავთავისუფლდეთ მისი ბორკილებისგან.

**წიგნს „გაანადგურე კრიპტონიტი“  
თან ერთვის DVD რესურსდისკი**



ჯონ ბევირი და მისი მეუღლე, ლიზა – Messenger International – ის დამფუძნებლები არიან. ჯონი მსახური და ბესტსელერების ავტორი გახლავთ. იგი დიდი გაბედულებით და ენთუზიაზმით ქადაგებს შეუვალ ჭეშმარიტებებზე. მას სურს ადგილობრივი ეკლესიების მარდაჭერა და მასალებს უსასყიდლოდ გადასცემს წინამძღოლებს საცხოვრებელი ადგილის, ენისა და ფინანსური მდგომარეობისგან დამოუკიდებლად. დღევანდლამდე მის მიერ შექმნილი რესურსები თარგმნილია 100-ზე მეტ ენაზე და მთელი მსოფლიოს მწყემსებსა და წინამძღოლებს შორის მილიონობით ეგზემპლარი დარიგდა.



გადმოტვირთე ეს და სხვა რესურსები:  
**CloudLibrary.org**



ეს წიგნი ავტორის საჩუქარია და არ იყიდება

გსურს მეტი დასაკანონო?

